

საქართველოში
ბავშვების მიმართ ძალადობის
ეროვნული კვლევა

2007-2008

კვლევითი ჯგუფი

განმასორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაცია:

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი

კვლევითი კომპანია: „ბი-სი-ჯი“

სტატისტიკოსი (შერჩევა): მამუკა ნადარეიშვილი

„იუნისეფის“ კონსულტანტი: პროფესორი მარგარეტ ა. ლინჩი, MD

ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულებელყოფის პრევენციის

საერთაშორისო საზოგადოების კონსულტანტები:

დესმონდ რანიანი, Dr PH, ადამ ზოლოტორი, MD, MPH

1977 წელს დაარსებული ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოება (ISPCAN) ერთადერთი მრავალდარგობრივი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს პროფესიონალებს მსოფლიო მასშტაბით ბავშვთა შეურაცხყოფის, უგულებელყოფისა და ექსპლუატაციის პრევენციისა და მკურნალობის მიზნით ერთობლივად სამუშაოდ. საზოგადოების დანიშნულებაა, „მხარი დაუჭიროს კონკრეტულ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ მსოფლიო მასშტაბით ბავშვების დასაცავად შეურაცხყოფისა და უგულებელყოფისაგან“.

კვლევითი ჯგუფის წევრთა ფუნქციები და მოვალეობები მითითებულია 1 დანართში.

ანგარიში მომზადებულია შემდეგი პირების მიერ:

მარგარეტ ა. ლინჩი

ლია სარალიძე

ნინო გოგუაძე

ადამ ზოლოტორი

წინასიტყვაობა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ანგარიშმა მსოფლიოში ბავშვების მიმართ ძალადობის კვლევის შესახებ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიქცია. ანგარიშში ყურადღება ბავშვების მიმართ ყველა სახის ძალადობის მაღალ მაჩვენებელზე გამახვილდა. ეს ანგარიში მოუწოდებდა თითოეულ ქვეყანას, განხორციელებინა შემდგომი კვლევა და გაეანალიზებინა ბავშვების მიმართ ძალადობის მასშტაბი. აღნიშნული რეკომენდაციების შედეგს წარმოადგენს საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის კვლევა, რომელიც გაერო-ს ბავშვთა ფონდის („იუნისეფი“) დავალებით ჩატარდა ადგილობრივ არასამთავრობო და სამთავრობო სექტორებთან, ასევე ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულბეღელობის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოებასთან (ISPCAN) თანამშრომლობით.

„ბავშვთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა“ აღწერს საქართველოს ფარგლებში ბავშვთა მიმართ ძალადობის დონეს და ბავშვთა უგულბეღელობის მასშტაბს ოჯახებში, სკოლებსა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა კოლექტიურ ცენტრებში. კვლევა ასახავს იმ ქართველი ბავშვების გამოცდილებას, რომელთაც ძალადობის პირობებში უწევთ ცხოვრება, და იძლევა მითითებებს როგორც ძალადობის პრევენციასთან, ისე მისი შედეგებისაგან ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებით.

კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობა ისევე ხშირად გვხვდება, როგორც ევროპასა და სხვა ქვეყნებში, სადაც კვლევის მსგავსი ინსტრუმენტი გამოიყენეს. 2007 წელს საქართველოში ბიჭებისა და გოგონების დაახლოებით 80% განიცდიდა სხვადასხვა ფორმის ფიზიკურ (79.8%) თუ ფსიქოლოგიურ (82.3%) ძალადობას. მართალია, ფიზიკური დასჯის ყველაზე ხშირად ხსენებული შემთხვევები შეიძლება არ ჩაითვალოს სასტიკად (საჯდომზე ხელის დარტყმა, თმის მოქაჩვა და ყურების აწევა), მაგრამ არსებობს უფრო მძიმე ძალადობის შემთხვევებიც. ფსიქოლოგიური დასჯის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ყვირილი, დამცინავი სახელების დაძახება და ბავშვის ლანძღვა. კვლევის პროცესში დისციპლინის დამყარების მიმართ პოზიტიური მიდგომის შემთხვევებიც დაფიქსირდა, რაც განვითარებას და გამყარებას საჭიროებს.

ქართულ და ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული გლობალური და ეროვნული კვლევები მყარ საფუძველს ამზადებს ისეთი პოლიტიკის შემუშავებისთვის, რომელიც მიმართული იქნება ძალადობისაგან ბავშვთა დაცვისკენ და ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისკენ, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების ტრენინგისაკენ, რათა მათ შეეძლოთ სათანადო რეაგირება ძალადობის შემთხვევებზე. ორივე კვლევა სახელმძღვანელო ინსტრუმენტი იქნება სახელმწიფოსთვის და სხვადასხვა დაწესებულებისთვის ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაში.

„იუნისეფის“ წარმომადგენლობა საქართველოში დიდ მადლობას უხდის ბავშვებსა და მათ მშობლებს, ასევე მრავალ ორგანიზაციას, რომლებიც ამ კვლევაში მონაწილეობდნენ, კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულბეღელობის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოებას, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდს და კვლევით კომპანია „ბი-სი-ჯი“-ს. მადლიერებას გამოვხატავთ იმ თავდადებისათვის, რაც როგორც ადგილობრივმა, ისე საერთაშორისო ექსპერტებმა გამოიჩინეს. განსაკუთრებულ მადლობას მოვასხენებთ მარგარეტ ა. ლინჩს, ლია სარალიძეს, ადამ ზოლოტორს, დესმონდ რანიანსა და ქრისტოფერ გიტინსს.

ჯოვანა ბარბერისი,
„იუნისეფის“ წარმომადგენელი საქართველოში

სარჩევი

| | |
|--|------------|
| აკრონიმები | 5 |
| მოკლე მიმოხილვა | 6 |
| თავი პირველი: შესავალი | 13 |
| თავი მეორე: კვლევა | 23 |
| თავი მესამე: მზრუნველთა ანგარიშები ოჯახებში დისციპლინის, სასჯელისა და ძალადობის შესახებ | 29 |
| თავი მეოთხე: ბავშვების მიერ ოჯახურ გარემოში განცდილი ძალადობის შემთხვევები | 45 |
| თავი მეხუთე: ბავშვების მიერ სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში განცდილი ძალადობის შემთხვევები | 59 |
| თავი მეექვსე: ბავშვების მიერ სკოლებში განცდილი ძალადობის შემთხვევები | 68 |
| თავი მეშვიდე: ბავშვთა შეხედულებები | 90 |
| თავი მერვე: კვლევის შედეგების მიმოხილვა და რეკომენდაციები | 94 |
| გამოყენებული ლიტერატურა | 107 |
| დანართები | 109 |

კვლევაში გამოყენებული აკრონიმები

| | |
|------------------|--|
| CAN | ბავშვის შეურაცხყოფა და უგულვებელყოფა |
| CAP | ქვეყნის სამოქმედო გეგმა |
| CEE | ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა |
| CIS | დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა |
| CRC | ბავშვის უფლებათა კონვენცია |
| BCG | „ბიზნეს კონსალტინგ ჯგუფი“ (კვლევითი ორგანიზაცია) („ბი-სი-ჯი“) |
| HBSC | „ჯანსაღი ქცევა სკოლის ასაკის ბავშვებში“ (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია) |
| IDP | იძულებით გადაადგილებული პირი |
| ICAST | ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების ბავშვის უგულვებელყოფისა და სკრინინგის ინსტრუმენტები |
| ICAST P | ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების ბავშვის უგულვებელყოფისა და სკრინინგის ინსტრუმენტი – მშობელი |
| ICAST C H | ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების ბავშვის უგულვებელყოფისა და სკრინინგის ინსტრუმენტი – ბავშვი: ოჯახი |
| ICAST C I | ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების ბავშვის უგულვებელყოფისა და სკრინინგის ინსტრუმენტი – ბავშვი: დანესებულება (სკოლა, სამუშაო ადგილი და ა.შ.) |
| ISPCAN | ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოება |
| MICS | მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა |
| MoES | განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| MONEE | აღმოსავლეთ ევროპის მონიტორინგი (პროექტის ოფიციალური სახელია „საზოგადოებრივი პოლიტიკა და სოციალური პირობები: მონიტორინგი და გარდამავალი პერიოდი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ასევე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“) |
| NGO | არასამთავრობო ორგანიზაცია |
| PHMDF(G) | საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი (საქართველოში) |
| SPSS | სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის |
| UNICEF | „იუნისეფი“, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი |
| WHO | ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია |

მოკლე მიმოხილვა

შესავალი

2007 წელს, „იუნისეფის“ შეკვეთითა და სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებთან თანამშრომლობით, ჩატარდა საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა. კვლევის ძირითადი მიზანი იყო იმ ძალადობის ხასიათისა და მასშტაბის გაგება, რომელსაც საქართველოში ბავშვები განიცდიან. 2006 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ანგარიშმა მსოფლიოში ბავშვების მიმართ ძალადობის კვლევის შესახებ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიქცია. ეს ანგარიში მოუწოდებდა თითოეულ ქვეყანას, განეხორციელებინა შემდგომი კვლევა, გაენალიზებინა ბავშვების მიმართ ძალადობის მასშტაბი და გამოეყენებინა კვლევის შედეგები ქვეყნის მასშტაბით ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და მასზე რეაგირების ხელშეწყობის გეგმების შემუშავებისათვის. შესაბამისად, ბავშვთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა ამ პროცესში პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

ეროვნული კვლევა საქართველოში ორ ფაზად წარიმართა. პირველი ფაზა 2007 წლის სექტემბერსა და დეკემბერში განხორციელდა და ოჯახებსა და სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობაზე იყო მიმართული. მეორე ფაზის განმავლობაში — 2008 წლის დეკემბრიდან მარტის დასაწყისამდე — შესწავლილი იქნა ბავშვთა მიმართ სკოლებში ძალადობის საკითხი.

კვლევის მიზნები

კვლევის ორივე ფაზის განმავლობაში მიზნად იყო დასახული, დადგენილიყო საქართველოში:

- ბავშვების (დაბადებიდან 18 წლამდე) მიმართ ძალადობის მასშტაბი (ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულბებლყოფის ჩათვლით);
- ძალადობის სახეები;
- ძალადობასთან დაკავშირებული ფაქტორები;
- ბავშვთა მიმართ ძალადობის, უხეშად მოპყრობისა და უგულბებლყოფის პრევენციისათვის საჭირო რეაგირების სახე და მასშტაბი.

კვლევის მიზანი იყო ძალადობის პრევენციის ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისთვის საჭირო მონაცემთა უზრუნველყოფა. პირველი ფაზის შედეგები საჭირო იყო, აგრეთვე, ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულბებლყოფის პრობლემის აღიარებისა და მართვის მომსახურების დაგეგმვისათვის ინფორმაციის უზრუნველსაყოფად. მეორე ფაზა მიზნად ისახავდა ინფორმაციის მიწოდებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის, რომელმაც, „იუნისეფის“ მხარდაჭერით, უკვე დაიწყო მუშაობა „უსაფრთხო სკოლის“ ინიციატივაზე.

მიზნობრივი ჯგუფები

პირველი ფაზა

- 1650 ბავშვი დაბადებიდან 10 წლის ჩათვლით (მე-11 დაბადების დღემდე): ზოგადი მოსახლეობიდან შერჩეული 1100 ბავშვი და იძულებით გადაადგილებულ პირთა მსხვილი კოლექტიური ცენტრებიდან შერჩეული 550 ბავშვი.
- ოჯახში მცხოვრები 1050 11-17 წლის (მე-18 დაბადების დღემდე) ბავშვი: 700 ბავშვი ზოგადი მოსახლეობიდან და 350 ბავშვი — კოლექტიური ცენტრებიდან.
- სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მცხოვრები 301 11-17 წლის ბავშვი.

მეორე ფაზა

- 11-17 წლის 1300 ბავშვი 93 სკოლიდან.

შერჩევის მეთოდოლოგია ეროვნული მასშტაბით მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლობითი ნიმუშების უზრუნველსაყოფად იყო შედგენილი. 11 წლამდე ბავშვების შემთხვევაში ინტერვიუ ჩამოერთვა ბავშვის ძირითად მზრუნველს (ჩვეულებრივ, დედას), ხოლო 11 წლისა და უფროსი ასაკის ბავშვების შემთხვევაში ინტერვიუ უშუალოდ ბავშვებთან ჩატარდა.

კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის ორივე ფაზის განმავლობაში გამოყენებული ძირითადი ინსტრუმენტი ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების ბავშვის მიმართ ძალადობის სკრინინგის ინსტრუმენტები (ICAST) იყო. ეს არის საერთაშორისო დონეზე მოქმედი ინსტრუმენტები, რომლებიც გაერო-ს კვლევის მოთხოვნის (შექმნილიყო საერთო ინსტრუმენტების ნაკრები მრავალეროვნულ, კულტურულ და ლინგვისტურ კონტექსტში ბავშვების მიმართ ძალადობის შესაფასებლად) საფუძველზე შეიქმნა.

ზემოთ აღნიშნული ინსტრუმენტები იყენებს სტრუქტურირებულ ინტერვიებს. ისინი ყურადღებას ამახვილებს ბავშვების მიერ განცდილ ქმედებებზე, რომლებიც მეცნიერების მიერ იდენტიფიცირებულია როგორც ჩვეულებრივი ან სერიოზული ქმედებები. თუმცა ამ ინსტრუმენტებში ძალადობის განმარტება არ შედის, მათში შემავალი ბევრი (თუ არა ყველა) ქმედება შეიძლება აღინეროს როგორც ბავშვისათვის სტრესის მომგვრელი ან დამთრგუნველი.

კითხვარი მშობლებისათვის (ICAST P) უზრუნველყოფდა როგორც რესპონდენტის, ისე ნებისმიერი სხვა მზრუნველის მიერ კონკრეტული ბავშვის მიმართ ფსიქოლოგიური და ფიზიკური სასჯელის გამოყენების შესახებ ინფორმაციას, ასევე იძლეოდა მათ ხედვას ამ ბავშვის მიერ განცდილ შეურაცხყოფასა და უგულვებელყოფაზე. გარდა ამისა, მშობლებს უსვამდნენ კითხვებს დისციპლინის მისაღწევად დადებითი მეთოდების გამოყენების და წარმატებულ მეთოდებთან დაკავშირებით მათი იდეების შესახებ.

11 წელზე უფროსი და ოჯახში მცხოვრები ბავშვებისათვის შედგენილი კითხვარებით (ICAST CH) ბავშვებს სთხოვდნენ, ესაუბრათ ოჯახში ან ახლო სამეზობლოში მათთვის ძალადობის საფრთხის არსებობის ან უშუალოდ მათ მიერ განცდილი ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სქესობრივი ძალადობის ან უგულვებელყოფის შესახებ. მათ ასევე სთხოვდნენ, დაესახელებინათ, ვინ იყო მოძალადე — უფროსი თუ სხვა ბავშვი. დამატებითი ღია კითხვები საშუალებას აძლევდა ბავშვებს, გამოეხატათ თავიანთი შეხედულებები ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ამ ძალადობის პრევენციის შესახებ.

სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში მცხოვრებ ბავშვებს (ICAST CI) ეკითხებოდნენ დაწესებულების ფარგლებში უფროსის ან სხვა ბავშვის მხრიდან მათზე მიმართული ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ. ბავშვებს ასევე სთხოვდნენ, აღენერათ დაწესებულებაში ცხოვრებისას მათი უგულვებელყოფის შემთხვევები.

სკოლების კვლევისას ისეთივე ინსტრუმენტი იქნა გამოყენებული, როგორც სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში მცხოვრებ ბავშვებთან. იმისათვის, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „უსაფრთხო სკოლების“ ინიციატივისთვის მეტი ინფორმაცია უზრუნველყოფილიყო, დამატებული იქნა ორი გვერდი სასკოლო კლიმატის, სხვადასხვა დამოკიდებულების, ასევე ბულინგისა და ძალადობის ადგილისა და დროის შესახებ კითხვებით. ეს მიზნად ისახავდა სკოლის ძალადობის არა მარტო ისეთი პრაქტიკული ასპექტების შეფასებას, როგორც არის ბულინგის ჩვეულებრივი დრო და ადგილები, არამედ სკოლის მიმართ ბავშვების ზოგადი დამოკიდებულების ასახვასაც. გამოყენებული შეკითხვები ემყარებოდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევას – „სასკოლო ასაკის ბავშვების ქცევის შესწავლა“, რომელიც საერთაშორისო დონეზე მოქმედ კიდევ ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ყველა მიზნობრივი ჯგუფისთვის შეგროვდა ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები, როგორცაა ასაკი, სქესი და ადგილმდებარეობა.

შედეგები

შედეგები ბავშვების მიმართ ძალადობის გაერო-ს კვლევის საფუძველზე გამოვლენილი მაღალი მაჩვენებლის კუთხით უნდა იქნეს განხილული. ინდიკატორები მიუთითებს, რომ ძალადობის დონე საქართველოს ფარგლებში უტოლდება ევროპასა და იმ სხვა ქვეყნებში არსებულ დონებს, სადაც ICAST-ის კვლევის ინსტრუმენტების პილოტირება განხორციელდა.

მზრუნველებისაგან მიღებული ინფორმაცია (სულ 1650 ანგარიში)

რესპონდენტები (ძირითადად, დედები) ინფორმაციას გვანვდიდნენ როგორც საკუთარი, ასევე კონკრეტულ ბავშვთან (0-დან 10 წლამდე) რეგულარულ კონტაქტში მყოფი სხვა მზრუნველის სახელით. ბავშვებთან ურთიერთობაში ჩართულია მთელი რიგი სხვა მზრუნველებისა, ძირითადად, მამები, ბებიები და ბაბუები.

ანგარიშები აჩვენებს, რომ თითქმის ყველა მშობელი (90.8%) იყენებს თავიანთი შვილების ქცევის მართვის გარკვეულ დადებით მეთოდებს. თუმცა დისციპლინის დამყარებისთვის ისინი მთელ რიგ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ სასჯელებსაც მიმართავენ. მთლიანობაში, მშობლების აღიარებით, კვლევის წინა წლის განმავლობაში ისინი ბავშვების 79.8%-ს ფიზიკურად სჯიდნენ და 82.3%-ის მიმართ ფსიქოლოგიურ დასჯას მიმართავენ. რაიმე მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავება ბიჭებისა და გოგონების მიმართ მოპყრობას შორის არ გამოკვეთილა.

ასევე არ გამოკვეთილა რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება მშობელთა ორ ჯგუფს შორის (ზოგადი მოსახლეობა და იძულებით გადაადგილებული პირები) ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯის გამოყენებაში. იძულებით გადაადგილებული პირების ჩართვა იმის გამო მოხდა, რომ რთულმა საცხოვრებელმა პირობებმა გაზარდა ბავშვთა დაუცველობა. ამას, როგორც ჩანს, დისციპლინის მიმართ მშობლების მიდგომაზე გავლენა არ ჰქონია.

სოფლად მცხოვრებმა მშობლებმა, ქალაქში მაცხოვრებლებთან შედარებით, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯის უფრო მაღალი სიხშირე დააფიქსირეს.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯა ადრეული ასაკიდან დაფიქსირდა. ერთი წლის და უფრო დაბალი ასაკის ბავშვების 19 პროცენტი ფიზიკურად ისჯებოდა. ეს პროცენტი ოთხიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებში 90-მდე იზრდება. ფსიქოლოგიური დასჯაც იგივე პროცენტულობით დაფიქსირდა.

ფიზიკური დასჯის ყველაზე გავრცელებული მეთოდი იყო საჯდომზე ხელის დარტყმა (51.7%), შენჯღრევა (46.1%), თმაზე მოქაჩვა (43.7%) და ყურის აწევა (43.8%). ფსიქოლოგიური დასჯის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა ყვირილი (75.1%), ბავშვისთვის დამცინავი სახელების დაძახება (31.2%) და ბავშვის ლანძღვა (29.8%) ან ბავშვის დაშინება მიტოვებით (27.4%).

მართალია, ზოგიერთმა ადამიანმა ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითები რბილ ან საშუალოდ მკაცრ სასჯელად შეიძლება ჩათვალოს, უმეტესი მათგანი, თუ ყველა არა, მიჩნეული უნდა იქნეს სასტიკ და დამამცირებელ მოპყრობად - ისეთ მოპყრობად, რომლის აღმოფხვრასაც ბავშვის უფლებათა კონვენცია ცდილობს. განსაკუთრებული შეშფოთების საგანია ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა მეხუთედი (21.5%) ბავშვის სისტემატურ ვნებას (ბავშვის ცემა) აღიარებდა. რვა რესპონდენტმა ბავშვის მოხრჩობის ან მოგუდვის, ხოლო ექვსმა ბავშვის დაწვის მცდელობა აღიარა. ასეთი ქმედებები, განსაკუთრებით მათი განმეორება, სამართლებრივად უნდა განისაზღვროს როგორც ბავშვის მიმართ ძალადობა. თუმცა თუ არ დამკვიდრდა მთელ მოსახლეობაში ამგვარი ძალადობის შემთხვევების გამოძიების, მიმართვისა და შეფასების მექანიზმი, ისინი დაუდგენელი და დაუფიქსირებელი დარჩება.

რესპონდენტები თვლიდნენ, რომ ბავშვთა 20.8% უგულბელყოფას განიცდიდა (დაუკმაყოფილებელი ჰქონდა ერთი ან მეტი ძირითადი მოთხოვნილება). მართალია, ეს მონაცემი მოიცავდა 5.2%-ს იმ ბავშვებისა, ვისაც ისეთი უბედური შემთხვევა შეემთხვა, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, მაგრამ, ძირითადად, უგულბელყოფა არ იყო მშობლების უყურადღებობის შედეგი. არ გამოვლენილა რაიმე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ზოგად მოსახლეობასა და იძულებით გადაადგილებულ მშობელთა პასუხებს შორის. სოფლად მცხოვრები ბავშვების უგულბელყოფის შესახებ ანგარიშების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო.

სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი ბავშვთა მხოლოდ 0.3% იყო, თუმცა იგრძნობოდა, რომ მოცემული კითხვარი სქესობრივი ძალადობის ზუსტ სურათს არ იძლეოდა.

ბავშვთა პასუხები ოჯახში ძალადობის შესახებ (სულ 1050 ჩანაწერი)

ბავშვთა უმეტესი ნაწილი ორივე მშობელსა და და-ძმასთან ერთად ცხოვრობდა. უშუალოდ საკუთარი გამოცდილების გარდა, ბავშვებს მათ ოჯახსა თუ ახლო სამეზობლოს ფარგლებში ძალადობის შემთხვევების შესახებაც ეკითხებოდნენ. ასეთი შემთხვევები ბავშვების 28.6%-მა დააფიქსირა. რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება ზოგადი მოსახლეობის ბავშვებსა და იძულებით გადაადგილებულ ბავშვებს შორის არ გამოკვეთილა. თუმცა გასული წლის შესახებ მიღებული პასუხების მიხედვით ყველაზე გავრცელებული ფსიქოლოგიური ძალადობა მშობლების მხრიდან ერთმანეთისთვის შიშისმომგვრელი ყვირილი იყო (15.5%), ბავშვთა მხოლოდ 2.3%-მა დააფიქსირა უფროსებს შორის ოჯახში ფიზიკური ძალადობა. ამრიგად, ამ კუთხით მშობელთა უმრავლესობა ბავშვებს დადებით მაგალითს აძლევს.

რესპონდენტი ბავშვების 54%-მა აღიარა, რომ ოჯახში უშუალო ფიზიკური ძალადობა განიცადა, ხოლო 59.1%-მა ფსიქოლოგიურ ძალადობაზე მიუთითა. გასული წლის განმავლობაში რაიმე განსაკუთრებული განსხვავება ზოგადი მოსახლეობის ბავშვებსა და იძულებით გადაადგილებულ ბავშვებს შორის არ გამოკვეთილა, მაგრამ როდესაც უფრო ადრინდელ პერიოდზე იყო ლაპარაკი, იძულებით გადაადგილებულმა ბავშვებმა დააფიქსირეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის უფრო მაღალი მაჩვენებლები, რომლებშიც ფიზიკურმა ძალადობამ სერიოზულ დონეს მიაღწია.

ბიჭებმა მნიშვნელოვნად მეტი ფსიქოლოგიური ძალადობა აღნიშნეს, ვიდრე გოგონებმა, ხოლო ფიზიკური ძალადობა ასაკის მატებასთან ერთად მცირდებოდა. სოფლად მცხოვრები მშობლების მიერ დაფიქსირებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მაღალი მაჩვენებლები სოფლად მცხოვრები ბავშვების პასუხებმა არ დაადასტურა.

მზრუნველთა პასუხებიდან იკვეთებოდა ხშირი ყურის აწევა, თმის მოქაჩვა და ხელით გალანუნება. ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებული მაგალითი ბავშვისთვის ყვირილი, მისი დამცირება და დათრგუნვა იყო.

როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებში უფროსები უფრო იყვნენ მოძალადენი, თუმცა ბავშვების მიერ განხორციელებული ძალადობის შესახებაც იმდენი ჩანაწერი აღმოჩნდა, რომ შეუფოთება წარმოშვა ოჯახში თანატოლთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ბავშვთა 17.9%-მა გასულ წელს სხვა ბავშვის მხრიდან ბულინგი დააფიქსირა.

ბავშვთა თითქმის მეოთხედს მიაჩნდა, რომ გასულ წელს მათი ერთზე მეტი ძირითადი მოთხოვნილება იყო უგულბელყოფილი. რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება ზოგად მოსახლეობასა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის არ დაფიქსირებულა, თუმცა აღინიშნა უფრო მეტი უგულბელყოფა სოფლად და რეგიონებში მცხოვრები ბავშვების მიმართ.

სულ 95-მა (9%) ბავშვმა აღიარა, რომ მათ ოჯახში სქესობრივი ძალადობის რამდენიმე ფორმას ჰქონდა ადგილი. ეს მაჩვენებელი ევროპის კვლევის მიერ გამოვლენილი მაჩვენებლის ფარგლებში ჯდება. უმეტესი სქესობრივი ძალადობა ბავშვის ან ახალგაზრდა პირის მიერ ხორციელდებოდა, ზრდასრული ადამიანების მიერ კი სქესობრივი ძალადობა 27 ბავშვის მიმართ იქნა განხორციელებული. იძულებით გადაადგილებული პირების ჯგუფმა სქესობრივი ძალადობის უფრო ნაკლები, ხოლო სოფლად მცხოვრებმა ბავშვებმა მნიშვნელოვნად მეტი შემთხვევა დააფიქსირეს.

ძალადობა სოციალური ზრუნვის დანებსებულებებში მცხოვრები ბავშვების მიმართ (სულ 301)

ბავშვთა უმეტესი ნაწილი აღნიშნავდა, რომ გასულ წელს სოციალური ზრუნვის დანებსებულებაში თავს უსაფრთხოდ გრძნობდა, მაგრამ ამავდროულად 71.1% ფიზიკურ ძალადობას, ხოლო 61.5% ფსიქოლოგიურ ძალადობას მიუთითებდა. რაიმე სტატისტიკური განსხვავება გოგონებსა და ბიჭებს შორის არ იყო, თუმცა, როგორც ოჯახში მცხოვრები ბავშვების შემთხვევაში, ფიზიკური ძალადობა ასაკთან ერთად იკლებდა. ოჯახებში მცხოვრები ბავშვებისაგან განსხვავებით, სოციალური ზრუნვის დანებსებულებებში მყოფი ბავშვები მოძალადეებად მეორე ბავშვს ასახელებდნენ, თუმცა ზოგი უფროსიც აშკარად მიმართავდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ სასჯელს დისციპლინის დასამყარებლად, მათ შორის დროდადრო ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელთაც ბავშვის ფიზიკური დაზიანების გამოწვევა შეუძლიათ. ანგარიშებიდან გამოვლინდა, რომ უფროსები ბავშვებს დამამცირებელ სახელებსაც ეძახდნენ, უყვიროდნენ და ლანძღავდნენ.

ბავშვების მესამედს მიაჩნია, რომ მათ დანებსებულებაში მოსვლის დღიდან უგულბებლყოფდნენ. რესპონდენტი ბავშვებიდან გასული წლისთვის უგულბებლყოფას უფრო მეტი გოგონა (38.6%) აღნიშნავდა, ვიდრე ბიჭი (26.3%). უგულბებლყოფის უფრო ხშირი ფორმა თანადგომის ნაკლებობა და დაუფასებლობის შეგრძნება იყო.

ძალადობის ყველაზე მეტი შემთხვევა გამოკვლევითაგან ყველაზე ახალგაზრდა ჯგუფის (11 - 12 წელი) გოგონებსა და ბიჭებში დაფიქსირდა: ფიზიკური ძალადობა - 85.6% და ფსიქოლოგიური ძალადობა - 37.6%. უგულბებლყოფის შემთხვევებს ბავშვთა 37.6% აღიარებდა.

ბავშვის ან უფროსის მხრიდან სქესობრივი ძალადობა დანებსებულებაში მოსვლის დღიდან ბავშვთა 17.3%-ის მიერ დაფიქსირდა. უფრო მეტ შემთხვევას ბიჭები ასახელებდნენ, ვიდრე გოგონები. გასული წლისთვის ბავშვთა 16.6%-მა აღნიშნა სქესობრივი ძალადობა.

50 ბავშვიდან, რომლებმაც სქესობრივი ძალადობის შემთხვევები დააფიქსირეს, 72%-მა მოძალადედ სხვა ბავშვი დაასახელა, ხოლო 20%-მა — ბავშვიც და უფროსიც. ყველაზე გავრცელებული არასასურველი ქმედება სხვა ბავშვის მიერ პორნოგრაფიის ყურების იძულება იყო; თუმცა დაფიქსირდა უფრო სერიოზული ძალადობის შემთხვევებიც, როგორცაა ტანსაცმლის გახდა, შეხება და იძულებითი სექსი (მხოლოდ 1 შემთხვევა), რომელსაც უფროსები ახორციელებდნენ.

ძალადობა ბავშვების მიმართ სკოლაში (სულ 1300)

მოსწავლეების შეხედულებები სკოლის, მათ შორის მოსწავლეებთან ურთიერთობების, პედაგოგების მხრიდან მოპყრობისა და მშობლების პოზიციების მიმართ ძალზე დადებითი იყო და მოსწავლეთა უმეტესობამ სკოლა უსაფრთხოდ ადგილად დაასახელა.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევათა პროცენტული ოდენობა ერთმანეთის მსგავსი იყო (47.1% და 47.5%), ხოლო სქესობრივი ძალადობის უფრო ნაკლები შემთხვევა დაფიქსირდა (7.3%).

სქესის მიხედვით განსხვავებები სკოლის ფარგლებში უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე კვლევაში ჩართული სხვა სეგმენტების შემთხვევაში; ბიჭებთან შედარებით გოგონები ძალადობის ყველა ფორმის ნაკლებ შემთხვევას განიცდიდნენ: გოგონების 36.6% და ბიჭების 57.7% ფიზიკურ, ხოლო გოგონების 44.3% და ბიჭების 50.7% — ფსიქოლოგიურ ძალადობას. როგორც სხვა სეგმენტებში, ფიზიკური ძალადობა ასაკის მატებასთან ერთად იკლებდა, მაგრამ ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობა კლებას არ განიცდიდა.

ძალადობა ყველაზე ხშირად მოსწავლეებს შორის ხორციელდებოდა, თუმცა სკოლის ფარგლებში ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში უფროსებიც შეიმჩნეოდნენ. ყველაზე გავრცელებული ქმედება იყო დარტყმა (ყველაზე ხშირად ბავშვის მიერ) და ყურის აწევა (უფროსის მიერ). უფრო სერიოზული ძალადობა, როგორცაა თითების მომტვრევა, დაჭრა, მოხრჩობა და დანვა, ნაკლებად გავრცელებული იყო და უფრო ბავშვების, და არა უფროსების მიერ ხორციელდებოდა. სხვა სეგ-

მენტების მსგავსად, ფსიქოლოგიური ძალადობა როგორც ბავშვის, ისე უფროსის მიერ ყვირილსა და ლანძღვას მოიცავდა.

სქესობრივი ძალადობის ყველა ფორმას უმეტესად სხვა ბავშვები ახორციელებდნენ. ძალადობრივი ქმედებებიდან ყველაზე გავრცელებულ ფორმას პორნოგრაფიის ჩვენება და არასასურველი კოცნა წარმოადგენდა. უფროსთა ძალზე მცირე რაოდენობა შეინიშნებოდა სქესობრივად არასათანადო ქმედებების ჩადენაში, რაც სკოლებში ძალადობის მხრივ დადებით შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.

ძალადობა მოსწავლეებს შორის ყველაზე ხშირად ხორციელდებოდა სკოლების სათამაშო ადგილებში, სკოლისაკენ მიმავალ და სკოლიდან მომავალ გზაზე.

კვლევის სეგმენტების შედარება

ბავშვებს კითხვებს უსვამდნენ ძალადობის შემთხვევებზე სამ გარემოში: ოჯახში, სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებსა და სკოლაში. ICAST კითხვარების საშუალებით მოგროვდა ინფორმაცია ძალადობის შემთხვევებზე აღნიშნულ სამ გარემოში, თუმცა ამ სამ გარემოსთან დაკავშირებით გარკვეულწილად განსხვავებული ინდივიდუალური შეკითხვები დაისვა. მიუხედავად ამ მცირედი განსხვავებებისა, დასაშვებია აღნიშნულ სამ გარემოში ბავშვების მიმართ ძალადობის შემთხვევების შედარება.

როდესაც სოციალური ზრუნვის დაწესებულებაში მცხოვრები ბავშვების გამოცდილება შეადარეს ოჯახში მცხოვრები ბავშვების გამოცდილებას, დაწესებულების ბავშვებში ფიზიკური და სქესობრივი ძალადობისა და უგულვებლყოფის უფრო მეტი შემთხვევა გამოვლინდა.

ბავშვების შეხედულებები

ღია შეკითხვების გზით ბავშვებს საშუალება მიეცათ, გამოეხატათ თავიანთი შეხედულებები ძალადობის პრევენციის შესახებ. ინტერვიუს მსვლელობისას ზოგ ბავშვს უკვე ჰქონდა გამოთქმული საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება ცემისა და ფიზიკური დასჯის მიმართ. ბავშვების თქმით, უფროსები ვალდებულნი არიან, დაიცვან ბავშვები ძალადობისაგან და უზრუნველყონ მათთვის ყურადღება, მეთვალყურეობა, ხელმძღვანელობა და, საჭიროების შემთხვევაში, დისციპლინის დამყარების მეთოდები. ბავშვები მოითხოვდნენ თავიანთი უფლებების დაცვას და თვლიდნენ, რომ კანონმა თავისი როლი უნდა ითამაშოს როგორც მათ დაცვაში, ისე მოძალადეთა დასჯაში. მათ სურდათ, რომ მშობლებს ერთგვარი ინსტრუქტაჟი გაეცლით ბავშვთა აღზრდის საქმეში, ხოლო ყველა უფროსს - ტრენინგი ბავშვებთან მოპყრობაში. რაც შეეხება სკოლას, ბავშვები ითხოვდნენ როგორც თავისთვის, ისე პედაგოგებისთვის განათლებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა ამალდეც ცნობიერება ძალადობის შესახებ და როგორ უნდა მოხდეს ძალადობის შემცირება.

დასკვნა და რეკომენდაციები

ყველა ზემოხსენებული სეგმენტის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობის მაღალი დონე შეინიშნება. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ოჯახებში ბავშვების ადრეული ასაკიდან გვხვდება. მიუხედავად მშობლების დიდი სურვილისა, თავიანთ შვილებთან ურთიერთობისას მათი ქცევის მართვის დადებითი მეთოდები გამოიყენონ, ძალადობა მაინც ხორციელდება. შედარებით მოზრდილი ბავშვების შემთხვევაში ნათელია, რომ მშობლების მხრიდან მათ მიმართ გამოყენებული ძალადობის გარდა, მათ ოჯახებში თანატოლთა მხრიდან ძალადობასაც აქვს ადგილი. მაშინ, როცა სკოლებსა და სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში თანატოლთა ძალადობა დომინირებს, ყურადღება ამ დაწესებულებებში მომუშავე უფროსების მიერ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გამოყენებასაც უნდა დაეთმოს.

თუმცა კვლევა ყურადღებას ამახვილებდა რიგ ძალადობრივ ქმედებებზე, მან ცხადყო, რომ ყველა შესწავლილ გარემოში გვხვდება ისეთი სერიოზული და სასტიკი ქმედებების მაგალითები, რომ-

ლებიც საჭიროებს საჩივრის წარდგენას და შეფასებას როგორც ბავშვის შეურაცხყოფა. აღნიშნული ქმედებები მხოლოდ დაუცველებად აღიარებულ ბავშვებზე არ ვრცელდება.

კვლევის შედეგებზე რეაგირებისას მნიშვნელოვანი იქნება დაყრდნობა გამოვლენილ ძლიერ მხარეებზე და უკვე მიმდინარე რეფორმებზე სოციალურ სფეროში. რეკომენდაციებში დომინირებს ერთმანეთთან დაკავშირებული ორი თემა: ძალადობის შემცირება და ბავშვის შეურაცხყოფასა და უგულბელებყოფაზე რეაგირების შემუშავება.

ძალადობის შემცირება საზოგადოების შეხედულებების შეცვლას მოითხოვს: საზოგადოებამ აღარ უნდა მიიღოს ბავშვთა მიმართ ძალადობა. უფრო კონკრეტულად, აუცილებელია საზოგადოების, ოჯახების, ბავშვებისა და პროფესიონალების საგანგებო განათლება. საქართველოს მთავრობის მიერ ფიზიკური სასჯელის აკრძალვის ვალდებულების განხორციელების მიზნით აუცილებელი შეიძლება გახდეს ახალი კანონმდებლობის შემოღება.

სოციალური ზრუნვის დაწესებულებებსა და სკოლებს ძალადობის შესამცირებლად და ასეთ დაწესებულებებში ბავშვებისათვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სათანადო პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავება სჭირდებათ.

ბავშვის მიმართ ძალადობასა და უგულბელებყოფაზე რეაგირებისათვის აუცილებელია სექტორებს შორის შეთანხმებული კოორდინირებული მიდგომა, რომელიც მოიცავს ძალადობის სავარაუდო შემთხვევების მიმართვის (საჩივრის შეტანის) და შეფასების გამჭვირვალე პროცესს. პროცესი მისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის — როგორც ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის, ისე პროფესიონალებისა და საზოგადოებისათვის. ძალადობის შემთხვევების მიმართვისა და შეფასების სისტემის დანერგვას თან უნდა ახლდეს ტრენინგი და მომსახურების განვითარება.

თავი პირველი: შესავალი

2007 წელს, „იუნისეფის“ შეკვეთითა და სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებთან თანამშრომლობით, ჩატარდა საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა. კვლევის ძირითადი მიზანი იყო იმ ძალადობის ხასიათისა და მასშტაბის გაგება, რომელსაც საქართველოში ბავშვები განიცდიან. კვლევის პირველი ფაზა — 2007 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე — ოჯახებსა და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის, უხეშად მოპყრობისა და უგულვებელყოფისაკენ იყო მიმართული. ოჯახების შერჩევა ზოგადი მოსახლეობიდან და იძულებით გადაადგილებულ პირთა¹ კოლექტიური ცენტრებიდან მოხდა. კვლევაში ჩართულები იყვნენ თემში „ჩვეულებრივ“ ოჯახში მცხოვრები ბავშვებიც და მონყვლადად იდენტიფიცირებული ბავშვებიც. მეორე ფაზის — 2008 წლის დეკემბრიდან მარტის დასაწყისამდე — განმავლობაში ძალადობის კვლევა სკოლებშიც განხორციელდა.

ორივე ფაზის მიზანი იყო ძალადობის პრევენციის პოლიტიკის შემუშავებისთვის საჭირო მონაცემთა უზრუნველყოფა. პირველი ფაზის შედეგები საჭირო იყო, აგრეთვე, ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრობლემის აღიარებისა და მართვის მომსახურების დაგეგმვისათვის ინფორმაციის უზრუნველსაყოფად. მეორე ფაზა მიზნად ისახავდა ინფორმაციის მიწოდებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის, რომელმაც, „იუნისეფის“ მხარდაჭერით, უკვე დაიწყო მუშაობა „უსაფრთხო სკოლის“ ინიციატივაზე.

ძალადობის შეფასების მიზანი 0-დან 18 წლამდე (მე-18 დაბადების დღემდე) ბავშვთა მიმართ განხორციელებული ფიზიკური, სქესობრივი, ემოციური ძალადობა და უგულვებელყოფა იყო. 11 წელზე უმცროსი ბავშვების შემთხვევაში რესპონდენტები მათი მშობლები და უშუალო მზრუნველები იყვნენ, ხოლო 11 წლის ან უფროსი ასაკის ბავშვები თვითონვე საუბრობდნენ მათ მიმართ უფროსებისა თუ თანატოლების მხრიდან განხორციელებული ძალადობის შესახებ.

წინამდებარე ანგარიშის პირველ თავში მოკლედ არის მიმოხილული საერთაშორისო დონეზე და საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ არსებული ინფორმაცია, წარმოდგენილია საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ბოლოდროინდელი და მიმდინარე რეფორმების ძალზე მოკლე შეჯამება და ზოგადი ინფორმაცია კვლევის ძირითადი ინსტრუმენტების (ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების ბავშვთა შეურაცხყოფის სკრინინგის ინსტრუმენტები - ICAST და სკოლის კლიმატის შეფასება) შემუშავების შესახებ.

კვლევის მეთოდების, ინსტრუმენტებისა და ველზე მუშაობის მიმოხილვა მეორე თავშია წარმოდგენილი, ხოლო დეტალები დანართებში შეგიძლიათ იხილოთ.

შედეგები ოთხ დამოუკიდებელ თავშია განხილული. ამ თავებში შედის მზრუნველთა ანგარიშები, ბავშვთა გამოცდილება ოჯახში, ბავშვთა გამოცდილება სოციალური ზრუნვის დაწესებულებებსა და სკოლებში. ცალკე თავი ეთმობა ღია შეკითხვებზე პასუხებით ბავშვების მიერ გამოხატულ შეხედულებებსა და წინადადებებს. რეკომენდაციები მთელ ანგარიშშია მოცემული. თითოეული რეკომენდაცია უკავშირდება იმ ფაქტებს, რომლებიც კვლევის შედეგებით გამოვლინდა. ბოლო თავში წარმოდგენილია შედეგების მიმოხილვა, რეკომენდაციები კი ორი ძირითადი თემის ირგვლივ არის გაერთიანებული: ძალადობის შემცირება და ბავშვის მიმართ უხეშად მოპყრობასა და უგულვებელყოფაზე რეაგირება.

¹ როცა საქართველომ 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლისას დამოუკიდებლობა მოიპოვა, ბრძოლებსა და დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადებას სამხრეთ ოსეთის მიერ 1991 წელს და აფხაზეთის მიერ 1992-94 წლებში დაახლოებით 360 000 ადამიანის ქვეყნის შიგნით გადასაცვლელა მოჰყვა. ამჟამად 25 000-ზე მეტი ბავშვი (საქართველოში მცხოვრები ადგილმცვლელი ბავშვების თითქმის ნახევარი) ჯერ კიდევ ე.წ. კოლექტიურ ცენტრებში ცხოვრობს. ცენტრები ყოფილი საზოგადოებრივი შენობებია, როგორცაა სასტუმროები, მაღაზიები, საბავშვო ბაღები, რომლებიც სახელმწიფომ იძულებით გადაადგილებულ პირებს თავშესაფრის სახით შესთავაზა 15 წლის წინ.

ზოგადი ინფორმაცია

ბავშვთა მიმართ ძალადობა ყოველთვის არსებობდა, ყველა ქვეყანასა და ისტორიულ პერიოდში, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებული ტაბუ და წინააღმდეგობები ხშირად პრობლემის ჭეშმარიტი მასშტაბის უარყოფას იწვევდა. ბევრ ქვეყანაში არ მიმდინარეობდა საზოგადოებრივი დებატები ამ თემაზე, პრობლემა არ იყო გათვითცნობიერებული, არც სამოქალაქო საზოგადოება ითხოვდა მთავრობისაგან ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული მრავალმხრივი კანონების, სამსახურებისა და სისტემების შექმნას.

2006 წელს გაერო-ს გენერალური მდივნის მიერ ჩატარებული ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე კვლევის (შემდგომში „გაერო-ს კვლევა“) გამოცემის წყალობით გაჩნდა შესაძლებლობა, ყურადღება გამახვილებულიყო ძალადობისაგან ბავშვის დაცვის უფლების ამ სერიოზულ დარღვევაზე: კვლევამ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიაპყრო გოგონებისა და ბიჭების მიმართ განხორციელებული ძალადობის მაღალ მაჩვენებლებს. კვლევის წყალობით უფრო და უფრო მეტად ხდება იმის აღიარება, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა და ბავშვების უგულვებლყოფა გლობალური პრობლემაა, რომელსაც მოჰყვება სერიოზული შედეგები ჯანმრთელობისათვის, ასევე სოციალური და ეკონომიკური შედეგები. ძალადობის ჩამდენები არიან მშობლები, ოჯახის წევრები, მასწავლებლები, მზრუნველები, სამართალდამცველი ორგანოები და სხვა ბავშვები.

არსებული მონაცემებით, ბავშვთა მიმართ ძალადობას და მათ უგულვებლყოფას ეპიდემიის ხასიათი აქვს და არც ერთ საზოგადოებას თუ თემს არ გააჩნია მათგან იმუნიტეტი. უფრო მეტიც, შეზღუდული რაოდენობით მოპოვებული მონაცემები ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან, სადაც არ არის ძალადობის შემთხვევათა ამოცნობისა და ჩარევის ინფრასტრუქტურა, მიუთითებს, რომ მსოფლიო მასშტაბის პრობლემა უფრო დიდია, ვიდრე ამას განვითარებული ქვეყნების მიერ მონოდეტული მონაცემები გვაჩვენებს (გაერო-ს კვლევა, კრუგი და სხვები 2002, ISPCAN World Perspectives 2006). გაერო-ს კვლევა რეკომენდაციას აძლევს ქვეყნებს, ჩაატარონ ბავშვთა მიმართ ძალადობის ხასიათისა და მასშტაბთან დაკავშირებით შემდგომი კვლევა და ანალიზი. ეს პროცესი მათ დაეხმარება ბავშვთა მიმართ ყველა ფორმის ძალადობის აღმოსაფხვრელად მონიტორინგის სისტემებისა და პროგრამების შექმნაში. ასეთი კვლევების შედეგად მოპოვებული მონაცემები შეიძლება გადაწყვეტილების მიმღები, პოლიტიკის გამტარებელი და განათლების სფეროში მომუშავე პირების ინფორმირების მიზნით იქნეს გამოყენებული. მათი გამოყენება შესაძლებელია, აგრეთვე, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიებსა და მომსახურების განვითარების მართვაში. ასე რომ, ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე ეროვნული კვლევა შეიძლება გაერო-ს კვლევაზე საპასუხოდ განხორციელებულ პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯად ჩაითვალოს. ქვემოთ შეჯამებული სახით არის მოცემული სხვა ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტთა საკონსულტაციო კომიტეტმა (რომელშიც ბავშვები და ახალგაზრდებიც შედიოდნენ) მიიღო:


- 2009 წლისთვის ყველა გარემოში ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ყველანაირი ფიზიკური დასჯის, მავნე ტრადიციული პრაქტიკისა და სქესობრივი ძალადობის აკრძალვა;
- 2007 წლისათვის ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მრავალმხრივი, კოორდინირებული და ერთიანი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- კვლევის შედეგად დაგეგმილ ქმედებებში ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართვა;
- ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის ეროვნული ძალისხმევის გაძლიერება ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი პოლიტიკისა და მომსახურებების, საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანიებისა და ბავშვებთან მომუშავე ყველა პირის გადამზადების გზით;
- ძალადობის შემთხვევების დროს დახმარების მიზნით ბავშვებისათვის ხარისხიანი ჯანდაცვის, სოციალური და სამართლებრივი მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ასევე საჩივრების წარმოდგენის უსაფრთხო მექანიზმების დამკვიდრება;
- უზრუნველყოფა იმისა, რომ ბავშვების მიმართ ძალადობის ჩამდენი პირები პასუხისგებაში მიეცენ და სასამართლოს წინაშე წარდგენენ;
- ქმედითი მონაცემთა შეგროვებისა და საინფორმაციო სისტემების შექმნა ყველა დონეზე პროგრესის დაფიქსირების, ასევე პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

ძალადობა ოჯახში

ოჯახებში ძალადობის მაჩვენებლების შეგროვება რთული და თითქმის შეუძლებელი ამოცანაა ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებშიც არ არსებობს საჩივრების ან ანგარიშების წარმოდგენის სისტემები. ფიზიკური ძალადობის² ან ემოციური ძალადობის³ შესახებ პირდაპირი კითხვების დასმის ნაცვლად ჩატარებული კვლევების უმეტესობა მონაცემებს დასჯის მეთოდებზე აგროვებდა. „მსოფლიო ანგარიში ძალადობასა და ჯანმრთელობაზე“ (კრუგი და სხვები, 2002) მთელ რიგ საგანგაშო სტატისტიკურ მონაცემებს იძლეოდა. მაგალითად, ეგვიპტის ბავშვთა 37%-მა პროცენტმა განაცხადა, რომ მათ სცემდნენ ან აბამდნენ და 26%-მა ფიზიკური დაზიანებები დაადასტურა (იუსეფი და სხვები, 1998). კორეაში მშობელთა ორმა მესამედმა აღიარა, რომ თავის შვილებს ამათრახებდა (ჰამი და გუტერმანი, 2001), რუმინეთში გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა აღიარა, რომ რეგულარულად სცემდა შვილებს (ბრაუნი და სხვები, 2002). ეთიოპიაში ქალაქებში მცხოვრები ბავშვების 21% და სოფლად მცხოვრები ბავშვების 64% მშობელთა დასჯის შედეგად ქსოვილის მსუბუქი დაზიანების მიღებას ადასტურებდა (კეცელა და კედებე, 1997). ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშში არ არის შეტანილი, თუმცა არანაკლებ საგანგაშოა ინგლისში განხორციელებული კვლევის შედეგები (ნოუბსი და სმიტი, 1997), რომლებმაც აჩვენა, რომ „ჩვეულებრივ“ ორმშობლიან ოჯახში მცხოვრები ბავშვების 35% მკაცრ ფიზიკურ დასჯას განიცდიდა, რაც ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების გამომწვევ პოტენციურ მიზეზად განისაზღვრა.

1 დიაგრამაზე მოცემულია შეჯამებული მონაცემები სასჯელის გამოყენების შესახებ განხორციელებული უახლესი (2005) მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევიდან (MICS)⁴ (www.childinfo.org). აღნიშნული კვლევა 29 ქვეყანაში ჩატარდა (საქართველოს გარდა) და მასში 2-დან 14 წლამდე ბავშვების დედები მონაწილეობდნენ. მონაცემები კვლევის წინა თვეს უკავშირდება და როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ დასჯას მოიცავს. მკაცრ ფიზიკურ სასჯელში შედის დარტყმა სახის, თავის ან ყურის არეში ან ბავშვის ცემა მძიმედ ან განუწყვეტლივ.

დიაგრამა 1.1 – იმ ბავშვთა (2-14) პროცენტული მონაცემები 29 ქვეყნიდან (ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა, აზია, ლათინური ამერიკა და აფრიკა), რომლებმაც განიცადეს სასჯელი, სასჯელის მეთოდების მიხედვით



² ფიზიკური შეურაცხყოფა განიხილება როგორც მზრუნველის მიერ ჩადენილი ქმედებები, რომლებიც ფაქტობრივ ფიზიკურ ტკივილს აყენებს ან ზიანის მიყენების პოტენციალი გააჩნია (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2002 წ.).

³ ემოციური შეურაცხყოფა მოიცავს ქმედებებს, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის ემოციურ ჯანმრთელობასა და განვითარებაზე. ეს ქმედებებია ბავშვის მოძრაობის შეზღუდვა, ცილისწამება, დაცინვა, მუქარა, დაშინება, დისკრიმინაცია, უარყოფა და მტრული მოპყრობის სხვა არაფიზიკური ფორმები (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2002 წ.).


⁴ მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS) არის შინამეურნეობათა კვლევის პროგრამა, რომელიც „იუნისეფმა“ შეიმუშავა. მისი მიზანია, დაეხმაროს ქვეყნებს მონაცემების თვალსაზრისით არსებული ნაკლოვანებების შევსებაში ბავშვებისა და ქალების სიტუაციის მონიტორინგის მიზნით. მას შეუძლია წარმოქმნას ინდიკატორების სტატისტიკურად სწორი და საერთაშორისო დონეზე შესადარებელი შეფასებები.

მრავალინდიკატორულმა კლასტერულმა კვლევამ ასევე აღმოაჩინა, რომ იმ დედების ან მზრუნველების მაჩვენებელი, რომლებმაც განაცხადეს, რომ, მათი აზრით, აუცილებელია ბავშვის ფიზიკური დასჯა, უფრო დაბალი იყო, ვიდრე ის მაჩვენებელი, რომელიც გასულ თვეში მათი შვილების ფიზიკურ დასჯას მიუთითებდა.

საქართველოში 2005-2006 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემთა ანალიზი გვაჩვენებს, რომ 2-დან 14 წლამდე 4 000-ზე მეტი ბავშვისაგან შემდგარი შერჩევის ფარგლებში 66% სულ მცირე ერთ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ სასჯელს განიცდიდა დედის/მზრუნველის ან ოჯახის სხვა წევრების მხრიდან. 1.2 დიაგრამაზე მოცემულია ამ მონაცემების შედარება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მონაცემებთან. ამ რეგიონისთვის საქართველოს მონაცემები დაახლოებით საშუალო იქნება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მკაცრი ფიზიკური სასჯელის გამოყენების 19%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც უმაღლესია ფართო პროცენტულობის ფარგლებით გამოჩეული რეგიონისთვის (19%-დან (საქართველო) 0.7%-მდე (ყაზახეთი)⁵, ეს 1 დიაგრამაზე ნაჩვენებ საერთაშორისო დონეს არ აღემატება.

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ანგარიშის მიხედვით საქართველოში დედების 12.7% ფიზიკურ დასჯას აუცილებლად მიიჩნევდა. საშუალო პროცენტულობა რეგიონისთვის 15.9%-დან (უკრაინა) 5%-მდე (მონტენეგრო) მერყეობდა. უკრაინის გარდა, საქართველოზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ბელარუსს (15.2%) და ტაჯიკეთს (14.9%) ჰქონდათ.

დიაგრამა 1.2 – აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის იმ ბავშვთა (2-14) პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც რაიმე ფორმის ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ სასჯელს განიცდიდნენ



⁵ აღმოჩენილი ფართო მერყეობა წამოჭრის მკაცრ სასჯელთან დაკავშირებული კითხვის ინტერპრეტაციაში განსხვავების შესაძლებლობას. ამ კვლევის (ანგარიშის საგანი) შედეგად აღმოჩნდა, რომ ყურის აწევა საქართველოში სასჯელის ჩვეულებრივი ფორმაა. მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევისას ისმოდა შეკითხვა ყურებზე დარტყმასთან დაკავშირებით და თუ ყურის აწევაზე კითხვას დადებითი პასუხები გაეცემოდა, ეს დიდად გაზრდიდა მკაცრი ფიზიკური სასჯელის საერთო მაჩვენებელს საქართველოში.

სხვა მონაცემები საქართველოს ფარგლებში უფრო მწირია ან ისეთი კვლევებიდან მომდინარეობს, რომლებიც უშუალოდ ძალადობას არ ეხებოდა, თუმცა მაინც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველი ბავშვები უხეშად მოპყრობასა და უგულვებლყოფას განიცდიან. 2004-2005 წლებში საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის⁶ მიერ გამოკითხული 13-16 წლის 184 ბავშვიდან 36% თავს ოჯახში ძალადობის, 12% ფიზიკური შეურაცხყოფისა და 4% — უგულვებლყოფის მსხვერპლად მიიჩნევდა. ისინი ასევე აღიარებდნენ, რომ უხეშად მოპყრობა და უგულვებლყოფა სასკოლო სისტემის ფარგლებში ხორციელდებოდა.

ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების შესახებ კვლევამ, რომელიც 2005 წელს „იუნისეფისთვის“ სელიმ ილტუსმა განახორციელა და რომელიც სკოლამდელი ასაკის ბავშვებიდან 741 ოჯახს მოიცავდა, აღმოაჩინა, რომ დასჯის ყველაზე გავრცელებული ფორმა სახეში გალანუნება (38%) იყო. საინტერესოა, რომ მშობლებმა აქაც განაცხადეს, რომ ბავშვის აღზრდის საქმეში არ არის აუცილებელი ფიზიკური დასჯა, თუმცა რეგულარულად იყენებდნენ მას.

ძალადობა სოციალური ზრუნვის დანესებულებებში

სისტემატური ძალადობის მაღალ პროცენტულ მაჩვენებლებს სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მრავალი კვლევა ადასტურებს (გაერო-ს კვლევა), ზოგი კვლევა კი დანესებულებებში ძალადობის ექვსჯერ მეტ მასშტაბს ადგენს, ვიდრე ოჯახურ გარემოში (ბართი, 2002). ყაზახეთში ბავშვების 69%-მა დაადასტურა, რომ სოციალური ზრუნვის დანესებულებებში ძალადობას განიცდიდნენ, 28%-მა კი ამ ქმედების რეგულარული ხასიათი აღნიშნა (ალმა-ატა, 2002).

ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის, დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ინსტიტუციური მზრუნველობისთვის მიმართვის შემთხვევათა მატება, რაც კომუნისტური ხელისუფლების ნგრევამ მოიტანა, კარგად არის დოკუმენტურად დადასტურებული (TransMONEE-ს მონაცემთა ბაზა, 2002). უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრები ზოგიერთი მშობელი შვილებს ინსტიტუციური მზრუნველობის სისტემას ანდობს, რადგან სჯერა, რომ ისინი უკეთეს განათლებას, კვებასა და ჯანდაცვას მიიღებენ. რეგიონის ფარგლებში სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მოხვედრამდე ძალადობა ბავშვებზე ბიოლოგიურ ოჯახებში უჩვეულო არ არის (SOS-Kinderdorf 2005).

საქართველოში როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევა აჩვენებს, რომ სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მყოფ ბავშვებს ერთი მშობელი მაინც ჰყავთ, ხოლო ინსტიტუციონალიზაციის ყველაზე გავრცელებული მიზეზი მათი ოჯახების უკიდურესი გაჭირვებაა. ეს უფრო მეტად იმ ბავშვებს ეხება, რომლებსაც განსაკუთრებული მზრუნველობა ესაჭიროებათ (რუსუდან თელია, 2005, ნაცვლიშვილი, 2007).

მცირემასშტაბიანი კვლევა, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდმა 2005-2006 წლებში ჩაატარა, აჩვენებს, რომ ამ პერიოდში სოციალური ზრუნვის დანესებულებებში ბავშვების მიმართ ხორციელდებოდა უხეში მოპყრობა და მათი უგულვებლყოფა. ინტერვიუ ჩატარდა საქართველოს ორი რეგიონის სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მცხოვრებ 110 ბავშვს. 75%-მა განაცხადა, რომ ისინი ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ, 63%-მა ფიზიკური ძალადობა, ხოლო 77%-მა უგულვებლყოფა აღიარა.

ძალადობა სკოლაში

სკოლაში აღმოჩენილი ძალადობის ფორმები როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიურია და, ჩვეულებრივ, ორივე ერთად გვხვდება. პედაგოგებისა და სკოლის პერსონალის მიერ განხორციელებული ძალადობის ფორმებში შედის ფიზიკური დასჯა და სასჯელისა და მოპყრობის სხვა სასტიკი და

⁶ საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი არასამთავრობო, არაკომერციული, რეგისტრირებული ორგანიზაციაა, რომელმაც თავისი საქმიანობა 1999 წელს დაიწყო. ფონდს მიაჩნია, რომ ქართველი ბავშვები ისეთ გარემოში უნდა ცხოვრობდნენ, სადაც ისინი დაცულები იქნებიან შეურაცხყოფისაგან, რათა მოხდეს მათი განვითარების ხელშეწყობა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებისათვის.

დამამცირებელი ფორმები, სქესობრივი და სქესის ნიშნით ძალადობა და ბულინგი⁷. ბავშვების მიერ განხორციელებული ძალადობის ფორმებია: ბულინგი, სქესობრივი და სქესის ნიშნით ძალადობა, სკოლის ეზოში ჩხუბი, დაჯგუფებების მიერ განხორციელებული ძალადობა და იარაღით თავდასხმა (გაერო-ს კვლევა).

სკოლაში ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია მუშტი-კრივი, ხელის კვრა, ბულინგი (მურაკამი და სხვები, 2006), ხოლო სკოლაში სერიოზული ძალადობის რისკფაქტორები — სკოლის დიდი ზომა, უფროსი ბავშვები, ასევე დაჯგუფების არსებობა და ნარკოტიკებთან დაკავშირებული ქმედებები. თანატოლთა შორის ძალადობის განმეორებადობა ინდივიდუალური რისკფაქტორების სახით დაფიქსირებულია ჭარბი წონა, ეთნიკური ან რასობრივი უმცირესობისადმი კუთვნილება, სიღარიბე ან სექსუალური უმცირესობისადმი კუთვნილება.

37 ქვეყანაში გამართულ მრავალეროვნულ კვლევაში მოსწავლეთა საშუალოდ 28%-მა გასულ თვეში თავი ძალადობის მთელი რიგი ფორმების მსხვერპლად დაასახელა (პროცენტულობა ქვეყნის მიხედვით 5-75%), მოსწავლეთა საშუალოდ 48%-მა გასულ თვეში ძალადობის მსხვერპლად მეგობარი დაასახელა (პროცენტულობა 15%-89%) (აკიბა, 2002). მსგავსი ძალადობის სიხშირე კვლევაში ჩართული აღმოსავლეთევროპული ქვეყნებისთვის ყველაზე მაღალია რუმინეთსა და უნგრეთში (შედარებითი მონაცემები საქართველოსათვის არ არსებობს).

შედარებით უმცროსი ასაკის ბავშვები უფრო ხშირად ხდებიან ბულინგის მსხვერპლნი, ხოლო შედარებით უფროსი ასაკის ბავშვები – ბულინგის ინიციატორები. ლიტვაში ჩატარებული კვლევა (ზაბორსკისი და ვარეკიენი, 2008) ბულინგის ინიციატორებსა და მსხვერპლებს შორის რთულ დამოკიდებულებას ასახავს. ანონიმური გამოკითხვიდან მოპოვებული მონაცემები, რომლებშიც 5645 მოსწავლე (11-15 წლის) მონაწილეობდა, აჩვენებს, რომ მოსწავლეებიდან ნახევარზე მეტი (52.3%) თვეში ორჯერ მაინც იყო ჩართული ბულინგის პროცესში: 17.9% იყო „აგრესორი“, 18.3% — „მსხვერპლი“, ხოლო 16.1% აგრესორიც იყო და მსხვერპლიც. საინტერესოა, რომ მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირი იქნა აღმოჩენილი ბულინგის მსხვერპლობასა და ჯანმრთელობის გაუარესებას შორის.

მკვლელობა და თვითმკვლელობა სკოლებში იშვიათია და ამერიკის შეერთებული შტატების მთლიანი მკვლელობებისა და თვითმკვლელობების მხოლოდ 1%-ს შეადგენს (მურაკამი და სხვები, 2006). მაგრამ, როდესაც ადგილი აქვს ასეთ ცალკეულ შემთხვევებს, მათ შედეგად სასკოლო საზოგადოებებში იზრდება შიში და, ამავე დროს, ხდება რეაგირების მობილიზება. სკოლებში უსაფრთხოების შეგრძნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ბავშვების ოპტიმალური განვითარებისა და განათლების პროცესის წარმატებისათვის (ნანსელი და სხვები, 2004).

თეორიაში ბევრი რამ დაინერა იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს სკოლაში არსებული კლიმატი ძალადობაზე. არსებობს რიგი ემპირიული მონაცემებისა, რომლებიც აჩვენებს, რომ ძალადობის შესამცირებლად სკოლებისათვის მთავარი ამოცანა უნდა იყოს სკოლის კლიმატის გაუმჯობესება. ისეთი ტერმინების განმარტება, როგორცაა სკოლის კლიმატი, ყოველთვის პრობლემას წარმოადგენს – განსაკუთრებით ევროპაში არსებული მდიდარი კულტურული და ლინგვისტური სხვადასხვაობის გათვალისწინებით (სმიტი, 2003). რეკომენდაცია ამ ენდემური პრობლემის (რომელიც სკოლაში ძალადობის შესახებ ყველა კვლევასა და ანგარიშში გვხვდება) გადაწყვეტასთან დაკავშირებით მოცემულია „ევროპის საბჭოს სახელმძღვანელოში სკოლებისათვის“ (გიტინსი, 2006). ეს სახელმძღვანელო გვთავაზობს ტერმინი „კონვივენციის“ გამოყენებას, რათა უკეთ იქნეს გაგებულნი ცნება „სკოლის კლიმატი“. ეს არის ესპანური სიტყვა, რომელიც თარგმანში ჰარმონიულ თანაცხოვრებას ნიშნავს. შემდეგი ამოცანაა, რომ სკოლებში დამყარდეს პროსოციალური კლიმატი, რომელიც შეზღუდავდა ძალადობას და ხელს შეუწყობდა ახალგაზრდების ზრდასა და განვითარებას.

⁷ ბულინგი გულისხმობს სხვა ადამიანისათვის ზიანის მიყენების შეგნებულ და უმეტესწილად არაპროვოცირებულ მცდელობებს. თავისი ხასიათით ბულინგი შეიძლება იყოს ფიზიკური და სიტყვიერი ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი.

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმა საქართველოში

ძალადობის კვლევა საქართველოში მიმდინარე ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის ჩრდილოეთ უნდა დავინახოთ. კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო, რეფორმის ფარგლებში პოლიტიკისა და მომსახურებების განვითარებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის რეალობაზე ნათელი წარმოდგენა შეექმნა.

2005 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ გამოსცა ბრძანებულება „2005-2007 წლებში ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო გეგმის შესახებ“. ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისია გეგმის განხორციელების მიზნით შეიქმნა და მასში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები შევიდნენ.

საქართველოს მთავრობის ძალისხმევა მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ოჯახებსა და თემებში რეინტეგრაციისა და სოციალური ზრუნვის დანერგვებულ ბავშვების რაოდენობის შემცირების მიზნით წარმატებით ხორციელდება. 2006 წელს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის პროექტის ფარგლებში მოპოვებული სტატისტიკური მონაცემებით (ნაცვლიშვილი, 2006) სოციალურად დაუცველი 7566 ბავშვი სხვადასხვა სახის კანონით გათვალისწინებულ მომსახურებას, ოჯახურ დახმარებას ან ალტერნატიულ მზრუნველობას იღებდა, 31% საზოგადოებრივი, ოჯახური ტიპის/ოჯახის თანადგომის მომსახურებით (მცირე საოჯახო ტიპის სახლები, შვილობილებზე მზრუნველობა, დღის ცენტრის მომსახურება და სხვ.) სარგებლობდა ან საკუთარ ბიოლოგიურ ოჯახში იყო რეინტეგრირებული (2357 ბავშვი). დარჩენილი ბავშვების უმრავლესობა, დაახლოებით 5000 ბავშვი, კვლავ რეზიდენტულ სახელმწიფო მზრუნველობაში იყო. 2008 წლის „იუნისეფის“ ქვეყნის პროფილის“ მიხედვით, დღეს რეზიდენტულ სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში 3106 ბავშვი იმყოფება.

რეფორმის ამჟამინდელ ეტაპზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, როგორც ძირითადმა მოქმედმა დანერგვებამ, „იუნისეფისა“ და TACIS-ის (ტექნიკური დახმარება დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობისათვის) მხარდაჭერით, ევროკომისიისგან მიღებული გრანტით 2008-2011 წლებისათვის „ბავშვის სამოქმედო გეგმა“ შეიმუშავა. „ბავშვის სამოქმედო გეგმა“ ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისიის მიერ იქნა დამტკიცებული. წინა გეგმისაგან განსხვავებით, იგი დეინსტიტუციონალიზაციაზე შორს იხედება და ძირითად პრობლემურ სფეროებად სიღარიბეს, სოციალური ზრუნვის დანერგვების ფართომასშტაბიან გამოყენებასა და ბავშვთა მიმართ ძალადობას სახავს.

ბავშვთა დაცვის მიმდინარე რეფორმის ძირითადი ამოცანებია:

- განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ბავშვებისათვის დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფის მარეგულირებელი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება;
- ბავშვზე ზრუნვის სფეროში კანონმდებლობის ჰარმონიზაცია;
- მიტოვებულ ბავშვთა რაოდენობის შემცირება სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესებით; სახელმწიფო, ცენტრალური და რეგიონული უწყებების მართვის გაუმჯობესება;
- სოციალური დაცვის ადგილობრივი სამსახურების გაძლიერება;
- სახელმწიფო დანერგვებულ ბავშვების მთავსებული ბავშვების რაოდენობის შემცირება;
- დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მხარდაჭერა;
- ბავშვზე ზრუნვაში ჩართული ადამიანური რესურსებისა და ფინანსური სიტუაციის გაუმჯობესება;
- ინკლუზიური განათლების განვითარება;
- ბავშვზე ზრუნვის სექტორის დაფინანსების რაციონალიზაცია და არსებული ფინანსური რესურსების მიზნობრივი გამოყენება.

გეგმაში პრიორიტეტად არის დასახული ბავშვის დაცვის პოლიტიკის შემუშავება. პოლიტიკის ბირთვი იქნება ინტეგრირებული მიდგომა და კანონმდებლობის დაკავშირება ეფექტურ მიმართვებსა და ინტერვენციებთან დაუცველი ბავშვებისათვის. გეგმა ხაზს უსვამს რეგიონების

დონეზე მოქმედების მნიშვნელობას და მოუწოდებს თითოეულ რეგიონს ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო და მზრუნველობის ცენტრების შექმნისაკენ. უახლესი კანონმდებლობა ასევე სასკოლო დისციპლინის დამყარების მეთოდებსაც ითვალისწინებს. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის (2005 წლის 8 აპრილი) მიხედვით, სასკოლო დისციპლინის მეთოდები ბავშვის თავისუფლებასა და ღირსებას უნდა სცემდეს პატივს. სკოლებში ბავშვთა მიმართ ძალადობის არანაირი ფორმა არ დაიშვება და ბავშვების მიმართ ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლები სათანადოდ უნდა რეაგირებდნენ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად მუშაობს უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის შემუშავებაზე, რისთვისაც მას ინფორმაციას მიაწვდის კვლევის ნაწილი, რომელიც სკოლებში ძალადობას ეძღვნება.

კვლევის ინსტრუმენტები

ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებლყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების ბავშვთა მიმართ ძალადობის სკრინინგის ინსტრუმენტები (ICAST)

ძალადობის შესახებ გაერო-ს კვლევის ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო, რომ მეცნიერებსა და პოლიტიკის გამტარებლებს ბავშვების მიმართ ძალადობის კვლევისათვის განმარტებების და კვლევის ინსტრუმენტების საერთო წყება შეექმნათ. ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებლყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოება, „იუნისეფისა“ და „ოუქ ფონდის“ (Oak Foundation) მხარდაჭერით, დათანხმდა, წამყვანი როლი აეღო ახალი საერთო ინსტრუმენტების გამოცდისა და განვითარების საქმეში.

საერთო განმარტებებისა და კვლევის ინსტრუმენტების არსებობის საჭიროება ემყარება იმ წინაპირობას, რომ საერთო ინსტრუმენტები შესაძლოა სასარგებლო იყოს შემდეგი მიზნებისათვის: 1) განისაზღვროს პრობლემის მასშტაბი ეროვნულ კონტექსტში; 2) დაისახოს ეროვნული პრიორიტეტები და სტანდარტები შედარებისათვის; და 3) შემუშავდეს პროგრამებისა და დაფინანსების პრიორიტეტები ეროვნული და საერთაშორისო კონტექსტების გათვალისწინებით (გაერო-ს კვლევა 2006; ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია/ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებლყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოება, 2006).

საწყისი ინსტრუმენტები 40 ქვეყნის მეცნიერთა ძალისხმევით შეიქმნა. შემუშავებისთანავე ინსტრუმენტები ექსპერტთა საერთაშორისო კოლეგიამ დელფის სამ რაუნდში განიხილა. აღნიშნული პროცესის შედეგი გახდა იმ ინსტრუმენტების ძირეული სისტემის შემუშავება, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს ბავშვთა მიმართ ძალადობის შეფასების მიზნით მრავალეროვნულ, კულტურულ და ენობრივ კონტექსტში. ეს ინსტრუმენტები ცნობილია როგორც ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებლყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების ბავშვთა მიმართ ძალადობის სკრინინგის ინსტრუმენტები (ICAST) - ვერსიები ICAST P (მშობლები), R (რეტროსპექტივა) და C (ბავშვი). ისინი ასევე რამდენიმე ენაზე ითარგმნა და თითოეული ოთხიდან რვა ქვეყანაში გამოიცადა⁸. ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებლყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების ბავშვთა მიმართ ძალადობის სკრინინგის ინსტრუმენტების ICAST C (ბავშვი) ვერსია შემდგომში ორ ნაწილად დაიყო: ოჯახში ძალადობის შეფასების ინსტრუმენტად (ICAST C H - ოჯახის პირობებში ძალადობისათვის) და სკოლაში ან სამუშაო ადგილზე ძალადობის შეფასების ინსტრუმენტად (ICAST CI — დანესებულებების პირობებში ძალადობისათვის). კითხვარების საბოლოო ვერსიები, კვლევის სახელმძღვანელოებთან ერთად, ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებლყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების ვებგვერდზეა (www.ispcan.org) განთავსებული.

საქართველოში ICAST P (მშობლები) და CH (ოჯახის პირობებში ძალადობისათვის) ვერსიები იქნა გამოყენებული ძალადობის შესასწავლად ოჯახში, ხოლო ICAST CI ვერსია - ძალადობის შესასწავლად სოციალური ზრუნვის დანესებულებებში. ვინაიდან ICAST CI ყოვლისმომცველი ხასიათისაა, შემუშავებულია მრავალკულტურული გარემოსათვის, უკვე იყო გამოყენებული საქართველოში და

⁸ ICAST-ის მშობლისა და ბავშვის კითხვარების მოპოვება შესაძლებელია ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებლყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოებაში არაბულ, ინგლისურ, ჰინდი, მარათისა და რუსულ ენებზე.

ნათარგმნია ქართულ ენაზე, გადაწყდა, რომ სწორედ ის უნდა ყოფილიყო ძირითადი ინსტრუმენტი სკოლების კვლევისათვის.

ზემოთ აღნიშნული ინსტრუმენტები იყენებს სტრუქტურირებულ ინტერვიუებს. ისინი ყურადღებას ამახვილებს ბავშვების მიერ განცდილ ქმედებებზე, რომლებიც მეცნიერების მიერ იდენტიფიცირებულია როგორც ჩვეულებრივი ან სერიოზული ქმედებები. მართალია, ამ ინსტრუმენტებში ძალადობის განმარტება არ შედის, მაგრამ მათში შემავალი ბევრი (თუ არა ყველა) ქმედება შეიძლება აღინეროს როგორც ბავშვისათვის სტრესის მომგვრელი ან დამთრგუნველი. ზოგ ქმედებას ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანის გამონვევის პოტენციალი აქვს და, როგორც ასეთი, ზოგიერთ ქვეყანაში ამართლებს ბავშვის მიმართ ძალადობის შეფასებისათვის სპეციალური ორგანოებისთვის მიმართვას. კვლევის დროს კითხვარებში ახსნილი ყველა მოქმედების და მათ შესახებ განცხადების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნებოდა აღგვენიშნა, რომ ბავშვის უფლებათა კონვენცია ბავშვთა მიმართ ყველანაირი ძალადობის აკრძალვას მოითხოვს, ფიზიკური სასჯელისა და სხვა სასტიკი თუ ღირსების შემლახველი სასჯელის ჩათვლით.

სკოლაში არსებული კლიმატის შეფასება

სკოლის კლიმატის ანუ *კონვივენციის* შეფასებაში გამოყენებული კითხვები ადაპტირებული იყო ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიმდინარე კვლევის „ჯანმრთელი ქცევა სკოლის ასაკის ბავშვებში“ (HBS) კითხვარებიდან და მოიცავდა სკოლის მიმართ არსებული დამოკიდებულებების, მოსწავლეთა შორის ურთიერთობების, პედაგოგთა მხრიდან მოპყრობის, მშობელთა პოზიციებისა და ადგილმდებარეობის მიმართ შეხედულებების, ასევე ბულინგისა და ძალადობის დროის დაფიქსირებას. „ჯანმრთელი ქცევა სკოლის ასაკის ბავშვებში“ ეროვნებათაშორისი კვლევაა, რომელიც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპაში მოქმედ რეგიონულ ოფისთან თანამშრომლობით ტარდება. 1982 წელს სამი ქვეყნის მკვლევარების მიერ წამოწყებული პროექტი ჯანმრთელობის მსოფლიოს ორგანიზაციამ სულ ცოტა ხანში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თანამშრომლობაზე დაფუძნებული კვლევის სახით დაამტკიცა. კვლევის ინსტრუმენტებმა ძლიერი ფსიქომეტრიული თვისებების, ასევე სხვადასხვა კულტურის შემთხვევაში სანდოობისა და ნამდვილობის დემონსტრირება მოახდინა.

თავი მეორე: კვლევა

კვლევა მიზნად ისახავდა, დაედგინა საქართველოში:

- ბავშვთა მიმართ ძალადობის⁹ მასშტაბი;
- ძალადობის სახე;
- ძალადობასთან დაკავშირებული ფაქტორები;
- ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათი შეურაცხყოფისა და უგულვებლყოფის პრევენციისათვის საჭირო რეაგირების ტიპი და მასშტაბი.

კვლევის შედეგად შემოთავაზებული პროდუქტებია:

- პოლიტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შეთავაზება საქართველოს მთავრობისათვის;
- ძალადობის შემთხვევების ამოცნობისა და ინტერვენციის მიზნით რჩევები ახალ ინიციატივებსა და არსებული პროგრამების დახვეწაზე;
- რეკომენდაციები საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიებისათვის;
- რეკომენდაციები ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების გადამზადებასთან დაკავშირებით.

ეროვნული მასშტაბის კვლევაში შედიოდნენ როგორც საზოგადოებაში, ოჯახში მცხოვრები ბავშვები, ისე განსაკუთრებულ გარემოებებში მყოფი ბავშვები 0-დან 18 წლამდე. ICAST-ის პილოტირების შედეგად მიღებული გამოცდილებისა და ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებლყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების კონსულტანტების რჩევების მიხედვით 11 წლისა და უფროსი ასაკის ბავშვებისგან თავად არის შესაძლებელი ინტერვიუს აღება, ხოლო უფრო მცირეწლოვანი ბავშვების შესახებ მონაცემთა შეგროვება მათ მშობლებთან ან სხვა მზრუნველებთან გასაუბრების გზით არის მიზანშეწონილი.

კვლევის მეთოდები

მიზნობრივი ჯგუფები

პირველი ფაზისთვის მიზნობრივ ჯგუფებში შედიოდნენ ბავშვთა წარმომადგენლობითი შერჩევები ზოგადი მოსახლეობიდან, იძულებით გადაადგილებულ პირთა მსხვილი კოლექტიური ცენტრებიდან და სოციალური ზრუნვის დაწესებულებებიდან. კოლექტიური ცენტრები კონფლიქტურ ზონებში არ მდებარეობდნენ და ბავშვების ჩათვლით იქ, სულ მცირე, 150 ადამიანი ცხოვრობდა.

პირველ ფაზაში სულ 3001 ინტერვიუ განხორციელდა. აქ შედიოდა:

- ინტერვიუები ბავშვების უშუალო მზრუნველებთან (ძირითადად, მშობლებთან). სულ შეირჩა 1650 ბავშვი ზოგადი მოსახლეობიდან (1100) და კოლექტიური ცენტრებიდან (500). ყველა ბავშვი 11 წელზე უმცროსი იყო და ჯგუფში 835 ბიჭი და 815 გოგონა შედიოდა.
- 11-17 წლის (11 წელზე უფროს და 18 წლამდე) ოჯახებში მცხოვრებ ბავშვებთან ინტერვიუები. სულ შეირჩა 1050 ბავშვი, 700 ზოგადი მოსახლეობიდან და 350 კოლექტიური ცენტრებიდან. ჯგუფში 524 ბიჭი და 526 გოგონა შედიოდა.

⁹ მოიცავს ბავშვთა შეურაცხყოფასა და უგულვებლყოფას.

- ინტერვიუები 11-17 წლის 301¹⁰ ბავშვთან, რომლებიც სოციალური ზრუნვის დანესებულე-ბებში ცხოვრობდნენ. ყველა დანესებულემა სახელმწიფო იყო და შეუზღუდავი შესაძლე-ბლობების ბავშვებისათვის იყო განკუთვნილი. შერჩევაში 156 ბიჭი და 145 გოგონა შედიო-და.

მეორე ფაზისათვის მიზნობრივი ჯგუფი 11-17 წლის 1300 ბავშვის წარმომადგენლობით შერჩევას წარმოადგენდა. ბავშვები 99 სკოლიდან იყვნენ შერჩეულნი, მათ შორის 33 თბილისიდან და 66 სა-ქართველოს რეგიონებიდან. რადგან ბავშვები სწავლების წლის (კლასების) მიხედვით იყვნენ შერ-ჩეულნი, შერჩევაში ზოგი 10 წლის ბავშვიც შედიოდა. შერჩევაში 645 ბიჭი და 655 გოგონა მონაწი-ლეობდა.

შერჩევები კვლევის ორივე ფაზისთვის საქართველოს 9 რეგიონსა და თბილისში განხორციელდა. განაწილება თბილისსა და რეგიონებს შორის, ასევე ურბანულ და სოფლის¹¹ ტერიტორიებს შორის საქართველოში მოსახლეობის განაწილებას ასახავდა.

ზოგადი მოსახლეობიდან მშობლებთან ინტერვიუები ოჯახებში განხორციელდა, ხოლო ბავშვებ-ისა – სკოლებში, ინტერვიუები იძულებით გადაადგილებულ პირთა კოლექტიურ ცენტრებში მცხ-ოვრებ მშობლებსა და ბავშვებთან — ამ ცენტრებში, ხოლო სოციალური ზრუნვის დანესებულეებ-ში მცხოვრებ ბავშვებთან — დანესებულეებში განხორციელდა. სკოლის კვლევისას ბავშვებთან ინტერვიუები სკოლებში ჩატარდა.

შერჩევა

შერჩევის მეთოდოლოგია შედგენილი იყო მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლობითი შერჩევე-ბისთვის. შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი, მრავალეტაპიანი კლასტერული შერჩევის გამოყ-ენებით. შერჩევის მეთოდოლოგია დეტალურად 2 დანართშია აღწერილი.

კვლევის ინსტრუმენტები

როგორც პირველ თავშია აღწერილი, კვლევამ ICAST ინსტრუმენტებიდან სამი გამოიყენა:

- ICAST P (მშობელი) 11 წლამდე ასაკის 1650 ბავშვის მზრუნველებთან (ძირითადად, მშობლებთან).
- ICAST CH (ბავშვი - ოჯახი) – 11-დან 18 წლამდე ასაკის 1050 ბავშვთან;
- ICAST CI (ბავშვი - დანესებულემა) - სოციალური ზრუნვის დანესებულეებში მცხოვრებ 11-დან 18 წლამდე 301 ბავშვთან, ასევე 10 წლიდან 18 წლამდე 99 სკოლის 1300 ბავშვთან.

კითხვარების ძირითადი ნაწილი, თავისი ნუმერაციით, ხელუხლებელი დარჩა, რათა პროექტის ადგილობრივ გუნდს და ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრევენციის საერთაშო-რისო საზოგადოებას სხვა ქვეყნებიდან მოპოვებულ მონაცემებთან მისი შედარების საშუალება ჰქონოდათ.

მშობლების კითხვარი იძლეოდა ინფორმაციას როგორც რესპონდენტების, ასევე სხვა მზრუნ-ველების მიერ ბავშვის მიმართ ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური დასჯის გამოყენების შესახებ. გარდა ამისა, კითხვარებში მოცემული იყო რესპონდენტთა შეხედულებები ბავშვის მიერ განცი-ლი უგულვებელყოფისა და სქესობრივი ძალადობის შესახებ. მშობლებს ასევე ეკითხებოდნენ დის-ციპლინის დამყარების დადებითი მეთოდების გამოყენების შესახებ და ღია შეკითხვებს უსვამდნენ წარმატებულ მეთოდებზე მათ იდეებთან დაკავშირებით.

ოჯახებში მცხოვრები 11 წლის ან უფროსი ასაკის ბავშვებისათვის შედგენილი კითხვარები ბავშ-ვებს ოჯახებში ან ახლო სამეზობლოში ძალადობის შესაძლებლობის ან პირდაპირი ფიზიკური თუ

¹⁰ მონაცემების შეყვანის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გამოკითხული იქნა 301 ბავშვი. ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო იმისათვის, რომ გაგრძელებულიყო ანალიზი 301 ბავშვთან.

¹¹ ურბანული – ქალაქის ტიპის დასახლება, სოფლის ტერიტორია კი გულისხმობს სოფლების ტიპის და მსგავს დასახლებებს.

ფსიქოლოგიური, სქესობრივი ძალადობისა და უგულვებელყოფის შესახებ ეკითხებოდა. ბავშვებს ასევე სთხოვდნენ, ეთქვათ, ვინ იყო მოძალადე — ბავშვი თუ უფროსი. დამატებითი ღია შეკითხვები საშუალებას აძლევდა მათ, ბავშვთა მიმართ ძალადობის და მისი პრევენციის შესახებ საკუთარი აზრები გამოეთქვათ.

სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მცხოვრებ ბავშვებს უსვამდნენ კითხვებს მათ მიმართ უშუალო ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სქესობრივი ძალადობის თუ უგულვებელყოფის შესახებ. ბავშვებს ასევე სთხოვდნენ, მოეთხროთ დანესებულებაში ცხოვრების განმავლობაში მათი უგულვებელყოფის შესახებ. ამ შეკითხვებს ადგილობრივი ჯგუფი ICAS-ის სტანდარტულ კითხვართან (ოჯახისათვის განკუთვნილი კითხვარებიდან კითხვების გამოყენებით) ერთად სვამდა, რადგან დანესებულებაში მიღებულ ფიზიკურ და ემოციურ მზრუნველობაზე ბავშვის შეხედულების ცოდნა მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული.

შემდეგი არსებითი მოდიფიკაცია დემოგრაფიული შეკითხვების შემცველ კითხვარში შევიდა. დემოგრაფიული შეკითხვები კითხვარებს დასაწყისში ემატებოდა და განკუთვნილი იყო როგორც ბავშვების, ასევე მშობლებისათვის. ეს შეკითხვები ბავშვის დაბადების დღის აღნიშვნას, საზაფხულო არდადეგებს და ოჯახის საკუთრებაში არსებულ ნივთებს ეხებოდა. ამ შემთხვევაში შერჩევა სამ ეკონომიკურ ჯგუფად იყო დაყოფილი (დაბალი, საშუალო და მაღალი) (დანართი 3). აღნიშნული კლასიფიკაცია სპეციფიკურია საქართველოსათვის, რადგან ამ ქვეყანაში საშუალო შემოსავალი დაბალია. აქედან გამომდინარე, საშუალო ეკონომიკური ჯგუფი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიჩნეული „საშუალო კლასის“ ადეკვატური ვერ იქნება.

ყველა კითხვარი ისეთი დემოგრაფიული მონაცემების მოგროვების შესაძლებლობას იძლეოდა, როგორცაა ასაკი, სქესი და ადგილმდებარეობა.

ყველა კითხვარში შედიოდა კითხვა იმ ქმედებებსა თუ გამოცდილებებზე, რომლებიც ბავშვს ოდესმე, განსაკუთრებით კი წინა წელს, შეემთხვა. მონაცემები შეგროვდა ასევე ქმედებებისა და გამოცდილების სიხშირის და, შესაბამის შემთხვევებში, მოძალადის ვინაობის (ანუ რესპონდენტი ან სხვა მზრუნველი მშობლების კითხვარებში და უფროსი ან სხვა ბავშვი - ბავშვების კითხვარებში) შესახებ.

სკოლების კვლევისათვის ICAS CI ვერსია იქნა გამოყენებული, როგორც ეს სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მცხოვრები ბავშვების შემთხვევაში გაკეთდა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „უსაფრთხო სკოლის ინიციატივისთვის“ ინფორმაციის მინოდების გაუმჯობესების მიზნით კითხვარებს დაემატა ორი შეკითხვა (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევის „ჯანმრთელი ქცევა სკოლის ასაკის ბავშვებში“ კითხვარიდან): სკოლის კლიმატზე, დამოკიდებულებებზე, ადგილმდებარეობაზე, ბუღინგის დროსა და თანატოლთა მხრიდან ძალადობაზე. ეს შეკითხვები არა მხოლოდ სკოლაში ძალადობის ისეთი პრაქტიკული ასპექტების შესაფასებლად იქნა გამოყენებული, როგორც არის ბუღინგის დრო და ადგილები, არამედ ასევე უფრო ზოგადი სურათის შესაქმნელად იმასთან დაკავშირებით, თუ რას ფიქრობენ ბავშვები თავიანთი სკოლის, უსაფრთხოების, მშობელთა მონაწილეობისა და მასწავლებელთა დამოკიდებულების შესახებ.

ყველა კითხვარი ითარგმნა ქართულ და შემდეგ უკან ინგლისურ ენაზე იმის უზრუნველსაყოფად, რომ თარგმნის პროცესში კითხვების შინაარსი არ დაკარგულიყო. „იუნისეფის“ კონსულტანტმა ხელახალი ინგლისური თარგმანი შეამოწმა და დააფიქსირა არასწორად ნათარგმნი ადგილები, რაც შემდეგ კვლევის ჯგუფს შეატყობინა. კვლევის ჯგუფმა შესაბამისი შესწორებები შეიტანა როგორც ქართულ, ასევე ხელახალ ინგლისურ თარგმანებში (ეს თარგმანები შეგიძლიათ მოიპოვოთ „იუნისეფისა“ და საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდში).

კითხვარებთან დაკავშირებით შენიშვნები გამოთქვა წარმომადგენლობითმა ჯგუფმა, რომელიც პროფესიონალთა ფოკუს-ჯგუფის სახით მოქმედებდა. თავიანთი კომენტარები გამოთქვეს ბავშვების საპილოტე ჯგუფებმა და მშობლების ფოკუს-ჯგუფმაც. ეს პროცესი კვლევითმა კომპანია „ბი-სი-ჯი“-მ წარმართა.

ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრევენციის საეთაშორისო საზოგადოების მიერ მონოდეზინი სახელმძღვანელოები, რომლებიც კითხვარებს თან ახლდა, კვლევის განხორციელების მართვას უზრუნველყოფდა. ადგილობრივ კონტექსტთან ადაპტაციის მიზნით ისინი ქართულ ენაზე ითარგმნა, ოდნავ შეიცვალა და კვლავ ინგლისურ ენაზე ითარგმნა. კიდევ ერთხელ იქნა განხილული თარგმნისას „დაკარგული“ ნებისმიერი ნიუანსი და შეტანილი იქნა აუცილებელი ცვლილებები (ქართული და ინგლისურად გადათარგმნილი ვერსიები „იუნისეფსა“ და საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდში არის ხელმისაწვდომი). ინტერვიუების ჯგუფების ზედამხედველებს დაურიგდათ სახელმძღვანელოები და ამ სახელმძღვანელოების გამოყენებით ინტერვიუების ჯგუფებისათვის წერილობითი მითითებებიც შემუშავდა.

ინტერვიუები

ინტერვიუების ჯგუფი „ბი-სი-ჯი“-ს გამოცდილი პერსონალით იყო დაკომპლექტებული. მათ რეგიონულ ჯგუფებთან მუშაობის გამოცდილებაც ჰქონდათ. თითოეულ მათგანს ზედამხედველი ჰყავდა. ისინი ICAS-ის ინტერვიუებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში მოცემულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ და დამატებითი ტრენინგიც გაიარეს (იხილეთ ქვემოთ), რათა ემოციურ თემაზე ბავშვებისგან ინტერვიუს აღება და კითხვარების ადმინისტრირება შეძლებოდათ.

ტრენინგები ინტერვიუებისათვის

მიჩნეული იქნა, რომ ინტერვიუების ტრენინგის ყველაზე ეფექტური გზა ზედამხედველებისათვის ტრენინგის ჩატარება და მათთვის იმ მეთოდების გადაცემა იყო, რომლებსაც ისინი თავიანთი ადგილობრივი ჯგუფების ტრენინგში გამოიყენებდნენ. აქედან გამომდინარე, ზედამხედველების სანყისი ტრენინგი 2 სესიის სახით გაიმართა:

- პირველი სესია: ორგანიზებული იყო საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგებისა და „იუნისეფის“ კონსულტანტების მიერ და ბავშვების მიმართ ძალადობისა და მათი უგულვებელყოფის, ასევე ეთიკის საკითხებს ეხებოდა. იგი კითხვარებში შეტანილი კითხვების ხასიათის განხილვის საშუალებასაც იძლეოდა.
- მეორე სესია: გაიმართა „ბი-სი-ჯი“-ს მიერ და დეტალურად განიხილავდა კითხვარებს (თარგმნის შემდეგ მომზადებულ ვარიანტს) და ინტერვიუს მეთოდოლოგიისა და მონაცემთა შეტანის შესახებ საკითხებს.

მე-3 დანართში მიმოხილულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდისა და „იუნისეფის“ კონსულტანტების მიერ ორგანიზებული ტრენინგების ამოცანები.

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ტრენინგის შემდეგ ზედამხედველებმა ინტერვიუების საკუთარ ჯგუფებს ჩაუტარეს ტრენინგი. პროცესს ზედამხედველობას საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი უწევდა, რომლის პერსონალი რამდენიმე სესიას დაესწრო. ზედამხედველების მიერ ჩატარებული ტრენინგის ხელშეწყობის მიზნით (ამოცანები მე-4 დანართშია შეტანილი) ზედამხედველებს გადაეცათ ტრენინგის პაკეტი, რომელშიც შედიოდა:

- პრეზენტაციები პროგრამა Power Point-ში ტრენინგის შენიშვნებით;
- როლების გათამაშების სცენარი ტრენინგის შენიშვნებით;
- შემოთავაზებული გარჩევის სესიის სცენარი;
- საკონტაქტო ტელეფონების ნომრები საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდსა და „ბი-სი-ჯი“-ში, თუ ზედამხედველებს დახმარება ან ბავშვების მიმართ ძალადობის და მათი უგულვებელყოფის საკითხებზე რჩევა დასჭირდებოდათ;
- დეტალური ინფორმაცია ბავშვების მიმართ ძალადობისა და მათი უგულვებელყოფის საკითხებზე მომუშავე ნებისმიერი ადგილობრივი სამსახურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ.

ინტერვიუს ფორმატი

როგორც ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების ინტერვიუების პილოტირების შემთხვევაში, ICAST-ის მშობლებისათვის განკუთვნილი კითხვარები ინდივიდუალურ ინტერვიუებში იქნა გამოყენებული. ეს ინტერვიუები რესპონდენტის ოჯახში ან იძულებით გადაადგილებულ პირთა ცენტრებში ჩატარდა. ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების საპილოტე ინტერვიუების უმრავლესობა ბავშვებთან ჯგუფური ინტერვიუების გამოყენებით წარიმართა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი კვლევის ჯგუფის მიერ ჯგუფური ინტერვიუების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით ეჭვი გამოითქვა, რასაც ისინი იმით ასაბუთებდნენ, რომ ინტერვიუებები თავს ინდივიდუალური ინტერვიუების დროს უფრო კომფორტულად გრძნობდნენ. დროში შეზღუდვები ჯგუფური ინტერვიუს ტექნიკაში დამატებითი ტრენინგების შესაძლებლობას არ იძლეოდა. ამიტომ ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით ბავშვების (რომლებიც ასევე ფოკუს-ჯგუფს წარმოადგენდნენ) ჯგუფთან ბავშვების ოჯახური კითხვარების „უხეში“ თარგმანით ერთგვარი პილოტირება განხორციელდა. ეს ჯგუფს საშუალებას მისცემდა, გადაეწყვიტა, რა გზით იქნებოდა უკეთესი კვლევის ჩატარება: ჯგუფური თუ ინდივიდუალური ინტერვიუების სახით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაწყდა ბავშვებთან ინტერვიუების ინდივიდუალურად გამართვა.

მეორე ფაზაში ინდივიდუალური ინტერვიუები იმავე ინტერვიუებების მიერ წარიმართა, რომლებმაც ისინი პირველ ფაზაში წარმართეს. მეორე ფაზა სკოლაში განხორციელდა.

პილოტირება

კვლევის ინსტრუმენტებისთვის საბოლოო სახის მიცემამდე გაიმართა კონსულტაციები წარმომადგენლობით ჯგუფთან და შედგა ფოკუს-ჯგუფი მშობლებთან – უპირველეს ყოვლისა, ინტერვიუს ფორმატის დადგენის მიზნით. მას შემდეგ, რაც მომზადდა კითხვარების საბოლოო თარგმანი, ინტერვიუების ზედამხედველებმა მისი პილოტირება განახორციელეს. მათ თემში 30 მშობელთან და 30 ბავშვთან ჩატარეს ინტერვიუ. გარდა ამისა, ინტერვიუ სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მოთავსებულ 30 ბავშვსაც ჩაუტარდა. პილოტირებას მონიტორინგს საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ჯგუფის წევრები უწევდნენ. მართალია, პილოტირების შედეგად არ წამოჭრილა კითხვარების შესწორების საჭიროება, მაგრამ გაირკვა, რომ აუცილებელია დამატებითი ინსტრუქტაჟისა და ტრენინგის ჩატარება. დამატებითი ინსტრუქტაჟი და ტრენინგი განხორციელდა სემინარების გზით, რომლებიც საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის მიერ იყო ორგანიზებული და ახალი საველე სამუშაოს დაწყებამდე ჩატარდა.

ველზე მუშაობა (2007 წლის ოქტომბერი და ნოემბერი)

„ბი-სი-ჯი“-ს ეკისრა პასუხისმგებლობა, დაეგემა და საკუთარი ინტერვიუების რეგიონული გუნდების მეშვეობით წარემართა ველზე მუშაობა. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ორი წევრი თანამშრომლობდა ინტერვიუებთან და დახმარებას უწევდა ინტერვიუს პროცესის ხარისხის მონიტორინგში. რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემა არ გამოვლენილა. შერჩეული ბავშვებიდან თოთხმეტმა უარი განაცხადა მონაწილეობაზე, თუმცა იმ ბავშვებმა, ვინც ინტერვიუზე თანხმობა გამოთქვა, ინტერვიუ ბოლომდე მიიყვანეს და შეკითხვებს ბოლომდე უპასუხეს. ყველა შერჩეული მშობელი (კონკრეტული ბავშვის უშუალო მზრუნველი) დათანხმდა მონაწილეობაზე, მაგრამ მათგან რამდენიმემ ერთ თუ ორ შეკითხვაზე პასუხის გაცემაზე უარი თქვა. ეს ყველაფერი ჩაინერა და ხელმისაწვდომი გახდა მონაცემთა ანალიზისათვის.

საველე სამუშაო (2008 წლის იანვარი)

მსგავსი პროცესი სკოლების კვლევაშიც განხორციელდა. ამ შემთხვევაშიც შერჩეულ ბავშვთა უმრავლესობა დათანხმდა ინტერვიუში მონაწილეობაზე და დაასრულა იგი. მხოლოდ ექვსმა ბავშვმა განაცხადა უარი, რაც 1300 ინტერვიუს შემთხვევაში თანხმობის 99.5%-ს იძლევა.

მონაცემთა მართვა

მონაცემთა მართვას ახორციელებდა „ბი-სი-ჯი“, რომელმაც მონაცემთა შეყვანის ფორმატი შეიმუშავა. ასევე გასუფთავდა მონაცემები, მომზადდა მონაცემთა ბაზა სტატისტიკური ანალიზ-

ისათვის. ეს ყოველივე SPSS-ის გამოყენებით გაკეთდა. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფდა როგორც აღწერით მონაცემებს, ისე ძალადობის ტიპების სიხშირის გამოთვლის შესაძლებლობას, ასევე შესაძლებელი იყო მსხვერპლთა და მოძალადეთა კროსტაბულაციაც.

სკოლის კლიმატზე მიმართული შეკითხვებისათვის გამოთვლილი იქნა სკოლის მიმართ დამოკიდებულებასთან, მოსწავლეთა შორის ურთიერთობებთან, პედაგოგების მხრიდან მოპყრობასა და მშობელთა მონაწილეობასთან დაკავშირებული შეკითხვების ბლოკის მიმართ ბავშვების შეხედულებების დადგენის საშუალებები. გამოთვლილი იქნა ასევე სიხშირეები ბავშვების მიერ ადგილისა და დროის მიხედვით ბუღინგის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის.

მიზნობრივ ჯგუფებს შორის და მათ ფარგლებში განხორციელდა შემდგომი ანალიზი ისეთი ცვლადების დასადგენად, როგორიცაა ასაკი, სქესი, ადგილმდებარეობა და ეკონომიკური ჯგუფი.

ეთიკური და უსაფრთხოების საკითხები

ეთიკური მიმოხილვა

- კვლევის გეგმა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოებას წარედგინა და ეთიკური კომიტეტის მიერ იქნა დამტკიცებული;
- კვლევის გეგმის ეთიკურ ასპექტზე შენიშვნების გამოსათქმელად წარმომადგენლობითი ჯგუფი იქნა მონვეული.

თანხმობა

თანხმობის ოქმის მომზადების პროცესში ჩვენ გავითვალისწინეთ, რომ საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელიც შვილისგან ინტერვიუს ასაღებად მშობლების თანხმობას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, საჭიროდ მივიჩნიეთ მშობლების წინასწარ ინფორმირება კვლევაში მათი შვილის შესაძლო მონაწილეობაზე. კვლევის განმავლობაში 10 წელზე უფროსი ასაკის ბავშვების ინტერვიუ განხორციელდა, რომელთა ასაკი და მათ მიერ საკითხის ნვდომა საკმარისად მივიჩნიეთ იმისათვის, რომ მათ „საკუთარ“ ინტერვიუზე თანხმობა მოეცათ.

სკოლაში ინტერვიუების ჩატარების მიზნით აუცილებელი იყო სკოლების დირექტორების ნებართვა და თანამშრომლობა. დირექტორებს სთხოვეს, შეეტყობინებინათ კვლევის დაწყების შესახებ მშობლებისთვის. ოქმში შედიოდა:

- მიზნობრივ ადგილებად შერჩეული სკოლებისა და სოციალური ზრუნვის დაწესებულებების დირექტორებისაგან თანხმობის მიღება;
- მონაწილეებისაგან (ბავშვები და უფროსები) თანხმობის მიღება;
- მიზნობრივ სკოლებში მშობლების ინფორმირება მათი შვილების კვლევაში შესაძლო ჩართვის შესახებ.

მე-4 დანართში მოცემულია წერილები, რომლებიც ზემოხსენებული ჯგუფებისათვის კვლევის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად მომზადდა. ისინი კვლევის ორივე ფაზაში იქნა გამოყენებული. ინტერვიუების ტრენინგისას მათ ასწავლეს, თუ როგორ უნდა წარედგინათ თავი.

მონაწილეების უსაფრთხოება

მონაწილეთა უსაფრთხოების საკითხი განხილულია სახელმძღვანელოში, ინტერვიუებისათვის განკუთვნილ ინსტრუქციებსა და ზედამხედველებისა და ინტერვიუების პირისპირ ტრენინგში. უსაფრთხოება გულისხმობს:

- პასუხების კონფიდენციალურობას;
- ვინაობის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფას;

- პასუხზე უარის თქმის უფლებას;
- ინტერვიუს შეწყვეტის უფლებას;
- გარჩევას;
- კრიზისული ინტერვენციის გეგმას, რომელიც ველზე მიმართვის ადგილობრივ სამსახურთან წამოჭრილი კრიზისის დასაძლევად არის შედგენილი.

ინტერვიუების უსაფრთხოება

ამ შემთხვევაშიც სახელმძღვანელოში, ინსტრუქციებსა და ტრენინგის პროცესში პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭებოდა უსაფრთხოებას. ის ითვალისწინებდა, რომ:

- ინტერვიუერი არასოდეს მიდის მარტო ველზე;
- ინტერვიუერი პირველ რიგში ადგილობრივ უწყებებს ხვდება ნებართვის მიღების, დაცვის, მხარდაჭერის და ა.შ. უზრუნველყოფის მიზნით;
- ველის ზედამხედველმა ყოველთვის იცის თითოეული ინტერვიუერის ადგილსამყოფელი;
- ინტერვიუერები ყოველთვის ატარებენ სამკერდე ნიშნებს საიდენტიფიკაციო მონაცემებით, რათა მოხდეს მათი, როგორც „ბი-სი-ჯი“-ს წარმომადგენლების, იდენტიფიცირება;
- ინტერვიუერები პროექტის შესახებ საუბრობენ როგორც ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე;
- ინტერვიუერი არ სვამს კითხვებს კითხვარიდან, თუ არსებობს უცხო პირთა მიერ მოსმენის საფრთხე.

კონსულტაციები დაინტერესებულ და მონაწილე მხარეებთან

დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელი პირების ჯგუფი პროექტის შესახებ რჩევების უზრუნველყოფის და პროექტის შედგენისა და განხორციელების დროს ფოკუს-ჯგუფის სახით მოქმედების მიზნით დაარსდა. 2007 წლის დეკემბერში, როცა მონაცემთა სანყისი ანალიზი დასრულდა, თბილისში გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა მთავარ მონაწილეებთან (სამინისტროებისა და ამ საკითხით დაინტერესებული ძირითადი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან). ამ შეხვედრაზე ისაუბრეს იმაზე, თუ რა შედეგს მოუტანდა კვლევა პოლიტიკისა და მომსახურების განვითარებას.

სკოლების კვლევისთვის ხანგრძლივი კონსულტაცია გაიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ასევე „იუნისეფსა“ და სამინისტროსთან „უსაფრთხო სკოლის ინიციატივაზე“ მომუშავე კონსულტანტებთან.

თავი მესამე: მზრუნველთა ანგარიშები ოჯახებში დისციპლინის, სასჯელისა და ძალადობის შესახებ

იმისათვის, რომ მომხდარიყო იმ ფიზიკური და ფსიქოლოგიური სასჯელის გამოყენების გათვითცნობიერება, რომელიც სახლში ბავშვების მიმართ მათი დაბადებიდან მე-11 დაბადების დღემდე გამოიყენება, 1650 ბავშვის ძირითად მზრუნველს ჩაუტარდა გამოკითხვა მშობლებისათვის განკუთვნილი ICAST-ის კითხვარის გამოყენებით. აღნიშნულმა პროცესმა 1100 ბავშვი მოიცვა ზოგადი მოსახლეობიდან და 550 ბავშვი იძულებით გადაადგილებულ პირთა კოლექტიური ცენტრებიდან (სადაც 150 და მეტი ადამიანი ცხოვრობს). კითხვარი ასევე იძლევა შესაძლებლობას, შეგროვდეს მონაცემები ქცევის პოზიტიური მართვის მიდგომების შესახებ და უსვამს შეკითხვებს მზრუნველებს იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც არ დაკმაყოფილდა ბავშვის ძირითადი საჭიროებები მზრუნველობის თვალსაზრისით, ასევე შეკითხვებს ბავშვის მიერ განცდილ ნებისმიერ სქესობრივად შეურაცხმყოფელ შემთხვევებთან დაკავშირებით მათი ინფორმირებულობის შესახებ.

შერჩევა იმგვარად შემუშავდა, რომ უზრუნველყოფილიყო აღნიშნული ორი მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლობითი ნიმუში. მონაცემები შეგროვდა ოჯახში ერთ ბავშვზე (საინდექსო ბავშვი).

შერჩევის მახასიათებლები

შერჩევის მახასიათებლები მოცემულია 3.1 ცხრილში.

**ცხრილი 3.1: საინდექსო ბავშვების მახასიათებლები
(სქესი, ადგილმდებარეობა და ეკონომიკური ჯგუფი)**

| მიზნ. ჯგუფები | სქესი | | | | ადგილმდებარეობა | | | | ეკონომიკური ჯგუფი | | | | | |
|---|-------|------|-----|------|-----------------|------|---------|------|-------------------|------|---------|------|--------|------|
| | მამრ | | მდე | | თბილისი | | რეგიონი | | დაბალი | | საშუალო | | მაღალი | |
| | N | % | N | % | N | % | N | % | N | % | N | % | N | % |
| ზოგადი მოსახლეობა N = 1100 | 541 | 49.2 | 559 | 50.8 | 264 | 24.0 | 836 | 76.0 | 174 | 15.8 | 629 | 57.2 | 297 | 27 |
| იძულებით გადაადგილებული პირები N = 550 | 274 | 49.8 | 276 | 50.2 | 220 | 40.0 | 330 | 60.0 | 176 | 32 | 302 | 54.9 | 72 | 13.1 |
| ზოგადად თემი N = 1650 | 815 | 49.4 | 835 | 50.6 | 484 | 29.3 | 1166 | 70.7 | 350 | 21.2 | 931 | 56.4 | 369 | 22.4 |

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფრო დიდი რაოდენობა თბილისიდან იყო, რაც ასახავს დედაქალაქში იძულებით გადაადგილებულ პირთა კოლექტიური ცენტრების კონცენტრაციას. როგორც ზოგადი მოსახლეობის, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯგუფებში შერჩევის ნახევარზე მეტი წარმომადგენდა საშუალო ეკონომიკურ ჯგუფს (კლასიფიკაციისათვის იხ. დანართი 3). მთლიანი შერჩევის ორი მესამედი ცხოვრობდა ქალაქის ტერიტორიებზე, მათ შორის თბილისში, ხოლო ერთი მესამედი – სასოფლო ტერიტორიებზე, რაც საქართველოს მოსახლეობის განაწილებას ასახავს.

ცხრილი 3.2 გვიჩვენებს კომბინირებულ მიზნობრივი ჯგუფების ასაკობრივ განაწილებას.

ცხრილი 3.2: ასაკობრივი განაწილება

| ასაკი | % |
|-------|------|
| 0<1 | 4.6 |
| 1 | 6.9 |
| 2 | 9.6 |
| 3 | 8.9 |
| 4 | 9.3 |
| 5 | 9.0 |
| 6 | 9.1 |
| 7 | 9.2 |
| 8 | 8.7 |
| 9 | 9.1 |
| 10 | 15.6 |

ბავშვთა 73.4%-ს ჰყავდა და ან ძმა, 29.4% საკუთარ და-ძმებს შორის ყველაზე უფროსი, ხოლო 35.4% - ყველაზე უმცროსი იყო.

რესპონდენტთა და სხვა მზრუნველთა ვინაობა

შერჩევაში რესპონდენტთა 88.4% იყვნენ დედები, 8.1% - მამები და 3.1% - ბებიები, ხოლო დანარჩენი რესპონდენტები წარმოდგენილი იყვნენ სხვა ნათესავების სახით. რესპონდენტთა 83.7%-მა (N=1 382) აღნიშნა, რომ ბავშვთან რეგულარულ კონტაქტში ერთი ან მეტი სხვა მზრუნველი იმყოფებოდა: მამები ამ ბავშვთა 82%-სათვის, ბებიები 36.6%-სათვის და დედები 11.4%-სათვის. 5.1%-ის შემთხვევაში სხვა მზრუნველები იყვნენ ბაბუები, თუმცა ზოგიერთმა რესპონდენტმა ასევე დაასახელა მდებარეობითი და მამრობითი სქესის სხვა ნათესავთა ფართო სპექტრი. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი შერჩევის 97.9%-ზე დედები ზრუნავდნენ, მრავალ ბავშვს გააჩნდა სხვადასხვა „სხვა“ მზრუნველი, ვისაც რეგულარული კონტაქტი ჰქონდა ბავშვებთან და რომელთაგან ნებისმიერს შესაძლოა გააჩნდეს საკუთარი შეხედულებები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოვექცეთ ბავშვს. სავსებით შესაძლებელია, რომ ბებიები და ბაბუები მხარს უჭერდნენ დისციპლინის დამყარებისა და დასჯის იმავე მეთოდების გამოყენების გაგრძელებას, რასაც ისინი ბავშვების მშობელთა ბავშვობაში იყენებდნენ. ამან შესაძლოა გამოიწვიოს ბავშვთა აღზრდის როგორც პოზიტიური, ისე მავნე პრაქტიკის გადაცემა ერთი თაობის მიერ მეორისათვის.

რეკომენდაცია:

- ცნობიერების ამაღლების/საგანმანათლებლო კამპანია, რომელიც ეხება ბავშვთა აღზრდის მეთოდებს, არ უნდა იყოს მიმართული მხოლოდ დედებზე და, უფრო მეტიც, მხოლოდ მშობლებზე.

გამოყენებული დისციპლინური მეთოდები

კითხვარის იმ ნაწილის მიზანი, რომელიც დისციპლინის დამყარებისა და დასჯის გამოყენებას ეხება, იყო, მოეპოვებინა ინფორმაცია ძირითადი მზრუნველისგან (რესპონდენტისგან) იმასთან დაკავშირებით, თუ რა მეთოდებს იყენებენ თავად ის და სხვა რეგულარული მზრუნველები, რათა ბავშვს ასწავლონ მართებულად ქცევა ან მოაგვარონ ქცევასთან დაკავშირებული პრობლემა. ქმედებები, რომლებთან დაკავშირებითაც კითხვები ისმებოდა, ფართო სპექტრს მოიცავდა, პოზიტიური მართვის ხერხებით დაწყებული ისეთი ქმედებების ჩათვლით, რომელთაც შეუძლიათ გარკვეულ პირობებში ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი მიაყენონ ბავშვს და რომლებიც შესაბამისად ძალადობრივად ითვლება (ფიზიკური და ემოციური ძალადობის განმარტებისათვის იხ. სქოლიოები პირველ თავში). რესპონდენტთა ძალზე მცირე რაოდენობამ არ გასცა პასუხი რომელიმე შეკითხ-

ვას. მათ სთხოვეს, აღნიშნათ, ჰქონდა თუ არა აღწერილ ქმედებებს ადგილი გასული წლის განმავლობაში და, თუ ჰქონდა, რამდენად ხშირად.

პასუხები პოზიტიური მიდგომების შესახებ

როდესაც დასმული იქნა შეკითხვა პოზიტიური მართვის მეთოდების შესახებ, რომლებსაც ჩვეულებრივ იყენებენ ბავშვთა ცუდი საქციელის გაკონტროლებისათვის, მთელი შერჩევის 90.8%-მა განაცხადა, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში ისინი და/ან სხვა მზრუნველები იყენებდნენ ერთს ან მეტს აღნიშნული მეთოდებიდან. ზემოაღნიშნული ციფრი მოიცავდა ზოგადი მოსახლეობის 89.8%-ს და იძულებით გადაადგილებულ პირთა 92.7%-ს (არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება¹²).

პოზიტიური მართვის მეთოდები დეტალურად

3.3 ცხრილში დეტალურად არის ჩამოთვლილი მზრუნველთა (როგორც ზოგადი მოსახლეობის, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯგუფებიდან) მიერ გასული წლის განმავლობაში გამოყენებული პოზიტიური მართვის მეთოდები. ეს შედეგები გვიჩვენებს, რომ საქართველოში მშობელთა უმრავლესობამ იცის პოზიტიური მართვის მეთოდების არსებობის შესახებ და მათი გამოყენების სურვილი გააჩნია.

ცხრილი 3.3: პოზიტიური მართვა (% გასულ წელს)


| პოზიტიური მართვა | რესპონდენტების მიერ | სხვების მიერ |
|--|---------------------|--------------|
| | % | % |
| ქმედებები | | |
| აუხსნა ბავშვს, რას ცუდ რამეს აკეთებდა - შეკითხვა 8 ¹³ | 82.8 | 77.0 |
| უთხრა ბავშვს, დაეწყო ან შეეწყვიტა რაიმეს გაკეთება – შეკითხვა 9 | 83.2 | 75.5 |
| მისცა მას რაიმე სხვა გასაკეთებლად (ყურადღება გადაატანინა) - შეკითხვა 13 | 71.9 | 59.3 |
| ჩამოართვა პრივილეგიები ან ფული, აუკრძალა რაიმე [სახელი], რაც მოსწონდა, ან სახლიდან გასვლა აუკრძალა – შეკითხვა 28 | 36.2 | 22.5 |

ბიჭებისა და გოგონების შემთხვევაში პოზიტიური მეთოდების გამოყენებისას სტატისტიკური განსხვავებები არ აღინიშნა. როგორც მოსალოდნელი იყო (დიაგრამა 1), ასეთი მეთოდების — რომელთაგან ზოგიერთი ვერბალურ აღქმასა და ბავშვთან ლოგიკის გამოყენებას მოითხოვს — ზოგადი გამოყენების სიხშირე ასაკთან ერთად იზრდებოდა (აღნიშნულის მნიშვნელობა დაადასტურა რეგრესიულმა ანალიზმა $p=0.00$). ყურადღების გადატანის მეთოდები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია უფრო მცირე ასაკის ბავშვებთან, იმდენად ხშირად არ გამოიყენებოდა, როგორც მეთოდები, რომლებიც მშობელთა მიერ სიტყვიერ განმარტებას მოითხოვენ.

¹² ფიშერის ზუსტი ტესტის გამოყენება (ორმრივი) – მნიშვნელობის დონე <0.05

¹³ შეკითხვის ნომერი ICASI-ის მშობელთა კითხვარში მოცემული შეკითხვის ნომერს შეესაბამება.

დიაგრამა 3.1: პოზიტიური მიდგომების გამოყენება ასაკის მიხედვით (n=1650)



როდესაც, ინტერვიუს დასასრულს, მშობლებს მიეცათ საშუალება, ღია კითხვაზე პასუხის გზით საკუთარი შეხედულებები გამოეხატათ იმ მეთოდების შესახებ, რომლებიც მათ ყველაზე წარმატებულად მიაჩნდათ, მათ კიდევ ერთხელ გამოამყვანეს პოზიტიური მეთოდების გამოყენების სურვილი და მხოლოდ უმცირესობამ (3.9%) ახსენა უშუალოდ სასჯელი. პასუხები მოიცავდა ხშირ კომუნიკაციას/ახსნა-განმარტებას (31.4%), ტოლერანტობას (14.1%), ზომიერ დასჯას (14.1%) და ბავშვთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებას (10.9%). სხვა მიდგომები იყო რელიგიური მიდგომის გამოყენება, ბავშვების რაიმეთი დასაქმება, მათ მიმართ ისე მოქცევა, როგორც უფროსების მიმართ, „სპოკის“ მიდგომის გამოყენებას, როდესაც მამა აქტიურად არის ჩართული პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებით მშობელთა შეხედულებების შემდგომი შესწავლა სცდებოდა ამ კვლევის ფარგლებს, მან გვიჩვენა, რომ მშობლებს (და სხვა მზრუნველებს) გააჩნიათ სურვილი და ნება, სცადონ პოზიტიური მართვის მეთოდები, რომლებიც მიმართულია მათი ბავშვების კარგი ქცევის ნახალისებაზე.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური სასჯელის გამოყენება

ცხრილი 3.4 აჯამებს რესპონდენტთა პასუხებს გასულ წელთან დაკავშირებით. მთლიანობაში, საინდექსო ბავშვთა 79.8%-მა განიცადა ფიზიკური სასჯელი, ხოლო 82.3%-მა – ფსიქოლოგიური სასჯელი.

ცხრილი 3.4: ოჯახებში რესპონდენტთა და/ან სხვა მზრუნველთა მიერ გამოყენებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური სასჯელების შეჯამება (გასულ წელს)

| მიზნობრივი ჯგუფები | ფიზიკური დასჯა | | ფსიქოლოგიური დასჯა | |
|--|----------------|------|--------------------|------|
| | N | % | N | % |
| ზოგადი მოსახლეობა N = 1100 | 878 | 79.8 | 916 | 83.3 |
| იძულებით გადაადგილებული პირები N = 550 | 438 | 79.6 | 442 | 80.4 |
| სულ (ზოგადი მოსახლეობა და იძულებით გადაადგ. პირები) N = 1650 | 1316 | 79.8 | 1358 | 82.3 |
| P მნიშვნელობა | 0.948 | | 0.151 | |

მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებლები მაღალია, ისინი შეესაბამება მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მიღებულ შედეგებს, ასევე არსებულ მონაცემებს საქართველოდან და რეგიონის სხვა ქვეყნებიდან (იხ. ნაწილი „ზოგადი ინფორმაცია“).

მაღალი მაჩვენებლები ასევე ნიშნავს, რომ მრავალი იმ მზრუნველთაგან, ვინც პოზიტიურ მიდგომებს იყენებდა, სხვადასხვა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ სასჯელსაც მიმართავდა. ეს, ერთი შეხედვით, ურთიერთსაპირისპირო შედეგი შეესაბამება 2005 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემთა შედეგებს (საქართველო, მრავალინდიკატორული კვლევა, 2005). აღნიშნული კვლევის შესაბამისად, იმის მიუხედავად, რომ გამოკითხული 4240 დედის 87.3%-ს არ მიაჩნდა მართებულად ბავშვების ფიზიკურად დასჯა, მათი ბავშვების მხოლოდ 17.5%-ის მიმართ იქნა გამოყენებული მხოლოდ არაძალადობრივი დისციპლინური მეთოდები მზრუნველთა მიერ გასული თვეების განმავლობაში. ანალოგიურად, ილტუსის მიერ განხორციელებულმა კვლევამ (2005) აჩვენა, რომ თუმცა მშობელთა უმეტესობას მიაჩნდა, რომ ფიზიკური სასჯელი არ იყო აუცილებელი, ისინი მას მაინც იყენებდნენ. ყველა კვლევის შედეგები ახდენს იმ დილემის ილუსტრირებას, რომლის წინაშეც მრავალი მშობელი (და სხვა მზრუნველი) დგას: როგორ წავახალისოთ კარგი ქცევა და შევზღუდოთ ცუდი ქცევა სადამსჯელო საშუალებების გამოყენებლად.

რეკომენდაცია:

- მზრუნველებს ესაჭიროებათ მუდმივი ნახალისება და მხარდაჭერა, რათა გამოიყენონ აღნიშნული მეთოდები, ასევე რჩევა იმის თაობაზე, თუ რა ილონონ მაშინ, როდესაც ვერ ცვლიან ბავშვის ქცევას.

ისევე, როგორც პოზიტიური მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, ფიზიკური და ფსიქოლოგიური სასჯელის გამოყენების მაჩვენებლებშიც არ არსებობდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ზოგადი მოსახლეობისა და იძულებით გაადგილებულ პირთა პასუხებს შორის. აქედან გამომდინარე, გამოყენებული სასჯელების დეტალური ჩამონათვალი რესპონდენტთა ორივე ჯგუფის პასუხების კომბინაციას მოიცავს.

ფიზიკური სასჯელი

3.5 ცხრილში ჩამოთვლილია გასული წლის განმავლობაში თავად რესპონდენტთა და სხვა მზრუნველთა მიერ გამოყენებული ფიზიკური სასჯელები.

ცხრილი 3.5: ფიზიკური სასჯელი გასული წლის განმავლობაში

| ფიზიკური დასჯა | რესპონდენტების მიერ N=1650 | | სხვების მიერ N=1382 | |
|--|-------------------------------|------|------------------------|------|
| | N | % | N | % |
| ქმედებები | | | | |
| საჯდომზე შიშველი ხელით გატყეპვა. შეკითხვა 24 | 854 | 51.7 | 291 | 21.1 |
| შენჯღრევა. შეკითხვა 10 | 761 | 46.1 | 339 | 24.5 |
| ყურის აწევა. შეკითხვა 14 | 723 | 43.8 | 303 | 21.9 |
| თმის მოქაჩვა. შეკითხვა 16 | 720 | 43.7 | 228 | 16.5 |
| ჩქმეტა. შეკითხვა 30 | 460 | 27.9 | 140 | 10.1 |
| მუდმივად ცემა რაიმე საგნით ან მუშტით („გალახვა“). შეკითხვა 36 | 355 | 21.5 | 123 | 8.9 |
| სახეში ან კეფაზე ხელის წამორტყმა. შეკითხვა 31 | 339 | 20.6 | 83 | 6.0 |
| საჯდომზე ცემა ისეთი საგნით, როგორცაა ჯოხი, ცოცხი, წკეპლა ან ქამარი. შეკითხვა 11 | 319 | 19.3 | 137 | 9.9 |
| სადმე სხვაგან (არა საჯდომზე) დარტყმა ისეთი საგნით, როგორცაა ჯოხი, ცოცხი, წკეპლა ან ქამარი. შეკითხვა 12 | 148 | 9.0 | 72 | 5.2 |
| თავზე დარტყმა თითის სახსრით ან ხელუკუღმა. შეკითხვა 15 | 75 | 4.5 | 15 | 1.1 |
| საჭმლის არ მიცემა დასჯის სახით. შეკითხვა 33 | 57 | 3.5 | 11 | 0.8 |
| იძულებით დაჩოქება ან დადგომა ისე, რომ ამან ტკივილი გამოიწვიოს. შეკითხვა 22 | 53 | 3.2 | 17 | 1.2 |
| ბნელ ოთახში ჩაკეტვა. შეკითხვა 38 | 45 | 2.7 | 22 | 1.6 |
| ფეხის კვრა. შეკითხვა 20 | 10 | 0.6 | 6 | 0.4 |
| დახრჩობა ან ყელში ხელების (ან სხვა რამის) წაჭერა. შეკითხვა 25 | 7 | | 1 | |
| დანვა, დამდულვრა ან დაშანთვა. შეკითხვა 35 | 6 | | 7 | |
| დანით ან იარაღით დამუქრება. შეკითხვა 37 | 6 | | 0 | |
| პირში წინაკის ან სანელებლებიანი საჭმლის ჩადება. შეკითხვა 21 | 4 | | 2 | |
| ხელის ან ბალიშის დაფარება სუნთქვის შესაწყვეტად. შეკითხვა 34 | 1 | | 0 | |

ამ კვლევის ფარგლებში მონაცემთა ანალიზი არ გვანვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენი ბავშვი დაისაჯა ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად როგორც რესპონდენტის, ასევე სხვა მზრუნველის მიერ. სხვა მზრუნველთა მიერ დასჯის ზოგადი ტენდენციები და მოდელები რესპონდენტთა მიერ გამოყენებული სასჯელების მსგავსი იყო, თუმცა მაჩვენებლები უფრო დაბალი გახლდათ. ეს არ არის გასაკვირი, ვინაიდან მზრუნველთა უმეტესობას ნაკლები კონტაქტი ჰქონდა ბავშვთან, ვიდრე რესპონდენტებს.

ზოგიერთი აღწერილი ქმედება, უფრო სავარაუდოდ, დისციპლინის დამყარების ნინასწარ მოფიქრებული ფორმა იყო, ხოლო სხვა ქმედებები ალბათ პროვოცირებული იყო ბავშვის ქცევით გამოწვეული გაღიზიანებით ან ბრაზით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქმედება შეიძლება „უნყინრად“ ჩაითვალოს, ყველა მათგანი მოიცავს ბავშვისადმი მიმართულ გარკვეულ ფიზიკურ ძალადობას, ხოლო მრავალი ეს ქმედება შეიძლება აღქმული იყოს როგორც სასტიკი ან დამამცირებელი. გარდა ამისა, არსებობს იმის საშიშროებაც, რომ ფიზიკური დასჯა უფრო სერიოზულ ძალადობაში გადავა (გრაციანო, 1994).

კვლევის შედეგად ჩანს, რომ თვითონ ბავშვები შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში კატეგორიულად არ ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ფიზიკურმა სასჯელმა შეიძლება რაიმე პოზიტიური შედეგი მოიტანოს. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რამდენად მტკივნეული და დამამცირებელია, როდესაც მათ ურტყამს ადამიანი, რომელიც მათადმი სიყვარულს და მზრუნველობას უნდა იჩენდეს¹⁴ (იხ. ასევე უილოუ და ჰაიდერი, 1998).

უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, საქართველოს მთავრობამ, გაერო-ს კვლევისათვის განკუთვნილი კითხვარის საპასუხოდ, მიუთითა, რომ აკრძალულია ფიზიკური სასჯელის ყველა ფორმა ოჯახებში, ფიზიკური სასჯელის გამოყენების თაობაზე გარკვევით ჩამოყალიბებული საკანონმდებლო აკრძალვა არ არსებობს¹⁵. ევროპის სხვა ქვეყნებში არსებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფიზიკური სასჯელის გამოყენების იურიდიული აკრძალვა უფრო მისაღები და ძალაში გასატარებლად იოლია, როდესაც მას წინ უძღვის ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომელიც ეხება არა მარტო თავად აკრძალვას, არამედ მშობლებს სთავაზობს ალტერნატიულ გზებს იმისათვის, რომ მათ საკუთარი ბავშვების კარგი ქცევა წაახალისონ (დურანტი, 2000).

რეკომენდაციები:

- საჭიროა, რომ პროფესიონალებსა და საზოგადოებაში ჩატარდეს დებატები ბავშვთა ფიზიკურად დასჯის საკითხზე;
- მშობლებსა და სხვა მზრუნველებს ესაჭიროებათ ტრენინგი და მხარდაჭერა ფიზიკური სასჯელის ალტერნატივების გამოყენების საკითხებში;
- განხილული უნდა იქნეს ისეთი კანონმდებლობის მიღების საკითხი, რომელიც გაამყარებს მთავრობის მტკიცე პოზიციას ფიზიკური სასჯელის აკრძალვის კუთხით. კანონმდებლობამ კონკრეტულად უნდა აკრძალოს ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოყენება, მაშინაც კი, როდესაც მას დისციპლინის დამყარების მეთოდის სახით მიმართავენ.

რესპონდენტთა მიერ აღწერილი ყველაზე გავრცელებული სასჯელი იყო ბავშვის საჯდომზე გატყეპვა (ცემა) შიშველი ხელით და რესპონდენტთა 51.7%-მა აღნიშნა, რომ დასჯის ეს ფორმა გამოიყენა სულ მცირე ერთხელ გასული წლის განმავლობაში, ხოლო 15.7%-მა აღნიშნა, რომ ასეთი დასჯის 10-ზე მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. აღინიშნა, რომ სხვა მზრუნველთა 21.1%-მა ასევე სცემა ბავშვს ასეთი სახით, რაც 4.5%-მა 10-ზე მეტჯერ გააკეთა. 3.5ა ცხრილი გვიჩვენებს როგორც რესპონდენტების, ასევე სხვა მზრუნველების მხრიდან ამ სასჯელის გამოყენების სიხშირეს.

¹⁴ კვლევა, რომელიც განახორციელა ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children), გაერო-ს კვლევისათვის

¹⁵ „ბავშვთა წინააღმდეგ ლეგალიზებული ძალადობის დასრულება: გლობალური ანგარიში“, 2007

ცხრილი 3.5ა: ბავშვის საჯდომზე შიშველი ხელით გატყეპვის სიხშირე (%)

| | ერთხელ ან ორჯერ | 3-5-ჯერ | 6-10-ჯერ | > 10-ჯერ | გასულ წელს არა, მაგრამ საერთოდ კი | არასოდეს გაუკეთებია | არ შეესაბამება |
|---------------------------|-----------------|---------|----------|----------|-----------------------------------|---------------------|----------------|
| რესპონდენტი N= 1650 | 12.9 | 14.4 | 8.7 | 15.7 | 5.5 | 42.4 | 0.4 |
| სხვა მზრუნველი N= 1382 | 7.3 | 5.9 | 3.4 | 4.5 | 3.0 | 75.2 | 0.8 |

ასევე ხშირად აღინიშნებოდა ყურის აწევა და თმის მოქაჩვა (43.8% და 43.7%). საინტერესოა, რომ უფრო დიდი ასაკის ბავშვებმა აღნიშნეს თმაზე მოქაჩვა და ყურის აწევა, როგორც ოჯახის გარემოში მათ მიმართ ფიზიკური ძალადობის ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმა (იხ. შემდეგი ნაწილი).

ანგარიშები ასევე მოიცავდა ისეთი სასჯელის მაგალითებს, რომლებმაც მაღალი ალბათობით შეიძლება გამოიწვიონ ფიზიკური დაზიანება და რომლებიც შეიძლება ბავშვის შეურაცხყოფად იქნეს განხილული. რესპონდენტთა ერთ მეხუთედზე ოდნავ მეტმა (21.5%) აღნიშნა, რომ მათ არაერთხელ დაურტყამთ ბავშვისათვის (სიხშირესთან დაკავშირებით იხ. ცხრილი 3.5ბ). ეს შეიძლება იყვნენ მზრუნველები, რომლებიც კარგავდნენ კონტროლს ბავშვის დასჯის მცდელობისას. 19.5%-მა აღნიშნა გარკვეული საგნის გამოყენება ბავშვის საჯდომზე საცემად, ხოლო 9%-მა – ბავშვის სხეულის სხვა ნაწილზე საცემად. აღნიშნული შედეგები შეესაბამება მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც საქართველოში (2-დან 14 წლამდე ასაკის) ბავშვთა 19% განიცდიდა მკაცრ ფიზიკურ დასჯას უკანასკნელი თვის განმავლობაში (ჩვენი კვლევა შეკითხვას გასულ წელთან დაკავშირებით სვამდა).

ცხრილი 3.5ბ: ბავშვის რაიმე საგნით ან მუშტით არაერთხელ ცემა („გალახვა“) (%)

| | ერთხელ ან ორჯერ | 3-5-ჯერ | 6-10-ჯერ | > 10-ჯერ | გასულ წელს არა, მაგრამ სხვა დროს გაუკეთებია | არასოდეს გაუკეთებია | არ შეესაბამება |
|--------------------------|-----------------|---------|----------|----------|---|---------------------|----------------|
| რესპონდენტი მზრუნველი | 10.1 | 4.1 | 3.5 | 3.9 | 2.7 | 75.1 | 0.7 |
| სხვა მზრუნველი | 4.4 | 2.0 | 1.1 | 1.4 | 1.3 | 89.0 | 0.8 |

ასევე აღინიშნებოდა სხვა „სასჯელები,“ რომლებიც შემოფოთებას იწვევს. რვა რესპონდენტმა აღიარა, რომ ჰქონია ბავშვის დახრჩობის ან გაგუდვის მცდელობა (შეკითხვები 24 და 25), ხოლო ექვსმა აღნიშნა, რომ ბავშვისათვის დამწვრობა მიუყენებია (შეკითხვა 35). გამოკითხვის შედეგების თანახმად, სხვა მზრუნველები ასევე იყენებდნენ დასჯის ამ მძიმე მეთოდებს; 7 ბავშვს დამწვრობა მზრუნველებმა მიაყენეს.

ბავშვთა მიმართ შესაძლო ძალადობის კუთხით განსაკუთრებულ შემოფოთებას იწვევენ ის ბავშვები, რომლებსაც გარკვეული საგნებით სცემდნენ, ხშირად სცემდნენ, რომლებსაც მიაყენეს დამწვრობა, ახრჩობდნენ ან გუდავდნენ. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი ქმედებების შესახებ პროფესიონალებს რომ შეეცყოთ, ეს ბავშვთა მიმართ ძალადობის თაობაზე გამოძიების დაწყებას გამოიწვევდა.

რეკომენდაციები:

- საჭიროა, არსებობდეს ბავშვთა დაცვის სისტემა¹⁶, რომელიც მოიცავს ზოგადად საზოგადოებაში ბავშვთა მიმართ სავარაუდო ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებას და გამოძიებას;
- ასეთი სისტემა ადვილად გასაგები და მისაწვდომი უნდა იყოს ბავშვებისათვის, ოჯახებისათვის, საზოგადოებისა და პროფესიონალებისათვის;
- პროფესიონალებს დასჭირდებათ ტრენინგი ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებისა და პრევენციის საკითხებში;
- უნდა შემუშავდეს საზოგადოებრივი მომსახურებები, რათა მოხდეს რეაგირება ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებებზე, მოხდეს, აგრეთვე, ძალადობის პრევენცია იმ შემთხვევებში, როდესაც თემის ფარგლებში შესაბამისი მაღალი რისკია იდენტიფიცირებული.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გამოიკვეთა კვლევის შედეგად, არის მზრუნველთა მიერ ბავშვების შენჯღრევის მაღალი მაჩვენებელი. რესპონდენტთა 46%-მა აღნიშნა გასული წლის განმავლობაში ბავშვის შენჯღრევის შემთხვევები, ხოლო ბავშვთა 24.5%-ს სხვა მზრუნველები ანჯღრევდნენ. რესპონდენტთა 14.3%-მა აღნიშნა, რომ მათ გასული წლის განმავლობაში ბავშვი 10-ზე მეტჯერ შეაწვინეს. ბავშვის, განსაკუთრებით კი მცირე ასაკის ბავშვის შენჯღრევა პოტენციურად სახიფათოა და თუ ეს ძალადობრივად ხდება, ამას შეიძლება თავის ტვინის დაზიანება მოჰყვეს (გუთ-კელჩი, 1971). აღნიშნულ ფაქტს შესაძლოა ვერ ათვითცნობიერებდნენ მზრუნველები ან ზოგიერთი პროფესიონალიც კი. მაგალითად, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა შენჯღრევას უმნიშვნელო ფიზიკური სასჯელის კატეგორიაში ახვედრებს. თუმცა ეს შესაძლოა მართებული იყოს უფრო დიდი ასაკის ბავშვებისათვის (შერჩევა მოიცავდა 2 წლის ასაკზე უფროს ბავშვებს), ეს ასე არ არის ჩვილი ბავშვებისა და იმ ბავშვების შემთხვევაში, რომელთაც სიარული ახალი დანყებული აქვთ.

არსებობს ფართო გამოცდილება, რომელიც შეგვიძლია მოვიპოვოთ სხვა წყაროებიდან და გამოვიყენოთ ისეთი კამპანიის შემუშავების პროცესში, რომელიც ეუბნება მშობლებს, რომ „არასოდეს არ შეიძლება ბავშვის შენჯღრევა“ (NSPCC, 1998; დიასი და სხვები, 2005). ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ სიკვდილის გამომწვევი ძალადობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ბავშვის სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში, ხოლო არალეიტალური ძალადობის, მათ შორის შენჯღრევის, შედეგებმა შესაძლოა ხშირად გამოიწვიონ უნარშეზღუდულობა მთელი ცხოვრების მანძილზე.

რეკომენდაციები:

- უნდა ჩატარდეს მონაცემთა შემდგომი კვლევა, რათა დადგინდეს მცირე ასაკის (ორ წელიწადზე ნაკლები ასაკის) ბავშვების შენჯღრევისა და მათ მიმართ სხვა სახის ძალადობის გამოყენების სიხშირე;
- უნდა ჩატარდეს საინფორმაციო კამპანია პროფესიონალებისათვის და საზოგადოებისათვის ჩვილი და მცირეწლოვანი ბავშვების შენჯღრევასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ.

ფსიქოლოგიური სასჯელი

რესპონდენტთა მიერ აღნიშნული ფსიქოლოგიური სასჯელები 3.6 ცხრილშია მოცემული. აღნიშნულ ქმედებათა უმეტესობა დროდადრო გამოიყენება მრავალი მშობლის მიერ, თუმცა თუ ისინი ხშირად და ფიზიკურ სასჯელთან ერთად გამოიყენება, ამან შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ბავშვის ემოციურ განვითარებაზე, რაც დაბალი თვითშეფასებისა და უსარგებლობის შეგრძნებებს გამოიწვევს. მშობლები ხშირად ვერ ათვითცნობიერებენ, რომ მათი ქმედებები შესაძლოა ზიანის მომტანი იყოს ბავშვისათვის.

¹⁶ შეთანხმებული პროცედურა, რომელიც უნდა განხორციელდეს ძალადობის თაობაზე ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მოიცავს საჩივრის შესატან ადგილს.

ცხრილი 3.6: ფსიქოლოგიური სასჯელის სახეები გასული წლის განმავლობაში

| ქმედებები | რესპონდენტების მიერ N= 1650 | | სხვების მიერ N=1382 | |
|--|--------------------------------|------|------------------------|------|
| | N | % | N | % |
| დაუყვირა, დაულრიალა ან დაუკივლა ბავშვს. შეკითხვა 18 | 1239 | 75.1 | 687 | 49.7 |
| შეურაცხყოფა მიაყენა ისეთი სახელების დაძახებით, როგორცაა შტერო, ზარმაცო და სხვ. შეკითხვა 29 | 514 | 31.2 | 208 | 15.1 |
| დანყევლა. შეკითხვა 23 | 492 | 29.8 | 113 | 8.2 |
| დაემუქრა, რომ მიატოვებდა. შეკითხვა 17 | 452 | 27.4 | 174 | 12.6 |
| არ ელაპარაკებოდა. შეკითხვა 32 | 410 | 24.9 | 196 | 14.2 |
| დაემუქრა, რომ გამოიძახებდა აჩრდილებს, ბოროტ სულებს ან ბოროტ ადამიანებს. შეკითხვა 19 | 330 | 20.0 | 145 | 10.5 |
| დაემუქრა, რომ სახლიდან გააგდებდა ან დიდი ხნით სადმე გააგზავნიდა. შეკითხვა 26 | 192 | 11.6 | 65 | 4.7 |
| დასჯის მიზნით საჯაროდ ამცირებდა. შეკითხვა 39 | 101 | 6.1 | 36 | 2.6 |
| სახლში არ შემოუშვა. შეკითხვა 27 | 66 | 4.0 | 25 | 1.8 |

ქმედება, რომელიც სხვებთან შედარებით გაცილებით ხშირად აღინიშნებოდა, იყო ბავშვისთვის დაყვირება, დალრიალება ან დაკივლება. რესპონდენტთა სამმა მეოთხედმა აღნიშნა, რომ მათ ეს გაკეთებული ჰქონდათ გასული წლის განმავლობაში, ხოლო 30.6%-მა აღნიშნა, რომ ეს 10-ზე მეტჯერ გააკეთა (ცხრილი 3.6ა). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა თითქმის ერთმა მეოთხედმა განაცხადა, რომ ისინი საკუთარ ბავშვებს ასე არასოდეს ექცევიან.

ცხრილი 3.6ა: დაყვირება, დალრიალება ან დაკივლება (შეკითხვა 18)

| | ერთხელ ან ორჯერ | 3-5-ჯერ | 6-10-ჯერ | >10-ჯერ | გასულ წელს არა, მაგრამ საერთოდ კი | არასოდეს გაუკეთებია ეს | არ შეესაბამება |
|-----------------------|-----------------|---------|----------|---------|-----------------------------------|------------------------|----------------|
| რესპონდენტი მზრუნველი | 13.9 | 16.6 | 13.6 | 30.6 | 0.7 | 24.1 | 0.1 |
| სხვა მზრუნველი | 14.0 | 13.8 | 8.5 | 13.5 | 1.4 | 48.4 | 0.5 |

რიგით მეორე ყველაზე ხშირად აღნიშნული ქმედება იყო ბავშვისთვის დამამცირებელი სახელების დაძახება მისი შეურაცხყოფის მიზნით. ცხრილი 2.5ბ აღნიშნული ქმედების სიხშირეს გვიჩვენებს.

როდესაც ბავშვზე გარკვეული ქმედებების ზეგავლენას განვიხილავთ, უნდა გვახსოვდეს, რომ საქმე გვაქვს ათი წლის და ნაკლები ასაკის ბავშვებთან. არსებობს მაღალი ალბათობა, რომ ზემოთ აღწერილმა მრავალმა ქმედებამ მცირე ასაკის ბავშვებში შიში გამოიწვიოს, თუმცა, რა თქმა უნდა, სწორედ ეს შეიძლება იყოს მშობლის ან სხვა მზრუნველის განზრახვა. მუქარა, რომ ბავშვს მივატოვებთ, სახლიდან შორს გავაგზავნიან ან სახლში აღარ შევუშვებთ, პოტენციურად განსაკუთრებით ზიანის მომტანია და ამან შეიძლება ბავშვში დაუცველობის შეგრძნება გამოიწვიოს. მაგალითად, რესპონდენტთა ერთ მეოთხედზე მეტი იყენებდა მიტოვების მუქარას. ბავშვისათვის სახლის კარის

ჩაკეტვამ შესაძლოა ასევე დააყენოს ბავშვი მრავალი ფიზიკური საფრთხის წინაშე და უბიძგოს მას, სახლიდან გაიქცეს. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ კვლევამ გვაჩვენა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას შორის არსებული კავშირი, როდესაც ბავშვი, რომელიც ძალადობის ერთ-ერთ აღნიშნულ ფორმას განიცდის, უფრო მეტი რისკის წინაშე დგას მეორე ფორმის განცდის თვალსაზრისით (მაგ. გლასერი, პრიორი და ლინჩი, 2001; დონგი, 2004).

რეკომენდაციები:

- როგორც პროფესიონალებმა, ისე საზოგადოებამ უნდა გაათვითცნობიერონ ის ზიანი, რომელიც ფსიქოლოგიურმა სასჯელმა შესაძლოა მიაყენოს ბავშვის ემოციურ განვითარებას;
- მუდმივი ფსიქოლოგიური დასჯის მძიმე მაგალითები უნდა განიხილებოდეს როგორც შესაძლო ძალადობა ბავშვის მიმართ;
- ოჯახებისათვის, სადაც ადგილი აქვს სერიოზულ და მუდმივ ფსიქოლოგიურ დასჯას, ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი სტრუქტურები, ფსიქიკური ჯანდაცვის მომსახურების ჩათვლით.

ცხრილი 3.6: ბავშვის შეურაცხყოფა, როდესაც მას უწოდებენ შტერს, ზარმაცს და სხვა დამამცირებელ სახელებს (%)

| | ერთხელ ან ორჯერ | 3-5 -ჯერ | 6-10 -ჯერ | >10 -ჯერ | გასულ წელს არა, მაგრამ საერთოდ კი | არასოდეს გაუკეთებია ეს | არ შეესაბამება |
|-----------------------|-----------------|----------|-----------|----------|-----------------------------------|------------------------|----------------|
| რესპონდენტი მზრუნველი | 10.8 | 9.0 | 5.3 | 6.1 | 0.8 | 67.6 | 0.4 |
| სხვამზრუნველი | 6.2 | 3.9 | 2.5 | 2.4 | 1.4 | 82.8 | 0.7 |

დაკავშირებული ფაქტორები

განსხვავებები სქესისა და ასაკის მიხედვით

შესაძლებელი იყო ფიზიკური და ფსიქოლოგიური სასჯელის დონეების შედარება სქესის მიხედვით (ცხრილი 3.7). სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებას ადგილი არ ჰქონია. 11 წელზე უმცროსი ბავშვების შემთხვევაში მზრუნველები აღნიშნავენ ერთნაირ დისციპლინურ მიდგომებს გოგონებისა და ბიჭებისათვის. ეს შედეგები განსხვავდება მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შედეგებისაგან, რომელთა მიხედვითაც უფრო მეტი ალბათობა იყო, რომ ბიჭების მიმართ გამოყენებულიყო როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური მეთოდები, ვიდრე გოგონების მიმართ. შესაძლებელია, აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა ჩვილებს არ მოიცავდა და მხოლოდ თოთხმეტი წლის ასაკამდე ვრცელდებოდა.


ცხრილი 3.7: განსხვავებები სქესის მიხედვით

| | სულ | | ფიზიკური დასჯა | | ფსიქოლოგიური დასჯა | |
|---------------|------|------|----------------|------|--------------------|------|
| | N | % | N | % | N | % |
| ბიჭი | 815 | 49.4 | 665 | 81.6 | 678 | 83.2 |
| გოგონა | 835 | 50.6 | 651 | 78.0 | 680 | 81.4 |
| სულ | 1650 | 100 | 1316 | 79.8 | 1358 | 82.3 |
| P მნიშვნელობა | | | .075 | | 0.367 | |

დიაგრამა 3.2 განიხილავს ფიზიკური და ფსიქოლოგიური სასჯელის დონეებს ასაკის მიხედვით. რეგრესიული ანალიზი გვიჩვენებს (ცხრილი 3.8), რომ როგორც ფიზიკური (p=0.00), ასევე ფსიქო-

ლოგიური ($p=0.00$) დასჯის სიხშირე ასაკთან ერთად იზრდება. ფიზიკური სასჯელის მაღალი დონეები იწყება პირველი დაბადების დღის შემდეგ, თუმცა ჩვილთა თითქმის ერთი მეხუთედი განიცდის ფიზიკურ დასჯას. ფიზიკური სასჯელის გამოყენება პიკს აღწევს ოთხიდან შვიდ წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, რაც მოიცავს სკოლამდელ პერიოდს და სკოლის დაახლოებით პირველ წელს. ფსიქოლოგიური სასჯელის მაჩვენებელი მაღალი რჩება 11 წლის ასაკამდე. როგორც ჩანს, ფსიქოლოგიური სასჯელი ასევე ხშირად გამოიყენება ერთიდან სამ წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, იზრდება 90%-მდე ოთხ წელიწადზე უფროსი ასაკის ბავშვებში და მაღალი რჩება რვიდან თერთმეტ წლამდე ასაკობრივ ჯგუფში.

დიაგრამა 3.2: სასჯელი ასაკის მიხედვით
(%, რომელიც განიცდის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დასჯას)



ცხრილი 3.8: სასჯელი ასაკის მიხედვით

| ასაკობრივი ჯგუფი (წლები) | სულ | ფიზიკური დასჯა | | ფსიქოლოგიური დასჯა | |
|--------------------------|-----|----------------|------|--------------------|------|
| | | N | % | N | % |
| 0 - 1 | 75 | 14 | 18.7 | 13 | 17.3 |
| 1 - 3 | 524 | 383 | 73.1 | 399 | 76.1 |
| 4 - 7 | 603 | 541 | 89.7 | 543 | 90.0 |
| 8 - 11 | 448 | 378 | 84.4 | 403 | 90.0 |
| R კვადრატი | | .057 | | .086 | |
| P მნიშვნელობა | | .000*** | | .000*** | |

ANOVA(b) * $p<0.05$, ** $p<0.01$, *** $p<0.001$


რეკომენდაციები:

- „მშობელთა“ ცნობიერების ამაღლებისა და განათლების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვთა ადრეული ასაკი, როდესაც ოჯახების მიერ ფიზიკური და ფსიქოლოგიური სასჯელების გამოყენება იწყება;
- პროფესიონალები, რომლებიც მუშაობენ იმ ოჯახებთან, რომელთაც ჰყავთ ჩვილები და მცირეწლოვანი ბავშვები, უნდა ათვისონ ცნობიერებდნენ ამ სასჯელების ადრეულ ასაკში შემოღების ფაქტორს და გავლელი უნდა ჰქონდეთ ტრენინგი, რათა გააუმჯობესონ რჩევა და კონსულტაცია მშობლებს ბავშვთა აღზრდის ალტერნატიულ გზებთან დაკავშირებით. ეს უნდა ეხებოდეს ოჯახის ექიმებს და პოლიკლინიკების პედაგოგებსაც.

განსხვავებები ადგილმდებარეობისა და ეკონომიკური ჯგუფის მიხედვით

მთლიანი შერჩევა შემონდა რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავების არსებობის კუთხით თბილისსა და რეგიონებში, ასევე ქალაქის და სასოფლო ტერიტორიებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური სადისციპლინო მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით. თბილისსა და რეგიონებს შორის არ იქნა აღმოჩენილი მნიშვნელოვანი განსხვავებები, მაგრამ, როგორც დიაგრამა 3 გვიჩვენებს, ნაპოვნი იქნა განსხვავება ქალაქის და სასოფლო ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის როგორც ფიზიკური ($p=002$), ასევე, და კიდევ უფრო მკვეთრად, ფსიქოლოგიური სასჯელის საკითხში ($p=.0005$).

დიაგრამა 3.3: სასჯელი ადგილმდებარეობის მიხედვით (% , რომელიც განიცდის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას)



ამ განსხვავებების გამომწვევი მიზეზები შემდგომ განხილვას საჭიროებს. მართალია, როგორც ქალაქის, ისე სასოფლო ტერიტორიებზე მცხოვრები ყველა ოჯახისათვის ხელმისაწვდომია საყოველთაო მომსახურებები (ჯანდაცვა, განათლება და სოციალური დაცვა), სპეციალისტთა მომსახურების უზრუნველყოფა, როგორცაა ფსიქიკური ჯანდაცვის მომსახურება, პრობლემას წარმოადგენს.

რეკომენდაციები:

- ძალადობის პრევენციის ნებისმიერი ინიციატივების (ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩათვლით) დაგეგმვისას ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ეს ინიციატივები გავრცელდეს სასოფლო ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობასა და მოშორებულ ადგილებში მომუშავე პროფესიონალებზე;
- სპეციალისტთა მიერ ბავშვთა დაცვის მომსახურების უზრუნველყოფა მოშორებულ ადგილებში მცხოვრები მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ანგარიშები უგულებელყოფის შესახებ

რესპონდენტებს სთხოვეს, გაეცათ პასუხი რამდენიმე შეკითხვაზე, რომლებიც ეხებოდა იმ შემთხვევებს, როდესაც, გასული წლის განმავლობაში, არ იქნა დაკმაყოფილებული საინდექსო ბავშვის ძირითადი საჭიროებები. აღნიშნული ანგარიშების შეჯამება მოცემულია 3.9 ცხრილში. ამ შემთხვევაშიც არ გვხვდება მნიშვნელოვანი განსხვავება ზოგად მოსახლეობასა და იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის.

ცხრილი 3.9: უგულებელყოფის შესახებ ანგარიშების შეჯამება

| მიზნობრივი ჯგუფები | უგულებელყოფა | |
|---|--------------|------|
| | N | % |
| ზოგადი მოსახლეობა N = 1100 | 239 | 21.7 |
| იძულებით გადაადგილებული პირები N = 550 | 105 | 19.1 |
| სულ (ზოგ. მოსახლეობა და იძულებით გადაადგ. პირები) N = 1650 | 344 | 20.8 |

უგულებელყოფის შემთხვევები

რესპონდენტ მზრუნველებს სთხოვეს, გაეკეთებინათ კომენტარები სამ სფეროსთან დაკავშირებით: ჯანდაცვა, კვება და სერიოზული უბედური შემთხვევები. შედეგები მოცემულია 3.10 ცხრილში. ყველა აღნიშნული სფერო საჭიროებს შემდგომ განხილვას, ვინაიდან შესაძლოა არსებობდეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯანდაცვის მისანვდომობასთან, ბავშვის ადეკვატურად გამოკვების შესაძლებლობასთან (რაც სცილდება კვლევის კომპეტენციას) და უბედური შემთხვევების პრევენციასთან. მაგალითად, რესპონდენტებმა საკუთარი ნებით მოგვანოდეს ინფორმაცია 86 სერიოზული უბედური შემთხვევის შესახებ, რომელთა პრევენციაც შესაძლებელი იყო. იმ ადამიანებმა, ვინც შეიმუშავეს პოლიტიკას ბავშვთა დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით, ყურადღება უნდა გაამახვილონ მეთვალყურეობის ნაკლებობაზე, რაც უნებლიე დაზიანებებს იწვევს. განსაკუთრებით დაუცველნი არიან ბავშვები სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების მქონე ოჯახებიდან (ლაინგი და ლოგანი, 1999; ფელკერი, 2000).

რეკომენდაცია:

- საჭიროა მუშაობა პროფესიონალებსა და მშობლებთან უბედური შემთხვევების პრევენციის საკითხებზე.

ცხრილი 3.10: უგულებელყოფის შემთხვევები

| უმოქმედება | N | % |
|---|-----|------|
| არ უზრუნველყო საჭირო სამედიცინო დახმარება. შეკითხვა 40 | 159 | 9.6 |
| არ მისცა საჭირო საკვები ან სითხე. შეკითხვა 41 | 199 | 12.1 |
| სერიოზულად დაშავდა ან დაზიანდა მაშინ, როცა თქვენ ან სხვა უფროსს უნდა მიგექციათ ყურადღება. შეკითხვა 42 | 86 | 5.2 |

განსხვავებები სქესისა და ასაკის მიხედვით


ანგარიშებში უგულებელყოფის შესახებ არ არსებობდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ბიჭებსა და გოგონებს შორის (ცხრილი 3.11).

ცხრილი 3.11: განსხვავებები სქესის მიხედვით

| | სულ | | უგულებელყოფა | |
|---------------|------|------|--------------|------|
| | N | % | N | % |
| ბიჭი | 815 | 49.4 | 159 | 19.4 |
| გოგონა | 835 | 50.6 | 186 | 22.3 |
| სულ | 1650 | 100 | 344 | 20.8 |
| P მნიშვნელობა | | | .163 | |

ასევე შემონიშნა ასაკის ზეგავლენა უგულბელყოფის შესახებ ანგარიშებზე (დიაგრამა 3.4). რეგრესიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ უგულბელყოფის მაჩვენებელი ასაკთან ერთად იზრდება ($p=0.00$).

დიაგრამა 3.4: განსხვავებები ასაკის მიხედვით (უგულბელყოფის ბავშვთა % ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით)



ისევე, როგორც ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯის შემთხვევაში, როგორც ჩანს, ჩვილები უფრო კარგად არიან დაცულნი, ხოლო ერთი წელზე უფროსი ასაკის ბავშვებში მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მატულობს.

განსხვავებები ადგილმდებარეობისა და ეკონომიკური ჯგუფის მიხედვით

ბავშვის საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა (უგულბელყოფა) უფრო მეტად აღინიშნებოდა რეგიონებში (22.9%), ვიდრე თბილისში (15.9%) ($p=.001$), ხოლო განსხვავებები სასოფლო და ქალაქის ტერიტორიებზე მცხოვრებ მშობლებს შორის კიდეც უფრო მნიშვნელოვანი იყო ($p=.000$). ქალაქის ტერიტორიებზე მცხოვრებ რესპონდენტთა 17.8%-მა, ხოლო სასოფლო ტერიტორიებზე მცხოვრებ რესპონდენტთა 26.9%-მა აღნიშნა უგულბელყოფის შემთხვევები (ცხრილი 3.12).

ცხრილი 3.12: განსხვავება ადგილმდებარეობის მიხედვით

| უგულბელყოფა | | | |
|-------------|-----|------|---------------|
| | N | % | p მნიშვნელობა |
| თბილისი | 77 | 15.9 | .001 |
| რეგიონები | 267 | 22.9 | |
| ქალაქი | 196 | 17.8 | .000 |
| სოფელი | 148 | 26.9 | |

შემდგომ კვლევას საჭიროებს მიზეზები იმისა, თუ რატომ გამოხატა სასოფლო ტერიტორიებზე მცხოვრები მშობლების ასეთმა დიდმა ნაწილმა წუხილი, რომ ისინი სათანადოდ ვერ აკმაყოფილებენ საკუთარი ბავშვების საჭიროებებს. არ უნდა მოხდეს აღნიშნული ფაქტის იმგვარად ინტერპრეტირება, თითქოს ისინი იდენტიფიცირებულნი უნდა იყვნენ როგორც მშობლები, რომლებიც შეგნებულად უგულბელყოფენ საკუთარ ბავშვებს. არსებობს ალბათობა, რომ სასოფლო ტერიტორიებზე მცხოვრები მშობლები შეკითხვების სხვაგვარ ინტერპრეტირებას ახდენდნენ, ან რომ ისინი განიცდიდნენ მატერიალურ-ტექნიკურ სირთულეებს საკუთარი ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილებისას ჯანდაცვის და სხვა მომსახურებების მისაწვდომობის თვალსაზრისით. მართალია, არ უნდა იქნეს იგნორირებული შესაძლო კავშირი სასოფლო ტერიტორიებზე არსებულ სიღარიბესთან, მაგრამ, სავარაუდოდ ეს არ არის ერთადერთი ახსნა.

რეკომენდაცია:

- რეგიონებსა და სოფლებში უგულბელყოფის უფრო მაღალი დონეების გამომწვევი მიზეზების შემდგომი განხილვა.

ტ ტესტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დაბალ ეკონომიკურ ჯგუფში უფრო მეტი რესპონდენტი გრძნობდა, რომ ვერ კმაყოფილდებოდა ბავშვთა საჭიროებები, ვიდრე საშუალო (p=0.00) და მაღალ (p=0.00) ჯგუფებში. ასევე, „უგულბელყოფა“ უფრო ხშირად აღინიშნებოდა საშუალო ჯგუფში მაღალ ეკონომიკურ ჯგუფთან შედარებით (p=0.00).

რეკომენდაცია:

- უნდა არსებობდეს უგულბელყოფის მიძიმე შემთხვევებზე რეაგირების სისტემა. უგულბელყოფილ ბავშვებსა და მათ ოჯახებს შეფასება და მხარდაჭერა ესაჭიროებათ.

სქესობრივი შეურაცხყოფის შემთხვევები

რესპონდენტთა ძალიან მცირე რაოდენობამ აღნიშნა, რომ, მათი აზრით, საინდექსო ბავშვს განცდილი ჰქონდა სქესობრივი შეურაცხყოფა. მოცემულ ნაწილში რესპონდენტებს დაუსვეს შეკითხვები ბავშვის მიერ განცდილი სქესობრივი შეურაცხყოფის და არა მათი საკუთარი ქმედებების შესახებ. კვლევის წარმართველმა ჯგუფმა იგრძნო, რომ მშობლები არ გრძნობდნენ თავს კომფორტულად აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხისას და რომ ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ პასუხები ზუსტ სურათს მოგვცემდა. მართლაც, სხვა ქვეყნებში მიღებული გამოცდილება ადასტურებს, რომ მშობლებმა ყოველთვის არ იციან ხოლმე იმის შესახებ, რომ მათი ბავშვი განიცდის სქესობრივ შეურაცხყოფას და მაშინაც კი, როდესაც იციან, მათ შესაძლოა არ სურდეთ სხვა ადამიანებისთვის ასეთი პრობლემების გაზიარება, განსაკუთრებით, როდესაც გააჩნიათ ეჭვი, რომ სქესობრივი შეურაცხყოფა ოჯახის წევრის მიერ არის ჩადენილი.

ცხრილი 3.13: სქესობრივი შეურაცხყოფის შემთხვევები

| სამიზნე ჯგუფები | სქესობრივი ძალადობა | |
|---|---------------------|-----|
| | N | % |
| ზოგადი მოსახლეობა N = 1100 | 3 | 0.3 |
| იძულებით გადაადგილებული პირები N = 550 | 2 | 0.4 |
| სულ (ზოგადი მოსახლეობა და იძულებით გადაადგ. პირები) N = 1650 | 5 | 0.3 |

სქესობრივი შეურაცხყოფის შემთხვევები

სქესობრივი შეურაცხყოფის შემთხვევებთან დაკავშირებით დასმული იქნა მხოლოდ ორი შეკითხვა. ერთი შეკითხვა იყო, შეხებია თუ არა უფროსი ბავშვს სექსუალურად გასული წლის განმავლობაში, ხოლო მეორე შეკითხვა იყო, ჰქონდა თუ არა ბავშვს სქესობრივი კავშირი უფროსთან გასული წლის განმავლობაში. სამმა ადამიანმა გასცა დადებითი პასუხი პირველ შეკითხვას, ხოლო ორმა მეორეს. ყველა მსხვერპლი გოგონა იყო. არ არის ცნობილი, შეეცადნენ თუ არა ეს მზრუნველები, მოეძიებინათ პროფესიული დახმარება და თუ მოიძიეს, რა პასუხი მიიღეს.

რეკომენდაციები:

- საჭიროა შემდგომი კვლევა სქესობრივი შეურაცხყოფის თაობაზე;
- ბავშვთა დაცვის სისტემას უნდა შეეძლოს ბავშვთა სქესობრივი შეურაცხყოფის შემთხვევების მართვა;

- უნდა არსებობდეს სამკურნალო მომსახურებები, ფსიქიკური ჯანდაცვის მომსახურებების ჩათვლით, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება სქესობრივი შეურაცხყოფის მსხვერპლი ბავშვისა და მისი ოჯახის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;
- მზრუნველებმა უნდა იცოდნენ, ვის მიმართონ რჩევისათვის, თუ ჰგონიათ, რომ მათი ბავშვი სქესობრივი შეურაცხყოფის მსხვერპლი გახდა.

დამატებითი რეკომენდაცია:

- უნდა ხორციელდებოდეს მონაცემთა უწყვეტი შეგროვება, რათა მოხდეს ბავშვთა დაცვის სისტემის ეფექტურობის მონიტორინგი (მიმართვები და შედეგები).

თავი მეოთხე: ბავშვების მიერ ოჯახურ გარემოში განცდილი ძალადობის შემთხვევები

ეს თავი აღწერს 11-17 წლის (მე-18 დაბადების დღემდე) ასაკის ბავშვების პასუხებს ICAST-ის ბავშვთა საოჯახო გარემოს კითხვარის შეკითხვებზე. აღნიშნული კვლევის მიზნებისათვის ჯამში გამოიკითხა 1050 ბავშვი: 700 ზოგადი მოსახლეობიდან და 350 – იძულებით გადაადგილებულ პირთა კოლექტიური ცენტრიდან.

თემიდან შერჩევების მახასიათებლები

4.1 ცხრილში მოცემულია ბავშვთა მახასიათებლები, ხოლო მთლიანი შერჩევის ასაკობრივი განაწილება 4.2 ცხრილშია მოცემული. ისევე, როგორც წინა თავში, თბილისში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა უფრო დიდი რაოდენობა გამოწვეულია ქვეყანაში კოლექტიური ცენტრების განაწილებით. ბავშვთა უმეტესობა წარმოადგენდა საშუალო ეკონომიკურ ჯგუფს, ხოლო იმ ბავშვთა უმეტესობა, ვინც მაღალ ეკონომიკურ ჯგუფს წარმოადგენდა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ასევე იყო ზოგადი მოსახლეობის, და არა იძულებით გადაადგილებულ პირთა, ფენიდან. ორ მესამედზე ოდნავ მეტი (67.9%) ცხოვრობდა ქალაქის ტერიტორიაზე, ხოლო ერთ მესამედზე ოდნავ ნაკლები (32.1%) – სასოფლო რაიონებში.

ცხრილი 4.1: ბავშვთა მახასიათებლები

| მიზნ. ჯგუფები | სქესი | | | | ადგილმდებარეობა | | | | ეკონომიკური ჯგუფი | | | | | |
|-------------------------------------|-------|------|-----|------|-----------------|------|---------|------|-------------------|------|---------|------|--------|------|
| | M | | F | | თბილისი | | რეგიონი | | დაბალი | | საშუალო | | მაღალი | |
| | N | % | N | % | N | % | N | % | N | % | N | % | N | % |
| ზოგადი მოსახლეობა N = 700 | 348 | 49.7 | 352 | 50.3 | 168 | 24.0 | 532 | 76.0 | 45 | 6.4 | 365 | 52.1 | 290 | 41.4 |
| იძულებით გადაადგ. პირები N = 350 | 172 | 49.1 | 178 | 50.9 | 140 | 40.0 | 210 | 60.0 | 63 | 18.0 | 236 | 67.4 | 51 | 14.3 |
| სულ თემი N = 1050 | 524 | 49.9 | 526 | 50.1 | 308 | 29.3 | 742 | 70.7 | 108 | 10.3 | 601 | 57.2 | 341 | 32.5 |

ბავშვების იმ მცირე რაოდენობას, რომელთა ასაკიც 18 წელზე მეტი იყო, დაბადების დღე სავარაუდოდ შერჩევის შედგენისა და ინტერვიუს აღების მომენტებს შორის პერიოდში ჰქონდა.

ცხრილი 4.2: მთლიანი შერჩევის ასაკობრივი განაწილება (1050)

| ასაკი | % |
|-------|------|
| 11 | 14.4 |
| 12 | 14.4 |
| 13 | 14.2 |
| 14 | 14.5 |
| 15 | 14.3 |
| 16 | 14.7 |
| 17 | 13.6 |
| 18 | 0.7 |

ბავშვები ზოგადი მოსახლეობიდან გამოიკითხნენ ინდივიდუალურად, სკოლებში, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა ბავშვები – კოლექტიურ ცენტრებში. შერჩეული რაოდენობიდან თოთხმეტმა ბავშვმა არჩია, მონაწილეობა არ მიეღო გამოკითხვაში, მაგრამ ყველა იმ ბავშვმა, ვინც დათანხმდა მონაწილეობაზე, დაასრულა ინტერვიუ და ყველა შეკითხვას გასცა პასუხი.

ბავშვთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ ისინი ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობენ. მთლიანი შერჩევის მხოლოდ 1.7%-მა აღნიშნა, რომ უდედოდ, ხოლო 13.6%-მა – რომ უმამოდ ცხოვრობს. ბავშვთა უმეტესობას ჰყავდა ძმები და/ან დები და ხშირად ოჯახში სხვა უფროსი ადამიანებიც ცხოვრობდნენ. ამგვარად, ისევე, როგორც ჩვენ ეს წინა ნაწილში დავინახეთ, ზოგიერთ ოჯახში არსებობენ უფროსი ადამიანები, მშობლების გარდა, ვინც შესაძლოა გამოიყენოს ბავშვების მიმართ დისციპლინური მეთოდები, ძალადობა, ან დაიცვას ისინი.

რეკომენდაცია (ისევე, როგორც წინა თავში):

- ცნობიერებისა და მშობელთა განათლების ნებისმიერი კამპანია არ უნდა შემოიფარგლებოდეს მშობლებით და მოიცვას ის სხვა ადამიანებიც, ვისაც ოჯახში ბავშვების მიმართ პასუხისმგებლობა აკისრია.

სხვადასხვა სახის ძალადობის გამოცდილების შეჯამება

ძალადობა სახლში ან მის მახლობლად

ბავშვებს სთხოვეს, მოეწოდებინათ ინფორმაცია საკუთარი გამოცდილების შესახებ გასული წლის განმავლობაში და წარსულის ნებისმიერ მომენტში. მათი პასუხები შეჯამებულია 4.3 ცხრილში. ძალადობასთან შეხების გამოცდილება დაკავშირებული იყო სახლში და მის უშუალო სიახლოვეს მომხდარ შემთხვევებთან, რომლებიც არ იყო მიმართული უშუალოდ ბავშვზე. ყველა სხვა შემთხვევას ადგილი ჰქონდა ოჯახში და ისინი უშუალოდ ეხებოდა ბავშვს. ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობის ანგარიშების შემთხვევაში ბავშვებს ჰკითხეს, ვის მიერ იყო ჩადენილი კონკრეტული ქმედება: სხვა ბავშვის, უფროსი ადამიანის თუ ორივეს მიერ. ცხრილში მოცემული სტატისტიკა მოიცავს ან უფროსის, ან სხვა ბავშვის მიერ ოჯახში ჩადენილ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას.

ცხრილი 4.3: ბავშვთა გამოცდილებების შეჯამება – ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა

| | შეხო ძალადობას | | | | ფიზიკური ძალადობა | | | | ფსიქოლოგიური ძალადობა | | | |
|---|----------------------|-------------|------------|-------------|-------------------|-------------|------------|------|-----------------------|-------------|------------|-------------|
| | ოდესმე ¹⁷ | | გასულ წელს | | ოდესმე | | გასულ წელს | | ოდესმე | | გასულ წელს | |
| | N | % | N | % | N | % | N | % | N | % | N | % |
| ზოგადი მოსახლეობა N=700 | 351 | 50.1 | 203 | 29.0 | 489 | 69.9 | 378 | 54.0 | 488 | 69.7 | 405 | 57.9 |
| იძულებით გადაადგ. პირები N=350 | 165 | 47.1 | 97 | 27.7 | 268 | 76.6 | 189 | 54.0 | 256 | 73.1 | 216 | 61.7 |
| სულ შერჩევა N=1050 | 516 | 49.1 | 300 | 28.6 | 757 | 72.1 | 567 | 54.0 | 744 | 70.9 | 621 | 59.1 |
| P მნიშვნელობა | | | .717 | | | | .100 | | | | .258 | |

¹⁷ “ოდესმე” აერთიანებს მონაცემებს გასული წლისათვის იმ მონაცემებთან, რომლებიც უკავშირდება არა მხოლოდ გასულ წელს, არამედ საერთოდ მომხდარს.

იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯგუფში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის უფრო მაღალი მაჩვენებლები აღინიშნა, როდესაც საქმე ეხებოდა გასულ წელზე უფრო შორეულ წარსულს. განსხვავება ფიზიკური ძალადობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო ($p=0.023$). თუმცა გასული წლის განმავლობაში მნიშვნელოვან განსხვავებას ადგილი არ ჰქონია. ეს შესაძლოა ასახავდეს უფრო მძიმე მდგომარეობას მათი ბავშვობის შედარებით ადრეულ ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ ბავშვებმა მიუთითეს ძალადობასთან შეხების უფრო დაბალი, და არა უფრო მაღალი, მაჩვენებლები სახლში და მის უშუალო სიახლოვეს.

უგულებელყოფა

ბავშვებს ასევე სთხოვეს, აღნიშნათ, მათი აზრით, დაკმაყოფილებული იყო თუ არა მათი ძირითადი საჭიროებები, მათ შორის ფიზიკური და ემოციური საჭიროებები. პასუხები მოცემულია 4.4 ცხრილში, სადაც მაჩვენებლები ერთმანეთის მსგავსია როგორც ზოგადი მოსახლეობის, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა ბავშვებისათვის.

ცხრილი 4.4: ბავშვების მიერ უგულებელყოფის შესახებ მონოდებული ინფორმაციის შეჯამება (ძირითადი საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა)

| | უგულებელყოფა | | | |
|--------------------------------------|--------------|------|------------|------|
| | ოდესმე | | გასულ წელს | |
| | N | % | N | % |
| ზოგადი მოსახლეობა N=700 | 194 | 27.7 | 177 | 25.3 |
| იძულებით გადაადგილებული პირები N=350 | 97 | 27.7 | 83 | 23.7 |
| სულ თემის შერჩევა N=1050 | 291 | 27.7 | 260 | 24.8 |
| P მნიშვნელობა | | | | .596 |

სქესობრივი შეურაცხყოფა/ძალადობა

შეკითხვები სქესობრივი შეურაცხყოფის შესახებ იყო ის შეკითხვები, რომლებზე პასუხის გაცემაც ბავშვებისათვის ყველაზე რთული აღმოჩნდა. ინტერვიუებმა აღნიშნეს, რომ ამ ნაწილში ბავშვები აშკარად ყველაზე მეტ დისკომფორტს განიცდიდნენ. იმ პირებმა, ვინც ინტერვიუების მონიტორინგის პროცესს ახორციელებდა, ასევე შენიშნეს გარკვეული დისკომფორტი თვითონ ინტერვიუს პროცესში და საწყისი ტრენინგისას ეს იყო ის ნაწილი, რომელთან დაკავშირებითაც ზედამხედველებმა ყველაზე მეტი ეჭვი გამოხატეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ კვლევამ ვერ მოიპოვა ზუსტი სურათი სქესობრივ შეურაცხყოფასთან დაკავშირებით. თუმცა მიღებული შედეგები ჯდება სხვა ევროპულ ქვეყნებში მიღებული შედეგების მიახლოებით ფარგლებში. მაიჩაჰალმა და ჰერცოგმა (2003) ევროპის საბჭოს გამოცემაში ბავშვობის განმავლობაში ოდესმე განცდილი სქესობრივი ძალადობის ზოგადი ევროპული მაჩვენებლები 10-20%-ის დონეზე შეაფასეს.

ცხრილი 4.5: სქესობრივი შეურაცხყოფის შესახებ ბავშვთა მიერ მონოდებული ინფორმაციის შეჯამება

| | სქესობრივი ძალადობა | | | |
|--------------------------------------|---------------------|------|------------|--------|
| | ოდესმე | | გასულ წელს | |
| | N | % | N | % |
| ზოგადი მოსახლეობა N=700 | 75 | 10.7 | 65 | 9.3 |
| იძულებით გადაადგილებული პირები N=350 | 20 | 5.7 | 17 | 4.9 |
| სულ თემი N=1050 | 95 | 9 | 82 | 7.8 |
| P მნიშვნელობა | | | | .011** |

ადგილი ჰქონდა სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებას სქესობრივი ძალადობის შესახებ ინფორმაციის მარკენებლებში, როგორც საერთოდ, ასევე გასული წლის განმავლობაში. იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯგუფში მარკენებელი უფრო დაბალი იყო ($p=.011$). ამჟამად არ არსებობს აღნიშნული განსხვავების ნათელი და ამკარა ახსნა.


რეკომენდაცია:

- საჭიროა სქესობრივი ძალადობის სფეროში უფრო მეტი კვლევის განხორციელება განსხვავებული მიდგომის გამოყენებით.

საერთაშორისო შედარებები

ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულბელებულობის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოებამ ხელმისაწვდომი გახადა შედეგები ოთხი საპილოტე ქვეყნიდან (ზოლოტორი და სხვები, პირადი კომუნიკაცია), სადაც გამოყენებული იქნა ICAST-ის ბავშვთა საოჯახო გარემოს კითხვარი. ეს ქვეყნები იყო: კოლუმბია, ისლანდია, ინდოეთი და რუსეთი, მაგრამ შედეგები წარმოდგენილია ისეთი ფორმატით, სადაც არ მოჩანს, თუ რომელი ქვეყნიდან იქნა მოპოვებული მონაცემთა თითოეული ნაკრები. მართალია, კვლევა განხორციელდა არანარმოდგენლობითი შერჩევის საფუძველზე და შერჩევის ზომა დიდი არ იყო, იგი გვაძლევს საშუალებას, რომ მოცემული კვლევის შედეგები საერთაშორისო კონტექსტში განვიხილოთ. 4.1 დიაგრამაზე მოცემულია შეფარდებითი მარკენებლები ძალადობასთან შეხების, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობისა და უგულბელებულობის სფეროებში.

დიაგრამა 4.1: საერთაშორისო შედარებები (იმ ბავშვთა პროცენტული ოდენობა თითოეულ ქვეყანაში, რომლებმაც მოგვანოდეს ინფორმაცია ძალადობისა და უგულბელებულობის შესახებ)



ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობასთან დაკავშირებით საქართველოში მიღებული შედეგები კარგად ჯდება სხვა ქვეყნებში მოპოვებული მონაცემების დიაპაზონში. მიუხედავად ამისა, ძალადობასთან შეხების შემთხვევაში მარკენებლები გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ყველა სხვა საპილოტე ქვეყანაში. მაშინაც კი, როდესაც შეკითხვა ეხებოდა ძალადობასთან რაიმე შეხებას, ანუ დაისვა ასეთი ფორმით: „ჰქონია თუ არა ოდესმე ადგილი ძალადობას თქვენს მიმართ?“, ბავშვთა მხოლოდ დაახლოებით ნახევარმა (49%) აღნიშნა წარსულში ასეთი გამოცდილების არსებობა.

საქართველოში ასევე აღინიშნა ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მარკენებელი უგულბელებულობის სფეროში. როდესაც საქმე ეხება სქესობრივ ძალადობას/შეურაცხყოფას, ჩვენ ვხედავთ ფართო დიაპაზონს: 34%-დან 8%-მდე. აღნიშნული ფაქტი შეიძლება ასახავდეს ამ თემის განხილვასთან დაკავშირებით არსებულ კულტურულ ტაბუს და არა რეალურ განსხვავებას ქვეყნებში არსებულ სიტუაციებს შორის. საქართველოში კვლევის პროცესში ინტერვიუები პირისპირ ტარდებოდა, ხოლო


საპილოტე ინტერვიუები ოთხივე სხვა ქვეყანაში წერილობით ჩატარდა, რაც უფრო მეტ ანონიმურობას უზრუნველყოფდა. აღნიშნული ფაქტი შესაძლოა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს, როდესაც სქესობრივ ძალადობას/შეურაცხყოფას განვიხილავთ.

ზოგიერთი შეფარდებითი მონაცემები ასევე ხელმისაწვდომია ინდივიდუალურ კითხვებზე პასუხების თვალსაზრისით და ეს განხილული იქნება ქვემოთ შესაბამის ნაწილებში.

განსხვავება სქესისა და ასაკის მიხედვით


განსხვავებები ბიჭებსა და გოგონებს შორის შეჯამებულია 4.2 დიაგრამაზე. ბიჭებსა და გოგონებს შორის მხოლოდ ერთი განსხვავება აღწევს სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეს; უფრო მაღალი ალბათობა იყო, რომ ბიჭებს მოეწოდებინათ ინფორმაცია მათ მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ (p=.017). მოლოდინისა და ვარაუდის საპირისპიროდ, ბიჭებს არ მოეწოდებიათ ბევრად მეტი ანგარიში ფიზიკური ძალადობის შესახებ (p=.633).

დიაგრამა 4.2: განსხვავება სქესის მიხედვით (იმ ბიჭებისა და გოგონების პროცენტული ოდენობა, რომლებმაც მოგვანოდეს ინფორმაცია ძალადობის შესახებ, კატეგორიების მიხედვით)



ასაკის ზეგავლენა ბავშვთა მიერ აღნიშნულ ძალადობაზე ნაჩვენებია 4.3 დიაგრამაზე.

დიაგრამა 4.3: თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში იმ ბავშვთა პროცენტული ოდენობა, რომლებმაც მოგვანოდეს ინფორმაცია ძალადობის შესახებ, კატეგორიების მიხედვით



რეგრესიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფიზიკური ძალადობის სიხშირე ასაკთან ერთად კლებულობს (p=.000), თუმცა ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში ანალოგიური კლება არ აღინიშნება. ამგვარად, 17-დან 18 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა ნახევარზე მეტი კვლავაც აღნიშნავს ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებს.

რეგრესიული ანალიზი არ გვიჩვენებს ასაკთან დაკავშირებულ ამკარა ტენდენციებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ როგორც ყველაზე დაბალი, ისე ყველაზე უფროსი ასაკის ჯგუფში ნაკლები უგუ-

ლებელყოფა აღინიშნება. ეს შედეგი შესაძლოა ასახავდეს უკეთეს მზრუნველობას უფრო მცირე ასაკის ბავშვების მიმართ, ასევე უფრო დიდი ასაკის ბავშვთა მზარდ დამოუკიდებლობასა და მათ შესაძლებლობას, მოუარონ საკუთარ თავს. რეგრესიული ანალიზი ასევე გვიჩვენებს, რომ სქესობრივი ძალადობის/შეურაცხყოფის შემთხვევების სიხშირე ასაკთან ერთად იზრდება ($p=0.007$).

განსხვავებები ადგილმდებარეობის მიხედვით

ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან განსხვავებას, ძალადობასთან შეხების თვალსაზრისით, სოფლის და ქალაქის ტერიტორიებზე მცხოვრებ ბავშვებს ანდა თბილისსა და რეგიონებში მცხოვრებ ბავშვებს შორის.

განსხვავებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მზრუნველთა პასუხებში ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯის თაობაზე (სოფლის ტერიტორიებზე მცხოვრებ ოჯახებში ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალაქის ოჯახებში), არ მეორდება ბავშვთა პასუხებში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ. თუმცა სოფლის ტერიტორიებზე მცხოვრებ ბავშვების პასუხებში მნიშვნელოვნად უფრო მაღალია უგულვებლყოფის მაჩვენებელი ($p=.039$).

როგორც უგულვებლყოფა ($p=.041$), ისე სქესობრივი ძალადობა/შეურაცხყოფა ($p=.023$) საგრძნობლად უფრო ხშირად აღინიშნებოდა რეგიონებში. ეს შედეგი მიგვითითებს რეგიონებში მომსახურებათა განვითარების საჭიროებაზე. ამჟამად არსებული სპეციალისტთა მომსახურებები ძირითადად თბილისშია კონცენტრირებული.

რეკომენდაციები:

- რეგიონებში უნდა განვითარდეს მომსახურებები ძალადობის (სქესობრივი ძალადობის/შეურაცხყოფისა და უგულვებლყოფის ჩათვლით) მართვისათვის;
- რეგიონებში (სასოფლო ტერიტორიების ჩათვლით) არსებულ პროფესიონალებს ესაჭიროებათ ტრენინგი ბავშვთა მიმართ ძალადობის (სქესობრივი ძალადობის/შეურაცხყოფის ჩათვლით) და მათი უგულვებლყოფის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და მართვის სფეროში.

ვინ ჩაიდინა ძალადობა?

ქვემოთ მოცემულ ნაწილში ძალადობის ინიციატორებს განვიხილავთ. 4.6 ცხრილში მითითებული არიან როგორც გასულ წელს, ასევე ოდესმე განხორციელებული ძალადობის თითოეული ფორმის ინიციატორები. 4.4 დიაგრამაზე მოცემულია იგივე ინფორმაცია, მაგრამ მხოლოდ გასული წლისათვის.


ცხრილი 4.6: ოდესმე და გასული წლის განმავლობაში განხორციელებული ძალადობის ინიციატორები

| | ოდესმე | | | | | | | გასულ წელს | | | | | | |
|------------------------|------------|------------|------|--------|------|-------|------|------------|------------|------|--------|------|-------|------|
| | სულ (100%) | ინიციატორი | | | | | | სულ (100%) | ინიციატორი | | | | | |
| | | ბავშვი | | უფროსი | | ორივე | | | ბავშვი | | უფროსი | | ორივე | |
| | N | % | N | % | N | % | N | N | % | N | % | N | % | |
| ფიზიკური ძალადობა | 757 | 125 | 16.5 | 335 | 44.3 | 297 | 39.2 | 567 | 101 | 17.8 | 207 | 36.5 | 259 | 45.7 |
| ფსიქოლოგიური ძალადობა* | 706 | 50 | 7.1 | 485 | 68.7 | 171 | 24.2 | 585 | 44 | 7.5 | 381 | 65.1 | 160 | 27.4 |
| სქესობრივი ძალადობა | 85 | 62 | 65.3 | 22 | 23.2 | 11 | 11.6 | 82 | 54 | 65.9 | 17 | 20.7 | 11 | 13.3 |

* გამოტოვებულია შეკითხვა 25 – „ბულინგი სხვა ბავშვის მიერ,“ ვინაიდან ამ შეკითხვაზე პასუხების 100%-ში ინიციატორი სხვა ბავშვი იქნება.

ზოგიერთმა ბავშვმა აღნიშნა, რომ განიცადა ძალადობა როგორც სხვა ბავშვის, ასევე უფროსი ადამიანის მხრიდან. ინიციატორთა მოდელი მსგავსია როგორც ოდესმე, ისე გასული წლის განმავლობაში განხორციელებული ძალადობისათვის.

დიაგრამა 4.4: იმ ბავშვთა პროცენტული ოდენობა, რომლებმაც მოგვანოდეს ინფორმაცია გასულ წელს ჩადენილი ძალადობის ინიციატორთა შესახებ, ძალადობის კატეგორიების მიხედვით



როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში ინიციატორი უფრო მეტ შემთხვევაში უფროსი ადამიანი იყო. აღნიშნულის შედეგად წამოიჭრება იგივე საკითხები, რაც წინა თავშია განხილული, მზრუნველთა განათლებასა და იმ ბავშვთა იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით, რომლებიც ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის შედეგად მიყენებულ ზიანს განიცდიან (იხ. ასევე ქვემოთ, ნაწილი, სადაც ძალადობის ხასიათია განხილული).

სხვა ბავშვების მიერ ჩადენილი ძალადობის შემთხვევათა რაოდენობა საკმარისი იყო იმისათვის, რომ გაჩენილიყო შეშფოთება ოჯახურ გარემოში ბავშვების მიერ სხვა ბავშვთა მიმართ ძალადობის გამო. დამატებით შეკითხვაზე ბავშვების 17.9%-მა აღნიშნა, რომ გასული წლის განმავლობაში მათ განიცადეს ოჯახურ გარემოში ბულინგი სხვა ბავშვებისაგან, ხოლო 22.8%-მა გაიხსენა ასეთი შემთხვევები ზოგადად (ოდესმე). აღნიშნული შედეგები იძლევა იმის მტკიცებულებას, რომ ძალადობრივი ქცევა ერთი თაობიდან მეორეს ადრეულ ეტაპზე გადაეცემა. მართლაც, მზრუნველებთან (თავი მეორე) და ბავშვებთან (წინამდებარე თავი) ჩატარებული კვლევის შედეგად ჩანს, რომ ზოგიერთ ქართულ ოჯახში არსებობს სამი თაობა, რომელიც ბავშვების მიმართ ძალადობას იყენებს. ბავშვთა პასუხები ძალადობასთან შეხების თაობაზე ასევე მიუთითებს გარკვეულ ძალადობრივ ურთიერთობაზე (განსაკუთრებით სიტყვიერზე) ოჯახში უფროსებს შორის.

რეკომენდაციები:

- ოჯახურ გარემოში ბავშვთა შორის ძალადობის შემდგომი განხილვა და შესაძლო კავშირი ძალადობასთან სხვა გარემოებში;
- თაობათა შორის არსებული ძალადობის ციკლის დასარღვევად გზების განხილვა;
- ძალადობის პრევენციისადმი მიდგომების შემუშავება, რაც ოჯახში ძალადობის უფრო ფართო სპექტრს მოიცავს.

მთლიანობაში 95-მა (9%) ბავშვმა აღნიშნა, რომ მის ოჯახში ადგილი ჰქონია რაიმე სახის სქესობრივ შეურაცხყოფას/ძალადობას. მართალია, ამ შემთხვევათა უმრავლესობა ეხებოდა მეორე ბავშვს ან ახალგაზრდას, არსებობს ასევე ინფორმაცია უფროსების შესახებ, რომლებმაც ჩაიდინეს სქესობრივი შეურაცხყოფა/ძალადობა ბავშვთა გარკვეული რაოდენობის (27) მიმართ. ჩვენ არ ვიცით, მიენოდა თუ არა ინფორმაცია ამ შემთხვევების შესახებ ოფიციალურ სტრუქტურებს და მოხდა თუ არა მათი გამოძიება. სავარაუდოა, რომ ეს არ მომხდარა, ვინაიდან საქართველოში ანგარიშგების მკაფიოდ განსაზღვრული სისტემა არ არსებობს.

რეკომენდაციები:

- ბავშვთა დაცვის სისტემა უნდა ითვალისწინებდეს სქესობრივ შეურაცხყოფას/ძალადობას;
- სისტემის ფარგლებში უნდა არსებობდეს მკაფიოდ განსაზღვრული საშუალება სქესობრივი ძალადობის შემთხვევების შესახებ ანგარიშგებისა და შეფასებისათვის;
- ბავშვებს, მოზარდებსა და მათი ოჯახის წევრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სქესობრივ შეურაცხყოფასთან/ძალადობასთან დაკავშირებულ კონსულტაციასა და მომსახურებებზე;
- რიგ პროფესიონალებს დასჭირდებათ სპეციალიზებული ტრენინგი, რათა შეძლონ ბავშვთა მიმართ სქესობრივი შეურაცხყოფის/ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება, შეფასება და მართვა.

როდესაც განვიხილავთ მეორე ბავშვის მიერ ჩადენილი სქესობრივი შეურაცხყოფის/ძალადობის შემთხვევებს, უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვებს სთხოვეს, მოეთხროთ ისეთი მოვლენების შესახებ, რომლებმაც მათში ნეგატიური რეაქცია გამოიწვია ან რომლებშიც მათ მონაწილეობა დააძლევს. აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგებში არ შედის „ნორმალური“ კონსენსუსის საფუძველზე სქესობრივი ურთიერთობა ბავშვებს შორის. მნიშვნელოვანია, რომ მოხერხდეს ნებისმიერი ისეთი ბავშვების იდენტიფიცირება, ვინც სქესობრივ ძალადობას ახორციელებს სხვა ბავშვების მიმართ, ვინაიდან ჩარევის გარეშე მათ შესაძლოა ასეთი ძალადობა შემდგომშიც გააგრძელონ. კვლევა და კლინიკური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა მოძალადე თავად არის მსხვერპლი. არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები ასევე ცხადყოფს, რომ უფრო მეტი აღბათობაა ჩარევის წარმატებისა, როდესაც იგი ხდება მაშინ, როდესაც მოძალადე ბავშვი მცირეწლოვანია (ბენტოვიმი, 2002).

რეკომენდაციები:

- საჭიროა იმ ბავშვების იდენტიფიცირება, ვინც სქესობრივ შეურაცხყოფას/ძალადობას ახორციელებს სხვა ბავშვების მიმართ, ასევე მათი შეფასება და მკურნალობა;
- ბავშვთა მიერ სხვა ბავშვების მიმართ ჩადენილი სქესობრივი შეურაცხყოფის/ძალადობის მსხვერპლებს ასევე ესაჭიროებათ სხვადასხვა მომსახურება;
- პროფესიონალებს, რომლებიც მართავენ ბავშვთა მიერ სხვა ბავშვების მიმართ ჩადენილი სქესობრივი შეურაცხყოფის/ძალადობის შემთხვევებს, სპეციალიზებული ტრენინგი დასჭირდებათ.

ბავშვთა გამოცდილება დეტალურად

ძალადობასთან შეხება

4.7 ცხრილში მოცემულია ბავშვთა მიერ მონოდებული დეტალური ინფორმაცია, რომელიც ეხება ნეგატიურ მოვლენებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სახლში ან მის უშუალო სიახლოვეს და რომლებიც დახარისხებულია პოზიტიური რეაგირების სიხშირის მიხედვით, ყველა პოზიტიური რეაგირებისათვის (გასულ წელს და ოდესმე). მთლიანობაში, ყველაზე ხშირად ადგილი ჰქონდა რაიმეს მოპარვას სახლიდან, თუმცა ამან ბავშვთა შედარებით მცირე რაოდენობაზე მოახდინა ზეგავლენა გასული წლის განმავლობაში (5.4%). სხვა გამოცდილებების მოდელი და ტენდენციები ძალიან მსგავსი იყო „ოდესმე“ და გასული წლის განმავლობაში. ყველაზე ხშირი ქმედება, რაც დაკავშირებული იყო ოჯახში უფროსებს შორის ურთიერთობასთან, იყო ყვირილი, რომელიც აშინებდა ბავშვს (15.3% გასულ წელს). ფიზიკური ძალადობა უფროსებს შორის, გასული წლის განმავლობაში, აღინიშნა ბავშვთა 2.3%-ის მიერ, 6.6% შეაშინა უფროსების მიერ ნარკოტიკების, ხოლო 2.5% - უფროსების მიერ იარაღის გამოყენებამ. აღნიშნული აშკარად დაბალი მაჩვენებლების მიუხედავად, მნიშვნელოვანია ვალიაროთ და გავათვითცნობიეროთ, რომ როგორც ოჯახში ძალადობა (უფროსებს შორის), ისე ალკოჰოლიზმი და ნარკომანია დაკავშირებულია ბავშვთა მიმართ ძალადობისა და მათი უგულებელყოფის გაზრდილ რისკებთან (კლივერი და სხვები, 1999).

რეკომენდაციები:

- ოჯახში ძალადობასა და ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული ინიციატივები (პოლიტიკა და მომსახურებები) ურთიერთდაკავშირებული უნდა იყოს;
- მომსახურებებმა ნარკომანი ან ალკოჰოლიკი უფროსებისათვის მხედველობაში უნდა მიიღონ კლიენტთა ბავშვების საჭიროებები და მოთხოვნები.

როდესაც ძალადობასთან შეხების შესახებ ინდივიდუალურ კითხვებს განვიხილავთ, აღნიშნული მოდელის საპილოტე ქვეყნებისათვის მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, არეულობის დანახვის შემთხვევათა მაჩვენებლის დიაპაზონი 32-დან 2 პროცენტამდე (4.9% საქართველოსათვის) იყო, ხოლო უფროსების მიერ ერთმანეთისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევათა ნახვის მაჩვენებლისა — 25-დან 1 პროცენტამდე (2.3% საქართველოსათვის). აღნიშნული შედეგები შეესაბამება მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის დროს ოჯახში ფიზიკური ძალადობის მიმართ ქალთა მიერ გამოხატული შემგუებლობის დაბალ მაჩვენებელს. მთლიანობაში, საქართველოში ქალების 6.9%-ს მიაჩნია, რომ ქმარს უფლება აქვს, სცემოს საკუთარ ცოლს, ძირითადად იმ შემთხვევაში, როდესაც ქალი უგულვებლყოფს ბავშვებს (5.9%). აღნიშნული მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია ამ რეგიონში.

ოთხი საპილოტე ქვეყნიდან სამში ძალადობასთან შეხების ყველაზე ხშირად აღნიშნული შემთხვევა იყო უფროსების ყვირილი, რაც იწვევს შიშს (დიაპაზონი: 48-12 პროცენტი). ეს საქართველოშიც ბავშვების მიერ ძალადობასთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად აღნიშნული შემთხვევა იყო: 15.3%-მა აღნიშნა, რომ ამას ადგილი ჰქონდა გასულ წელს, ხოლო 23%-მა — რომ ადგილი ჰქონდა წარსულის რომელიღაც მომენტში, მაგრამ არა გასულ წელს.

ცხრილი 4.7: ძალადობასთან შეხება – ბავშვთა გამოცდილება ოდესმე და გასული წლის განმავლობაში

(აღნიშნული გამოცდილებების სიხშირის რიგის მიხედვით)

| ძალადობასთან შეხება | ოდესმე | | გასულ წელს | |
|---|--------|-------------|------------|-------------|
| | N | % | N | % |
| სულ N = 1050 | 516 | 49.1 | 300 | 28.6 |
| სახლიდან რამე მოიპარა (შეკითხვა 17) | 244 | 23.2 | 57 | 5.4 |
| უფროსებმა ისე უყვირეს, რომ დააშინეს (შეკითხვა 12) | 241 | 23.2 | 161 | 15.3 |
| დაინახა, რომ ხალხს ესროლეს, ნახა დაბომბვა, ჩხუბი ან არეულობა (შეკითხვა 16) | 121 | 11.5 | 51 | 4.9 |
| უფროსმა ნარკოტიკები მოიხმარა და შემდეგ დააშინა (შეკითხვა 11) | 115 | 11.0 | 69 | 6.6 |
| ვიღაც მოკლეს სახლთან ახლოს (შეკითხვა 15) | 88 | 8.4 | 44 | 4.2 |
| დაინახა, რომ უფროსი სახლში იარაღს იყენებდა (შეკითხვა 14) | 45 | 4.3 | 26 | 2.5 |
| შეესწრო, როგორ სცემა უფროსმა ოჯახში სხვა წევრს, დაარტყა ან გალახა (შეკითხვა 13) | 42 | 4.0 | 24 | 2.3 |

ამ ნაწილში შესული სხვა მოვლენები მოიცავს სახლის გარეთ, მაგრამ მის მახლობლად მომხდარს და, შესაბამისად, ზეგავლენას ახდენს ბავშვის დამოკიდებულებაზე ძალადობის გამოყენების მიმართ.

ფიზიკური ძალადობა

ბავშვთა მიერ აღნიშნული ფიზიკური ძალადობის შემთხვევათა მოდელი და ტენდენციები (ცხრილი 4.8) მსგავსია მზრუნველთა მიერ მე-2 თავში აღწერილი სასჯელებისა. მიუხედავად ამისა, შესაძლოა არსებობს უფრო მკვეთრი განსხვავება იმ ქმედებებს, რომლებსაც ხშირად აქვთ ადგილი, და იმ ქმედებებს შორის, რომლებიც როგორც ნაკლებად ხშირი, ასევე უფრო სერიოზული (როგორც ბევრი იტყობს, ძალადობრივი) ხასიათისაა. ისევ და ისევ, ხშირად აქვს ადგილი ყურის აწევის და თმის მოქაჩვას, ასევე ხელით გატყეპას (დარტყმას). აღსანიშნავია, რომ ICAS-ის კვლევის საპილოტე ქვეყნებში არსებობდა ყურის აწევისა და თმის მოქაჩვის შემთხვევათა მაჩვენებლების ფართო

დიაპაზონი, 50-დან 9 პროცენტამდე. საქართველოს მარვენებლები ხელით გატყეპასთან დაკავშირებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე ოთხ საპილოტე ქვეყანაში, სადაც მარვენებელი ყველგან 40% ან მეტი იყო.

ცხრილი 4.8: ფიზიკური ძალადობის შემთხვევები ოდესმე და გასულ წელს
(აღნიშნული შემთხვევების სიხშირის რიგის მიხედვით)

| ფიზიკური ძალადობა | ოდესმე | | გასულ წელს | |
|---|------------|-------------|------------|-------------|
| | N | % | N | % |
| სულ N = 1050 | 757 | 72.1 | 567 | 54.0 |
| მოგქაჩათ თმა ან ყური აგინიათ (შეკითხვა 38) | 641 | 61.0 | 435 | 41.4 |
| დაგარტყათ, გცემათ ან ხელი გაგარტყათ (შეკითხვა 33) | 455 | 43.3 | 293 | 27.9 |
| ხელი გკრათ, ხელი გტაცათ ან მოგარტყათ (შეკითხვა 32) | 336 | 32.0 | 263 | 25.0 |
| ჩაგკეტათ პატარა სივრცეში, დაგაბათ ან მიგაბათ რამეზე (შეკითხვა 37) | 73 | 7.0 | 29 | 2.8 |
| დაგარტყათ, გაგლახათ ან რაიმე საგნით გცემათ (შეკითხვა 34) | 65 | 6.2 | 35 | 3.3 |
| მძიმე ტვირთი დაგაჭერინათ ან ზედმეტად გავარჯიშათ (შეკითხვა 39) | 44 | 4.2 | 35 | 3.3 |
| დანით ან იარაღით დაგემუქრათ (შეკითხვა 40) | 11 | 1.0 | 9 | 0.9 |
| გახრჩობდათ ან ცდილობდა თქვენს დახრჩობას (შეკითხვა 35) | 10 | 1.0 | 9 | 0.9 |
| დაგწვათ ან დაგმდულრათ (მოიცავს პირში წინაკის ჩადებასაც) (შეკითხვა 36) | 9 | 0.9 | 6 | 0.6 |

ბავშვთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ფიზიკურ ძალადობას ადგილი ჰქონდა ზოგჯერ და არა მრავალჯერ. მაგალითად, იმ ბავშვთა მხოლოდ 7.6%-მა, ვინც აღნიშნა, რომ მათ მოქაჩეს თმა ან აუნიეს ყური, თქვა, რომ ამ შემთხვევებს მრავალჯერ ჰქონდა ადგილი გასული წლის განმავლობაში. მხოლოდ სამმა ბავშვმა აღნიშნა, რომ მრავალჯერ მიაყენეს დარტყმა რაიმე საგნით გასული წლის განმავლობაში. ეს სამი ბავშვი, იმ სხვა ბავშვებთან ერთად, ვინც განიცადა პოტენციურად ზიანის მომტანი ქმედებები (დახრჩობა, გაგუდვა, დამწვრობის მიყენება), ისეთი ბავშვების მაგალითია, რომელთაც ესაჭიროებათ შეფასება და შემდეგ შესაბამისი დაცვა.

რეკომენდაცია:

- იმ ბავშვებისათვის, რომლებიც განიცდიან ძალადობას ოჯახურ გარემოში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბავშვთა დაცვისათვის მიმართვის სისტემა, რომელიც შეაფასებს მათ და მათი ოჯახის საჭიროებებს და უზრუნველყოფს მომსახურებას მათთვის და მათი ოჯახისათვის.

დეტალური მონაცემები ძალადობის ჩამდენთან დაკავშირებით ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ყველა პოზიტიური პასუხის შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც ბავშვმა განიცადა ძალადობა, მაგრამ ეს ყოველთვის არ მომხდარა გასული წლის განმავლობაში. ცხრილი 4.8ა გვიჩვენებს განაწილებას ორი ყველაზე გავრცელებული ქმედებისათვის და კიდევ ერთი სერიოზული ძალადობრივი ქმედებისათვის. სამივე აღნიშნულ მაგალითში ყველაზე დიდი ალბათობა იყო, რომ ძალადობის ჩამდენი უფროსი ადამიანი ყოფილიყო.

ცხრილი 4.8ა: დეტალები (ფიზიკური ძალადობის) იმ შერჩეული ქმედებების ჩამდენებთან დაკავშირებით, რომლებიც ოდესმე განიცდილი ჰქონდათ და ახსოვდათ ბავშვებს

| ქმედება | ჩამდენი | | |
|---|---------|--------|-------|
| | ბავშვი | უფროსი | ორივე |
| თმის მოქაჩვა ან ყურის აწევა, შეკითხვა 38 N= 641 | 21.2% | 66.5% | 12.3% |
| დარტყმა, ცემა ხელით, შეკითხვა 33 N= 455 | 31.9% | 55.4% | 12.7% |
| დარტყმა, ცემა რაიმე საგნით, შეკითხვა 34 N=65 | n=16 | N =43 | N=6 |

ფსიქოლოგიური ძალადობა

4.9 ცხრილში მოცემულია ბავშვების მიმართ ოჯახურ გარემოში განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობის დეტალები. თუმცა ყველა შეკითხვა არ არის იმ კითხვების იდენტური, რომლებიც დაესვა მზრუნველებს, ჩვენ აქაც ვხედავთ ყვირილისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების მაღალ მაჩვენებლებს. ნაკლებად ხშირი იყო მიტოვების მუქარა (გასულ წელს ის რესპონდენტ მზრუნველთა 27.4%-მა გამოიყენა), რამაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ გამოიწვიოს შიში შედარებით უფროსი ასაკის ბავშვებში, განსაკუთრებით, თუ მათ ასეთი უშედეგო მუქარა მანამდე მრავალჯერ აქვთ მოსმენილი. მზრუნველებისთვის არ დაუსვამთ შეკითხვა ბავშვის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენების შესახებ, რის მიმართაც უფრო დიდი ასაკის ბავშვები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან.

ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევათა სიხშირესთან დაკავშირებით ბავშვების უმეტესობამ აღნიშნა, რომ მათ განუცდიათ იგი დროის გარკვეულ მონაკვეთებში და მხოლოდ უმცირესობამ თქვა, რომ ამას მრავალჯერ ჰქონდა ადგილი გასული წლის განმავლობაში. მაგალითად, 2.6%-მა აღნიშნა, რომ მათ მრავალჯერ მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და მხოლოდ 1%-მა — რომ ისინი მრავალჯერ ჩააყენეს უხერხულ მდგომარეობაში.

ცხრილი 4.9: ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები ოდესმე და გასულ წელს
(აღნიშნული შემთხვევების სიხშირის რიგის მიხედვით)

| ფსიქოლოგიური ძალადობა | ოდესმე | | გასულ წელს | |
|---|------------|-------------|------------|-------------|
| | N | % | N | % |
| სულ N= 1050 | 744 | 70.9 | 621 | 59.1 |
| დაგიკვივლათ (შეკითხვა 18) | 584 | 55.6 | 481 | 45.8 |
| შეურაცხყოფა მოგაყენათ (შეკითხვა 19) | 320 | 30.5 | 271 | 25.8 |
| დაგამცირათ (შეკითხვა 20) | 181 | 17.2 | 135 | 12.9 |
| დაგემუქრათ, რომ გატკენდათ ან მოგკლავდათ (შეკითხვა 24) | 117 | 11.1 | 24 | 2.3 |
| დაგემუქრათ, რომ მიგატოვებდათ (შეკითხვა 22) | 93 | 8.9 | 57 | 5.4 |
| ისურვა, მომკვდარიყავით (შეკითხვა 21) | 90 | 8.6 | 61 | 5.8 |
| სახლში არ გიშვებდათ (შეკითხვა 23) | 40 | 3.8 | 25 | 2.4 |
| მეორე ბავშვის მხრიდან ბულინგი განიცადეთ (შეკითხვა 25) | 239 | 22.8 | 188 | 17.9 |

ძალადობის ჩამდენებთან დაკავშირებული დეტალები ხელმისაწვდომია მხოლოდ „ოდესმე“ მომხდარი შემთხვევებისთვის. 4.9ა ცხრილში მოცემულია განაწილება ორი ყველაზე გავრცელებული ქმედებისათვის. აქ ჩანს, რომ უფრო მეტი ალბათობა იყო, უფროს ადამიანს მიეყენებინა სიტყვიერი შეურაცხყოფა ბავშვისათვის, ხოლო უხერხულ მდგომარეობაში ჩადგების შემთხვევაში უფრო მეტი ალბათობა იყო იმისა, რომ ეს სხვა ბავშვს ჩაედინა მისი გალიზიანების თუ გაკონტროლების მიზნით. ერთი ბავშვის მიერ მეორის უშუალო ბულინგი და რეკომენდაციები ძალადობის ჩამდენ ბავშვებთან დაკავშირებით განხილულია ზემოთ ტექსტში.

ცხრილი 4.9ა: დეტალები (ფსიქოლოგიური ძალადობის) იმ შერჩეული ქმედებების ჩამდენებთან დაკავშირებით, რომლებიც ოდესმე განცდილი ჰქონდათ ბავშვებს

| ქმედება | ჩამდენი | | |
|-----------------------------------|---------|--------|-------|
| | ბავშვი | უფროსი | ორივე |
| შეურაცხყოფის მიყენება (q19) n=320 | 20% | 71.9% | 8.1% |
| დამცირება (q20) n=181 | 48.6% | 40.3% | 11.0% |

მრავალი შემთხვევა, რომლებიც შევიდა კვლევაში როგორც ფსიქოლოგიური ძალადობის მაგალიტები, შეიძლება ჩაითვალოს ბავშვობის „ნორმალურ“ ნაწილად. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით როდესაც ეს ქმედებები გამოიყენება დამაბალანსებელი პოზიტიური გამოცდილების გარეშე, ყველა მათგანს აქვს პოტენციალი, ზიანი მიაყენოს ბავშვის თვითშეფასებას და საკუთარი ფასეულობის შეგრძნებას. მათ ასევე შეიძლება უბიძგონ ბავშვს, გამოიყენოს იგივე მიდგომა სხვა ბავშვების და უფრო მცირე ასაკის ბავშვების მიმართ.

რეკომენდაციები:

- ყველა ადამიანს, ვინც პასუხისმგებელია ბავშვების მოვლაზე, ესაჭიროება განათლება ბავშვის ემოციურ განვითარებაზე ფსიქოლოგიური ძალადობის ზეგავლენის შედეგებთან დაკავშირებით;
- ბავშვებს სჭირდებათ ინფორმაცია ემოციური განათლების კუთხით და ნახალისება, რათა პატივისცემით მოეპყრონ სხვა ბავშვებსა და უფრო მცირე ასაკის ბავშვებს;
- ბავშვებმა უნდა იცოდნენ, თუ ვის მიანოდონ ინფორმაცია ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ, სხვა ბავშვის მიერ ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობის ჩათვლით.

უგულებელყოფა

როგორც ცხრილი 4.10 გვიჩვენებს, ბავშვების მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული უგულებელყოფის ფორმა იყო შიმშილი და წყურვილი. როგორც მზრუნველთა მიერ მონოდეტული ინფორმაციის შემთხვევაშია ნახსენები, ეს შესაძლოა სიღარიბეს უკავშირდებოდეს.

ცხრილი 4.10: დეტალები ბავშვთა მიერ განცდილი უგულებელყოფის შესახებ

| უგულებელყოფა | ოდესმე | | გასულ წელს | |
|--|------------|-------------|------------|-------------|
| | N | % | N | % |
| სულ N = 1050 | 291 | 27.7 | 260 | 24.8 |
| მშვიდი ან მწყურვალი დარჩით (შეკითხვა 26) | 133 | 12.7 | 118 | 11.2 |
| არ გაგინიეს სათანადო მხარდაჭერა/დახმარება (შეკითხვა 31) | 93 | 8.9 | 81 | 7.7 |
| თავი უსარგებლოდ იგრძენით (შეკითხვა 30) | 93 | 8.9 | 79 | 7.5 |
| არაადეკვატური ტანსაცმელი (შეკითხვა 27) | 70 | 6.7 | 60 | 5.7 |
| იგრძენით, რომ არ გივლიდნენ (შეკითხვა 29) | 65 | 6.2 | 54 | 5.1 |
| არ დააკმაყოფილეს თქვენი სამედიცინო საჭიროება (შეკითხვა 28) | 46 | 4.4 | 35 | 3.3 |

ბავშვებმა ასევე აღნიშნეს, რომ ისინი განიცდიდნენ ემოციურ უგულებელყოფას. ეს გრძნობა შესაძლოა ნაწილობრივ ფსიქოლოგიური ძალადობისა და დასჯის შედეგს წარმოადგენდეს.

სქესობრივი შეურაცხყოფა/ძალადობა

მიუხედავად მოსაზრებებისა, რომლებიც არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გააჩნდა კვლევას რეალური პოტენციალი, მოეპოვებინა ინფორმაცია ოჯახურ გარემოში სქესობრივი შეურაცხყოფის/ძალადობის შესახებ სრული სურათის შესაქმნელად, ბავშვთა 7.8%-მა აღნიშნა, რომ მათ განიცადეს სქესობრივი შეურაცხყოფა/ძალადობა გასული წლის განმავლობაში. ორი ფორმა, რომელიც ყველაზე ხშირად აღინიშნებოდა, იყო სექსუალური საუბარი და პორნოგრაფიის ჩვენება. არც ერთი მათგანი არ მოიცავდა ინიციატორთან ფიზიკურ კონტაქტს. თექვსმეტმა ბავშვმა აღნიშნა, რომ ფიზიკურად შეეხნენ მათი სხეულის „ინტიმურ ნაწილებს“, ხოლო თხუთმეტმა თქვა, რომ მათთან სქესობრივი კონტაქტის დამყარებას შეეცადნენ.

ცხრილი 4.11: დეტალები ბავშვთა მიერ განცდილი სქესობრივი შეურაცხყოფის/ძალადობის შესახებ

| სქესობრივი ძალადობა | ოდესმე | | გასულ წელს | |
|---|-----------|----------|------------|------------|
| | N | % | N | % |
| სულ N=1050 | 95 | 9 | 82 | 7.8 |
| სექსუალურად გესაუბრებოდათ (შეკითხვა 41) | 52 | 5.0 | 46 | 4.4 |
| პორნოგრაფია გაჩვენათ (შეკითხვა 42) | 41 | 3.9 | 35 | 3.3 |
| ხელით შეეხო გენიტალებს (შეკითხვა 43) | 18 | 1.7 | 16 | 1.5 |
| ეცადა, თქვენთან სექსი ჰქონოდა (შეკითხვა 46) | 17 | 1.6 | 15 | 1.4 |

| | | | | |
|---|----|-----|---|-----|
| გაიძულათ, შეგეხებათ მისი გენიტალიებისთვის ან უნდოდა თქვენისთვის შეეხება (შეკითხვა 44) | 10 | 1.0 | 8 | 0.8 |
| სექსუალური ვიდეო გადაგიღოთ (შეკითხვა 45) | 1 | 0.1 | 1 | 0.1 |

იმ ბავშვთა უმეტესობამ, ვინც მოგვანოდა ინფორმაცია გასული წლის განმავლობაში მომხდარი სქესობრივი შეურაცხყოფის/ძალადობის შემთხვევების შესახებ, აღნიშნა, რომ ამას ადგილი ჰქონდა ზოჯგერ და არა მრავალჯერ. თუმცა იყო 7 ბავშვი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათ მრავალჯერ აჩვენეს პორნოგრაფია, და 3 ბავშვი, ვინც თქვა, რომ მათთან მრავალჯერ შეეცადნენ სქესობრივი კონტაქტის დამყარებას.

ბავშვებმა მოგვანოდეს ინფორმაცია ინიციატორების შესახებ ყველა შემთხვევისათვის, როგორც გასული წლის განმავლობაში, ასევე ოდესმე. დეტალები მოცემულია 4.11ა ცხრილში. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ბავშვები გვანვდიდნენ ინფორმაციას მათი სურვილის გარეშე მომხდარი შემთხვევების შესახებ. მათი გამოცდილება ადასტურებს, რომ არსებობს ბავშვთა დაცვის ისეთი სისტემის დამკვიდრების საჭიროება, რომელსაც შეუძლია რეაგირება ოჯახურ გარემოში მომხდარი სქესობრივი ძალადობის/შეურაცხყოფის ფაქტებზე, მაშინაც, როდესაც ძალადობის ჩამდენი უფროსი ადამიანია და მაშინაც, როდესაც ძალადობის ჩამდენი ბავშვია (რეკომენდაციები მოცემულია ზემოთ). ბავშვებმა უნდა იცოდნენ, როგორ მიმართონ აღნიშნულ სისტემას.

ცხრილი 4.11: დეტალები ოდესმე განცდილი სქესობრივი ძალადობის/შეურაცხყოფის შესახებ, ინიციატორის ჩათვლით

| ქმედება | ინიციატორი | | |
|--|-------------|-------------|------------|
| | უფროსი N | ბავშვი N | ორივე N |
| Qs 41 – 46 N=95 | | | |
| სექსუალურად დაგელაპარაკათ N=52 | 7 | 43 | 2 |
| პორნოგრაფია გაჩვენათ N=41 | 11 | 26 | 4 |
| გენიტალიებს შეეხო N=18 | 6 | 10 | 2 |
| გაიძულათ, შეგეხებათ მისი გენიტალიებისთვის ან უნდოდა თქვენისთვის შეეხება N=10 | 3 | 6 | 1 |
| სექსუალური ვიდეო გადაგიღოთ N=1 | 0 | 1 | 0 |
| ეცადა, სქესობრივი კავშირი დაემყარებინა თქვენთან N=17 | 5 | 12 | 0 |

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს შეუძლიათ ისწავლონ გარკვეული გზები სქესობრივი შეურაცხყოფისაგან თავის დასაცავად, ეს არასოდეს მთლიანად არ გამორიცხავს რისკს. ბავშვებს არასოდეს არ უნდა დავაკისროთ პასუხისმგებლობა რაიმე სახის ძალადობისათვის, რომელსაც ისინი განიცდიან. უფროსებმა უნდა გაათვითცნობიერონ და აღიარონ საკუთარი პასუხისმგებლობა ბავშვების დაცვის თვალსაზრისით. მაგალითად, მშობლებმა უნდა შეასრულონ გარკვეული როლი ბავშვების დაცვაში: თავი აარიდონ ბავშვებთან სექსუალურ საუბარს და შეზღუდონ მათთვის პორნოგრაფიის ხელმისაწვდომობა.

რეკომენდაციები:

- მშობლებსა და საზოგადოებას უნდა მივანოდოთ ინფორმაცია ბავშვების მიმართ სქესობრივი ძალადობის/შეურაცხყოფის და მათი დაცვის გზების შესახებ;
- ბავშვებმა უნდა ისწავლონ საკუთარი თავის დაცვის გზები და გაათვითცნობიერონ, რომ ისინი არ არიან პასუხისმგებელნი მათ მიმართ ჩადენილ ძალადობაზე/შეურაცხყოფაზე.

თავი მეხუთე: ბავშვთა მიერ სოციალური ზრუნვის დანესებულებებში განცდილი ძალადობის შემთხვევები

ICAST-ის ინსტიტუციური კითხვარი გამოყენებული იქნა იმ სამას ერთი¹⁸ ბავშვის წარმომადგენლობითი შერჩევის მიმართ, რომლებიც სამთავრობო დოტაციებით არსებულ სოციალური ზრუნვის დანესებულებებში ცხოვრობენ. კითხვარის აღნიშნული ვერსია მოიცავს შეკითხვებს ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობის შესახებ. ისევე, როგორც საზოგადოებაში მცხოვრებ ბავშვთა შერჩევის შემთხვევაში, ბავშვებს სთხოვეს, დაესახელებინათ ძალადობის ჩამდენი, ანუ ჰკითხეს, ვინ იყო იგი: სხვა ბავშვი თუ უფროსი ადამიანი, რის შედეგადაც ბავშვებს მიეცათ ორივე ტიპის ძალადობის შესახებ ინფორმაციის მინოდების შესაძლებლობა. ამას დაემატა შეკითხვები უგულებელყოფის თაობაზე, რომლებიც აღებული იქნა ოჯახური გარემოსათვის განკუთვნილი კითხვარიდან, ვინაიდან არსებობდა მოსაზრება, რომ მნიშვნელოვანი იყო ინფორმაციის შეგროვება იმ უგულებელყოფის შესახებ, რომელსაც განიცდიან სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მცხოვრები ბავშვები. ბავშვებს ჩაუტარდათ ინდივიდუალური ინტერვიუები დანესებულებებში. ინტერვიუს განმავლობაში ხდებოდა იმის ხაზგასმაც, რომ ინტერვიუერი დაინტერესებული იყო მხოლოდ იმ შემთხვევებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დანესებულების ფარგლებში, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული აღრევა ძალადობის იმ გამოცდილებასთან, რომელიც ბავშვს შეიძლება სხვა გარემოში ჰქონოდა მიღებული.

ბავშვების მახასიათებლები

ცხრილი 5.1 გვიჩვენებს სქესის განაწილებას და სოციალური ზრუნვის დანესებულებების ადგილმდებარეობას. ასაკობრივი განაწილება ნაჩვენებია 5.2 ცხრილში.

ცხრილი 5.1: ბავშვების მახასიათებლები

| | | N | % |
|-----------------|---------|-----|------|
| სქესი | ბიჭი | 156 | 51.8 |
| | გოგონა | 145 | 48.2 |
| ადგილმდებარეობა | თბილისი | 105 | 35.0 |
| | რეგიონი | 195 | 65.0 |

ბიჭების უფრო დიდი რაოდენობა და ბავშვების უფრო მცირე ასაკი, საზოგადოებიდან შედგენილ შერჩევასთან შედარებით, ასახავს საქართველოში სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მცხოვრებ ბავშვთა განაწილებას სქესისა და ასაკის მიხედვით.

¹⁸ მონაცემთა შეყვანის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ინტერვიუები ჩაუტარდა 301 ბავშვს. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ანალიზი გაგრძელდეს 301 ბავშვის ნიმუშის საფუძველზე.

ცხრილი 5.2: მთლიანი შერჩევის ასაკობრივი განაწილება (301)

| ასაკი | % | |
|-------|--------------|------|
| | დანესებულება | თემი |
| 11 | 17.6 | 14.4 |
| 12 | 18.6 | 14.4 |
| 13 | 16.9 | 14.2 |
| 14 | 14.0 | 14.5 |
| 15 | 15.0 | 14.3 |
| 16 | 10.3 | 14.7 |
| 17 | 7.0 | 13.6 |
| 18 | 0.7 | 0.7 |

ყველა ბავშვი იყო ფიზიკურად და გონებრივად სრულფასოვანი, ვინაიდან ხელმისაწვდომი რესურსები არ იძლეოდა კვლევის ინსტრუმენტების ისე ადაპტირების საშუალებას, რომ ისინი გამოეყენებულყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობისთვის.

რეკომენდაცია:

- საჭიროა კვლევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მიმართ ძალადობისა და მათი უგულებელყოფის საკითხებზე.

ბავშვებს სთხოვეს, გაეზიარებინათ საკუთარი გრძნობები და მოსაზრებები დანესებულებასთან დაკავშირებით. მათი პასუხები მოცემულია 4.3 ცხრილში, სადაც ნაჩვენებია, რომ მათი უმეტესობა, თუმცა არა ყველა მათგანი, თავს უსაფრთხოდ გრძნობდა.

| | ყოველთვის | ჩვეულებრივ | ზოგჯერ | არასოდეს |
|--|-----------|------------|--------|----------|
| დანესებულებაში, სადაც ცხოვრობთ, თავს უსაფრთხოდ გრძნობთ? შეკითხვა 10. | 80.7% | 9.0% | 5.0% | 5.3% |
| დანესებულებაში ცხოვრება მოგწონთ? შეკითხვა 10.a | 68.1% | 21.6% | 9.0% | 1.3% |

გამოცდილებების შეჯამება

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა

ბავშვების მიმართ სოციალური ზრუნვის დანესებულებაში გასული წლის განმავლობაში განხორციელებული როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები შეჯამებულია 5.4 ცხრილში. ბავშვებმა მოგვანოდეს ინფორმაცია ასეთი შემთხვევების შესახებ როგორც გასული წლის განმავლობაში, ისე ოდესმე იმ პერიოდის მანძილზე, რაც ისინი დანესებულებაში ცხოვრობდნენ. მაჩვენებლები მაღალი იყო: 71.1%-მა აღნიშნა ფიზიკური, ხოლო 61.5%-მა – ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები გასული წლის განმავლობაში.

ცხრილი 5.4: ბავშვების გამოცდილებების შეჯამება – ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა

| ბავშვები სოციალური ზრუნვის დანესებულებაში | ფიზიკური ძალადობა | | | | ფსიქოლოგიური ძალადობა | | | |
|---|-------------------|-------------|------------|-------------|-----------------------|-------------|------------|-------------|
| | ოდესმე | | გასულ წელს | | ოდესმე | | გასულ წელს | |
| | N | % | N | % | N | % | N | % |
| სულ N=301 | 228 | 75.7 | 214 | 71.1 | 195 | 64.8 | 185 | 61.5 |

უგულებელყოფა

უგულებელყოფის შესახებ დასმულმა შეკითხვებმა მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ ბავშვების დაახლოებით ერთი მესამედი თვლიდა, რომ ისინი განიცდიდნენ უგულებელყოფას მას შემდეგ, რაც სოციალური ზრუნვის დანესებულებაში ცხოვრება დაიწყო (ცხრილი 5.5).

ცხრილი 5.5: ბავშვთა გამოცდილებების შეჯამება – უგულებელყოფა

| ბავშვები სოციალური ზრუნვის დანესებულებაში | უგულებელყოფა | | | |
|---|--------------|------|------------|------|
| | ოდესმე | | გასულ წელს | |
| | N | % | N | % |
| სულ N=301 | 103 | 34.2 | 97 | 32.2 |

სქესობრივი ძალადობა/შეურაცხყოფა

ცხრილი 5.6 გვიჩვენებს ინფორმაციას სქესობრივი ძალადობის/შეურაცხყოფის შემთხვევების შესახებ როგორც გასული წლის, ასევე მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც ბავშვი სოციალური ზრუნვის დანესებულებაში მოხვდა.

ცხრილი 5.6: ბავშვთა გამოცდილებების შეჯამება – სქესობრივი ძალადობა/შეურაცხყოფა

| ბავშვები სოციალური ზრუნვის დანესებულებაში | სქესობრივი ძალადობა | | | |
|---|---------------------|------|------------|------|
| | ოდესმე | | გასულ წელს | |
| | N | % | N | % |
| სულ N=301 | 52 | 17.3 | 50 | 16.6 |

შედარება საზოგადოებიდან შედგენილ შერჩევასთან

ძალადობისა და უგულებელყოფის ყველა ტიპის მაჩვენებლები როგორც საზოგადოებაში, ასევე სოციალური ზრუნვის დანესებულებაში მცხოვრები ბავშვებისათვის შედარებულია 4.6 ცხრილში. დანესებულებაში მყოფი ბავშვები ძალადობისა და უგულებელყოფის შემთხვევების უფრო დიდ რაოდენობას აღნიშნავენ, ვიდრე ბავშვები საზოგადოებიდან.

ცხრილი 5.8: შედარება საზოგადოებიდან შედგენილ შერჩევასთან


| | ზოგადი მოსახლეობა N = 1050 | დანესებულება N=301 |
|-----------------------|-------------------------------|-----------------------|
| ფიზიკური ძალადობა | 54.0% | 71.1% |
| ფსიქოლოგიური ძალადობა | 59.1% | 61.5% |
| უგულებელყოფა | 24.8% | 32.2% |
| სქესობრივი ძალადობა | 7.8% | 16.6% |

მხოლოდ ფსიქოლოგიური ძალადობის მაჩვენებლები არ აღწევს სტატისტიკურ მნიშვნელობას.

განსხვავებები სქესისა და ასაკის მიხედვით


განსხვავებები ბიჭებისა და გოგონების მიერ აღნიშნული ძალადობის, უგულებელყოფისა და სქესობრივი ძალადობის/შეურაცხყოფის შემთხვევების რაოდენობებში, რასაც ადგილი ჰქონდა გასულ წელს, ნაჩვენებია 5.1 დიაგრამაზე. მხოლოდ უგულებელყოფის მაჩვენებლები აღწევს სტატისტიკურ მნიშვნელობას: გოგონები უფრო დიდ რაოდენობას აღნიშნავენ ($p=0.026$).

დიაგრამა 5.1: ძალადობისა და უგულვებელყოფის შემთხვევები სქესის მიხედვით (%)



დიაგრამა 5.2 გვჩვენებს განსხვავებებს ასაკის მიხედვით. რეგრესიული ანალიზი ცხადყოფს, რომ ფიზიკური ძალადობა მცირდებოდა ასაკის ზრდასთან ერთად ($p=0.00$). განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებელი ყველაზე მცირე ასაკობრივ ჯგუფში იყო. ერთ-ერთი შესაძლებელი ახსნა იყო ბუღინგი სხვა ბავშვების მიერ. რაც შეეხება უგულვებელყოფას, მართალია, არ იყო აღმოჩენილი ზოგადი ტენდენცია, მაგრამ ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს უფრო მცირე ასაკის ბავშვები აღნიშნავდნენ. ეს შედეგები იწვევს შემოფოთებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ექცევიან უფრო მცირე ასაკის ბავშვებს. აღნიშნული საკითხი შემდგომ განხილვას საჭიროებს.

დიაგრამა 5.2: ბავშვების მიერ მონოდებული ინფორმაცია ძალადობისა და უგულვებელყოფის შესახებ, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



რეკომენდაცია:

- სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში მცხოვრები მცირე ასაკის ბავშვების გამოცდილების შემდგომი კვლევა.

საინტერესოა, რომ უფრო მეტმა ბიჭმა აღნიშნა სქესობრივი ძალადობის/შეურაცხყოფის შემთხვევები, ვიდრე გოგონამ, თუმცა განსხვავება სტატისტიკურ მნიშვნელობას არ აღწევს.

ეს ფაქტი განხილული იქნება შემდგომში, როდესაც ვისაუბრებთ სქესობრივად შეურაცხმომფელი/ძალადობრივი ქმედებების დეტალებზე.


ვინ ჩაიდინა ძალადობა?

როდესაც ყველა ქმედება, რომელთაგანაც შედეგება ძალადობის ან შეურაცხყოფის თითოეული კატეგორია, ერთად იქნა განხილული, უფრო მეტი ალბათობა აღმოჩნდა იმისა, რომ ინიციატორი ყოფილიყო სოციალური ზრუნვის დანესებულებაში მყოფი სხვა ბავშვი, და არა უფროსი ადამიანი. ცხრილი 5.9 გვიჩვენებს აღნიშნულ ტენდენციას როგორც გასული წლის, ისე დანესებულებაში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში. ეს არ ნიშნავს, რომ არ არსებობდა ძალადობის ინდივიდუალური აქტები, რომელთა ჩამდენი უფრო ხშირად უფროსი იყო, ვიდრე ბავშვი. ჩვენ ვაგრძელებთ აღნიშნული მაჩვენებლისა და სავარაუდო შედეგების კვლევას. პროცენტული მაჩვენებლები აღნიშნავს იმ ბავშვთა მთლიან რაოდენობას, რომლებმაც მოგვანოდეს ინფორმაცია ძალადობის გარკვეული ტიპის შესახებ. ამგვარად, 63 ბავშვიდან, რომლებმაც აღნიშნეს გასული წლის განმავლობაში მომხდარი ფიზიკური ძალადობის შემთხვევები, 29.4%-მა თქვა, რომ მათ მიმართ ძალადობა ერთხელ ან მეტჯერ ჩაიდინა სხვა ბავშვმა, 12.1%-მა თქვა, რომ ეს იყო უფროსი ადამიანი, ხოლო 58.4%-ის თქმით, ეს იყო როგორც ბავშვი, ისე უფროსი. ცხრილი 5.9 გვანვდის ინფორმაციას როგორც გასული წლისთვის, ისე ნებისმიერი პერიოდისათვის, ხოლო დიაგრამა 5.4 წარმოგიდგენს მხოლოდ გასული წლის მაჩვენებლებს.

ცხრილი 5.9: ძალადობის ჩამდენები საერთოდ და გასული წლის განმავლობაში

| | ოდესმე | | | | | | | გასულ წელს | | | | | | |
|-----------------------|---------------|-------------------|------|--------|------|-------|------|---------------|-------------------|------|--------|------|-------|------|
| | სულ (100%) | ძალადობის ჩამდენი | | | | | | სულ (100%) | ძალადობის ჩამდენი | | | | | |
| | | ბავშვი | | უფროსი | | ორივე | | | ბავშვი | | უფროსი | | ორივე | |
| | N | % | N | % | N | % | N | N | % | N | % | N | % | |
| ფიზიკური ძალადობა | 228 | 67 | 29.4 | 33 | 14.5 | 128 | 56.1 | 214 | 63 | 29.4 | 26 | 12.1 | 125 | 58.4 |
| ფსიქოლოგიური ძალადობა | 195 | 105 | 53.8 | 19 | 9.7 | 71 | 36.4 | 185 | 100 | 54.1 | 15 | 8.1 | 70 | 37.8 |
| სქესობრივი ძალადობა | 52 | 38 | 73.1 | 4 | 7.7 | 10 | 19.1 | 50 | 36 | 72.0 | 4 | 8.0 | 10 | 20.0 |

დიაგრამა 5.3: ინიციატორები (%) გასული წლის განმავლობაში



ძალადობა დეტალურად

ფიზიკური ძალადობა

ცხრილი 5.10 გვიჩვენებს ბავშვის მიერ განცდილი იმ ძალადობის დეტალებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც იგი საცხოვრებლად მოვიდა სოციალური ზრუნვის დაწესებულებაში, ინიციატორის (რომელიც შეიძლება ყოფილიყო დაწესებულებაში მყოფი სხვა ბავშვი ან უფროსი ადამიანი) შესახებ ინფორმაციასთან ერთად. თითოეული ქმედებისათვის ცხრილში მოცემულია იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებმაც განიცადეს ეს ქმედება, ინიციატორების მიხედვით. 109 ბავშვმა აღნიშნა, რომ მათ მკლავზე დაარტყეს. აქედან 11%-მა აღნიშნა, რომ ეს ერთხელ ან მეტჯერ ჩაიდინა უფროსმა ადამიანმა, 75.2%-მა თქვა, რომ მათ დაარტყა სხვა ბავშვმა, ხოლო 13.8%-ის თქმით – როგორც სხვა ბავშვმა, ისე უფროსმა.

ცხრილი 5.10: დეტალები ფიზიკური ძალადობის ქმედებათა შესახებ, ინიციატორის თაობაზე ინფორმაციის ჩათვლით

| ფიზიკური დასჯა | ოდესმე | | ინიციატორი | | | | | |
|---|--------|------|------------|------|--------|------|-------|------|
| | | | უფროსი | | ბავშვი | | ორივე | |
| | N | % | N | % | N | % | N | % |
| სულ | 228 | 75.7 | 33 | 14.5 | 67 | 29.4 | 128 | 56.1 |
| ქმედება | | | | | | | | |
| აგინიათ ყური. შეკითხვა 14 | 130 | 43.2 | 113 | 86.9 | 6 | 4.6 | 11 | 8.5 |
| დაგარტყათ ხელზე ან მკლავზე. შეკითხვა 13 | 109 | 36.2 | 12 | 11.0 | 82 | 75.2 | 15 | 13.8 |
| დაგარტყათ ხელზე ან სახეში. შეკითხვა 12 | 96 | 31.2 | 28 | 29.1 | 50 | 52.1 | 18 | 18.8 |
| თმა მოგქაჩათ. შეკითხვა 15 | 81 | 26.9 | 36 | 44.4 | 30 | 37.1 | 15 | 18.5 |
| ხელი გკრათ. შეკითხვა 18 | 79 | 26.2 | 0 | 0 | 79 | 100 | 0 | 0 |
| დაგარტყათ. შეკითხვა 17 | 71 | 23.6 | 2 | 2.9 | 69 | 97.1 | 0 | 0 |
| დაგაზიანათ. შეკითხვა 11 | 60 | 19.9 | 5 | 8.3 | 5 | 8.3 | 50 | 83.4 |
| საგნები გესროლათ. შეკითხვა 16 | 53 | 17.6 | 4 | 7.5 | 49 | 92.5 | 0 | 0 |
| თითები მოგამტვრიათ. შეკითხვა 19 | 40 | 13.3 | 5 | 12.5 | 35 | 87.5 | 0 | 0 |
| ფეხზე დაგაყენათ/დაგაჩოქათ დასჯის სახით. შეკითხვა 21 | 25 | 8.3 | 3 | 12.0 | 22 | 88.0 | 0 | 0 |
| პირი საპნით ან წინაკით გამოგირეცხათ. შეკითხვა 20 | 15 | 5.0 | 1 | 6.67 | 14 | 93.3 | 0 | 0 |
| ეცადა თქვენს დახრჩობას. შეკითხვა 27 | 14 | 4.7 | 0 | 0 | 14 | 100 | 0 | 0 |
| დაგაბათ. შეკითხვა 28 | 14 | 4.7 | 2 | 14.3 | 12 | 85.8 | 0 | 0 |
| გაიძულათ, რაიმე საშიში გაგეკეთებინათ. შეკითხვა 26 | 10 | 3.3 | 2 | 20 | 8 | 80 | 0 | 0 |
| სიცივეში ან სიცხეში დაგაყენათ დასჯის სახით. შეკითხვა 22 | 7 | 2.3 | 6 | 85.7 | 0 | 0 | 1 | 14.3 |
| დაგწვათ. შეკითხვა 23 | 3 | 1.0 | 0 | 0 | 3 | 100 | 0 | 0 |
| ბასრი საგნით დაგჭრათ. შეკითხვა 29 | 5 | 1.7 | 2 | 40 | 3 | 60 | 0 | 0 |
| საჭმელი წაგართვათ. შეკითხვა 25 | 4 | 1.3 | 3 | 75 | 1 | 25 | 0 | 0 |
| ცივ ან ცხელ წყალში ჩაგსვათ. შეკითხვა 24 | 1 | 0.3 | 0 | 0 | 1 | 100 | 0 | 0 |

ეს ცხრილი ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ არსებობს გარკვეული ქმედებები, რომელთა უფრო მაღალი პროცენტული რაოდენობა ჩადენილია უფროსების და არა ბავშვების მიერ. განსაკუთრებული მაგალითია ყურის აწევა: აღნიშნა, რომ ეს ქმედება უფროსებმა 124-ჯერ ჩაიდინეს, ხოლო

ბავშვებმა 17-ჯერ. ასევე აღინიშნებოდა უფროსი ადამიანების მიერ გამოყენებული სხვადასხვა ფიზიკური სასჯელი, რომელთაგან ზოგიერთმა შესაძლოა დაზიანება გამოიწვიოს. აღნიშნული შემთხვევების რაოდენობა მცირეა, თუმცა მაინც ინვესტ გარკვეულ შემფოთებას იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ბავშვებზე ზრუნვის დანესებულებებში „ოფიციალურად“ არის აკრძალული ფიზიკური დასჯა („ბავშვების წინააღმდეგ ლეგალიზებული ძალადობის დასრულება: გლობალური ანგარიში“, 2007).

რეკომენდაციები:

- სოციალური ზრუნვის დანესებულებათა თანამშრომლებს ესაჭიროებათ დამატებითი ტრენინგი ბავშვთა უფლებების და იმ მეთოდების შესახებ, რომლებიც არ მოიცავს ფიზიკურ ძალადობას;
- სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მცხოვრები ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მიმართვისა და შეფასების იგივე მომსახურებები ძალადობის გამოძიებისა და შესაბამისი რეაგირებისათვის, რაც საზოგადოებაში მცხოვრები ბავშვებისათვის;
- სოციალური ზრუნვის დანესებულებას ესაჭიროება საკუთარი წესები (პოლიტიკა და პროცედურები) ძალადობის შესახებ ეჭვის არსებობისას მისი იდენტიფიცირებისა და მართვის მიზნით;
- უნდა მოხდეს თანამშრომელთა ისტორიების შემოწმება წარსულში ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევათა გამოვლენის მიზნით;
- უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი პირი (დამცველი), ვისაც ბავშვებმა და თანამშრომლებმა შეიძლება მიმართონ თავდაპირველი კონფიდენციალური რჩევისათვის, თუ არსებობს ეჭვი ძალადობასთან დაკავშირებით.

როდესაც უფროსი ადამიანები იყენებენ ძალადობას ბავშვების მიმართ, გასაკვირი არ არის, რომ ბავშვები ერთმანეთთან ურთიერთობაში ძალადობას მიმართავენ. ანგარიშებიდან აშკარაა, რომ სოციალური ზრუნვის დანესებულებაში მყოფ ბავშვებს შორის უხვად აქვს ადგილი დარტყმას, ხელის კვრას და ა. შ. ამის აღბათობა უფრო მაღალია, როდესაც ბავშვები არ არიან ჩართულნი კონსტრუქციულ აქტივობაში სათანადო ზედამხედველობით. ერთ-ერთმა მშობელმა, რომელსაც ჰკითხეს, თუ როგორ უნდა იმართოს ბავშვების ქცევა, თქვა: „დააკავეთ ისინი საქმით“.

რეკომენდაციები:

- ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლის გარეთ კონსტრუქციული აქტივობა სათანადო ზედამხედველობით;
- უნდა მოხდეს ბავშვების აქტიური ნახალისება და მხარდაჭერა, რათა მათ გამოძებნონ კონფლიქტების მოგვარების არაძალადობრივი გზები. ამ ამოცანის შესასრულებლად თანამშრომლებს დასჭირდებათ ტრენინგი კონფლიქტების მართვის სფეროში;
- სოციალური ზრუნვის დანესებულების ფარგლებში უნდა შემუშავდეს ქცევის კოდექსი როგორც უფროსებისთვის, ისე ბავშვებისათვის, რათა ნათელი იყოს, რომ ადამიანებს შორის ძალადობა მიუღებელია.

ფსიქოლოგიური ძალადობა

5.11 ცხრილში მოცემულია სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიური ძალადობის დეტალები, ინიციატორთა შესახებ ინფორმაციის ჩათვლით. აქ მითითებული ყველა ქმედების შემთხვევაში ინიციატორად უფრო ხშირად სხვა ბავშვი დასახელებული.

ცხრილი 5.11: ფსიქოლოგიური ძალადობის ქმედებები, ინიციატორის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით

| ფსიქოლოგიური დასჯა | ოდესმე | | ინიციატორი | | | | | |
|--|------------|-------------|------------|------|--------|------|-------|------|
| | N | % | უფროსი | | ბავშვი | | ორივე | |
| | N | % | N | % | N | % | N | % |
| სულ | 195 | 64.8 | | | | | | |
| ქმედება | | | | | | | | |
| უხეში ან სანყენი სახელებით მოგმართათ. შეკითხვა 33 | 101 | 33.6 | 11 | 10.9 | 77 | 76.2 | 13 | 12.9 |
| შეგაგინათ. შეკითხვა 30 | 93 | 30.9 | 28 | 30.1 | 52 | 55.9 | 13 | 4.0 |
| ნივთები მოგპარათ ან გაგიფუჭათ. შეკითხვა 40 | 87 | 28.9 | 2 | 2.3 | 83 | 95.4 | 2 | 2.3 |
| დაგიყვირათ. შეკითხვა 32 | 69 | 22.9 | 25 | 36.2 | 26 | 37.7 | 18 | 26.1 |
| შეურაცხყოფა მოგაყენათ. შეკითხვა 31 | 50 | 16.6 | 3 | 6.0 | 35 | 70.0 | 12 | 24.0 |
| თავი სულელად გაგრძნობინათ. შეკითხვა 34 | 30 | 10.0 | 8 | 26.7 | 19 | 63.3 | 3 | 10 |
| დაგამცირათ რაიმე ნიშნის გამო (სქესი, ეროვნება და სხვ.) შეკითხვა 35 | 24 | 8.0 | 2 | 8.3 | 22 | 91.7 | 0 | 0 |
| დაგამცირათ ჯანმრთელობის პრობლემის გამო. შეკითხვა 36 | 24 | 8.0 | 3 | 12.5 | 21 | 87.5 | 0 | 0 |
| დაგამცირათ, რადგან ობოლი ხართ. შეკითხვა 38 | 19 | 6.4 | 4 | 21.5 | 14 | 73.7 | 1 | 5.3 |
| დაგამცირათ, რადგან ღარიბი ხართ. შეკითხვა 39 | 19 | 6.3 | 2 | 10.5 | 17 | 89.5 | 0 | 0 |
| იზოლაციაში მოგაქციათ. შეკითხვა 37 | 16 | 5.3 | 3 | 18.8 | 13 | 81.2 | 0 | 0 |

ყველაზე გავრცელებული ქმედებები მსგავსია იმ ქმედებებისა, რაც აღნიშნეს საზოგადოებაში მცხოვრებმა ბავშვებმა: დამამცირებელი სახელების გამოყენება, გინება და ყვირილი. ისევ და ისევ აღინიშნება, რომ ზოგიერთ ამ ხერხს იყენებენ უფროსი ადამიანები, რაც ზეგავლენას მოახდენს სოციალური ზრუნვის დაწესებულებაში არსებულ გარემოზე და გაართულებს სხვა თანამშრომლების მიერ ბავშვების ნახალისების პროცესს, რომ მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიაყენონ ერთმანეთს. შეკითხვებში შესული იყო ერთი კითხვა პირადი ნივთების შესახებ და, როგორც პასუხებიდან ჩანს, 300-დან 87-მა ბავშვმა აღნიშნა, რომ მათი პირადი ნივთი გატეხეს ან მოიპარეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთი საქციელი უმეტეს შემთხვევაში სხვა ბავშვებმა ჩაიდინეს. ბავშვებისათვის, რომელთაც ძალიან ცოტა რამ აქვთ საკუთარი, პირადი ნივთის გატეხვა ან მოპარვა ტრავმული გამოცდილებაა.

რეკომენდაციები:

- თანამშრომლებს ესაჭიროებათ ტრენინგი ბავშვების თვითშეფასებაზე და ემოციურ კეთილდღეობაზე ფსიქოლოგიური სასჯელის ზეგავლენის შესახებ;
- ქცევის კოდექსებმა როგორც თანამშრომლებისათვის, ისე ბავშვებისათვის უნდა მოიცავს ფსიქოლოგიური ძალადობის აკრძალვას;
- ბავშვთა დაცვის წესებში გათვალისწინებული უნდა იქნეს მძიმე და/ან გამეორებითი ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები.

უგულებელყოფა

მოცემული შეკითხვები დაემატა ICAST-ის კითხვარს, ვინაიდან ადგილობრივ დონეზე გაჩნდა სურვილი, სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში მყოფ ბავშვებს ჰქონოდათ შესაძლებლობა, მოეწოდებინათ ინფორმაცია ნებისმიერი იმ უგულებელყოფის მათეულ აღქმაზე, რომელიც, მათი აზრით, დაწესებულებაში ცხოვრების პერიოდში განიცადეს. გამოყენებული შეკითხვები საზოგადოებისათვის განკუთვნილ კითხვარში მოცემული შეკითხვების იდენტური იყო და, როგორც ეს ზემოთ

(ცხრილი 5.8) იყო აღნიშნული, სოციალური ზრუნვის დანესებულებაში მცხოვრებმა გაცილებით მეტმა ბავშვმა მოგვანოდა ინფორმაცია უგულბელყოფის შემთხვევების შესახებ გასული წლის განმავლობაში. სოციალური ზრუნვის დანესებულებების შერჩევის ფარგლებში მნიშვნელოვნად უფრო მეტმა გოგონამ აღნიშნა უგულბელყოფის შემთხვევები, ვიდრე ბიჭმა.

ცხრილი 5.12: უგულბელყოფის შემთხვევები

| უგულბელყოფა | ოდესმე | | გასულ წელს | |
|---|------------|-------------|------------|-------------|
| | N | % | N | % |
| სულ (N=301) | 103 | 34,2 | 97 | 32,2 |
| უგულბელყოფის სახეები | | | | |
| არაადეკვატური მხარდაჭერა ან დახმარება. შეკითხვა 31 (CH) | 48 | 15.9 | 43 | 14.3 |
| თავი ზედმეტად გაგრძობინათ. შეკითხვა 30 (CH) | 41 | 13.6 | 39 | 13.0 |
| იყავით მშიერი ან მწყურვალი. შეკითხვა 26 (CH) | 41 | 13.6 | 36 | 12.0 |
| იგრძენით, რომ არ გივლიდნენ. შეკითხვა 29 (CH) | 24 | 8.0 | 21 | 7.0 |
| არაადეკვატური ტანსაცმელი. შეკითხვა 27 (CH) | 23 | 7.6 | 18 | 6.0 |
| დაუკმაყოფილებელი სამედიცინო საჭიროება. შეკითხვა 28 (CH) | 9 | 3.0 | 4 | 1.3 |

5.12 ცხრილში მოცემულია ბავშვების გამოცდილება როგორც გასულ წელს, ისე ოდესმე. უგულბელყოფის აღნიშნული შემთხვევების უმეტესობას, როგორც ჩანს, რეგულარული ხასიათი აქვს და იგი დაკავშირებულია არა იმდენად ფიზიკურ უზრუნველყოფასთან (ტანსაცმელი, ჯანდაცვა), რამდენადაც ემოციურ უგულბელყოფასთან, როდესაც ბავშვები ვერ ხედავენ მხარდაჭერას და თავს უმნიშვნელოდ გრძობენ; ეს ის გრძობებია, რომლებიც ვერ განავითარებს ბავშვის თვითშეფასებას და საკუთარი თავის ფასეულობის შეგრძნებას. როდესაც ეს ხდება ზოგიერთ იმ გამოცდილებასთან კომბინაციაში, რაც აღწერილია ნაწილში ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ, ბავშვის მომავალი ფსიქოლოგიური კეთილდღეობის პერსპექტივა შემამფოთებელია. რეკომენდაციები ასეთი შედეგის პრევენციისათვის მოცემული კვლევის ფარგლებს სცილდება, მაგრამ აღნიშნული საკითხის მიმართ აშკარად საჭიროა ყურადღება მკვლევართა, პოლიტიკის განმსაზღვრელთა და განათლების მუშაკთა მხრიდან.

რეკომენდაცია:

- საჭიროა სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მცხოვრები ბავშვების მიერ განცდილი უგულბელყოფის შეგრძნებათა მიზეზებისა და შედეგების კვლევის ჩატარება. ამ კვლევას უნდა მოჰყვეს სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოახდენს უგულბელყოფისა და მისი შედეგების პრევენციას.

სქესობრივი ძალადობა/შეურაცხყოფა

ბავშვთა 17.3%-მა აღნიშნა, რომ სოციალური ზრუნვის დანესებულებაში ცხოვრების პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა სქესობრივი ძალადობის/შეურაცხყოფის შემთხვევებს. ბიჭებმა ოდნავ უფრო მეტი შემთხვევა აღნიშნეს, ვიდრე გოგონებმა (სტატისტიკურად უმნიშვნელო განსხვავება). ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ყველაზე ხშირად აღნიშნული „შეურაცხყოფა“ პორნოგრაფიის ჩვენება იყო. კითხვარი ნათლად განსაზღვრავდა, რომ ინფორმაცია უნდა მოწოდებულიყო იმ შემთხვევების შესახებ, რომლებსაც ბავშვის სურვილის საპირისპიროდ ჰქონდა ადგილი.

ცხრილი 5.13: სქესობრივი ძალადობის/შეურაცხყოფის შემთხვევები, ინიციატორის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით

| სქესობრივი ძალადობა | ოდესმე | | ინიციატორი | | | | | |
|---|-----------|-------------|------------|------|--------|------|-------|------|
| | | | უფროსი | | ბავშვი | | ორივე | |
| | n | % | n | % | n | % | n | % |
| სულ | 52 | 17.3 | | | | | | |
| ქმედება | | | | | | | | |
| პორნოგრაფიის ჩვენება. შეკითხვა 43 | 39 | 13.0 | 3 | 7.7 | 34 | 87.2 | 2 | 5.1 |
| ძალით გაკოცა. შეკითხვა 51 | 15 | 5.0 | 1 | 6.6 | 1 | 6.6 | 13 | 86.8 |
| შეგებოთ სექსუალურად ისე, რომ თავი უხერხულად იგრძენით. შეკითხვა 42 | 11 | 3.7 | 0 | 0 | 11 | 100 | 0 | 0 |
| ტანსაცმელი გაგახდევინათ. შეკითხვა 44 | 9 | 3.0 | 0 | 0 | 4 | 44.4 | 5 | 55.6 |
| გაიხადა ტანსაცმელი მაშინ, როცა ეს არ უნდა ექნა. შეკითხვა 45 | 9 | 3.0 | 1 | 11.1 | 7 | 77.8 | 1 | 11.1 |
| არასასურველი შეხება გენიტალებზე. შეკითხვა 48 | 5 | 1.7 | 1 | 20 | 4 | 80 | 0 | 0 |
| გაიძულათ სქესობრივ კავშირზე. შეკითხვა 46 | 4 | 1.3 | 1 | 25 | 3 | 75 | 0 | 0 |
| გაიძულათ, მის გენიტალებს შეხებოდით. შეკითხვა 47 | 4 | 1.3 | 1 | 25 | 3 | 75 | 0 | 0 |
| მოგცათ ფული სექსუალური რალაცეებისთვის. შეკითხვა 49 | 2 | 0.7 | 0 | 0 | 2 | 100 | 0 | 0 |
| პორნოგრაფიის მომზადებაში ჩაერთოთ. შეკითხვა 50 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მომხდარი სქესობრივი ძალადობის თუ შეურაცხყოფის შემთხვევების უმრავლესობა ჩადენილი იყო სხვა ბავშვის მიერ, რამაც გამოიწვია შემფოთება, ისევე, როგორც საზოგადოებაში მცხოვრები ბავშვების შემთხვევაში, რომ არსებობდა შესაძლებლობა, რომ ბავშვები სქესობრივად არასათანადო ქცევას ზრდასრულ ასაკშიც გააგრძელებდნენ. უფროსი ადამიანების არასათანადო სქესობრივი ქცევის შემთხვევები არ იყო ჩვეულებრივი ამბავი, მაგრამ ამგვარი ქცევა საერთოდ მიუღებელია. ეს ქცევა მოიცავდა კოცნას, ტანსაცმლის გახდას და, ერთ შემთხვევაში, ბავშვთან სქესობრივ კავშირს.

რეკომენდაციები:

- სოციალური ზრუნვის დანესებულებებში ბავშვთა დაცვის პოლიტიკამ უნდა მოიცავს სქესობრივი ძალადობა/შეურაცხყოფა როგორც უფროსი ადამიანის, ისე სხვა ბავშვის მიერ და ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბავშვთა დაცვის სისტემა და მომსახურებები;
- სოციალური ზრუნვის დანესებულების ქცევის კოდექსში უნდა შევიდეს სქესობრივად არასათანადო ქცევის აკრძალვა;
- დაქირავებამდე უნდა შემოწმდეს თანამშრომელთა ისტორიები, რათა გამოვლინდეს სქესობრივ ძალადობასთან/შეურაცხყოფასთან დაკავშირებული ნებისმიერი წარსული ბრალდებები. იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი ბრალდებები დასაბუთებულია, ამ ადამიანს აღარასოდეს უნდა მიეცეს ბავშვებთან მუშაობის შესაძლებლობა;
- უნდა მოხდეს იმ ბავშვების იდენტიფიცირება და შეფასება, რომლებიც ჩაიდნენ სქესობრივ ძალადობას/შეურაცხყოფას სხვა ბავშვების მიმართ, და ისინი უზრუნველყოფილი უნდა იქნენ აუცილებელი მომსახურებით, ისევე, როგორც მათი მსხვერპლი ბავშვები;
- ისევე, როგორც ძალადობის სხვა ფორმების შემთხვევაში, ბავშვებისა და თანამშრომლებისათვის უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი ადამიანი, რომელთანაც მათ შეეძლებათ კონფიდენციალურად განიხილონ მათი წუხილი საკუთარ თავთან და სხვებთან დაკავშირებით.

დამატებითი რეკომენდაციები:

- ზემოთ ჩამოთვლილი ყველა რეკომენდაციის განხორციელებას ხელს შეუწყობდა სოციალური ზრუნვის თითოეულ დანესებულებაში ერთი კონკრეტული პირის დანიშვნა, რომელიც იმუშავებდა ბავშვთა მიმართ ძალადობისა და მათი უგულვებელყოფის საკითხებზე. ასეთი ადამიანი მიიღებდა დამატებით ტრენინგს და საკუთარ თავზე აიღებდა პასუხისმგებლობას დანესებულებაში ბავშვთა დაცვის პოლიტიკისა და ქცევის კოდექსების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინირებაზე. ეს პირები ასევე უზრუნველყოფდნენ ტრენინგს (ან მოახდენდნენ ტრენინგის ორგანიზებას) სხვა თანამშრომლებისა და ბავშვებისათვის ძალადობის იდენტიფიცირების საკითხებზე და შეასრულებდნენ იმ რგოლის როლს, რომელიც დააკავშირებდა ადგილობრივ საზოგადოებას ბავშვთა დაცვის სისტემასთან (მიმართვა და შეფასება);
- სოციალური უზრუნველყოფის სისტემამ უნდა შეიმუშაოს მეთოდი სოციალური ზრუნვის დანესებულებების მონიტორინგისა და სავარაუდო ძალადობის შესახებ მონაცემთა შეგროვებისათვის. რთული შემთხვევებისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს ისეთი სისტემის არსებობა, რომელიც გაუწევს რჩევებს დანესებულებათა დირექტორებს და დაეხმარება მათ შესაბამისი გამოძიების ჩატარებაში;
- განხილული უნდა იქნეს უსაფრთხო სკოლების პოლიტიკისა და სტრატეგიის ადაპტირების საკითხი სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მათი განხორციელების მიზნით.

თავი მეექვსე: ბავშვების მიერ სკოლებში განცდილი ძალადობის შემთხვევები

ეროვნული კვლევის მეორე ეტაპზე 1300 ბავშვს 93 სკოლიდან ჩაუტარდა ინტერვიუ მათ მიერ სკოლებში განცდილი ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით. გამოყენებული იქნა ICAST (CI) კითხვარის იგივე ვერსია, რაც სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მცხოვრები ბავშვების შემთხვევაში. იმისათვის, რომ მოპოვებულიყო დამატებითი ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „უსაფრთხო სკოლების“ ინიციატივისათვის, დამატებული იქნა შეკითხვების ორი გვერდი, რომლებიც ეხებოდა სასკოლო კლიმატს, დამოკიდებულებებს, ბულინგისა და თანატოლთა მხრიდან ძალადობის ადგილსა და დროს. ეს დამატებითი შეკითხვები განკუთვნილია არა მარტო სკოლებში ძალადობის ისეთი პრაქტიკული ასპექტების შეფასებისათვის, როგორებიცაა ძალადობის ჩვეულებრივი დრო და ადგილი, არამედ იმის შეფასებისათვისაც, თუ როგორი ზოგადი შეგრძნებები აქვთ ბავშვებს საკუთარ სკოლასთან, უსაფრთხოებასთან, მშობელთა მონაწილეობასა და სკოლის ხელმძღვანელთა დამოკიდებულებასთან დაკავშირებით.

ბავშვებს ინტერვიუები ჩაუტარდათ ინდივიდუალურად, სკოლებში. შერჩეული ბავშვებიდან ექვსმა განაცხადა, რომ არ უნდოდა მონაწილეობა, მაგრამ ყველა იმ ბავშვმა, ვინც დათანხმდა მონაწილეობაზე, დაასრულა ინტერვიუები და პასუხი გასცა ყველა შეკითხვას. მთლიანობაში ჩატარდა 1 300 ინტერვიუ, ხოლო უარი განაცხადა ექვსმა ბავშვმა, რის შედეგადაც პასუხების მაჩვენებელმა შეადგინა 99.5%.

შედეგები წარმოდგენილია ორ ნაწილად. პირველში მოცემულია ICAST-ის კითხვარის შედეგები, ხოლო მეორეში – იმ შეკითხვებზე პასუხების შედეგად მიღებული მონაცემები, რომლებიც სასკოლო კლიმატს ეხებოდა.

ბავშვთა მახასიათებლები

ბავშვთა სქესი და ადგილმდებარეობა რეგიონის მიხედვით მოცემულია 6.1 ცხრილში. ცხრილი 6.2 გვიჩვენებს მთლიანი შერჩევის ასაკობრივ განაწილებას.

ცხრილი 6.1: ბავშვთა მახასიათებლები (1 300)

| | | N | % |
|-----------------|---------|-----|------|
| სქესი | ბიჭი | 645 | 49.6 |
| | გოგონა | 655 | 50.4 |
| ადგილმდებარეობა | თბილისი | 347 | 26.7 |
| | რეგიონი | 953 | 73.3 |
| | ქალაქი | 727 | 55.9 |
| | სოფელი | 573 | 44.1 |

ცხრილი 6.2: მთლიანი შერჩევის ასაკობრივი განაწილება (1 300)

| ასაკი | N | % |
|-------|-----|------|
| 10 | 108 | 8.3 |
| 11 | 179 | 13.8 |
| 12 | 200 | 15.4 |
| 13 | 180 | 13.8 |
| 14 | 193 | 14.8 |
| 15 | 168 | 12.9 |
| 16 | 198 | 15.2 |
| 17 | 74 | 5.7 |

იმ ბავშვთა ნახევარი, რომელთაც ჩაუტარდათ ინტერვიუ, იყვნენ ბიჭები, ხოლო მეორე ნახევარი – გოგონები. ბავშვთა თითქმის სამი მეოთხედი ცხოვრობდა თბილისს გარეთ, ხოლო მათ ნახევარზე მეტი ქალაქის მოსახლეობას წარმოადგენდა. ასაკი კარგად იყო განაწილებული, 6 გამოკითხული კლასის დონეების ფარგლებში, სადაც 10 და 17 წლის ბავშვების უფრო მცირე რაოდენობა ასახავდა ასაკობრივ დაჯგუფებას კლასების მიხედვით, მაგ. მე-11 კლასში სწავლობენ 16 და 17 წლის ბავშვები.

ბავშვებისა და ახალგაზრდების უმეტესობამ აღნიშნა, რომ ისინი ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობენ; მთლიანი შერჩევის მხოლოდ 4.9%-მა თქვა, რომ უდედოდ, ხოლო 14.8%-მა - რომ უმამოდ ცხოვრობს.

ICAST კითხვარის შედეგები

გამოცდილებების შეჯამება

ბავშვებს სთხოვეს, გაეზიარებინათ საკუთარი გრძნობები სკოლასთან დაკავშირებით. მათი პასუხები მოცემულია 6.3 ცხრილში, სადაც ნაჩვენებია, რომ მათი უმრავლესობა, თუმცა არა ყველა მათგანი, სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობს.

ცხრილი 6.3: ბავშვთა გრძნობები სკოლასთან დაკავშირებით

| | ყოველთვის | ჩვეულებრივ | ზოგჯერ | არასოდეს |
|---|-----------|------------|--------|----------|
| სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობთ? შეკითხვა 10 | 77.5% | 17.2% | 3.9% | 1.4% |
| სკოლაში სიარული გიყვართ? შეკითხვა 10.a | 66.7% | 24.2% | 8.6% | 0.5% |

ბავშვებისა და ახალგაზრდების უმეტესობამ აღნიშნა, რომ ისინი სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობენ. ბავშვთა უმეტესობის (77.5%) თქმით, ისინი თავს ყოველთვის უსაფრთხოდ გრძნობენ, ხოლო 17.2% თავს ჩვეულებრივ უსაფრთხოდ გრძნობს. ბავშვთა მცირე რაოდენობამ (1.4%) აღნიშნა, რომ ისინი სკოლაში თავს უსაფრთხოდ არასოდეს გრძნობენ ან მხოლოდ ხანდახან გრძნობენ თავს უსაფრთხოდ (3.9%). იმ ბავშვთა უმეტესობამ, ვისაც ჩაუტარდა ინტერვიუ, განაცხადა, რომ მათ ყოველთვის (66.7%) ან ჩვეულებრივ (24.2%) აქვთ სკოლაში სიარულის სურვილი და ბავშვებისა და ახალგაზრდების მხოლოდ 0.5%-მა აღნიშნა, რომ მათ არასოდეს არ გააჩნიათ სკოლაში სიარულის სურვილი. ამგვარად, ბავშვებისა და ახალგაზრდების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ისინი სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობენ და პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ სკოლაში სიარულის მიმართ.

ბავშვებსა და ახალგაზრდებს სთხოვეს, მოეწოდებინათ ინფორმაცია საკუთარი გამოცდილების შესახებ გასული წლის განმავლობაში და წარსულის ნებისმიერ მონაკვეთში. მათი პასუხები შეჯამებულია 6.4 ცხრილში. ყველა შემთხვევას ადგილი ჰქონდა სკოლაში და უშუალოდ ეხებოდა ბავშვს. ეს არის შემაჯამებელი შეფასება, რომელიც მიგვითითებს, რომ ბავშვმა აღნიშნა ძალადობის ერთი ან მეტი ტიპი მოცემულ კატეგორიაში (ან გასული წლის განმავლობაში, ან საერთოდ, რაც ასევე მოიცავს გასულ წელს). ძალადობის შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მონოდების შემდეგ ბავშვს ეკითხებოდნენ, ვის მიერ იყო ჩადენილი აღნიშნული ქმედება: სხვა ბავშვის, უფროსის თუ ორივეს მიერ.

6.4 ცხრილში მოცემული მაჩვენებლები მოიცავს ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობის შემთხვევებს, რომლებიც მოხდა სკოლაში და ჩადენილი იყო ან უფროსი ადამიანის, ან სხვა ბავშვის მიერ.

ცხრილი 6.4: ბავშვთა გამოცდილებების შეჯამება – ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობა

| ძალადობის ტიპები | გასულ წელს | | ოდესმე | |
|------------------|------------|------|--------|------|
| | N | % | N | % |
| ფიზიკური | 612 | 47.1 | 802 | 61.7 |
| ფსიქოლოგიური | 617 | 47.5 | 733 | 56.4 |
| სქესობრივი | 73 | 5.6 | 95 | 7.3 |

ბავშვებმა და ახალგაზრდებმა აღნიშნეს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ძალადობისა და ბულინგის შემთხვევების მაღალი სიხშირე სკოლებში. სქესობრივი ძალადობის მაჩვენებლები ბევრად დაბალი იყო. ICAST CI-ის საპილოტე გამოცდისას ოთხ სხვადასხვა ქვეყანაში გასული წლის განმავლობაში სკოლებში აღნიშნული სქესობრივი ძალადობის მაჩვენებლების დიაპაზონი იყო 8-49%, 22%-იანი საშუალო მაჩვენებლით. ისევე, როგორც ბავშვთა ზემოთ განხილული ჯგუფების შემთხვევაში, „ბი-სი-ჯი“-ს ინტერვიუებმა აღნიშნეს, რომ ინტერვიუს ამ ნაწილში ბავშვები და ახალგაზრდები ამკარად ყველაზე მეტ დისკომფორტს განიცდიდნენ და მათთვის რთული იყო ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. საპილოტე გამოკითხვისგან განსხვავებით, საქართველოში კვლევა პირისპირ ინტერვიუების საშუალებით განხორციელდა, რაც უფრო ნაკლებ ანონიმურობას უზრუნველყოფს, ვიდრე წერილობითი გამოკითხვა. შეკითხვები სქესობრივი ძალადობის/შეურაცხყოფის შესახებ შესაძლოა უფრო ტაბუდადებული იყოს და უფრო ექვემდებარებოდეს სოციალურად მისაღებ მიკერძოებულობას, ვიდრე ძალადობის სხვა ტიპებთან დაკავშირებული შეკითხვები.

განსხვავებები სქესისა და ასაკის მიხედვით


განსხვავებები ბიჭებსა და გოგონებს შორის ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობის თვალსაზრისით შეჯამებულია 6.5 ცხრილში და მოცემულია 6.1 დიაგრამაზე.

ცხრილი 6.5: ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული გამოცდილებების შეჯამებები, სქესის მიხედვით, გასული წლის განმავლობაში

| | ფიზიკური | | ფსიქოლოგიური | | სქესობრივი | |
|--------------------------|----------|------|--------------|------|------------|-----|
| | N | % | N | % | N | % |
| გოგონები N=655 | 240 | 36.6 | 290 | 44.3 | 9 | 1.4 |
| ბიჭები N=645 | 372 | 57.7 | 327 | 50.7 | 64 | 9.9 |
| X კვადრატული მნიშვნელობა | 57.705 | | 5.376 | | 44.807 | |
| P მნიშვნელობა* | .000 | | .020 | | .000 | |

*მნიშვნელობის დონე ≤ 0.05

დიაგრამა 6.1: გასული წლის განმავლობაში მომხდარი ძალადობის შემთხვევათა შედარება სქესის მიხედვით



ყველა შედარება ბიჭებსა და გოგონებს შორის აღწევს მაღალ სტატისტიკურ მნიშვნელობას; ბიჭების მიერ ფიზიკური ($p=.00$), ფსიქოლოგიური ($p=.02$) და სქესობრივი ძალადობის ($p=.01$) შესახებ ინფორმაციის მონოდების აღბათობა უფრო მაღალი იყო.

ფიზიკურ ძალადობასთან დაკავშირებული შედეგი შეესაბამება სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების შედეგების უმეტესობას, ანუ ბიჭები უფრო ხშირად ყვებიან, რომ მათ მიმართ ფიზიკური ძალადობა განხორციელდა. თუმცა, აღნიშნული შედეგებისაგან განსხვავებით, გოგონების მიერ მათ მიმართ განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ მონოდებული ინფორმაციის მაჩვენებლები, ჩვეულებრივ, უფრო მაღალია.

რეკომენდაციები:

- განხილული უნდა იქნეს იმის მიზეზები, თუ რატომ მონაწილეობენ ბიჭები ძალადობაში უფრო ხშირად და გამოკვლევული იქნეს ბანდებში შესაძლო ნევრობასთან კავშირები.
- ფსიქოლოგიური ძალადობა სკოლებში უნდა აღიქმებოდეს ისეთივე მნიშვნელობის მქონედ, როგორც ფიზიკური ძალადობა.


ასაკობრივი ფაქტორის ზეგავლენა იმ შემთხვევებზე, რომელთა შესახებაც განაცხადეს ბავშვებმა, ნაჩვენებია 6.6 ცხრილში და 6.2 დიაგრამაზე.

ცხრილი 6.6: ბავშვების მიერ აღნიშნული ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობის შემთხვევები, ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

| ასაკობრივი ჯგუფი | ფიზიკური | | ფსიქოლოგიური | | სქესობრივი | |
|------------------|----------|------|--------------|------|------------|-----|
| | N | % | N | % | N | % |
| 10-11 | 287 | 55.1 | 132 | 46.0 | 12 | 4.2 |
| 12-13 | 380 | 52.4 | 192 | 50.5 | 19 | 5.0 |
| 14-15 | 361 | 42.1 | 173 | 47.9 | 23 | 6.4 |
| 16-17 | 272 | 37.9 | 120 | 44.1 | 19 | 7.0 |
| R კვადრატი | .018 | | .000 | | .002 | |
| P მნიშვნელობა | .000*** | | .517 | | .102 | |

ANOVA(b) * $p<0.05$, ** $p<0.01$, *** $p<0.001$

დიაგრამა 6.2: ძალადობის ტიპებთან დაკავშირებული გამოცდილება, ასაკის მიხედვით



ზემოთ მოცემული დიაგრამა და შესაბამისი რეგრესიული ანალიზი ცხადყოფს, რომ ფიზიკური ძალადობა კლებულობს ასაკის მატებასთან ერთად ($P=0.00$). ფსიქოლოგიური ძალადობის დონეები ასეთ ტენდენციას არ ავლენს. სქესობრივი ძალადობის მაჩვენებლები იზრდება ასაკთან ერთად, მაგრამ ეს კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის. ის შესაძლოა ნაწილობრივ გამოწვეული იყოს სქესობრივი ძალადობის შესახებ ინფორმაციის მონოდების დაბალი სიხშირით.

რეკომენდაცია:

- იმის გათვალისწინებით, რომ შედარებით მცირე ასაკის ბავშვები უფრო ხშირად გვანვდიან ინფორმაციას ფიზიკური ძალადობის შესახებ და შესაძლოა ძალადობას სხვების მიმართაც ახორციელებდნენ, რისკის წინაშე მდგომი ბავშვების იდენტიფიცირებისა და ადრეულ ეტაპზე ინტერვენციის სტრატეგიები უნდა წარმოადგენდეს ძალადობის შემცირებაზე მიმართული ნებისმიერი ინიციატივის უმთავრეს კომპონენტს.


განსხვავება ადგილმდებარეობის მიხედვით

ძალადობის მაჩვენებლები ადგილმდებარეობის მიხედვით (თბილისი და რეგიონები, ასევე ქალაქის და სასოფლო ტერიტორიები) შეჯამებულია 6.7 და 6.8 ცხრილებში და გრაფიკულად ილუსტრირებულია 6.3 დიაგრამაზე.

ცხრილი 6.7: ბავშვთა მიერ აღნიშნული ძალადობის შემთხვევების შეჯამება ადგილმდებარეობის მიხედვით (თბილისი/რეგიონები)

| | ფიზიკური | | ფსიქოლოგიური | | სქესობრივი | |
|-----------------------------|----------|------|--------------|------|------------|-----|
| | N | % | N | % | N | % |
| თბილისი N=347 | 152 | 43.8 | 148 | 42.7 | 18 | 5.2 |
| რეგიონები N=953 | 460 | 48.3 | 469 | 49.2 | 55 | 5.8 |
| X კვადრატული მნიშვნელობა | 2.035 | | 4.392 | | .164 | |
| P მნიშვნელობა | .154 | | .036* | | .686 | |
| * $P < 0.5$ | | | | | | |

დიაგრამა 6.3: ძალადობის შემთხვევები (თბილისი/რეგიონები)



ცხრილი 6.8: ბავშვთა მიერ აღნიშნული ძალადობის შემთხვევების შეჯამება ადგილმდებარეობის მიხედვით (სოფლის/ქალაქის ტერიტორიები)

| | ფიზიკური | | ფსიქოლოგიური | | სქესობრივი | |
|-----------------------------|----------|------|--------------|------|------------|-----|
| | N | % | N | % | N | % |
| სულ | 612 | 47.1 | 617 | 47.5 | 73 | 5.6 |
| ქალაქი N=727 | 332 | 45.7 | 344 | 47.3 | 45 | 6.2 |
| სოფელი N=573 | 280 | 48.9 | 273 | 47.6 | 28 | 4.9 |
| X კვადრატული მნიშვნელობა | 1.316 | | .014 | | 1.027 | |
| P მნიშვნელობა | .251 | | .907 | | .311 | |

თბილისისა და რეგიონების სკოლების მოსწავლეთა პასუხების შედეგების შედარებისას არ აღინიშნა მნიშვნელოვანი განსხვავება ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის მაჩვენებლებს შორის ადგილმდებარეობის მიხედვით, მაგრამ ფსიქოლოგიური ძალადობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო რეგიონებში, ვიდრე თბილისში, რაც ნაჩვენებია 6.7 ცხრილში ($p=.036$). სოფლის და ქალაქის ტერიტორიებიდან მოსწავლეთა შედარებისას ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან განსხვავებას ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სქესობრივი ძალადობის აღნიშნულ მაჩვენებლებში.

რეკომენდაცია:

- აუცილებელია, გავითვალისწინოთ რეგიონული განსხვავებები და უზრუნველვყოთ მომსახურებები, რათა შემცირდეს ძალადობა რეგიონულ დონეზე. მნიშვნელოვანია, მხედველობაში მივიღოთ ეს განსხვავება, როდესაც შევიმუშავებთ ნაციონალურ პოლიტიკასა და სტრატეგიას და შემდგომ სახელმძღვანელო პრინციპებს სკოლებისათვის.

განსხვავებები ეკონომიკური სტატუსის მიხედვით

იმავე კლასიფიკაციის გამოყენებით, რაც პირველ ფაზაში (დანართი 3), ბავშვები და ახალგაზრდები ეკონომიკური სტატუსის მიხედვით დაიყვნენ სამ ჯგუფად (მაღალი, საშუალო და დაბალი). მოხდა დაბალი და საშუალო ჯგუფებიდან და საშუალო და მაღალი ჯგუფებიდან ბავშვებისა და ახალგაზრდების შედარება ძალადობის თითოეული ტიპის შესახებ მონოდებული ინფორმაციის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით. იმ ბავშვთა პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც მოგვანოდეს ინფორმაცია საკუთარი გამოცდილების შესახებ გასული წლის განმავლობაში, და P მნიშვნელობები მოცემულია ქვემოთ, 6.9 ცხრილში.

**ცხრილი 6.9: ძალადობა ეკონომიკური სტატუსის (ქს) მიხედვით
(% წარმოადგენს შედარებული ჯგუფების დადებითი პასუხების რაოდენობას)**

| | ქს | | P | ქს | | P | ქს | | P |
|-------------|---------|------|-------------|---------|------|-------------|--------|------|-------------|
| | დაბალი | % | მნიშვნელობა | საშუალო | % | მნიშვნელობა | დაბალი | % | მნიშვნელობა |
| ფიზიკური | დაბალი | 48.0 | .689 | საშუალო | 44.6 | .189 | დაბალი | 48.0 | .737 |
| | საშუალო | 44.6 | | მაღალი | 51.5 | | მაღალი | 51.5 | |
| სიქოლოგიური | დაბალი | 46.6 | .872 | საშუალო | 45.1 | .174 | დაბალი | 46.6 | .556 |
| | საშუალო | 45.1 | | მაღალი | 52.3 | | მაღალი | 52.3 | |
| სქესობრივი | დაბალი | 3.4 | .527 | საშუალო | 5.1 | .149 | დაბალი | 3.4 | .113 |
| | საშუალო | 5.1 | | მაღალი | 7.4 | | მაღალი | 7.4 | |

მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღინიშნა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველზე არ შეიძლება სკოლებში ფიზიკური, სქესობრივი თუ ფსიქოლოგიური ძალადობის არსებობის პროგნოზირება. ეს არ შეესაბამება სხვა კვლევების შედეგებს, რომლებმაც გვარჩვენა, რომ უფრო დაბალი ეკონომიკური სტატუსის მქონე ბავშვებს შორის უფრო მეტი ძალადობა აღინიშნება.

განსხვავებები მშობლებთან ერთად და უმშობლებოდ მცხოვრებ ბავშვებს შორის

სკოლებში ძალადობის მაჩვენებლები, ტიპის მიხედვით, შეფასდა იმ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ ორივე მშობელთან ერთად, ასევე იმ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ ერთი ან ორივე მშობლის გარეშე, ძალადობის ნებისმიერი ტიპის მიხედვით.

ცხრილი 6.10: განსხვავებები მშობლებთან ერთად და მშობლების გარეშე ცხოვრების და ძალადობის ტიპების მიხედვით

| | ფიზიკური | | ფსიქოლოგიური | | სქესობრივი | |
|------------------------------------|----------|-------|--------------|-------|------------|------|
| | N | % | N | % | N | % |
| სულ | 612 | 47.1% | 617 | 47.5% | 73 | 5.6% |
| ორივე მშობელთან N=1083 | 505 | 46.6% | 511 | 47.2% | 61 | 5.6% |
| ერთ ან ორივე მშობელთან N=217 | 107 | 49.3% | 106 | 48.8% | 12 | 5.5% |
| P მნიშვნელობა | .471 | | .654 | | .952 | |

ძალადობის რომელიმე ტიპის მიხედვით არ აღინიშნა მნიშვნელოვანი განსხვავება იმ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, რომლებიც ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობენ, და იმ ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის, რომლებიც ერთი ან ორივე მშობლის გარეშე ცხოვრობენ.

ძალადობის ინიციატორები


ბავშვებს და ახალგაზრდებს დაუსვეს შეკითხვა იმის შესახებ, თუ ვინ ჩაიდინა ძალადობა: სხვა ბავშვმა თუ უფროსმა, თუ ორივემ. ძალადობის ინიციატორები შეფასდნენ ძალადობის ტიპის მიხედვით, იმ ძალადობის საფუძველზე, რაც მოხდა გასული წლის განმავლობაში ან ოდესმე. შედეგები ნაჩვენებია 6.11 ცხრილში და 6.4 დიაგრამაზე.

ცხრილი 6.11: ინიციატორები ოდესმე და გასული წლის განმავლობაში, ძალადობის ტიპის მიხედვით

| | ოდესმე | | | | | | გასულ წელს | | | | | |
|---------------------|------------|------|--------|------|-------|------|------------|------|--------|------|-------|------|
| | ინიციატორი | | | | | | ინიციატორი | | | | | |
| | უფროსი | | ბავშვი | | ორივე | | უფროსი | | ბავშვი | | ორივე | |
| | N | % | N | % | N | % | N | % | N | % | N | % |
| ფიზიკური ძალადობა | 199 | 24.8 | 255 | 31.8 | 348 | 26.8 | 131 | 21.4 | 213 | 34.8 | 268 | 43.8 |
| ფსიქ.* | 197 | 26.9 | 198 | 27.0 | 338 | 26.0 | 164 | 26.6 | 142 | 23.0 | 311 | 50.4 |
| სქესობრივი ძალადობა | 10 | 10.5 | 81 | 85.3 | 4 | .3 | 5 | 6.8 | 64 | 87.7 | 4 | 5.5 |

*გამოტოვებულია შეკითხვა 25 – ბულინგი სხვა ბავშვის მიერ, ვინაიდან ამ შეკითხვაზე პასუხების 100%-ში ინიციატორი სხვა ბავშვი იქნება.

დიაგრამა 6.4: ინიციატორები გასული წლის განმავლობაში, ძალადობის ტიპის მიხედვით



ბავშვებმა და ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ სხვა ბავშვები და ახალგაზრდები ყველაზე ხშირად არიან ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობის ინიციატორები. თუმცა ასევე ხშირად აღინიშნებოდა, რომ უფროსი ადამიანებიც არიან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ინიციატორები.

რეკომენდაციები:

- სკოლებში ძალადობის პრევენციის პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც სკოლაში მოღვაწე ნებისმიერი ზრდასრული ადამიანი თამაშობს როგორც ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ ძალადობის ინიციატორი.
- უფროსების მიერ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა განსაკუთრებულად უნდა იყოს აკრძალული.
- სკოლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სკოლის ყველა თანამშრომელმა გაიაროს ტრენინგი ბავშვებისა და მოზარდების მიმართ ძალადობის გარეშე ქცევის საკითხებში, ასევე იმაში, თუ როგორ შეიძლება გახდნენ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სამაგალითო პირები, რომლებიც ნებისმიერ დროს არაძალადობრივ ქცევას მიმართავენ.
- მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის შემცირების სასკოლო პოლიტიკამ და სტრატეგიამ მოიცვას ტრენინგი სკოლის ყველა თანამშრომლისთვის და შექმნას ქცევის კოდექსში მათ მიმართ მოლოდინის ისეთი სტანდარტები, რომლებიც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს ეხება.

ძალადობის დეტალები

ძალადობის თითოეული კონკრეტული ტიპის შემთხვევათა სიხშირე გამოანგარიშებული იქნა როგორც „გასული წლის განმავლობაში“, ასევე „ოდესმე“. მოხდა ინიციატორთა იდენტიფიცირება ძალადობის თითოეული ტიპისათვის. როგორც მოსალოდნელი იყო, მაჩვენებლები „ოდესმეს“ შემთხვევაში უფრო მაღალი იყო ძალადობის თითოეული ტიპისათვის, ვინაიდან ისინი გასულ წელსაც მოიცავენ. მაგრამ ძალადობრივი ქცევის ტიპების ზოგადი ტენდენცია, მათი სიხშირე და ინიციატორები არსებითად თანმიმდევრულია და, შესაბამისად, ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებები შედეგები გასულ წელიწადზეა კონცენტრირებული. ძალადობის ტიპები ნაჩვენებია სიხშირის დაღმავალი თანმიმდევრობით. ცხრილები ასევე გვიჩვენებს ინიციატორებს ძალადობის კონკრეტული ტიპის მიხედვით.

ფიზიკური ძალადობა

6.12 ცხრილში მოცემულია გასული წლის განმავლობაში ჩადენილი ფიზიკური ძალადობის იმ შემთხვევათა დეტალები, რომელთა შესახებაც ბავშვებმა მოგვანოდეს ინფორმაცია; ბავშვებმა ძალადობის ინიციატორებიც მიუთითეს.

ცხრილი 6.12: გასულ წელს მომხდარი ფიზიკური ძალადობის ქმედებათა დეტალები, მათი ინიციატორების შესახებ ინფორმაციის მითითებით

| ფიზიკური ძალადობა | გასულ წელს | | ინიციატორი | | | | | |
|---|------------|------|------------|------|--------|-------|-------|-----|
| | | | უფროსი | | ბავშვი | | ორივე | |
| | N | % | N | % | N | % | N | % |
| ხელზე ან მხარზე დაგარტყათ. შეკითხვა 13 | 267 | 20.5 | 37 | 13.9 | 211 | 79.0 | 19 | 7.1 |
| ყური აგინიათ. შეკითხვა 14 | 226 | 17.4 | 191 | 84.5 | 25 | 11.1 | 10 | 4.4 |
| თმაზე მოგქაჩათ. შეკითხვა 15 | 223 | 17.2 | 127 | 57.0 | 76 | 34.1 | 20 | 9.0 |
| რაიმე გატკინათ. შეკითხვა 11 | 171 | 13.2 | 16 | 9.4 | 148 | 86.5 | 7 | 4.1 |
| თავზე ან სახეში გაგარტყათ. შეკითხვა 12 | 134 | 10.3 | 39 | 29.1 | 91 | 67.9 | 4 | 3.0 |
| ხელი გკრათ. შეკითხვა 18 | 123 | 9.5 | 4 | 3.3 | 115 | 93.5 | 4 | 3.3 |
| რამე გესროლათ. შეკითხვა 16 | 112 | 8.6 | 10 | 8.9 | 98 | 87.5 | 4 | 3.6 |
| დაგარტყათ. შეკითხვა 17 | 109 | 8.4 | 4 | 3.7 | 104 | 95.4 | 1 | .9 |
| თითები მოგამტვრიათ. შეკითხვა 19 | 83 | 6.4 | 6 | 7.2 | 75 | 90.4 | 2 | 2.4 |
| გარეთ დაგტოვათ სიცივეში ან ცხელ წყალში. შეკითხვა 22 | 32 | 2.5 | 29 | 90.6 | 3 | 9.4 | . | . |
| დაგაყენათ/დაგაჩოქათ დასჯის სახით. შეკითხვა 21 | 30 | 2.3 | 27 | 90.0 | 2 | 6.7 | 1 | 3.3 |
| გაიძულათ, რაიმე საშიში გაგეკეთებინათ. შეკითხვა 26 | 26 | 2.0 | 10 | 38.5 | 16 | 61.5 | . | . |
| საჭმელი არ მოგცათ. შეკითხვა 25 | 14 | 1.1 | 3 | 21.4 | 11 | 78.6 | . | . |
| გახრჩობდათ. შეკითხვა 27 | 14 | 1.1 | . | . | 13 | 92.9 | 1 | 7.1 |
| ბასრი საგნით დაგჭრათ. შეკითხვა 29 | 6 | 0.5 | 1 | 16.7 | 5 | 83.3 | . | . |
| დაგაბათ. შეკითხვა 28 | 5 | 0,4 | . | . | 5 | 100.0 | . | . |
| პირი საპნით ან წინაკით გამოგირეცხათ. შეკითხვა 20 | 4 | 0,3 | 1 | 25.0 | 3 | 75.0 | . | . |
| ცივ ან ცხელ წყალში გაგაჩერათ. შეკითხვა 24 | 2 | 0,2 | . | . | 2 | 100.0 | . | . |
| დაგწვათ. შეკითხვა 23 | 0 | 0,0 | . | . | . | . | . | . |

გასული წლის განმავლობაში, ბავშვებისა და ახალგაზრდების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ყველაზე ხშირად ადგილი ჰქონდა ხელზე ან მკლავზე დარტყმის, ყურის აწევის, თმაზე მოქაჩვის, ტკივილის მიყენებისა და თავზე ან სახეზე დარტყმის შემთხვევებს. ინფორმაციის თანახმად, ნაკლებად გავრცელებული იყო ფიზიკური ძალადობის მძიმე ფორმები (თითების მტვრევა, დაჭრა, გაგუდვა, დანვა).

სკოლებში მომუშავე უფროსები, ჩვეულებრივ, იყენებდნენ დასჯის ისეთ მეთოდებს, როგორცაა: ყურის აწევა (88.9% 226-დან) და თმის მოქაჩვა (56.0% 223-დან).

სხვა ქმედებების ინიციატორები უფრო ხშირად ბავშვები იყენებენ: ხელზე ან მკლავზე დარტყმა (86.1% 267-დან); ფიზიკური ტკივილის მიყენება (90.6% 171-დან); ფეხით დარტყმა (96.8% 123-დან); დარტყმა (96.3% 109-დან); თითების მტვრევა (92.8% 83-დან); თავზე ან სახეზე დარტყმა (70.9% 134-დან); ან ძალის დატანება რაიმე საშუალების გაკეთების მიზნით (61.5% 26-დან).

რეკომენდაცია:

- უნდა არსებობდეს მექანიზმი, რომელიც მოგვცემს ბავშვების მიერ ინფორმაციის მონოდებისა და მასწავლებლებისა და სკოლებში მომუშავე სხვა უფროსების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ძალადობის შემთხვევების გამოძიების საშუალებას.

ფსიქოლოგიური ძალადობა

6.13 ცხრილში ცხრილში მოცემულია „გასული წლის განმავლობაში“ კონკრეტული ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევების სიხშირე, დაღმავალი თანმიმდევრობით და ინიციატორების მიხედვით.

ცხრილი 6.13: გასულ წელს ფსიქოლოგიური ძალადობის ქმედებათა დეტალები, ინიციატორების მითითებით

| ფსიქოლოგიური ძალადობა | გასულ წელს | | ინიციატორი | | | | | |
|---|------------|------|------------|------|--------|-------|-------|------|
| | N | % | უფროსი | | ბავშვი | | ორივე | |
| | N | % | N | % | N | % | N | % |
| დაგიყვირათ. შეკითხვა 32 | 262 | 20.2 | 162 | 61.8 | 70 | 26.7 | 30 | 11.5 |
| შეგაგინათ. შეკითხვა 30 | 236 | 18.2 | 126 | 53.4 | 80 | 33.9 | 30 | 12.7 |
| დაგემუქრათ ცუდი ნიშნებით. შეკითხვა 41 | 232 | 17.8 | 217 | 93.5 | 11 | 4.7 | 4 | 1.7 |
| ცუდი ან სანყენი სახელებით მოგმართათ. შეკითხვა 33 | 197 | 15.2 | 33 | 16.8 | 141 | 71.6 | 23 | 11.7 |
| შეურაცხყოფა მოგაყენათ. შეკითხვა 31 | 178 | 13.7 | 50 | 28.1 | 97 | 54.5 | 31 | 17.4 |
| თავი სულელად გაგრძნობინათ. შეკითხვა 34 | 145 | 11.2 | 79 | 54.5 | 56 | 38.6 | 10 | 6.9 |
| ნივთები მოგპარათ ან დაგიმტვრიათ. შეკითხვა 40 | 137 | 10.5 | 7 | 5.1 | 123 | 89.8 | 7 | 5.1 |
| იზოლაციაში მოგაქციათ. შეკითხვა 37 | 64 | 4.9 | 20 | 31.3 | 41 | 64.1 | 3 | 4.7 |
| დაგამცირათ რაიმე ნიშნის გამო (სქესი, ეროვნება და სხვ.). შეკითხვა 35 | 34 | 2.6 | 4 | 11.8 | 28 | 82.4 | 2 | 5.9 |
| დაგამცირათ ჯანმრთელობის პრობლემის გამო. შეკითხვა 36 | 26 | 2.0 | 12 | 46.2 | 14 | 53.8 | . | . |
| დაგამცირათ, რადგან ღარიბი ხართ. შეკითხვა 39 | 22 | 1.7 | 1 | 4.5 | 19 | 86.4 | 2 | 9.1 |
| დაგამცირათ, რადგან ობოლი ხართ. შეკითხვა 38 | 3 | 0.2 | . | . | 3 | 100.0 | . | . |

ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ტიპებია ყვირილი, გინება, ცუდი ნიშნებით დაშინება, ცუდი მეტსახელების დაძახება, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, სულელად გამოყვანა, პირადი ნივთების მოპარვა. უფროსების მიერ ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობის ტიპური ქმედებებია ყვირილი (73.3% 262-დან); გინება (66.1% 236-დან) და ცუდი ნიშნებით დაშინება (95.2% 232-დან).

ინიციატორებად სხვა ბავშვებს უფრო ხშირად ისეთი ქმედებებისათვის ასახელებენ, როგორცაა ცუდი მეტსახელების დაძახება (83.3% 197-დან); პირადი ნივთების მოპარვა (94.9% 137-დან) და იზოლაციაში მოქცევა (68.8% 64-დან).

რეკომენდაციები:

- ძალადობის პრევენციის პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავებელი პირების მიერ ფსიქოლოგიური ძალადობა ისევე სერიოზულად უნდა აღიქმებოდეს, როგორც ფიზიკური ძალადობა.
- როგორც უფროსები, ასევე ბავშვები სკოლებში უფრო გათვითცნობიერებულნი უნდა იყვნენ ფსიქოლოგიური ძალადობის ზეგავლენასთან დაკავშირებით.

სქესობრივი ძალადობა/შეურაცხყოფა

ცხრილი 6.14 გვიჩვენებს გასული წლის განმავლობაში სქესობრივი ძალადობის სხვადასხვა ფორმის შემთხვევათა სიხშირეს, სიხშირის დალმავალი თანმიმდევრობით და ინიციატორთა მიხედვით.

ცხრილი 6.14: გასულ წელს სქესობრივი ძალადობის ქმედებათა დეტალები, ინიციატორის მითითებით

| სქესობრივი ძალადობა | გასულ წელს | | ინიციატორი | | | | | |
|---|------------|-----|------------|------|--------|-------|-------|-----|
| | N | % | უფროსი | | ბავშვი | | ორივე | |
| | N | % | N | % | N | % | N | % |
| გაჩვენათ პორნოგრაფია. შეკითხვა 43 | 59 | 4.5 | 4 | 6.8 | 52 | 88.1 | 3 | 5.1 |
| ძალით გაკოცათ. შეკითხვა 51 | 11 | 0.8 | 2 | 18.2 | 9 | 81.8 | . | . |
| შეგებოთ სექსუალურად. შეკითხვა 42 | 8 | 0.6 | 1 | 12.5 | 7 | 87.5 | . | . |
| გაიხადა ტანსაცმელი. შეკითხვა 45 | 4 | 0.3 | . | . | 4 | 100.0 | . | . |
| ტანსაცმელი გაგახდევინათ. შეკითხვა 44 | 3 | 0.2 | 1 | 33.3 | 2 | 66.7 | . | . |
| გაიძულათ, მის გენიტალებს შეხებოდით. შეკითხვა 47 | 1 | 0.1 | . | . | 1 | 100.0 | . | . |
| გაიძულათ, ხელი მოგეკიდებინათ მის გენიტალებზე. შეკითხვა 48 | 1 | 0.1 | . | . | 1 | 100.0 | . | . |
| პორნოგრაფიის მომზადებაში ჩაერთოთ. შეკითხვა 50 | 1 | 0.1 | . | . | 1 | 100.0 | . | . |
| გაიძულათ სქესობრივ კავშირზე. შეკითხვა 46 | 0 | 0.0 | . | . | . | . | . | . |
| მოგცათ ფული სექსუალური რალაცეებისთვის. შეკითხვა 49 | 0 | 0.0 | . | . | . | . | . | . |

სქესობრივი ძალადობის ყველა ტიპის ინიციატორთა უდიდესი უმრავლესობა იყვნენ ბავშვები და ახალგაზრდები. ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები იყო პორნოგრაფიის ჩვენება (4.5%) და არასასურველი კოცნა (0.8%). იშვიათად აღინიშნებოდა ხელით სექსუალურად შეხება, ტანსაცმლის გახდა და პორნოგრაფიის დამზადებაში ჩართვა. ინფორმაცია უფროსი ადამიანების როგორც სქესობრივი ძალადობის ინიციატორების შესახებ უაღრესად იშვიათია, რაც უნდა ჩაითვალოს კვლევის პოზიტიურ შედეგად.

სხვადასხვა გარემოში განხორციელებული ძალადობის შედარება

საქართველოში ბავშვებზე ძალადობის დასრულებული კვლევის სხვა ნაწილების მონაცემთა გამოყენების გზით ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ ბავშვებზე ძალადობის მაჩვენებლები ოჯახში, სკოლასა და სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში. ქვემოთ, ცხრილსა და დიაგრამაში, მოცემულია ასეთი შედარება, ძალადობის ტიპის მიხედვით.

ცხრილი 6.15: ოჯახში, სკოლაში და სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში განხორციელებული ძალადობის დონეების შედარება, ტიპების მიხედვით

| | ოჯახი (თემი)(N=1050) | სკოლა (N=1300) | P მნიშვნელობა |
|--------------|--|----------------|---------------|
| ფიზიკური | 54.0% | 47.1% | 0.0009*** |
| ფსიქოლოგიური | 59.1% | 47.5% | 0.0001*** |
| სქესობრივი | 7.8% | 5.6% | 0.0550 |
| | სოციალური ზრუნვის დაწესებულებები (N=301) | სკოლა (N=1300) | P მნიშვნელობა |
| ფიზიკური | 71.1% | 47.1% | 0.0001*** |
| ფსიქოლოგიური | 61.5% | 47.5% | 0.0001*** |
| სქესობრივი | 16.6% | 5.6% | 0.0001*** |


სკოლებისა და სოციალური ზრუნვის დანესებულებების მაჩვენებლების შედარებისას ყველა ტიპის ძალადობის აღნიშნული შემთხვევების დონე საგრძნობლად უფრო მაღალია დანესებულებებში მყოფი ბავშვებისათვის ($P < 0.0001$). ბავშვები და ახალგაზრდები საქართველოში უფრო მეტ ფიზიკურ ძალადობასა და სქესობრივ შეურაცხყოფას განიცდიან სოციალური ზრუნვის დანესებულებებში, ვიდრე ოჯახში ან სკოლაში. ისინი ასევე უფრო მეტ ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიან დანესებულებებში, ვიდრე სკოლებში.

მნიშვნელოვნად მეტი ბავშვი აღნიშნავს ფიზიკურ ძალადობას ოჯახში, ვიდრე სკოლაში ($p = 0.0009$). ეს ეხება ფსიქოლოგიურ ძალადობასაც ($p = 0.0001$). მიღებული ინფორმაციის თანახმად, სქესობრივი შეურაცხყოფის შემთხვევების სიხშირე მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისგან ოჯახისა და სკოლის გარემოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში არსებული ძალადობა საქართველოში ბავშვთა მიერ განცდილი ძალადობის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ბავშვები ძალადობის უფრო მაღალ დონეებს აღნიშნავენ ოჯახში და სოციალური ზრუნვის დანესებულებებში.

მიღებული შედეგები შეესაბამება სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების შედეგებს და მიუთითებს, რომ სკოლა, ჩვეულებრივ, უფრო უსაფრთხო ადგილია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, ვიდრე სხვა ადგილები საზოგადოების ფარგლებში. არ არსებობს მიზეზი ზედმეტი თვითკმაცყოფილებისათვის, მაგრამ სკოლები ამისათვის გარკვეულ დადებით შეფასებას იმსახურებენ.

დიაგრამა 6.5: ოჯახში, სკოლაში და სოციალური ზრუნვის დანესებულებებში განხორციელებული ძალადობის დონეების შედარება, ტიპების მიხედვით



ეს შედეგები კიდევ ერთი დასაბუთებაა იმ მნიშვნელოვანი იდეისა, რომ სკოლებმა ოჯახებთან უნდა ითანამშრომლონ, რათა შემცირდეს ძალადობა ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ და მათ შორის. ზოგიერთ ბავშვს, ვინც სახლში ან სოციალური ზრუნვის დანესებულებაში ძალადობის რისკის ქვეშ იმყოფება, სკოლა უსაფრთხო ადგილად მოეჩვენება. ეს ნიშნავს, რომ ისინი შეეცდებიან, გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება და შიში უფროსებს სასკოლო გარემოში.


რეკომენდაციები:

- ძალადობის შემცირება სკოლებში უნდა აღიქმებოდეს როგორც ერთ-ერთი ასპექტი უფრო ზოგადი მისწრაფებისა, შემცირდეს ძალადობა ბავშვთა მიმართ და მათ შორის;
- მშობლები ჩართულნი უნდა იყვნენ ნებისმიერ პარტნიორობაში, რომელიც ჩამოყალიბდება ძალადობის შემცირების მიზნით;
- საჭიროა, რომ სკოლის თანამშრომლებს გააჩნდეთ სურვილი და უნარი, მოახდინონ რეაგირება, როდესაც ბავშვები გაუმხელენ მათ საკუთარ გამოცდილებას ოჯახში და სხვა გარემოში არსებული ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით.

საერთაშორისო შედეგების შედარება

იმისათვის, რომ ამ კვლევის შედეგები სკოლებში ძალადობის შესახებ გლობალური კვლევის კონტექსტში განვიხილოთ, ჩვენ შევიმუშავეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი, რომელშიც ნაჩვენებია გასულ წელს მომხდარი ძალადობის დონეები, ტიპის მიხედვით, იმ ოთხ სკოლაში, სადაც ჩატარდა ICAST CI საცდელი კვლევა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო მცირე მასშტაბის კვლევები სკოლის მოსწავლეთა შერჩევების გამოყენებით.

დიაგრამა 6.6: საერთაშორისო შედარება (თითოეულ ქვეყანაში იმ ბავშვთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც აღნიშნავენ სკოლებში ძალადობის შემთხვევებს)



ეს შედეგები გვიჩვენებს, რომ სკოლებში აღნიშნული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის დონეები ანალოგიურია საცდელი კვლევების შედეგად დაფიქსირებული დონეებისა, ხოლო სქესობრივი ძალადობის აღნიშნული დონეები გარკვეულწილად უფრო დაბალია. საცდელი კვლევები გაიმართა ისლანდიაში, ინდოეთში, კოლუმბიასა და რუსეთში. ცხრილში ქვეყნები არ არის მითითებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული მცდარი შთაბეჭდილების შემქმნელი შედარება ცალკეულ ქვეყნებს შორის, მცირე მასშტაბის და არანარმომადგენლობითი შერჩევის გათვალისწინებით.

სასკოლო კლიმატთან დაკავშირებული კითხვარიდან მიღებული შედეგები

შეკითხვები დაჯგუფებული იყო შემდეგ ბლოკებად: დამოკიდებულება სკოლის მიმართ, ურთიერთობები მოსწავლეთა შორის, მასწავლებელთა მხრიდან მოპყრობა და მშობელთა პოზიცია. გარდა ამისა, შეკითხვების ორი დამატებითი ბლოკი შეისწავლიდა ბავშვებისა და ახალგაზრდების მიერ ბულინგის სიხშირის შეფასებას, ადგილისა და დროის მიხედვით.

დამოკიდებულება და ურთიერთობები

ყველა შეკითხვა, რომელიც ეხებოდა დამოკიდებულებას, ფორმულირებული იყო პოზიტიური ფორმით, გარდა სამი შეკითხვისა პირველ ბლოკში, რომლებიც ნეგატიური ფორმით იყო დასმული: „მოსწავლევებს ამ სკოლაში ძალიან მკაცრად/უხეშად ექცევიან“; „სკოლაში არსებობს ბევრი რამ, რაც მე არ მომწონს“; „ნეტა სკოლაში წასვლა არ იყოს აუცილებელი“. იმისათვის, რომ გამოგვეანგარიშებინა აღნიშნული ბლოკის საშუალო არითმეტიკული, ჩვენ ამ შეკითხვების ხელახალი კოდირება მოვახდინეთ. აქედან გამომდინარე, უფრო მაღალი საშუალო არითმეტიკული თითოეულ ბლოკში მოცემულ სფეროში უფრო პოზიტიურ დამოკიდებულებას ასახავს.

დამოკიდებულებები სკოლის მიმართ

ცხრილი 6.16 გვიჩვენებს ბავშვებისა და ახალგაზრდების პასუხებს იმ შეკითხვებზე, რომლებიც შემუშავებულია სკოლისადმი მათი დამოკიდებულების შესაფასებლად. საშუალო ქულები პოზიტიურად გამოხატულ საკითხებზე ძირითადად მაღალი იყო და ასახავდა სკოლის მიმართ ამ პოზი-

ტიურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით თანხმობის მაღალ დონეს. ამისგან განსხვავებით, უარყოფითი ფორმით დასმულ შეკითხვებზე პასუხები ხშირად ნეიტრალური ან დადებითი იყო, რაც სკოლისადმი ნაკლებად პოზიტიურ დამოკიდებულებას ასახავდა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მთლიანი სურათი პოზიტიურია.

ცხრილი 6.16: ბავშვების დამოკიდებულება სკოლის მიმართ

| | საშუალოები* |
|---|---|
| დამოკიდებულებები სკოლის მიმართ | 3.6 |
| მოსწავლეებს ამ სკოლაში ძალიან მკაცრად/უხეშად ექცევიან | 3.62(ხელახალი კოდირების შემდეგ 2.38**) |
| ამ სკოლაში არსებული წესები სამართლიანია | 4.03 |
| ჩვენი სკოლა ძალიან კარგი ადგილია | 4.23 |
| ვგრძნობ, რომ მე ამ სკოლას ვეკუთვნი | 4.20 |
| ამ სკოლაში უსაფრთხოდ ვგრძნობ თავს | 4.21 |
| სკოლაში წასვლას მოუთმენლად ველი | 4.08 |
| სკოლაში ყოფნა მიყვარს | 4.16 |
| სკოლაში არის ბევრი ისეთი რამ, რაც არ მომწონს | 3.29 (ხელახალი კოდირების შემდეგ 2.71**) |
| ნეტა სკოლაში წასვლა არ იყოს აუცილებელი | 3.98 (ხელახალი კოდირების შემდეგ 2.02**) |

*5 აბსოლუტურად ვეთანხმები, 4 ვეთანხმები, 3 არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები, 2 არ ვეთანხმები, 1 სრულყოფილი არ ვეთანხმები

** საშუალო არითმეტიკულების გამოანგარიშების მიზნით ნეგატიური მნიშვნელობის მქონე შეკითხვები პირიქით იყო კოდირებული.

ურთიერთობები მოსწავლეთა შორის

მოსწავლეები ძირითადად მხარს უჭერენ პოზიტიურ ურთიერთობებს სხვა მოსწავლეებთან, რაც მიუთითებს სასიამოვნო, მეგობრული და დადებითი სასკოლო გარემოს არსებობაზე (ცხრილი 6.17).

ცხრილი 6.17: ურთიერთობები მოსწავლეთა შორის

| | საშუალოები |
|---|------------|
| დამოკიდებულებები მოსწავლეებს შორის | 4.4 |
| ჩემს კლასში მოსწავლეებს ერთად ყოფნა უყვართ | 4.40 |
| ჩემს კლასში მოსწავლეების უმრავლესობა კეთილი და ყურადღებიანია | 4.37 |
| როცა ჩემს კლასში რომელიმე მოსწავლე ცუდად გრძნობს თავს, სხვა თანაკლასელი ცდილობს დაეხმაროს ხოლმე | 4.32 |

მასწავლებელთა მიერ მოპყრობა

მოსწავლეები ძირითადად აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები მათ კარგად ეპყრობიან და ეხმარებიან ხოლმე (ცხრილი 6.18), თუმცა ეს, მათი თქმით, ნაკლებად ხშირია, ვიდრე თანატოლების შემთხვევაში. და ეს მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები ადრე აღნიშნავენ უფრო მეტ ძალადობას სხვა ბავშვების, ვიდრე მასწავლებლების მხრიდან.

ცხრილი 6.18: მოპყრობა მასწავლებლების მიერ

| | საშუალოები |
|---|------------|
| მოპყრობა მასწავლებლების მიერ | 4.0 |
| კლასში მახალისებენ, რომ საკუთარი შეხედულებები გამოვთქვა | 3.93 |
| ჩვენი მასწავლებლები სამართლიანად გვეპყრობიან | 4.08 |
| როცა დამატებითი დახმარება მჭირდება, შემძლია ეს დახმარება მივიღო | 4.11 |
| ჩემს მასწავლებლებს ვაინტერესებ როგორც პიროვნება | 3.66 |
| მასწავლებლების უმრავლესობა მეგობრულია | 4.09 |

მშობლების პოზიცია

მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მათი მშობლები დიდი ინტერესითა და ჩართულობით გამოირჩევიან და მზად არიან, დაეხმარონ მათ სკოლასთან, მასწავლებლებთან დაკავშირებულ საკითხებში და განათლების თვალსაზრისით (ცხრილი 6.19). ეს კიდევ ერთი დადებითი მიგნებაა და იმის მაჩვენებელია, რომ მშობლები, სავარაუდოდ, ჩართულნი იქნებიან სკოლაში ძალადობის პრევენციისა და შემცირების ინიციატივებში.

ცხრილი 6.19: მშობლების პოზიცია

| | საშუალოები |
|--|------------|
| მშობლების პოზიცია | 4.3 |
| თუ სკოლაში პრობლემა მაქვს, ჩემი მშობლები მზად არიან დასახმარებლად | 4.41 |
| ჩემს მშობლებს სურთ, მოვიდნენ სკოლაში და მასწავლებლებს გაესაუბრონ | 4.25 |
| ჩემი მშობლები მომიწოდებენ, რომ უკეთ ვისწავლო სკოლაში | 4.48 |
| ჩემს მშობლებს აინტერესებთ, რა ხდება ჩემს თავს სკოლაში | 4.37 |
| ჩემს მშობლებს სურთ ხოლმე, დამეხმარონ საშინაო დავალების მომზადებაში | 3.90 |

რეკომენდაციები:

- ის ადამიანები, ვინც სკოლებში ძალადობის შემცირების პოლიტიკასა და სტრატეგიებს ახორციელებს, პროაქტიული უნდა იყვნენ და უნდა მოიზიდონ მშობლები მათი მონაწილეობის წასახალისებლად.

ბავშვების სხვადასხვა დამოკიდებულების შეჯამება

ცხრილი 6.20 აჩვენებს, რომ, საერთო ჯამში, ბავშვთა დამოკიდებულება სკოლასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ პოზიტიური იყო. ქულების ყველაზე დაბალი აღნიშნული რაოდენობა ეხება სკოლის მიმართ დამოკიდებულებას, რაც მეტწილად გამოწვეულია სამი ნეგატიურად ფორმულირებული შეკითხვით. ძირითადი ტენდენცია იყო ის, რომ ბავშვები და ახალგაზრდები ეთანხმებოდნენ აღნიშნული შეკითხვების ნეგატიურ თუ პოზიტიურ შინაარსს.

ცხრილი 6.20: ბავშვების სხვადასხვა დამოკიდებულების შეჯამება

| ბავშვების დამოკიდებულებები | საშუალოები |
|------------------------------------|------------|
| დამოკიდებულება სკოლის მიმართ | 3.6 |
| დამოკიდებულებები მოსწავლეებს შორის | 4.4 |
| მოპყრობა მასწავლებლების მიერ | 4.0 |
| მშობლების პოზიცია | 4.3 |

მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების პროცესში საქართველოს სკოლებში განვითარდეს ეს ძლიერი მხარეები. აღიარებული უნდა იყოს სკოლების წარმატება

ამ პოზიტიური დამოკიდებულების ხელშეწყობაში. ძალადობის შემცირების პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების დროს ამ ძლიერი მხარეების გამოვლენა, რომლებიც შეიძლება საყრდენად იქნეს გამოყენებული, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც იმ სფეროების იდენტიფიცირება, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს.

რეკომენდაცია:

- სკოლებში არსებულმა პოზიტიურმა დამოკიდებულებამ უნდა შექმნას საფუძველი ძალადობის შემცირების ნებისმიერი პოლიტიკისა და სტრატეგიისათვის.

განსხვავებები სქესისა და ასაკის მიხედვით

ცხრილი 6.21 ადარებს დამოკიდებულებებს სქესის მიხედვით.

ცხრილი 6.21: ბავშვების დამოკიდებულებების შედარება სქესის მიხედვით (t- ტესტი)

| ბავშვების დამოკიდებულებები | სქესი | N | საშუალო | სტანდარტული გადახრა | P მნიშვნელობა |
|--------------------------------|----------|-----|---------|---------------------|---------------|
| დამოკიდებულება სკოლის მიმართ | გოგონები | 655 | 3.565 | .3276 | .373 |
| | ბიჭები | 645 | 3.549 | .3484 | |
| ურთიერთობები მოსწავლეებს შორის | გოგონები | 655 | 4.341 | .6412 | .227 |
| | ბიჭები | 645 | 4.383 | .6122 | |
| მასწავლებლების მიერ მოპყრობა | გოგონები | 655 | 3.997 | .6031 | .177 |
| | ბიჭები | 645 | 3.951 | .6214 | |
| მშობლების პოზიცია | გოგონები | 655 | 4.312 | .5349 | .048* |
| | ბიჭები | 645 | 4.251 | .5666 | |

* P<0.05

გოგონებმა უფრო დადებითად შეაფასეს მშობელთა მზაობა სასკოლო პრობლემებთან დაკავშირებით დახმარებისა და მხარდაჭერის განცხადების კუთხით (p=.048). დამოკიდებულების სხვა საზომებში არ არსებობდა განსხვავებები სქესის მიხედვით.

როცა საქმე ასაკის მიხედვით გამოვლენილ განსხვავებებს ეხება (ცხრილი 6.22), რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ მხოლოდ მშობლების პოზიციის შეფასება ასაკზე დამოკიდებული (p=.000). უფროსი ასაკის ბავშვები უფრო აღნიშნავენ, რომ მშობლები ნაკლებად არიან ჩართულნი სკოლასა და განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებში, ვიდრე უფრო პატარა ასაკის ბავშვები.

ცხრილი 6.22: რეგრესიული მოდელის შედარებები ასაკის გათვალისწინებით

| ბავშვების დამოკიდებულებები | ასაკი | საშუალოები | R კვადრატი | P მნიშვნელობა |
|--------------------------------|-------|------------|------------|---------------|
| დამოკიდებულება სკოლის მიმართ | 10-11 | 3.570 | .000 | .956 |
| | 12-13 | 3.546 | | |
| | 14-15 | 3.547 | | |
| | 16-17 | 3.572 | | |
| ურთიერთობები მოსწავლეებს შორის | 10-11 | 4.364 | .000 | .682 |
| | 12-13 | 4.348 | | |
| | 14-15 | 4.362 | | |
| | 16-17 | 4.381 | | |
| მოპყრობა მასწავლებლების მიერ | 10-11 | 4.017 | .002 | .139 |
| | 12-13 | 4.001 | | |
| | 14-15 | 3.914 | | |
| | 16-17 | 3.974 | | |

| | | | | |
|-------------------|-------|-------|------|---------|
| მშობლების პოზიცია | 10-11 | 4.374 | .016 | .000*** |
| | 12-13 | 4.323 | | |
| | 14-15 | 4.238 | | |
| | 16-17 | 4.186 | | |
| *** P<0.001 | | | | |

ადგილმდებარეობა და სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებები

6.23 ცხრილში შედარებულია განსხვავებები თბილისსა და რეგიონებს შორის, ხოლო 6.24 ცხრილში – განსხვავებები სოფლისა და ქალაქის ბავშვებს შორის.

ცხრილი 6.23: ბავშვების დამოკიდებულებების შედარება ადგილმდებარეობის მიხედვით – თბილისი – რეგიონი (t-ტესტი)

| ბავშვების დამოკიდებულებები | ადგილმდებარეობა | N | საშუალო | სტანდარტული გადახრა | P მნიშვნელობა |
|--------------------------------|-----------------|-----|---------|---------------------|---------------|
| დამოკიდებულება სკოლის მიმართ | თბილისი | 347 | 3.499 | .3375 | .000*** |
| | რეგიონები | 953 | 3.578 | .3360 | |
| ურთიერთობები მოსწავლეებს შორის | თბილისი | 347 | 4.266 | .6187 | .001*** |
| | რეგიონები | 953 | 4.397 | .6268 | |
| მოპყრობა მასწავლებლების მიერ | თბილისი | 347 | 3.920 | .6386 | .005** |
| | რეგიონები | 953 | 3.994 | .6018 | |
| მშობლების პოზიცია | თბილისი | 347 | 4.276 | .5205 | .809 |
| | რეგიონები | 953 | 4.284 | .5626 | |
| ** P<0.01 *** P<0.001 | | | | | |

თბილისის გარეთ არსებულ რეგიონებში ბავშვები და ახალგაზრდები აღნიშნავენ უფრო მეტად დადებით დამოკიდებულებას სკოლის მიმართ ($p=.000$), უფრო დადებითად აფასებენ ურთიერთობებს მოსწავლეებს შორის ($p=.001$) და აღნიშნავენ უკეთეს მოპყრობას მასწავლებლების მიერ ($p=.005$). მშობლების პოზიციის კუთხით მნიშვნელოვანი განსხვავება თბილისსა და რეგიონებს შორის არ გამოვლენილა.

ცხრილი 6.24: ბავშვების დამოკიდებულებების შედარება ადგილმდებარეობის მიხედვით – ქალაქი – სოფელი (t-ტესტი)

| ბავშვების დამოკიდებულებები | ქალაქი - სოფელი | N | საშუალო | სტანდარტული გადახრა | P მნიშვნელობა |
|--------------------------------|-----------------|-----|---------|---------------------|---------------|
| დამოკიდებულება სკოლის მიმართ | ქალაქი | 727 | 3.545 | .3567 | .140 |
| | სოფელი | 573 | 3.572 | .3126 | |
| ურთიერთობები მოსწავლეებს შორის | ქალაქი | 727 | 4.350 | .6544 | .414 |
| | სოფელი | 573 | 4.378 | .5908 | |
| მოპყრობა მასწავლებლების მიერ | ქალაქი | 727 | 3.971 | .6444 | .808 |
| | სოფელი | 573 | 3.979 | .5699 | |
| მშობლების პოზიცია | ქალაქი | 727 | 4.317 | .5459 | .009** |
| | სოფელი | 573 | 4.237 | .5557 | |
| **P<0.01 | | | | | |

ქალაქისა და სოფლის სკოლებს შორის შედარებისას გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება მშობელთა პოზიციების შეფასებებს შორის. ქალაქის სკოლებში ბავშვები და ახალგაზრდები უფრო დადებითად აფასებდნენ მშობლების მზადყოფნას, დახმარება გაენიათ მათთვის სკოლასთან დაკავშირებულ საკითხებში ($p=.009$). ქალაქის/სოფლის ნიშნით ამ დამოკიდებულების კუთხით სხვა სახის მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა.

6.25 ცხრილში მოცემულია განსხვავებები ეკონომიკური სტატუსის მიხედვით.

ცხრილი 6.25: განსხვავებები ეკონომიკური სტატუსის მიხედვით

| | ეკონომიკური სტატუსი (N) | საშუალო | P მნიშვნელობები | ეკონომიკური სტატუსი (n) | საშუალო | P მნიშვნელობები | ეკონომიკური სტატუსი (N) | საშუალო | P მნიშვნელობები |
|--------------------------------|-------------------------------|----------------|-----------------|------------------------------|----------------|-----------------|-------------------------------|----------------|-----------------|
| დამოკიდებულება სკოლის მიმართ | დაბალი (148) საშუალო (762) | 3.573 3.558 | .619 | დაბალი (148) მაღალი (390) | 3.573 3.550 | .471 | საშუალო (762) მაღალი (390) | 3.558 3.550 | .700 |
| ურთიერთობები მოსწავლეებს შორის | დაბალი საშუალო | 4.381 4.357 | .647 | დაბალი მაღალი | 4.381 4.367 | .803 | საშუალო მაღალი | 4.357 4.367 | .792 |
| მოპყრობა მასწავლებლების მიმართ | დაბალი საშუალო | 3.978 3.986 | .894 | დაბალი მაღალი | 3.978 3.950 | .650 | საშუალო მაღალი | 3.986 3.950 | .345 |
| მშობლების პოზიცია | დაბალი საშუალო | 4.254 4.285 | .538 | დაბალი მაღალი | 4.254 4.287 | .532 | საშუალო მაღალი | 4.285 4.287 | .943 |

არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი განსხვავება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით ბავშვების მიერ შეფასებისას. უნდა ითქვას, რომ ყველაზე დაბალი, საშუალო და მაღალი ეკონომიკური სტატუსის მქონე ბავშვები და ახალგაზრდები ერთნაირ დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ.

ბავშვების დამოკიდებულებების შედარება იმის მიხედვით, მშობლებთან ცხოვრობენ თუ მათ გარეშე

გასაკვირი არ არის, რომ ორივე მშობელთან მცხოვრებმა ბავშვებმა უფრო მეტი მხარდაჭერა და დახმარება აღნიშნეს თავიანთი მშობლების მხრიდან ($p=.01$). მათ უფრო მეტად დადებითი დამოკიდებულებები გააჩნიათ სკოლის მიმართ ($p=.078$, უმნიშვნელო).

ცხრილი 6.26 ბავშვების დამოკიდებულებების შეფასება იმის მიხედვით, მშობლებთან ცხოვრობენ თუ მათ გარეშე

| ბავშვების დამოკიდებულებები | მშობლებთან გარეშე - მშობლებთან | N | საშუალო | სტანდარტული გადახრა | P მნიშვნელობა |
|------------------------------|--------------------------------|------|---------|---------------------|---------------|
| დამოკიდებულება სკოლის მიმართ | უდედოდ ან/და უმამოდ ცხოვრობს | 217 | 3.521 | .3298 | .078 |
| | ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობს | 1083 | 3.564 | .3394 | |

| | | | | | |
|--------------------------------|--------------------------------|------|-------|-------|--------|
| ურთიერთობები მოსწავლეებს შორის | უდედოდ ან/და უმამოდ ცხოვრობს | 217 | 4.355 | .6562 | .853 |
| | ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობს | 1083 | 4.364 | .6214 | |
| მოპყრობა მასწავლებლების მიერ | უდედოდ ან/და უმამოდ ცხოვრობს | 217 | 3.961 | .6380 | .737 |
| | ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობს | 1083 | 3.977 | .6075 | |
| მშობლების პოზიცია | უდედოდ ან/და უმამოდ ცხოვრობს | 217 | 4.184 | .6188 | .010** |
| | ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობს | 1083 | 4.302 | .5351 | |
| ** P<0.01 | | | | | |

დამოკიდებულებების კორელაცია

კორელაციური ანალიზი (ცხრილი 6.27 27) აჩვენებს, რომ სკოლის მიმართ დამოკიდებულების ოთხი სკალა მჭიდროდ არის დაკავშირებული. ბავშვების მიერ იმ დამოკიდებულების შეფასება, რომელიც გავლენას ახდენს სკოლის კლიმატზე, თანმიმდევრულია.

ცხრილი 6.27: პირსონის კორელაცია (r) დამოკიდებულებებს შორის

| ბავშვების დამოკიდებულებები | დამოკიდებულება სკოლის მიმართ | ურთიერთობები მოსწავლეებს შორის | მოპყრობა მასწავლებლების მიერ | მშობლების პოზიცია |
|--------------------------------|------------------------------|--------------------------------|------------------------------|-------------------|
| დამოკიდებულება სკოლის მიმართ | 1 | .363(**) | .455(**) | .298(**) |
| ურთიერთობები მოსწავლეებს შორის | .363(**) | 1 | .495(**) | .426(**) |
| მოპყრობა მასწავლებლების მიერ | .455(**) | .495(**) | 1 | .443(**) |
| მშობლების პოზიცია | .298(**) | .426(**) | .443(**) | 1 |

** კორელაცია მნიშვნელოვანია 0.01 დონეზე (2-ნიშნით).

მაშინ, როცა უმრავლესობამ უნივერსალურად დადებითი შეხედულებები აღნიშნა, არსებობდა ახალგაზრდების უმცირესობაც, რომელთა დამოკიდებულება ყველა სფეროში უარყოფითი იყო. ძალადობის შემცირების პოლიტიკისა და სტრატეგიების წარმატებისათვის უნდა გამოიძებნოს გზები ამ უკმაყოფილო ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაციები:

- გამოკვლეული უნდა იქნეს სკოლის, თანატოლებისა და მასწავლებლების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მქონე ახალგაზრდების უმცირესობის ჩართვის საკითხი.

ბულინგის ადგილი და დრო

ბულინგი, ზოგადად, კითხვარში მითითებულ ყველა ადგილას ხდება, განსაკუთრებით კი სკოლის ეზოში, ხეებით დაფარულ ადგილას სკოლის ახლოს, დერეფნებში, სკოლისკენ მიმავალ და სკოლიდან მომავალ გზებზე, მაგრამ ნაკლებად ხდება ისეთ ადგილებში, როგორიცაა ბიბლიოთეკა, კომპიუტერის ოთახები და სასადილო (ცხრილი 6.28). ადგილები, სადაც ხშირია ბულინგი, ის ტერიტორიებია, სადაც ბავშვები ნაკლებად არიან ზედამხედველობის ქვეშ ან ნაკლებად არიან ჩართულნი კონსტრუქციულ საქმიანობაში.

ცხრილი 6.28: ბულინგის ადგილები - სიხშირეები

| ბულინგის ადგილი | კვირაში ბევრჯერ | | ყოველ კვირას | | ერთხელ ან ორჯერ | | არასოდეს | | არ შეესაბამება | |
|--|-----------------|------|--------------|-----|-----------------|------|----------|------|----------------|------|
| | N | % | N | % | N | % | N | % | N | % |
| სკოლის ეზო | 147 | 11.3 | 90 | 6.9 | 341 | 26.2 | 587 | 45.2 | 135 | 10.4 |
| ხეებით დაფარული ადგილი სკოლასთან ახლოს | 101 | 7.8 | 69 | 5.3 | 182 | 14.0 | 716 | 55.1 | 232 | 17.8 |
| დერეფნები | 95 | 7.3 | 95 | 7.3 | 308 | 23.7 | 661 | 50.8 | 141 | 10.8 |
| სკოლისაკენ ან სკოლაში მიმავალი გზა | 86 | 6.6 | 101 | 7.8 | 310 | 23.8 | 598 | 46.0 | 205 | 15.8 |
| სპორტული დარბაზი | 57 | 4.4 | 65 | 5.0 | 225 | 17.3 | 797 | 61.3 | 156 | 12.0 |
| სკოლის ტუალეტი | 49 | 3.8 | 34 | 2.6 | 104 | 8.0 | 868 | 66.8 | 245 | 18.8 |
| საკლასო ოთახი | 38 | 2.9 | 61 | 4.7 | 253 | 19.5 | 792 | 60.9 | 156 | 12.0 |
| სასადილო | 14 | 1.1 | 40 | 3.1 | 57 | 4.4 | 1037 | 79.8 | 152 | 11.7 |
| კომპიუტერის ოთახები | 5 | .4 | 26 | 2.0 | 29 | 2.2 | 1049 | 80.7 | 191 | 14.7 |
| ბიბლიოთეკა | 3 | .2 | 14 | 1.1 | 15 | 1.2 | 1104 | 84.9 | 164 | 12.6 |

სკოლასთან დაკავშირებული ბულინგი ჩვეულებრივი მოვლენაა დღის განმავლობაში ნებისმიერ დროს, განსაკუთრებით კი სკოლის შემდეგ და შესვენებებზე (ცხრილი 6.29).

ცხრილი 6.29: ბულინგის დრო – სიხშირე

| ბულინგის დრო | კვირაში ბევრჯერ | | ყოველ კვირას | | ერთხელ ან ორჯერ | | არასოდეს | | არ შეესაბამება | |
|----------------------------------|-----------------|------|--------------|-----|-----------------|------|----------|------|----------------|------|
| | N | % | N | % | N | % | N | % | N | % |
| სკოლის შემდეგ | 146 | 11.2 | 100 | 7.7 | 404 | 31.1 | 449 | 34.5 | 201 | 15.5 |
| შესვენებებზე (სადილი, დასვენება) | 122 | 9.4 | 92 | 7.1 | 376 | 28.9 | 570 | 43.8 | 140 | 10.8 |
| გაკვეთილებს შორის | 63 | 4.8 | 85 | 6.5 | 319 | 24.5 | 676 | 52.0 | 157 | 12.1 |
| შაბათ-კვირას | 31 | 2.4 | 28 | 2.2 | 138 | 10.6 | 665 | 51.2 | 438 | 33.7 |
| სკოლამდე | 20 | 1.5 | 39 | 3.0 | 178 | 13.7 | 825 | 63.5 | 238 | 18.3 |
| გაკვეთილების განმავლობაში | 13 | 1.0 | 36 | 2.8 | 135 | 10.4 | 961 | 73.9 | 155 | 11.9 |

აღნიშნული შედეგებიდან ჩანს, რომ ბულინგი სკოლაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მოსწავლეებისათვის სკოლაში წასვლის ან სკოლიდან გამოსვლის დროს. მართალია, ამ პრობლემასთან ბრძოლისას მნიშვნელოვანი იქნება სამიზნე არეალში მოხვდეს „ცხელი წერტილები“ დამატებითი ზედამხედველობისათვის (როგორც არის სკოლის სპორტული მოედანი, სკოლასთან ახლოს მდებარე ხეებით დაფარული ადგილი, ასევე სკოლაში თავშეყრის ადგილები), მაგრამ ყველაზე ქმედითი პოლიტიკა და სტრატეგიები ბულინგის შესამცირებლად ისინია, რომლებიც ძალადობის შემცირებაზე მიმართული სკოლის პოლიტიკისა და სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ბულინგთან ბრძოლის ცალკეულ კამპანიებს იშვიათად აქვს ხოლმე გრძელვადიანი ეფექტი.

დასკვნითი კომენტარი

სკოლებში ძალადობის კვლევა განხორციელდა, რათა წვლილი შეეტანა საქართველოში ბავშვების მიმართ და ბავშვებს შორის არსებული ძალადობის სურათის შესაქმნელად, უფრო კონკრეტულად კი იმისათვის, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „უსაფრთხო სკოლის ინიციატივის“ ინფორმაცია მიენოებინა. მზადდება ცალკე ანგარიში სკოლებში ძალადობის შესახებ (ზოლოტორი და სხვები, 2008), რომელშიც უფრო დეტალურად იქნება განხილული „უსაფრთხო სკოლის“ ინიციატივის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული აღმოჩენები და რეკომენდაციები. მართალია, წინამდებარე ანგარიშის მერვე თავში მოცემული რეკომენდაციები მოიცავს რამდენიმე რეკომენდაციას სკოლებში ძალადობის შემცირებასთან დაკავშირებით, ისინი უმეტესწილად ზოგადი ხასიათისაა და ზოგიერთი მათგანი უკავშირდება ძალადობას, რომელიც ერთზე მეტ გარემოში ხდება. იმ რეკომენდაციების შეჯამება, რომლებიც კონკრეტულად „უსაფრთხო სკოლის ინიციატივას“ ეხება, შეგიძლიათ წინამდებარე ანგარიშის მე-6 დანართში იხილოთ.

თავი მეშვიდე: ბავშვთა შეხედულებები

ყველა ბავშვს, რომელსაც ჩაუტარდა ინტერვიუ, მიეცა საშუალება, გამოეთქვა საკუთარი იდეები ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით. ეს შესაძლებლობა მათ შემდეგი სახით მიეცათ: ინტერვიუ დასრულდა შეკითხვით, რომელზეც შესაძლებელი იყო თავისუფალი პასუხის გაცემა და რომელიც ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: „გაქვს თუ არა რაიმე წინადადებები ბავშვების მიმართ ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით?“

სამივე შესწავლილ ჯგუფში – ოჯახებში, სოციალური ზრუნვის დაწესებულებებსა და სკოლებში – ბავშვთა დაახლოებით ერთმა მეოთხედმა (დაახლოებით 700 ბავშვი) გაუზიარა საკუთარი იდეები ინტერვიუერს. პასუხები წარმოადგენდა ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებული დაკვირვებებისა და შეხედულებების ნაკრებს.

იმ ბავშვთა მიერ გამოთქმული წინადადებები, რომელთაც ჩაუტარდათ ინტერვიუ ოჯახებსა და სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში განცდილი ძალადობის შესახებ, უფრო ზოგადი იყო და ეხებოდა ყველა გარემოს, ხოლო მათ შორის, ვისაც ინტერვიუ სკოლებში ძალადობის შესახებ ჩაუტარდა, შეინიშნებოდა უფრო კონკრეტულად სკოლებში არსებულ ძალადობაზე საუბრის ტენდენცია.

ბავშვთა პასუხები დაჯგუფდა რამდენიმე თემის მიხედვით. ქვემოთ მოცემულია ბავშვთა მიერ გამოთქმული შეხედულებების შეჯამება, მოცემულია, აგრეთვე, ზოგიერთი პირდაპირი ციტატა ბავშვთა მოსაზრებებიდან მათი შეხედულებების უკეთესად ილუსტრირების მიზნით.

უფროსების როლი ძალადობის შემცირებაში და მათი ზეგავლენა ამ პროცესზე

საკუთარ წინადადებებში ბავშვები ხშირად საუბრობდნენ უფროსების მხრიდან ბავშვთა მიმართ ყურადღებისა და პატივისცემით აღსავსე მოქცევის მნიშვნელობაზე, როგორც ძალადობის შემცირების ერთ-ერთ გზაზე. ბავშვები აღიარებდნენ, რომ უფროსებმა უნდა უზრუნველყონ კონტროლი და შესთავაზონ მათ ხელმძღვანელობა მათ ქცევასთან დაკავშირებით. ბავშვებმა ასევე აღნიშნეს, რომ უფროსებმა ორგანიზება უნდა გაუწიონ სხვადასხვა საქმიანობას, რათა ბავშვები დაკავებულნი იყვნენ, და ხაზგასმით განაცხადეს, რომ აუცილებელია, ჰყავდეთ უფროსი ასაკის ისეთი ადამიანი, რომლისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლება მიმართვა რჩევისა და დახმარებისათვის.

ქვემოთ მოყვანილი ციტატები ბავშვების სიტყვებით ახდენს ზემოაღნიშნული მოსაზრებების ილუსტრირებას:

- „უფროსები მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ ბავშვებს“
- „პრობლემის არსებობის შემთხვევაში ბავშვებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიმართონ უფროსებს (მაგალითად, დირექტორს ან სხვა პასუხისმგებელ პირს, ვინც მათ დაეხმარება)“
- „ბავშვთა სწავლის პროცესი უნდა წარიმართოს არაძალადობრივი მეთოდების – მაგალითად, თამაშების — საშუალებით“
- „უფროსებმა ბავშვებს წესები მეგობრულად უნდა აუხსნან“
- „ბავშვები დაკავებულნი უნდა იყვნენ სახალისო საქმიანობით“

ოჯახური გარემოსა და ბავშვთა აღზრდის მიმართ მიდგომების მნიშვნელობა

ბავშვებმა გამოთქვეს შეხედულება, რომ მნიშვნელოვანია როგორც ოჯახური ატმოსფერო, ასევე მიდგომები ბავშვთა აღზრდის მიმართ. მათ აღნიშნეს, რომ მშობლები უნდა მოიქცნენ როგორც სამაგალითო პირები საკუთარი ბავშვებისათვის. მათი აზრით, არაძალადობრივი გარემო ხელს შეუწყობს ბავშვების მიმართ ძალადობის პრევენციის პროცესს და ასევე დაიცავს ბავშვებს იმისაგან, რომ მათ თვითონ არ ჩაიდინონ ძალადობრივი ქმედებები.

- „მშვიდობიანი ოჯახები, სადაც არ არსებობს კონფლიქტები, და ისეთი გარემო, სადაც არ არის არეულობა, გამოიწვევს ბავშვების მიმართ ძალადობის შემცირებას“
- „უფროსები ბავშვებს თბილად და თანაგრძნობით უნდა ეპყრობოდნენ“
- „მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა უზრუნველყონ ბავშვთა „სწორი“ აღზრდა და მათთვის კარგი სამაგალითო პირები იყვნენ“
- „ბავშვების მიმართ ძალადობა გამოიწვევს იმას, რომ თვითონ ბავშვებიც ძალადობრივად მოიქცევიან“

ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით გათვითცნობიერების გაზრდა

ბავშვებს გათვითცნობიერებული ჰქონდათ, რომ ბავშვებსა და უფროსებს შესაძლოა დასჭირდეთ ტრენინგი, რათა გაიზარდოს მათი ცოდნა ძალადობისა და ბავშვების აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით:

- „როგორც ბავშვებს, ასევე უფროსებს სჭირდებათ იმის სწავლა, რომ არ მოიქცნენ ძალადობრივად“
- „უფროსებს უნდა ასწავლონ, თუ როგორ მოეპყრონ ბავშვებს“
- „ყველა უნდა იცნობდეს ბავშვთა უფლებებს და იცავდეს მათ“
- „ახალგაზრდა ადამიანებს ასევე ესაჭიროებათ ტრენინგი ბავშვთა აღზრდის უნარ-ჩვევების საკითხებზე“

კანონის მნიშვნელობა

ბავშვები ხშირად ხაზს უსვამდნენ კანონის მნიშვნელობას. მათ აღნიშნეს, რომ კანონი უნდა იცავდეს მათ ძალადობისაგან და სჯიდეს მოძალადეებს.

- „ბავშვებმა უნდა იცოდნენ საკუთარი უფლებები და კანონები“
- „კანონები უნდა იცავდეს ბავშვებს ძალადობისაგან“
- „ძალადობის ჩამდენები უნდა დაისაჯონ“

პირადი უსაფრთხოება

ბავშვები ხშირად ახსენებდნენ პირადი უსაფრთხოების წესებს; თუმცა ასეთ შემთხვევებში ისინი საფრთხესა და ძალადობას მხოლოდ უცხო ადამიანებთან აკავშირებენ.

- „ბავშვი არ უნდა ჩაჯდეს უცხო ადამიანის მანქანაში“
- „ბავშვი არ უნდა დაელაპარაკოს უცხო ადამიანებს“

მედიის ზეგავლენა

ბავშვებს მიაჩნიათ, რომ მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ძალადობის გაღვივებაში. ისინი ტელევიზიას აღიქვამენ როგორც მნიშვნელოვან წყაროს, რომლის საშუალებითაც შესაძლოა ბავშვებში ძალადობრივი ქცევა წახალისდეს.

- „ძალადობა, რომელსაც აჩვენებენ ტელევიზიით, ზეგავლენას ახდენს ძალადობის შემთხვევათა რაოდენობისა და სიხშირის ზრდაზე“.

სხვა დაკვირვებები

ასევე აღსანიშნავია, რომ ინტერვიუების მსვლელობისას რესპონდენტები ხშირად უარყოფითად ახსენებდნენ ცემას და ფიზიკურ სასჯელს. ზოგიერთ რესპონდენტს მიაჩნდა, რომ სიმკაცრეს არსებითი მნიშვნელობა აქვს, ზოგის თქმით, სასჯელი აუცილებელია. ზოგიერთმა რესპონდენტმა ბავშვმა აღნიშნა „ცემა“ და „საყვარელი საქმიანობის აკრძალვა“ როგორც სასჯელის ფორმები. ზოგ შემთხვევაში ნათელი არ იყო, განიხილავდნენ თუ არა ბავშვები ფიზიკურ სასჯელს ძალადობის ფორმად. ზოგიერთს მიაჩნდა, რომ თუ ბავშვი კარგად იქცევა, უფროსების მხრიდან დასჯას ადგილი არ ექნება, რაც ნიშნავს, რომ ისინი უკვე იწყებენ ძალადობის გამოყენების გამართლებას.

ზოგიერთი ბავშვი ცდილობდა, ეპოვა ძალადობის მიზეზი და გამოთქვამდა აზრს, რომ სოციალური სიტუაციის შედეგად მშობლები თავიანთ აღელვებას საკუთარი ბავშვების მიმართ აგრესიის სახით გამოხატავენ ან ვერ ახერხებენ ბავშვების სათანადო მოვლას.

დამატებითი შეხედულებები, რომლებიც გამოთქვეს სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მცხოვრებმა ბავშვებმა

ამ ბავშვებს ნათლად ჰქონდათ გათვითცნობიერებული უფროსებისაგან ყურადღების მნიშვნელობა და ძალადობის პრევენციაში მათი აქტიური მონაწილეობის საჭიროება.

- „უფროსებმა უნდა დაიცვან ბავშვები ძალადობისაგან“
- „უფროსებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვებს, რათა ადგილი არ ჰქონდეს ძალადობას“
- „უფროსებმა უნდა ასწავლონ ბავშვებს, როგორ დაიცვან თავი ძალადობისაგან, განსაკუთრებით იმ ბავშვებს, ვისაც რბილი ხასიათი აქვს“
- „სირთულეების დროს ბავშვს უნდა შეეძლოს გაესაუბროს უფროს ადამიანს, ვისაც შეუძლია დახმარება“

პოზიტიური კუთხით, ზოგიერთმა ბავშვმა აღნიშნა, რომ გასული წლების განმავლობაში განხორციელდა წარმატებული ღონისძიებები სოციალური ზრუნვის დანესებულებაში ძალადობის პრევენციის მიზნით და რომ ახლა ისინი თავს უსაფრთხოდ გრძნობენ.

დამატებითი შეხედულებები, რომლებიც გამოთქვეს ბავშვებმა სკოლებში ძალადობასთან დაკავშირებით

ის ბავშვები, რომელთაც ჩაუტარდათ ინტერვიუ სკოლებში ძალადობასთან დაკავშირებით, ხშირად ხედავენ გამოსავალს სკოლებში დისციპლინის, კონტროლისა და დაცვის გამკაცრებაში.

- „სკოლებში დაცვა უნდა გაძლიერდეს“
- „დისციპლინა უფრო მკაცრი უნდა იყოს“
- „კონტროლი უფრო მკაცრი უნდა გახდეს“
- „მე დიდი სურვილი მაქვს, რომ დააყენონ კამერები, რათა შემცირდეს დარღვევების რაოდენობა“
- „ბავშვებზე ზედამხედველობა უფრო მკაცრი უნდა გახდეს“
- „ყველას ესაჭიროება კონტროლი დირექტორის მხრიდან – როგორც მასწავლებლებს, ასევე ბავშვებს“
- „მჩაგვრელები უნდა დაისაჯონ“

ბავშვებმა ასევე ხაზი გაუსვეს როგორც მასწავლებლებში, ისე ბავშვებში ძალადობასთან დაკავშირებული ცნობიერების გაზრდის მნიშვნელობას და სკოლებში ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გუნდების არსებობის საჭიროებას.

- „კარგი იქნებოდა, ჩატარებულიყო ერთსაათიანი გაკვეთილი ამის [ძალადობის] შესახებ და [ეს] დაწყებულიყო ადრეული ასაკიდან“
- „მასწავლებლები გაკვეთილებზე უნდა გვესაუბრობდნენ ძალადობის შესახებ“
- „ფსიქოლოგები უნდა მოვიდნენ და ჩაგვიტარონ გაკვეთილი სიმშვიდის შენარჩუნების შესახებ“
- „უნდა ჩატარდეს გაკვეთილები ძალადობის შესახებ და მათ მასწავლებლებიც უნდა დაესწრონ“
- „იმისათვის, რომ ეს ცუდი ჩვევები არ არსებობდეს, ბავშვებთან ფსიქოლოგებმა უნდა იმუშაონ“
- „ლექციები ძალადობისა და ბავშვებს შორის ურთიერთობების შესახებ“
- „უნდა ჩატარდეს ტრენინგები ქცევის შესახებ მათთვის, ვისაც აშკარად ძალადობრივი ქცევა ახასიათებს“

დასკვნა

დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემისას ბავშვებმა გამოაშკარავეს ის საკითხები, რომლებიც მათთვის რეალური და მტკივნეული იყო. ზოგიერთ მათგანს აშკარად ბევრი უფიქრია ძალადობის მიზეზებისა და მოტივების შესახებ. მათ გათვითცნობიერებული ჰქონდათ, რომ მშობლები შესაძლოა სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და სჭირდებოდათ განათლება და მხარდაჭერა ბავშვების აღზრდის საკითხებში. ისინი ასევე მკაფიოდ აყალიბებდნენ იმას, თუ რისი დანახვა სურთ უფროსების მიერ მათზე ზრუნვის პროცესში, იქნება ეს სახლში, სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში თუ სკოლებში. ბავშვებს ასევე სწამთ, რომ უფროსებს გააჩნიათ ძალადობისგან ბავშვების დაცვისა და მათთვის ზედამხედველობის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა.

ბავშვებს ესმით, რომ თავად არიან პასუხისმგებელი, რომ კარგად მოიქცნენ და რომ უფროსებმა უნდა უზრუნველყონ ხელმძღვანელობა და, როცა ეს აუცილებელია, დაამყარონ დისციპლინა. თავის მხრივ, მათ გააჩნიათ სურვილი, მიიღონ მეტი განათლება კონფლიქტების მართვის სფეროში. მათი აზრით, უფროსი ადამიანები, მასწავლებლების ჩათვლით, ასევე მიიღებდნენ გარკვეულ სარგებელს ასეთი ტრენინგის შედეგად. ბავშვებს გათვითცნობიერებული აქვთ ბავშვთა უფლებების განხორციელების ხელშეწყობის საჭიროება და ესმით ის როლი, რომელიც უნდა შეასრულოს კანონმა მათი დაცვისა და ძალადობის ინიციატორთა დასჯის პროცესში. ბავშვებთან საუბრისას ცხადი გახდა, რომ მათთვის სასარგებლო იქნებოდა ინფორმაციის მიღება და ტრენინგის ჩატარება პირადი უსაფრთხოების საკითხებზე.

კვლევის შემაჯამებელი რეკომენდაციების შემუშავებისას ყველგან, სადაც ეს შესაძლებელი იყო, გათვალისწინებული იქნა ბავშვთა მოსაზრებები. მიუხედავად ამისა, კვლევის ხასიათი, მისი სტრუქტურირებული კითხვარებითა და რაოდენობრივი მიდგომით, არ იძლეოდა მაინცდამაინც დიდი მოქნილობის საშუალებას ბავშვებთან რეალური კონსულტირების კუთხით. ბავშვებთან უფრო ფართო კონსულტაცია ძალადობის პრევენციის შესახებ უთუოდ ფასეული იქნებოდა. აშკარაა, რომ ბავშვებს ესმით გარკვეული ქმედებების განხორციელების საჭიროება და რომ არსებითად მნიშვნელოვანია მათი სრული ჩართულობა ძალადობის შემცირებაზე მიმართულ ნებისმიერ სტრატეგიებში, როგორც ბავშვების დღევანდელი სტატუსით, ასევე მათი მომავალი — მშობლებისა და პროფესიონალების — სტატუსით.

თავი მერვე: კვლევის შედეგების მიმოხილვა და რეკომენდაციები

მოცემული კვლევის შედეგები უნდა განვიხილოთ ბავშვთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის იმ საყოველთაოდ მაღალი მაჩვენებლების ფონზე, რომლებიც აჩვენა როგორც ჯანმრთელობის მსოფლიოს ორგანიზაციის ანგარიშმა (კრუგი და სხვები, 2002), ასევე გაერო-ს კვლევამ (2006). აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლებიც თავდაპირველად შესაძლოა საგანგაშოდ მოგვეჩვენოს, ჯდება მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მიღებული შედეგების ფარგლებში. კვლევა ასევე ადასტურებს, რომ ისევე, როგორც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში, საქართველოშიც საჭიროა სასწრაფო ღონისძიებების გატარება ბავშვების მიმართ ძალადობასთან ბრძოლის მიზნით.

წინამდებარე თავი ორ ნაწილად არის გაყოფილი. პირველში მოცემულია კვლევის შედეგების მიმოხილვა და შესაბამისი კომენტარები, ხოლო მეორეში — კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები, ორი მთავარი თემის მიხედვით: ძალადობის შემცირება და რეაგირება ბავშვთა ჩაგრვასა და უგულებელყოფაზე.

შედეგების მიმოხილვა

კვლევა გვიჩვენებს, რომ ბავშვები განიცდიან ძალადობას ყველა შესწავლილ გარემოში: ოჯახში, სკოლებსა და სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში. სამივე გარემოში ძალადობის ინიციატორი შეიძლება იყოს ან უფროსი ადამიანი, ან სხვა ბავშვი.

დისციპლინა, სასჯელი და ძალადობა სახლში

კვლევა განიხილავს ბავშვების მიმართ ძალადობას ოჯახურ გარემოში ორი პერსპექტივიდან. 11 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში მზრუნველებს დაუსვეს შეკითხვები იმ მეთოდების შესახებ, რომლებსაც იყენებენ ისინი და სხვა რეგულარული მზრუნველები იმისათვის, რომ ბავშვს ასწავლონ მართებულად ქცევა ან აღმოფხვრან ქცევის პრობლემები. 11 წელიწადზე უფროსი ასაკის ბავშვებს ჩაუტარდათ ინტერვიუები და დაესვათ შეკითხვები საკუთარი გამოცდილების დეტალების შესახებ. გარდა ამისა, მათ სთხოვეს, მიეთითებინათ, ვინ ჩაიღინა ძალადობა: უფროსმა ადამიანმა თუ ოჯახში მცხოვრებმა სხვა ბავშვმა.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ოჯახში მცხოვრებ ბავშვთა უმრავლესობისათვის ძირითადი მზრუნველია დედა. ასევე შესაძლოა არსებობდეს რამდენიმე სხვა უფროსი, ჩვეულებრივ, ახლო ნათესავები, ვინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვებზე ზრუნვაში.

მზრუნველთა პასუხები

მზრუნველთა (ძირითადად, მშობელთა) მიერ გაცემული პასუხები გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა მათგანი (90.8%) მართვის გარკვეულ პოზიტიურ მეთოდებს იყენებს. ღია ფორმით დასმულ შეკითხვაზე გაცემული პასუხები ასევე გვიჩვენებს, რომ ბევრი მათგანი კარგად ათვისებულ მეთოდებს და იყენებს ბავშვთა აღზრდის არაძალადობრივ მეთოდებს. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სასჯელთან დაკავშირებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ მშობლები საქართველოში, ისევე, როგორც მშობლები სხვა ქვეყნებში, საკუთარი ბავშვების ქცევის სამართავად სხვადასხვა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ სასჯელს იყენებენ. მთლიანობაში, მშობლებმა აღიარეს, რომ კვლევის ჩატარების წინა წლის განმავლობაში მათ ფიზიკურად დასაჯეს 11 წლამდე ასაკის ბავშვთა 79.8% და გამოიყენეს ფსიქოლოგიური სასჯელი 82.3%-ის მიმართ.

აღნიშნული სასჯელები ხშირად გამოიყენებოდა ადრეულ ასაკში. ერთი წლის ან უმცროსი ასაკის ბავშვთა 19 პროცენტის მიმართ გამოიყენებოდა ფიზიკური დისციპლინური ქმედებები, ხოლო 4-7 წლის ასაკის ბავშვებში ეს მაჩვენებელი 90%-მდე იზრდება. ფსიქოლოგიური სასჯელიც მსგავს ტენდენციას ამჟღავნებს. ამგვარად, იმ დროისათვის, როდესაც ბავშვები სკოლაში სიარულს იწყებენ, მათი უმრავლესობისათვის დამკვიდრებულია როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური სასჯელი როგორც ცუდი ქცევის კონტროლის მეთოდი. ბიჭებისთვის და გოგონებისთვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური სასჯელის მსგავსი დონეები აღინიშნებოდა.

საინტერესოა, რომ არ არსებობდა მნიშვნელოვანი განსხვავება მშობელთა მიერ ფიზიკური და ფსიქოლოგიური სასჯელის ან პოზიტიური მიდგომების გამოყენების თვალსაზრისით ზოგად მოსახლეობასა და იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის. იძულებით გადაადგილებულ პირთა შერჩევა იმის გამო განხორციელდა, რომ არსებობდა ვარაუდი, რომ რთული საცხოვრებელი პირობები ბავშვებს უფრო დაუცველს ხდის ძალადობის თვალსაზრისით. მოცემული კვლევის იმ ობიექტებისათვის, ვინც დევნილთა კომპაქტურად განსახლების ცენტრებში ცხოვრობდა, არ აღინიშნა მტკიცებულება, რომ ეს ძალადობრივი სასჯელის უფრო ხშირ გამოყენებას იწვევდა.

თუმცა სოფლის ტერიტორიებზე მცხოვრებ მშობლებში აღინიშნა როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური სასჯელის უფრო მაღალი დონეები, რაც აძლიერებს ბავშვების მიმართ ძალადობის შემცირებაზე მიმართულ ეროვნული მასშტაბის ღონისძიებებში ინვესტირების საჭიროებას.

მზრუნველთა მიერ აღნიშნული ფიზიკური სასჯელის ყველაზე გავრცელებული ფორმები იყო: ბავშვის საჯდომზე ხელით დარტყმა (51.7%), შენჯღრევა (46.1%), თმაზე მოქაჩვა და ყურის აწევა (43.8%). მართალია, ზოგიერთმა ადამიანმა ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითები რბილ ან საშუალოდ მკაცრ სასჯელად შეიძლება ჩათვალოს, უმეტესი მათგანი, თუ ყველა არა, მიჩნეული უნდა იქნეს სასტიკ და დამამცირებელ მოპყრობად - ისეთ მოპყრობად, რომლის აღმოფხვრასაც ბავშვის უფლებათა კონვენცია ცდილობს.

მშობელთა მცდელობა, გამოიყენონ პოზიტიური მიდგომები, მიუთითებს იმაზე, რომ ასეთი მეთოდების მხარდამჭერი კამპანია გარკვეულ წარმატებებს მიაღწევდა. თუმცა კამპანია მიმართული უნდა იყოს მშობლებზე ბავშვის ცხოვრების ადრეულ ეტაპზე, ასევე გავრცელდეს სხვა უფროსებზე, ვინც ზრუნავს ბავშვებზე, მათ შორის ბებიებსა და ბაბუებზე. მშობლებს დასჭირდებათ მუდმივი ნახალისება და ხელშეწყობა იმისათვის, რომ გამოიყენონ ასეთი მეთოდები. გარდა ამისა, საჭიროა ტრენინგის ჩატარება იმ პროფესიონალებისთვის, ვინც მშობლებს ხელს შეუწყობდა და კონსულტაციებს გაუწევდა.

მშობელთა მიერ აღნიშნული სხვა ფიზიკური სასჯელები უფრო მკაცრი იყო. მშობელთა ერთ მეხუთედზე ოდნავ მეტმა (21.5%) აღიარა, რომ ისინი სცემენ ბავშვს. აღინიშნა ასევე ბავშვების დახრჩობისა და გაგუდვის მცდელობის (8) და დამწვრობის მიყენების (8) შემთხვევები. ამგვარი ქმედებები, განსაკუთრებით მათი გამეორების შემთხვევაში, დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს ძალადობრივად. სავსებით შესაძლებელია, რომ ბავშვები, რომლებიც ასე მკაცრად ისჯებიან, განიცდიდნენ როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ზიანს. ასეთ ოჯახს სავარაუდოდ პრობლემები აქვს ბავშვთა აღზრდის კუთხით. ზოგიერთი ამგვარი ოჯახი შესაძლოა შეგნებულად აყენებდეს ზიანს საკუთარ ბავშვს. ძალადობის სავარაუდო შემთხვევების შეფასების შესაძლებლობის არსებობის გარეშე ასეთი შემთხვევები გამოუაშკარავებელი დარჩება.

ფიზიკური სასჯელის მაღალი მაჩვენებლები ხაზს უსვავს იმ პრობლემის მასშტაბს, რომლის წინაშეც დგას საქართველოს მთავრობა, თუ იგი აპირებს შეასრულოს საკუთარი ვალდებულება: აკრძალოს ძალადობა ოჯახებში, სკოლებსა და სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში. ასეთი აკრძალვა მოითხოვს დამოკიდებულების ცვლილებას არა მარტო საზოგადოების, არამედ პროფესიონალების მხრიდანაც. სანყისი ნაბიჯი ამ ცვლილების მიმართულებით იქნებოდა საჯარო დებატები, ისეთ ინიციატივებთან ერთად, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მშობლებისა და სხვა მზრუნველებისთვის ინფორმაციის მიწოდებას იმ დამოკიდებულებებისა და უნარ-ჩვევების შესახებ, რომლებიც საჭიროა ბავშვებში კარგი ქცევის ნასახლისებლად და ცუდი ქცევის გასაკონტროლებლად ძალადობის გამოყენების გარეშე.

ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები, რომლებიც აღინიშნა, იყო ბავშვისთვის დაყვირება (75.1%), ბავშვისთვის დამამცირებელი სახელების დაძახება (31.2%), ბავშვის ლანძღვა-გინება (29.8%) და მიტოვების მუქარა (27.4%). ეს ისეთი ქმედებებია, რომელთა ჩადენასაც მთელს მსოფლიოში მრავალი მშობელი აღიარებდა. ბავშვისთვის მიყენებული ზიანი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა სიხშირით და რა კომბინაციებში აქვს ადგილი ამ ქმედებებს, ასევე იმაზე, თუ რამდენად დაბალანსებულია ისინი მშობელთან პოზიტიური ურთიერთობით. რა თქმა უნდა, დამამცირებელი სახელების დაძახებამ და ლანძღვა-გინებამ, თუ ამას ხშირად აქვს ადგილი, შეიძლება ზიანი მიაყენოს ბავშვის წარმოდგენას საკუთარ თავზე და თავდაჯერებულობას. ეს შეიძლება ნეგატიური მოდელიც გახდეს, რომელსაც ბავშვი მიბაძავს სახლში და სკოლაში ქცევისას. მიტოვების მუქარა შეიძლება განსაკუთრებით სტრესის მომგვრელი იყოს მცირე ასაკის ბავშვისათვის, რომელმაც შეიძლება დაიჯეროს, რომ ეს მართლა მოხდება. ისევე და ისევე, ინფორმაცია ფსიქოლოგიური სასჯელის უარყოფითი შედეგების შესახებ სასარგებლო იქნებოდა როგორც იმ პროფესიონალებისთვის, რომლებიც კონსულტაციებს უწევენ მშობლებს და ბავშვებთან მუშაობენ, ასევე მშობლებისთვის.

მშობელთა აზრით, გასული წლის განმავლობაში არ დაკმაყოფილებულა ბავშვთა 20.8%-ის ერთი ან მეტი ძირითადი მოთხოვნილება, როგორცაა ჯანდაცვა, კვება და უბედური შემთხვევებისაგან დაცვა. აღნიშნული ფაქტი შესაძლოა არ იყო მშობლების ან რომელიმე სხვა მზრუნველის მხრიდან უყურადღებობის შედეგი, თუმცა 5.2%-მა აღნიშნა, რომ ბავშვი სერიოზული უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა, რომლის პრევენციაც შესაძლებელი იყო. უფრო დაბალი ეკონომიკური მდგომარეობის ჯგუფში ბავშვთა მიმართ უყურადღებობის მეტი შემთხვევა აღინიშნებოდა, რაც არ იყო მოულოდნელი. მნიშვნელოვნად მეტი შემთხვევა იყო აღმოჩენილი ასევე რეგიონებში, განსაკუთრებით კი სოფლის ტერიტორიებზე მცხოვრები მშობლების შემთხვევაში. აღნიშნული შედეგი შემდგომ განხილვას საჭიროებს, მაგრამ ეს კვლევის ფარგლებს სცდება.

სქესობრივი შეურაცხყოფის შემთხვევათა სიხშირე დაბალი იყო მშობლების გამოკითხვისას: მათ ამ სახის ძალადობის მსხვერპლად ბავშვთა მხოლოდ 3% დაასახელეს. სადავო საკითხია, ეს ფაქტების მნიშვნელოვანი დაფარვაა მშობლების მხრიდან, თუ მშობლებმა უბრალოდ არ იციან ამ პრობლემის შესახებ. თუმცა მაშინაც კი, თუ 1 650 ბავშვიდან გასულ წელს სქესობრივი შეურაცხყოფის მსხვერპლი „მხოლოდ“ ხუთი ბავშვი გახდა, ამ ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის მაინც ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი სტრუქტურები, რომელთაც საჭირო ინტერვენციის განხორციელებისთვის სათანადო ტრენინგით უზრუნველყოფილი თანამშრომლები ეყოლებათ. ბავშვებმა და ოჯახებმა, ასევე მათთან უშუალოდ მომუშავე პირებმა უნდა იცოდნენ, როგორ მიმართონ ასეთ სტრუქტურებს.

ბავშვთა პასუხები

ოჯახურ გარემოში ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვა ხედავ იქნა მოპოვებული თერთმეტ წელზე უფროსი ასაკის ბავშვებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად. ეს ინტერვიუები მოიცავდა დამატებით ასპექტს: ძალადობასთან შეხებას სახლში ან სახლთან ახლოს. ასეთი შემთხვევების მაღალი სიხშირისას შეგვიძლია მოველოდეთ, რომ ეს ზეგავლენას მოახდენს შედარებით უფროსი ასაკის ბავშვის დამოკიდებულებაზე ძალადობის გამოყენების მიმართ ურთიერთობებში და კონფლიქტების გადასაჭრელად.

ბავშვების პასუხების საფუძველზე შესაძლებელი გახდა გარკვეული შედარებების გაკეთება საერთაშორისო დონეზე, ICAST-ის საპილოტე ქვეყნებიდან მოპოვებული მონაცემების გამოყენებით. ამ შედარებამ დაადასტურა, რომ საქართველოში ბავშვთა მიერ აღნიშნული ძალადობის შემთხვევები ჯდება სხვა ქვეყნებში მიღებული შედეგების დიაპაზონში. იმ პასუხების რაოდენობა, რომლებიც ეხებოდა ძალადობის შემთხვევებს ოჯახში და ოჯახურ გარემოში (26.6%), შედარებით მცირე იყო სხვა საპილოტე ქვეყნებთან შედარებით.

გასული წლის განმავლობაში ყველაზე ხშირად აღნიშნული შემთხვევები იყო უფროსების მიერ ერთმანეთისთვის შიშის მომგვრელი ყვირილი და ღრიალი (15.5%). იმ შემთხვევების რაოდენობა, როდესაც ბავშვები უფროსებს შორის ფიზიკური ძალადობის მონაწილეები ხდებოდნენ, მცირე იყო (2.3%) — გაცილებით უფრო მცირე, ვიდრე სამში ოთხი საპილოტე ქვეყნიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს მინიშნებები, რომ ბავშვები საქართველოში ხშირად არ ხდებიან ოჯახში

უფროსებს შორის ფიზიკური ძალადობის მონეები. ამ კუთხით მშობელთა უმეტესობა საკუთარი ბავშვებისათვის კარგ მაგალითს წარმოადგენს.

ბავშვების 55%-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ განუცდიათ ფიზიკური ძალადობა, რომელიც მათ უშუალოდ შეეხო, ხოლო 59.1%-მა აღნიშნა ფსიქოლოგიური ძალადობა. ისევე, როგორც მშობლების მიერ გაცემული პასუხების შემთხვევაში, გასული წლის განმავლობაში არ არსებობდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ზოგადი მოსახლეობისა და იძულებით გადაადგილებული პირების ბავშვებს შორის. მიუხედავად ამისა, როდესაც იძულებით გადაადგილებულ პირთა ბავშვები გასულ წელზე ადრინდელ გამოცდილებას იხსენებდნენ, ფიზიკურ სასჯელთან დაკავშირებით მათი პასუხების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვა ბავშვების პასუხებისაგან. ეს შესაძლოა ასახავდეს წარსულ სირთულეებს, რომლებიც ახლა ისეთი მძიმე აღარ არის. ბავშვების უმრავლესობა ორივე ჯგუფში იყო (საქართველოსათვის) საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახებიდან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებმა გარკვეული სტაბილურობა მოიპოვეს. სასოფლო ტერიტორიებზე მცხოვრები მშობლების მიერ აღნიშნული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შედარებით მაღალი დონეები არ განმეორდა სასოფლო ტერიტორიებზე მცხოვრები ბავშვების პასუხებში.

ბავშვების მიერ აღწერილი ძალადობის მოდელი თანხვედრა მშობლების მიერ აღწერილი ძალადობის ტიპს: ხშირია თმის მოქაჩვის, ყურის აწევისა და ხელით გარტყმის შემთხვევები. მთლიანობაში, ეს ძალადობა უფრო ხშირად უფროსის მიერ დასჯის შედეგია, მაგრამ საკმაოდ ხშირად აღინიშნებოდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამ ქმედებებზე პასუხისმგებელი სხვა ბავშვები იყვნენ, რაც მიგვითითებს ოჯახურ გარემოში ბავშვებს შორის ძალადობის არსებობის პრობლემაზე. თუ ოჯახურ გარემოში ადგილი აქვს ბავშვებს შორის ძალადობას, არსებობს ალბათობა იმისა, რომ ეს ზეგავლენას მოახდენს ბავშვების ქცევაზე სკოლაში.

ფსიქოლოგიური ძალადობის ბიჭების მიერ აღნიშნული შემთხვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტი იყო გოგონების მიერ აღნიშნულ რაოდენობაზე, ანუ გამოიკვეთა სქესიდან გამომდინარე განსხვავება, რომელსაც არ ჰქონდა ადგილი უფრო მცირე ასაკის ბავშვებში. ეს შეიძლება ნაწილობრივ გამომწვეული იყოს კვლევის ამ კომპონენტში ბავშვებს შორის ძალადობის შეტანით. აღინიშნა ასაკის მატებასთან ერთად ფიზიკური ძალადობის კლების ტენდენცია.

კვლევის შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ ბავშვთა მცირე რაოდენობა მკაცრ დისციპლინურ სასჯელს განიცდიდა, რაც მოიცავდა არაერთხელ ცემას რაიმე საგნით (3), გაგუდვის მცდელობას (9), დამწვრობის მიყენებას (5) ან დაბმას (29). ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ თემში მცხოვრებ ოჯახებში არსებობს სავარაუდო ფიზიკური ძალადობის შემთხვევები. ისევე, როგორც უფრო მცირე ასაკის ბავშვების შემთხვევაში, მხოლოდ ბავშვის, ოჯახისა და კონკრეტული შემთხვევის შეფასება დაადასტურებდა ძალადობის აღნიშნულ შემთხვევებს და მიგვითითებდა რაიმე ქმედებებზე, რომლებიც საჭიროა ბავშვის დასაცავად და ოჯახისათვის მხარდაჭერის გასანევადა.

ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები იყო ბავშვისთვის დაყვირება, ბავშვის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან მისი სამარცხვინო მდგომარეობაში ჩადება. ინიციატორი შეიძლება იყოს როგორც უფროსი ადამიანი, ასევე ბავშვი. გარდა ამისა, ბავშვთა 17.9%-მა აღნიშნა გასული წლის განმავლობაში ოჯახში სხვა ბავშვის მიერ ჩადენილი ბულინგის შემთხვევები.

გამოკითხულ ბავშვთა თითქმის ერთი მეოთხედი თავს უგულვებელყოფილად თვლიდა (ანუ ბავშვებმა აღნიშნეს, რომ გასული წლის განმავლობაში არ იყო დაკმაყოფილებული მათი ერთი ან მეტი ძირითადი ფიზიკური ან ემოციური მოთხოვნილება). თუმცა შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ აღნიშნული მაჩვენებელი ზედმეტად მაღალია, უნდა აღინიშნოს, რომ იგი უფრო დაბალია, ვიდრე სამ ქვეყანაში იმ ოთხიდან, სადაც ICAS-ის საპილოტე კვლევა განხორციელდა. ზოგად მოსახლეობასა და იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის განსხვავება არ აღინიშნებოდა, თუმცა უგულვებელყოფის უფრო მეტი შემთხვევა აღინიშნა რეგიონებში და სასოფლო ტერიტორიებზე მცხოვრებ ბავშვებში. უგულვებელყოფის უფრო მეტი შემთხვევა აღნიშნეს მშობლებმაც რეგიონებსა და სასოფლო ტერიტორიებზე.

ჯამში 95-მა ბავშვმა (9%) აღნიშნა გარკვეული ფორმით სქესობრივი შეურაცხყოფის შემთხვევები

ოჯახურ გარემოში. თუმცა ამ შემთხვევების უმრავლესობა სხვა ბავშვის ან ახალგაზრდის მიერ იყო ჩადენილი, აღინიშნა 27 შემთხვევა, როდესაც ბავშვს სქესობრივი შეურაცხყოფა უფროსმა მიაყენა. იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯგუფში სქესობრივი შეურაცხყოფის მნიშვნელოვნად ნაკლები შემთხვევა აღინიშნა ($p=.011$ გასულ წელს), ხოლო სოფლის ტერიტორიებზე მცხოვრებ ბავშვებში – მნიშვნელოვნად მეტი. ეს შედეგი ხაზს უსვამს მთელი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების მნიშვნელობას.

ძალადობა სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში

სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში მცხოვრებ ბავშვთა პასუხების განხილვისას მნიშვნელოვანია გავათვითცნობიეროთ, რომ არსებობს მეტი ალბათობა იმისა, რომ მათ ცხოვრებაში გარკვეული ნეგატიური მოვლენები ჰქონდეთ გადატანილი და შესაძლოა დაწესებულებაში მოხვედრამდე განიცადათ შეურაცხყოფა და უგულვებლყოფა. კვლევის მიზნებისათვის ბავშვებს სთხოვეს, ყურადღება მხოლოდ იმ მოვლენებზე გაემახვილებინათ, რომლებსაც დაწესებულებაში ჰქონდა ადგილი.

ბავშვების უმეტესობამ აღნიშნა, რომ ისინი სოციალური ზრუნვის დაწესებულებაში თავს უსაფრთხოდ გრძნობენ, თუმცა, ამავე დროს, 71.1%-მა აღნიშნა გასული წლის განმავლობაში ფიზიკური ძალადობის, ხოლო 61.5%-მა – ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები. ბიჭებისა და გოგონების პასუხებს შორის არ არსებობდა სტატისტიკური განსხვავება და, ისევე, როგორც ოჯახში მცხოვრები ბავშვების შემთხვევაში, აღინიშნებოდა ძალადობის კლების ტენდენცია ასაკის მატებასთან ერთად. 11-12 წლის ასაკის ბავშვთა შორის ჩატარებული კვლევისას 85.6%-მა აღნიშნა ფიზიკური ძალადობის, ხოლო 68.8%-მა – ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები.

იმ ბავშვებისგან განსხვავებით, რომელთაც გამოკითხვა ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით ჩაუტარდათ, სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში მყოფი ბავშვები საკუთარ პასუხებში ძალადობის ინიციატორებად ყველაზე ხშირად სხვა ბავშვებს ასახელებდნენ, თუმცა ყურის აწევა ძირითადად უფროსების მხრიდან აღინიშნებოდა. მიუხედავად ამისა, აშკარა იყო, რომ ზოგიერთი უფროსი ადამიანი იყენებდა როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ სასჯელს ბავშვთა დისციპლინირების მიზნით. ზოგიერთ გამოყენებულ მეთოდს შეეძლო ბავშვისათვის ფიზიკური ზიანი მიეყენებინა. ასევე აღინიშნებოდა შემთხვევები, როდესაც უფროსები ბავშვებს დამამცირებელ სახელებს უწოდებდნენ და უყვიროდნენ მათ. ბავშვების 28.9%-მა აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა მათი პირადი ნივთების მოპარვისა და დაზიანების შემთხვევებს, რასაც, ძირითადად, სხვა ბავშვები აკეთებდნენ, იშვიათი გამონაკლისების გარდა. დიდია ალბათობა, რომ ასეთი ფაქტები განსაკუთრებულ სტრესს იწვევდეს ბავშვისათვის, რომელსაც ისედაც ცოტა პირადი ნივთი გააჩნია.

„უგულვებლყოფის“ შემთხვევები, რომლებიც ყველაზე ხშირად აღინიშნებოდა სოციალური ზრუნვის დაწესებულებაში მყოფი ბავშვების მიერ, იყო მხარდაჭერის არარსებობა ან ის, რომ ისინი თავს უმნიშვნელოდ გრძნობდნენ. ბევრად უფრო მეტმა გოგონამ (38.6%) აღნიშნა გასული წლის განმავლობაში მომხდარი „უგულვებლყოფის“ შემთხვევები, ვიდრე ბიჭმა (26.3%). ყველაზე მცირე ასაკის ჯგუფში (ბიჭები და გოგონები) მაჩვენებლები ასევე მაღალი იყო (37.6%).

სქესობრივი შეურაცხყოფის შემთხვევები სოციალური ზრუნვის დაწესებულებაში აღინიშნა ბავშვების 17.3%-ის მიერ და უკანასკნელი წლის განმავლობაში - 16.6%-ის მიერ. ბიჭებისა და გოგონების პასუხებს შორის არ ჰქონდა ადგილი სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებას და ყველაზე ხშირად აღნიშნული არასასურველი ქმედება პორნოგრაფიის ჩვენება იყო. იმ 50 ბავშვიდან, ვინც აღნიშნა, რომ გასული წლის განმავლობაში ერთხელ ან მეტჯერ ჰქონდა ადგილი სქესობრივ შეურაცხყოფას, 72%-მა თქვა, რომ მათ შეურაცხყოფა სხვა ბავშვმა მიაყენა, 8.0%-მა აღნიშნა, რომ ეს ჩაიდინა უფროსმა ადამიანმა, ხოლო 20%-ის თქმით, ეს როგორც უფროსმა ადამიანმა, ისე ბავშვმა ჩაიდინეს. მაგალითები, როდესაც ინიციატორად უფროსი ადამიანი იყო დასახელებული, მოიცავდა ისეთ ქმედებებს როგორცაა ტანსაცმლის გახდა, ხელით შეხება და იძულებითი სექსი (მხოლოდ 1 შემთხვევა) – ქმედებები, რომლებიც სრულიად მიუღებელი და უთუოდ შეურაცხმყოფელია.

ძალადობა სკოლებში

სკოლებში ძალადობის კვლევისას არა მარტო ICAST-ის იგივე კითხვარი (ICAST CI) იქნა გამოყენებული, რაც სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მცხოვრებ ბავშვებთან, არამედ მასში შეტანილი იქნა შეკითხვებიც სასკოლო კლიმატის შესახებ. აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხებმა ცხადყო, რომ საქართველოში ბავშვების უმრავლესობა აღნიშნავს პოზიტიურ დამოკიდებულებას სკოლის მიმართ, ასევე მოსწავლეთა შორის ურთიერთობების, მასწავლებელთა მიერ მოპყრობისა და მშობელთა პოზიციის თვალსაზრისით.

ბავშვებმა აღნიშნეს ფიზიკური (47.1%) და ფსიქოლოგიური ძალადობის (47.5%) მაღალი მაჩვენებლები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცენტული მაჩვენებლები ჯდება ICAST-ის საპილოტე ქვეყნებში აღნიშნულ დიაპაზონში. სქესობრივი ძალადობა ნაკლებად აღინიშნება. ბიჭები უფრო ხშირად აფიქსირებენ ძალადობის ყველა ტიპს. ამ შემთხვევაში განსხვავება სქესის მიხედვით უფრო აშკარაა, ვიდრე ოჯახურ გარემოში, სადაც თერთმეტ წელზე უფროსი ასაკის ბიჭებში უფრო ხშირად აღინიშნებოდა მხოლოდ ფსიქოლოგიური ძალადობა. ისევე, როგორც ოჯახსა და სოციალური ზრუნვის დანესებულებაში, ფიზიკური ძალადობა სკოლებში კლებულობს ბავშვთა ასაკის მატებასთან ერთად.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ინიციატორებად სახელდებოდნენ როგორც უფროსი ადამიანები, ისე ბავშვები. ამისგან განსხვავებით, სქესობრივი ძალადობის შემთხვევათა უმეტესობა ბავშვების მიერ არის ჩადენილი. უნდა აღინიშნოს, რომ უფროსებს უფრო ასახელებდნენ, ვიდრე მასწავლებლებს.

რაც შეეხება სასკოლო გარემოში განცდილი ფიზიკური ძალადობის ტიპებს, ბავშვები ყველაზე ხშირად აღნიშნავდნენ ხელზე ან მკლავზე დარტყმას (ყველაზე ხშირად – სხვა ბავშვის მიერ), ყურის აწევის (ყველაზე ხშირად – უფროსის მიერ), თმის მოქაჩვას (ყველაზე ხშირად – უფროსის მიერ, მაგრამ ასევე ხშირად სხვა ბავშვის მიერ), ტკივილის მიყენებას (ყველაზე ხშირად – სხვა ბავშვის მიერ) და თავზე ან სახეზე დარტყმას (ყველაზე ხშირად – სხვა ბავშვის მიერ). ფიზიკური ძალადობის მწვავე ფორმები (თითების მომტვრევა, გაჭრა, გაგუდვა, დამწვრობის მიყენება) ნაკლებად აღინიშნება და უფრო ხშირად ბავშვების მიერ არის ჩადენილი და არა უფროსების. ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ტიპებია: ყვირილი, ლანძღვა-გინება, ცუდი ნიშნების დანერის მუქარა, სანყენი სახელების დაძახება, სიტყვიერი შეურაცხყოფა, სულელად გამოყვანა და პირადი ნივთების მოპარვა.


სქესობრივი ძალადობის ყველა ტიპის შემთხვევათა უდიდესი უმრავლესობის ინიციატორები ბავშვები იყვნენ. ყველაზე გავრცელებული არასასურველი ქცევის ფორმები იყო პორნოგრაფიის ჩვენება (მთელი შერჩევის 4.5%) და ძალით კოცნა (0.8%).

ბულინგის შემთხვევები ყველაზე მეტად აღინიშნებოდა სკოლის ეზოში და სკოლის გარშემო არსებულ ხეებით დაფარულ ტერიტორიაზე და ყველაზე ხშირად — სკოლის შემდეგ, თუმცა მრავალი სხვა ადგილი და დრო აღინიშნება, როდესაც და სადაც ბულინგი ხდება.

ძალადობის შედარება კვლევის სხვადასხვა გარემოში

ბავშვებმა გაგვიზიარეს საკუთარი გამოცდილება ძალადობასთან დაკავშირებით სამ სხვადასხვა გარემოში – ოჯახში, სოციალური ზრუნვის დანესებულებებსა და სკოლებში. ყველა მონაცემი შეგროვდა პირისპირ ჩატარებული ინტერვიუების გზით. სოციალური ზრუნვის დანესებულებებისა და სკოლებისათვის გამოყენებული იქნა ICAST CI კითხვარი. კითხვარმა ICAST CH, რომელიც გამოყენებული იქნა ოჯახურ გარემოში ბავშვთა გამოცდილების გამოსაკვლევად, მოიპოვა ინფორმაცია ძალადობის იმავე ტიპების შესახებ, მაგრამ არსებობდა გარკვეული განსხვავება დასმულ კითხვებს შორის. მიუხედავად აღნიშნული განსხვავებებისა, მიზანშეწონილია აღნიშნულ სამ გარემოში ბავშვთა გამოცდილებების შედარება (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1: ბავშვთა მიერ სამ სხვადასხვა გარემოში აღნიშნული ძალადობის ტიპების პროცენტული მაჩვენებლები



მნიშვნელოვნად მეტმა ბავშვმა აღნიშნა ფიზიკური ($p=0.0009$) და ფსიქოლოგიური ($p=0.0001$) ძალადობის შემთხვევები ოჯახში სკოლასთან შედარებით. არ აღინიშნა მნიშვნელოვანი განსხვავება სქესობრივი შეურაცხყოფის შემთხვევათა რაოდენობას შორის ოჯახსა და სკოლაში.

სოციალური ზრუნვის დანესებულებებში მცხოვრები ბავშვების გაცილებით დიდმა რაოდენობამ აღნიშნა ფიზიკური ძალადობის შემთხვევები, ვიდრე სახლებში მცხოვრებმა ბავშვებმა. ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში განსხვავება უმნიშვნელო იყო.

სკოლების და სოციალური ზრუნვის დანესებულებების მონაცემების შედარებისას სამივე ტიპის ძალადობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად უფრო მაღალია დანესებულებებში მცხოვრები ბავშვებისათვის ($p<0.0001$).

ბავშვები საქართველოში უფრო მეტ ფიზიკურ ძალადობასა და სქესობრივ შეურაცხყოფას განიცდიან სოციალური ზრუნვის დანესებულებებში, ვიდრე ოჯახებში ან სკოლებში. ისინი ასევე უფრო მეტ ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიან დანესებულებებში, ვიდრე სკოლებში. ბავშვები უფრო მეტ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიან ოჯახებში, ვიდრე სკოლებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თუმცა არსებობს პრობლემები სკოლებში ძალადობის მხრივ, მაგრამ ისინი ნაკლებია, ვიდრე სკოლებში და დანესებულებებში არსებული პრობლემები.

როდესაც საქმე ეხება სკოლებში არსებულ ძალადობას, საჭიროა გავითვალისწინოთ ბავშვების მიერ განცდილი ძალადობა სხვა გარემოში, განსაკუთრებით ოჯახში. მხედველობაში ისიც უნდა იქნეს მიღებული, რომ ზოგიერთი ბავშვისათვის სკოლა შედარებით უსაფრთხო ადგილია და მათ შეიძლება გაუმხილონ სხვაგან მომხდარი ძალადობის დეტალები რომელიმე უფროს ადამიანს ან სხვა ბავშვს, რომელსაც ისინი ენდობიან სკოლაში. უსაფრთხო სკოლების პოლიტიკის დანერგვა გაზრდის ინფორმაციის გამხელის ალბათობას და საჭიროა, რომ თანამშრომლები მზად იყვნენ შესაბამისი რეაგირებისათვის.

რეკომენდაციები

ამ დოკუმენტის სხვადასხვა თავში რეკომენდაციები მოცემულია უშუალოდ შესაბამისი მონაცემების შემდეგ. წინამდებარე თავში რეკომენდაციები წარმოდგენილია ორ მთავარ ნაწილში:

- **ბავშვების მიმართ ძალადობის შემცირება და პრევენცია და არაძალადობრივი ფასეულობების მხარდაჭერა და ხელშეწყობა**
- **ბავშვების შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის შემთხვევათა იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება**

ორივე აღნიშნულ ნაწილში მოცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია როგორც ეროვნული პოლიტიკის, პროფესიული ტრენინგისა და პროფესიონალთა პოტენციალის განვითარების, ისე პროგრამებისა და მომსახურებების შემუშავების თვალსაზრისით. მრავალი ამ რეკომენდაციათაგან ურთიერთდაკავშირებულია და ერთად წარმოადგენს საწყის ნერტილს საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობისა და შეურაცხყოფის წინააღმდეგ ერთიანი რეაგირებისათვის საფუძვლის შექმნელად.

კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობა მრავალ ასპექტში თავისი ხასიათით და მასშტაბებით მსგავსია იმ ძალადობისა, რომელსაც ადგილი აქვს ევროპის სხვა ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, მართალია, შესაძლებელია გარკვეული ცოდნისა და გამოცდილების მიღება სხვა ქვეყნებში არსებული ინიციატივებიდან, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში რეაგირების მეთოდები ადგილობრივად შემუშავდეს და შეესაბამებოდეს ადგილობრივ პირობებსა და კულტურებს. ერთი კულტურისათვის შექმნილი პოლიტიკა, სტრატეგია ან მომსახურება იოლი დასაწერგი არ არის სხვა კულტურაში.

გამოიკვეთა გარკვეული ზოგადი პრინციპები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს რეკომენდაციების საპასუხოდ ქმედებების დაგეგმვისას. მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი:

- განვითარება არსებული ძლიერი მხარეების საფუძველზე, როგორცაა მშობელთა სურვილი, გამოიყენონ დისციპლინის დამყარების არაძალადობრივი მეთოდები, და ბავშვთა პოზიტიური დამოკიდებულება სკოლებისა და მშობლების მხრიდან მხარდაჭერის მიმართ;
- არსებულ საყოველთაო მომსახურებათა (როგორცაა მშობიარობამდე მზრუნველობა, ბავშვთა ადრეული ჯანდაცვის მომსახურება, განათლება) ჩარჩოების გამოყენება; ყოველივე ზემოაღნიშნულის მნიშვნელობა საქართველოში შესანიშნავად არის გათვითცნობიერებული. როდესაც განხილული იქნება, თუ როგორ შეიძლება გამოიყენოთ ან შევცვალოთ აღნიშნული მომსახურებები იმისათვის, რომ შემცირდეს ძალადობა და მოხდეს რეაგირება ბავშვების შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის შემთხვევებზე, ნათელი გახდება უფრო სპეციალიზებული მომსახურებების საჭიროება. დაფინანსების თვალსაზრისით, არსებული მომსახურებებისა და სტრუქტურების საფუძველზე მუშაობა, ჩვეულებრივ, ფინანსურად უფრო ეფექტურია, ვიდრე დამოუკიდებელი და ახალი მომსახურებების შემოღება. იგი ასევე უზრუნველყოფს უკეთეს თანამშრომლობას „ზოგად სპეციალისტებსა“ და „ვინრო სპეციალისტებს“ შორის;
- ბავშვთა შეხედულებების გათვალისწინება და ისეთი გზების გამოძებნა, რომელთა საშუალებითაც მათ შეუძლიათ აქტიური როლი შეასრულონ ცვლილებების განხორციელებაში;
- რეკომენდაციების განხილვა რეფორმის არსებული პროგრამის კონტექსტში, ასევე იმის განხილვა, თუ როგორ შესრულდება ან შეიძლება შესრულდეს ისინი უკვე მიმდინარე რეფორმების ფარგლებში. მაგალითად, „უსაფრთხო სკოლების“ ინიციატივა უშუალოდ კვლევის შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება, ხოლო ბავშვებზე მზრუნველობის სტანდარტების დასახვა ქმნის შესაძლებლობას, რომ ძალადობის შემცირების პოლიტიკა და სტრატეგია გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა გარემოში, მათ შორის სოციალური ზრუნვის დანესებულებებში;
- შექმნილი ცოდნის გადატანა, საქართველოს ფარგლებში, ერთი გარემოდან მეორეში. ამგვარად შესაძლებელია, რომ სკოლებისათვის შემუშავებული პოლიტიკისა და სტრატეგიის მსგავსი პოლიტიკა და სტრატეგია გამოყენებული იყოს სხვა გარემოში, კონკრეტულად კი სოციალური ზრუნვის დანესებულებებში;

- ინიციატივის საცდელი განხორციელება ერთ ან ორ ადგილას, საფუძვლიანი მონიტორინგისა და შეფასების თანხლებით, სანამ ის ეროვნულ დონეზე განხორციელდება. მიუხედავად ამისა, ყველა ინიციატივის შემთხვევაში თავიდანვე მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, თუ როგორ შეიძლება, რომ მათ მოიცვან ქვეყნის ყველა რეგიონი და ხელმისაწვდომი გახდნენ სასოფლო რაიონებში მცხოვრები ადამიანებისათვის (ოჯახები და პროფესიონალები);
- მონაცემთა რეგულარული შეგროვების დაგეგმვა. ეს საკითხი შესულია რიგ რეკომენდაციებში და ეხება „უსაფრთხო სკოლების“ ინიციატივის ფარგლებში სკოლების უწყვეტ მონიტორინგს და ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის საწინააღმდეგო პროგრამის მიმართვის (საჩივრების წარდგენის) სისტემის შედეგების მონიტორინგს.

ბავშვების მიმართ ძალადობის შემცირება და პრევენცია და არაძალადობრივი ფასეულობების მხარდაჭერა და ხელშეწყობა

• საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

არსებობს საჭიროება, რომ ამაღლდეს ცნობიერების დონე საზოგადოებასა და პროფესიულ წრეებში ბავშვთა მიმართ ძალადობის მასშტაბებსა და შედეგებთან დაკავშირებით. საზოგადოების გათვითცნობიერების კამპანიების დროს უნდა მოვერიდოთ გაზვიადებას, ვეცადოთ არაძალადობრივი ფასეულობების მხარდაჭერას და არა „შოკირებას“ განსაკუთრებით მძიმე მაგალითებით. ასევე უნდა გამოვიჩინოთ სიფრთხილე, რათა ბავშვებს შორის ძალადობის განხილვისას არ წარმოვაჩინოთ ბავშვები როგორც მცირეწლოვანი დამნაშავეები, ხოლო ოჯახში ფიზიკური სასჯელების განხილვისას არ მოვახდინოთ მშობელთა კრიმინალიზება. თუ გვინდა, რომ მივალწიოთ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებას, უნდა მოხდეს დამოკიდებულების ცვლილება და მისაღები აღარ იყოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური სასჯელი. აღნიშნული ცვლილება უნდა შეეხოს როგორც პროფესიონალებს და მათ, ვინც ღებულობს გადამწყვეტილებებს პოლიტიკის თაობაზე, ასევე ფართო საზოგადოებას.

• ფიზიკური სასჯელის აკრძალვა ყველა გარემოში

საქართველოს მთავრობა მტკიცედ უჭერს მხარს ფიზიკური სასჯელის აკრძალვას, რაც შეესაბამება როგორც ბავშვის უფლებათა კონვენციის, ასევე ძალადობის შესახებ გაერო-ს კვლევაში მოცემულ რეკომენდაციებს. მიუხედავად ამისა, კვლევა გვიჩვენებს, რომ ფიზიკური სასჯელი კვლავაც გამოიყენება იმ უფროსების მიერ, ვინც ზრუნავს ბავშვებზე ოჯახის გარემოში, სკოლებსა და სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბავშვებზე ზრუნვის სტანდარტების შემოღება დაწესებულებებში და უსაფრთხო სკოლების პოლიტიკა შეამცირებენ აღნიშნულ გარემოებში ფიზიკური სასჯელის გამოყენებას. მშობლების და სხვა მზრუნველების განათლებამ, როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი, შესაძლოა ასევე შეამციროს ფიზიკური სასჯელის გამოყენება ოჯახურ გარემოში; თუმცა შედეგებს საფუძვლიანი მონიტორინგი დასჭირდება. ნებისმიერი აკრძალვა უფრო მეტი სერიოზულობით იქნება აღქმული, თუ მას მხარს კანონმდებლობა დაუჭერს. არ არის ნათელი, საკმარისია თუ არა საქართველოში ამჟამად არსებული კანონები ფიზიკური სასჯელის აკრძალვის მხარდაჭერისათვის. შესაბამისად, საჭიროა არსებული კანონმდებლობის მიმოხილვა. თუ იმ დებულებებში, რომლებმაც ბავშვები ფიზიკური სასჯელისაგან უნდა დაიცვან, ნაკლოვანებები იქნება აღმოჩენილი, მაშინ საჭირო გახდება სპეციფიკური კანონმდებლობის შემოღების საკითხის განხილვა.

• ოჯახის გარემოში არაძალადობრივი დისციპლინური მეთოდების გამოყენების წახალისება

ოჯახებს, დიდი ოჯახის იმ წევრთა ჩათვლით, ვინც ზრუნავს ბავშვებზე, ესაჭიროებათ რჩევები ადრეულ ეტაპზე საკუთარი ბავშვების აღზრდისა და გაკონტროლების მიზნით ფიზიკური და ფსიქოლოგიური სასჯელის გარდა სხვა მეთოდების გამოყენების თაობაზე. საჭირო იქნება უწყვეტი წახალისება და რჩევები იმისათვის, რომ ასეთმა მეთოდებმა შეცვალოს ის ფიზიკური და ფსიქოლოგიური სასჯელები, რომლებსაც უმრავლესობა იყენებს პოზიტიურ მიდგომებთან ერთად. როგორც ოჯახის წევრებს, ისე პროფესიონალებს ესაჭიროებათ უფრო მეტი გათვითცნობიერება იმ პოტენციურ ზიანთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკურმა და ფსიქოლოგიურმა სასჯელმა.

საქართველოში ანტენატალური მზრუნველობის ძალზე კარგი მომსახურების არსებობის (იხ. მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემები), ასევე მცირეწლოვანი ბავშვებისათვის ჯანდაცვის მომსახურების საყოველთაო ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, განხილული უნდა იქნეს იმის შესაძლებლობა, რომ აღნიშნული მომსახურებების მეშვეობით რჩევები და მხარდაჭერა მიმართული იქნეს ბავშვებში კარგი ქცევის ნახალისებაზე დამსჯელობითი მეთოდების გამოყენების გარეშე. თანამშრომლებს დასჭირდებათ ტრენინგი და ხელშეწყობა. გარკვეული როლი ექნებათ შესასრულებელი საბავშვო ბალების თანამშრომლებსაც. ამგვარი ძირითადი თანამშრომლების იდენტიფიცირება და მათთვის ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიწოდება, რათა მათ უზრუნველყონ ოჯახები რჩევა-დარიგებითა და მხარდაჭერით, პრიორიტეტს წარმოადგენს. მათ, ვინც აღნიშნულ ტრენინგს გაუწევს ორგანიზებას, დასჭირდებათ ასევე კვლევის ჩატარება დისციპლინის დამყარების მეთოდებისადმი თანამშრომელთა დამოკიდებულების შესახებ.

- **„ჩვილი ბავშვის ნჯღრევის“ სინდრომის პრევენცია**

საჭიროა მძლავრი კამპანია, რათა ხაზი გაესვას ჩვილი ბავშვების ნჯღრევის საშიშროებას. უნდა ვაღიაროთ, რომ მშობლები ჩვილ ბავშვებს მათთვის შეგნებულად ზიანის მიყენების მიზნით არ ანჯღრევენ და მათ დიდ უმრავლესობას გაუჩნდება სურვილი, თავი აარიდოს ამას მას შემდეგ, რაც ისინი გაათვითცნობიერებენ საფრთხეს. შესაძლებელია, რომ ამ საკითხზე პედიატრებმა ისაუბრონ, ვინაიდან ისინი ყველაზე ხშირად ურთიერთობენ ოჯახებთან ბავშვის დაბადების შემდგომ პერიოდში. პირველი ნაბიჯი იქნებოდა იმის უზრუნველყოფა, რომ თვითონ პედიატრებსა და სხვა ძირითად თანამშრომლებს გათვითცნობიერებული ჰქონდეთ ეს რისკები.

- **ძალადობის შემცირება სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში**

სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში უნდა შემუშავდეს ქცევის კოდექსები, რომლებიც ნაახალისებს კონფლიქტების არაძალადობრივ მოგვარებას და ისეთი დისციპლინური მეთოდების გამოყენებას, რომლებიც ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ სასჯელს არ მოიცავს. უნდა ნახალისდეს თანამშრომლებსა და ბავშვებს შორის, ასევე თვითონ ბავშვებს შორის პატივისცემის კლიმატი. ქცევის კოდექსების შემოღებას და ძალადობის აკრძალვას თანამშრომელთა ტრენინგი და მხარდაჭერა დასჭირდება. სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვები აქტიურად უნდა იყვნენ ჩაბმულნი ქცევის კოდექსების შემუშავებისა და ამოქმედების პროცესში. ზოგიერთი გონივრული ინიციატივა (ბავშვების მიერ შეთავაზებული), როგორცაა ბავშვებისათვის კონსტრუქციული კლასგარეშე აქტივობების უზრუნველყოფა გარკვეული ზედამხედველობის ქვეშ, შეამცირებს ბავშვებს შორის ძალადობის შესაძლებლობებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში მყოფი მცირეწლოვანი ბავშვების დაცვასა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში თანამშრომელთა მიერ ძალადობის გამოყენება აკრძალული უნდა იყოს კანონით და უნდა განხორციელდეს შემონეშები თანამშრომელთა დაქირავებისას, რათა დავრწმუნდეთ, რომ მათ წარსულში არ ყოფილა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევები.

განხილული უნდა იქნეს თითოეული ბავშვისთვის ისეთი კონკრეტული პირის (მენტორის) მიჩენის შესაძლებლობა, ვისაც მას შეეძლება მიმართოს საკუთარი პრობლემებით, მათ შორის სხვა ბავშვების ან თანამშრომლების მხრიდან ძალადობის პრობლემით. თვითონ ბავშვებმა აღნიშნეს, რომ უნდა არსებობდეს ადამიანი, ვისაც მათ შეეძლებათ მიმართონ საკუთარი პრობლემებით. იდეალურ შემთხვევაში ასეთი ადამიანები დაქირავებული უნდა იქნენ დაწესებულებების გარეთ, ასე რომ ბავშვებს ასევე დასჭირდებათ მათთან კონფიდენციალურად დაკავშირების საშუალება, შესაძლებელია ტელეფონი.

უსაფრთხო სკოლების პოლიტიკის მრავალი კომპონენტის გამოყენება შეიძლება სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში. გამონაკლისი შესაძლოა იყოს მშობლების მონაწილეობა. თუმცა მშობლების ჩართვა შესაძლებელია სასარგებლო იყოს, თუ ხდება მზადება ბავშვის საკუთარ ოჯახში დასაბრუნებლად. გეგმებში შეტანილი უნდა იქნეს დახმარება ქცევის მართვის პოზიტიური მეთოდების გამოყენებაში.

- **ძალადობის შემცირება სკოლებში**

სკოლებში ძალადობის შემცირების პოლიტიკა და სამოქმედო გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს,

რომ ხელი შეუწყოს პროსოციალურ ქცევას, ისინი არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ სანქციებს ძალადობის აღმოსაფხვრელად. ისინი მიმართული უნდა იყოს პრევენციაზე, რისთვისაც უნდა ჩამოყალიბდეს და შენარჩუნდეს ისეთი სასკოლო კლიმატი, სადაც ძალადობა არ დაიშვება და სადაც ძალადობა ვერ იარსებებს. გარდა ამისა, დროულად უნდა გამოვლინდეს ძალადობის შემთხვევები და მათზე შესაბამისი რეაგირება უნდა მოხდეს. სკოლებში მხარი უნდა დაეჭიროს არამოძალადეობრივი და პროსოციალური ქცევის დადებით მოდელირებას პერსონალის პროფესიონალურ განვითარებაში ტრენინგით, რომელიც ყველა სკოლაში უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

მთელი ქვეყნის სკოლებში საჭიროა პრევენციული პროგრამების შემოღება და ეს ძალადობის შემცირების სასკოლო სამოქმედო გეგმის განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. მიდგომები ბუ-ლინგის შემცირების მიმართ და ბულინგის მსხვერპლთა დახმარება შეტანილი უნდა იქნეს სკოლის სასწავლო პროგრამაში როგორც სასწავლო პროგრამების ნაწილი პერსონალური და სოციალური უნარების განვითარებისათვის.

უსაფრთხო სკოლების ეროვნული პოლიტიკის შემუშავება ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით მიმდინარეობს.

მას მხარს უნდა უჭერდეს ეროვნული სტრატეგია თავისი ხარჯთეფექტური დაფინანსებით და სახელმძღვანელო პრინციპებით სკოლებისათვის, თუ როგორ შექმნან და შეინარჩუნონ უსაფრთხო და დაცული სასწავლო გარემო ყველა ბავშვისა და მოზარდისათვის.

შესაძლოა, საჭირო გახდეს ახალი კანონმდებლობა, რათა უფრო ნათლად განისაზღვროს უფლებები და მოვალეობები სკოლებში, რის საფუძველზეც მოხდება საკუთარი პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება ძალადობის შესამცირებლად, ასევე სკოლის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ბავშვებისა და მოზარდების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნული ფორუმი სკოლაში ძალადობის შემცირებისათვის, რათა მონიტორინგი გაეწიოს ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის განუხრეღ განხორციელებას და დახვეწას, ასევე უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვებისა და მოზარდების უფლება, მიიღონ განათლება ძალადობისგან თავისუფალ სკოლებში.

კვლევაში მითითებულია, რომ საჭიროა სკოლებში ძალადობის უწყვეტი მონიტორინგი. გარდა ამისა, სკოლას ეფექტურად უნდა შეეძლოს ძალადობის შემცირება. იმისათვის, რომ ეს შესაძლებელი გახდეს, სკოლებში შემოღებული უნდა იქნეს შიდა განხილვის მექანიზმი, რომლის რეგულარული გამოყენება იოლი იქნება და რომელიც შეიცავს არა მხოლოდ საზომებს ძალადობრივი ქცევის დონეებისა და ხასიათის გასაზომად, არამედ პროსოციალური ქცევის დონეებისა და ხასიათის გასაზომადაც. გარდა ამისა, სკოლაში ძალადობის შიდა განხილვაში უნდა შევიდეს ინფორმაცია, თუ როგორ უმჯობესდება სკოლის სტრუქტურა და შესაძლებლობა ამ საკითხების გადაჭრის კუთხით. კვლევაზე დაყრდნობით მომზადდება სასარგებლო საბაზისო მონაცემები მიმდინარე მონიტორინგისათვის, რითაც შეიძლება გაიზომოს სამომავლო სამუშაოს ზეგავლენა სკოლებში ძალადობის შიდა განხილვის მექანიზმის გამოყენებით.

ბავშვების შეურაცხყოფისა და უგულუბელყოფის შემთხვევათა იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება

ყველა ბავშვი, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ის, დაცული უნდა იყოს შეურაცხყოფისა და უგულუბელყოფისაგან. ეს ნიშნავს, რომ მიმართვისა და შეფასების ნებისმიერი სისტემა უნდა შემუშავდეს ისე, რომ მოიცავს ყველა ბავშვი, მათი ჩათვლით, ვინც საკუთარ ოჯახებთან ცხოვრობს და ჯერ არ მომხდარა მათი იდენტიფიცირება დაუცველ ბავშვებად. რეაგირება იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ეჭვი შეურაცხყოფისა და უგულუბელყოფის შემთხვევებთან დაკავშირებით, თანმიმდევრული უნდა იყოს. მიმართვის პუნქტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბავშვებისათვის, ოჯახებისათვის, საზოგადოებისა და პროფესიონალებისათვის. ასეთი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი გზა შეიძლება იყოს სატელეფონო დახმარების ხაზი. ასეთი მიმართვისა და შეფასების პროცესი უფრო გამართულად მიმდინარეობს, თუ არსებობს შეთანხმებული პირობები სხვადასხვა სექტორებს, უწყებებსა და მომსახურებებს შორის.

სამომავლოდ განხილული უნდა იქნეს ბავშვებთან და ოჯახებთან მომუშავე პროფესიონალების მიერ სავარაუდო შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის შემთხვევებთან დაკავშირებით სავალდებულო ანგარიშგების შემოღების საკითხი. აღნიშნული ანგარიშგება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შემუშავდება და პრაქტიკულად განხორციელდება მიმართვის სისტემა.

შესაძლოა საჭირო იყოს კანონმდებლობის შემოღება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვების სრულად დაცვა და რათა, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს ბავშვის სასწრაფოდ გადაყვანა მაღალი რისკის გარემოდან (რაც ზოგჯერ მოიცავს მის საკუთარ ოჯახს) უსაფრთხო ადგილას. ასეთი ქმედებები არ უნდა იყოს დამოკიდებული სისხლის სამართლის პროცედურებზე და მშობელთა თანხმობას არ უნდა საჭიროებდეს.

რაც შეეხება ორგანიზაციებს, მათ შორის სოციალური ზრუნვის დანესებულებებს, სკოლებსა და პოლიკლინიკებს, სავარაუდო შეურაცხყოფის იდენტიფიცირებისა და მიმართვის პროცესის ხელშეწყობა შეიძლება განხორციელდეს პროცედურების შემუშავების („რას გააკეთებთ, თუ გაქვთ ეჭვი, რომ ბავშვს შეურაცხყოფას აყენებენ“) და ისეთი კონკრეტული პირის განსაზღვრის გზით, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის საკითხებზე. ასეთი პროფესიონალი მიიღებს დამატებით ტრენინგს, კოლეგებს გაუზიარებს კონსულტაციას, მოახდენს ორგანიზაციის ფარგლებში ზოგადი ტრენინგის ორგანიზებას და დაკავშირებული იქნება ადგილობრივი მიმართვისა და შეფასების სისტემასთან.

მიმართვის სისტემას უნდა შეეძლოს მოაგვაროს სავარაუდო ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის საკითხები, იმ შემთხვევების ჩათვლით, როდესაც ინიციატორი სხვა ბავშვია. შეფასების სტადიაზე ეს ნიშნავს რიგ სპეციალისტებთან დაკავშირების შესაძლებლობას.

მიმართვისა და შეფასების პროცესის მხარდასაჭერად საჭირო იქნება:

- **პროფესიული შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარება და ტრენინგი**

ქვეყანაში არსებობს დიდი მოცულობის ცოდნა, მაგრამ ამჟამად არა გვაქვს მთლიანი სურათი იმისა, თუ ვინ შეიძლება მიიღოს მონაწილეობა ბავშვთა შეურაცხყოფასა და უგულვებელყოფაზე რეაგირების გზების შემუშავებაში და აღნიშნულ საკითხებზე სხვა ადამიანთა ტრენინგის პროცესში. უნარ-ჩვევების გარკვეული სახის გამოკვლევა მოახდენდა იმ ორგანიზაციებისა და პირების იდენტიფიცირებას, ვისი გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა ტრენინგის ეროვნული პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. არასამთავრობო სექტორი სავარაუდოდ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს აღნიშნულ პროცესში. იმ შემთხვევებში, როდესაც საჭირო ცოდნა არ არსებობს ქვეყნის ფარგლებში, აუცილებელი იქნება მისი სხვაგან მოძიება.

ტრენინგის ეროვნული პროგრამა შემუშავებული უნდა იქნეს ისეთი სახით, რომ უზრუნველყოს:

- ზოგადი ტრენინგი ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის სავარაუდო შემთხვევების აღიარებისა და შესაბამის მიმართვაში ყველა იმ პირისათვის, ვინც ბავშვებთან მუშაობს;
- სპეციფიკური პროფესიული ტრენინგი;
- მრავალდარგობრივი (სხვადასხვა სექტორის მომცველი) ტრენინგი მათთვის, ვინც პასუხობს მიმართვებზე და აფასებს შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის შემთხვევებს;
- სპეციალისტთა ტრენინგი მათთვის, ვინც უზრუნველყოფს თერაპიას ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის.

- **მომსახურების განვითარება**

იმისათვის, რომ ბავშვთა დაცვის სისტემა ეფექტური იყოს, შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის იდენტიფიცირებას შედეგად უნდა მოჰყვეს ბავშვისა და ოჯახისათვის ხელმისაწვდომი სათანადო დახმარება და მხარდაჭერა. საჭიროა მომსახურებათა შემოღება, რათა მოხდეს რეაგირება შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის ყველა ფორმაზე.

საჭიროა არსებული, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილი მომსახურებების მიმოხილვა, რათა დადგინდეს ის სტრუქტურები, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ ასეთი დახმარება დამატებითი ტრენინგისა და მხარდაჭერის პირობებში.

შემდეგ შესაძლებელია გაკეთდეს შეთავაზებები სპეციალისტთა მომსახურებების განვითარებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით რეგიონებში (რაც მოიცავს ფსიქიკური ჯანდაცვის მომსახურებას, თერაპიას ძალადობის მსხვერპლი და ინიციატორი ბავშვებისათვის).

- **მონაცემთა შეგროვება და მონიტორინგი**

უნდა შეიქმნას მონაცემთა რეგულარული შეგროვების სისტემა, რათა შეგროვდეს ინფორმაცია ქვეყანაში ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის შემთხვევათა აღიარების (მათ შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის) შესახებ. შემდგომში აღნიშნული სისტემა შეიძლება გაფართოვდეს, რათა მოხდეს რეაგირების გზებისა და შემთხვევათა სიხშირის ცვლილების მონიტორინგი. სოციალური დაცვის სტრუქტურებმა უნდა აიღონ პასუხისმგებლობა სოციალური ზრუნვის დანესებულებებში შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და პირველადი შეფასების პროცესის განხორციელება და მონიტორინგზე.

წინადადებები შემდგომი კვლევისათვის

კვლევამ მოახდინა ქვემოთ ჩამოთვლილი სფეროების იდენტიფიცირება, რომლებიც შემდგომ კვლევას საჭიროებს. როგორც ქვემოთ არის მითითებული, ზოგიერთი აღნიშნულ სფეროთაგან შეიძლება გამოკვლეული იქნეს შეგროვებული მონაცემების შემდგომი დაზუსტების გზით:

- **სქესობრივი შეურაცხყოფა/ძალადობა:** თუმცა კვლევამ დაადასტურა, რომ სქესობრივი შეურაცხყოფა/ძალადობა საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, იგრძნობოდა, რომ საჭიროა განსხვავებული მიდგომა, რათა უფრო მეტი შევიტყოთ მისი ნამდვილი მასშტაბისა და ხასიათის შესახებ.
- **ძალადობა წლამდე ასაკისა და პატარა ბავშვების წინააღმდეგ:** ამ სფეროში პირველი ნაბიჯი შეიძლება იყოს კვლევის მონაცემების შემდგომი ანალიზი. იმის გათვალისწინებით, რომ ძალადობა მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში შესაძლოა ფატალური ან მძიმე იყოს, განხილული უნდა იქნეს სიკვდილიანობისა და საავადმყოფოებში სერიოზულად დაზიანებული მცირე ასაკის ბავშვების მიღების შემთხვევების სტატისტიკა.
- **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა შეურაცხყოფა და უგულვებელყოფა:** სამწუხაროდ, კვლევისათვის ხელმისაწვდომი რესურსები არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მოცული ყოფილიყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებიც.
- **შედარებით მცირე ასაკის (11-12 წელი) ბავშვების გამოცდილება სოციალური ზრუნვის დანესებულებებში:** მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნა როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ძალადობის და უგულვებელყოფის შემთხვევათა მაღალი მაჩვენებლები. მონაცემთა შემდგომმა ანალიზმა შესაძლოა უზრუნველყოს დამატებითი ინფორმაცია, მაგრამ საჭიროა უფრო ფართომასშტაბიანი კვლევა.

- Akiba M (2002). *Student Victimization: National and School System Effects on School Violence in 37 Nations*. American Educational Research Journal, 39(4): 829-853.
- Almaty (2002). *Alternative Report of Non-Governmental Organisations of Kazakhstan*. Available at: http://www.crin.org/docs/resources/treaties/crc.33/kazakhstan_ngo_report.pdf.
- Barth RP (2002). *Institutions vs Foster Homes: The Empirical Base for a Century of Action*. Chapel Hill, NC, University of North Carolina School of Social Work, Jordan Institute for Families.
- Bentovim A, (2002) Preventing sexually abused young people from becoming abusers, and treating the victimization experiences of young people who offend sexually. *Child Abuse and Neglect*, 26:661-678
- Browne et al (2002) *Child Abuse and neglect in Romanian Families: a national prevalence study*. Copenhagen: WHO regional office for Europe.
- Cleaver H, Unell I, Aldgate J, (1999) *Children's needs-Parenting capacity: The Impact of Parental Mental Illness and Drug Use, and Domestic Violence on Children's Development*. London: Stationery Office.
- Culley MR, Conkling M, Emshoff J, Blakely C, Gorman D (2006). Environmental and contextual influences on school violence and its prevention. *J Prim Prev*, 27(3):217-227.
- Dias MS, Smith K, DeGuehery K, Mazur P, Li V, Shaffer ML (2005). Preventing abusive head trauma among infants and young children: a hospital-based, parent education program. *Pediatrics*, 115:e470-7.
- Dong M, [a](#), et al (2004) The interrelatedness of multiple forms of childhood abuse, neglect, and household dysfunction. *Child Abuse and Neglect*, 28: 771-784
- Durrant JE (2000) *A generation without smacking: The impact of Sweden's ban on physical punishment*. London, Save the Children Fund
- Faelker T, Pickett W, Brison RJ (2000) Socioeconomic differences in childhood injury: a population based epidemiologic study in Ontario, Canada. *Inj Prev*, 6 (3): 203-8.
- Gittins C (ed.) (2006) *Violence reduction in schools – how to make a difference*. Strasbourg: Council of Europe
- Glaser D, Prior V, Lynch MA (2001) *Emotional abuse and emotional neglect: Antecedents, operational definitions and consequences*. York, British Association for the Study and Prevention of Child Abuse and Neglect
- Guthkelch AN. (1971) Infantile subdural haematoma and its relationship to whiplash injuries. *Brit Med J*, May 22; 2(5759): 430-431
- Hahm H, Guterman N (2001) The emerging problem of physical child abuse in South Korea. *Child Maltreatment*, 6: 169-179.
- Iltus S (2005). *Early childhood development and preschool education in Georgia: Research findings and recommendations*. Tbilisi, UNICEF
- Ketsela T, Kedebé D (1997) Physical punishment of elementary school children in urban and rural Ethiopia. *Ethiopian Medical Journal*, 35:23-33.

- Krug EG et al (2002) *World Report on Violence*. Geneva: WHO.
- Laing GJ, Logan S (1999) Patterns of unintentional injury in childhood and their relation to socio-economic factors. *Public Health*, 113: 291- 4.
- May-Chahal C, Herczog (2003). *Child Sexual Abuse in Europe*. Strasbourg: Council of Europe Publishing
- Murakami S, Rappaport N, Penn JV (2006). An overview of juveniles and school violence. *Psychiatr Clin North Am*. Sep 2006;29(3):725-741.
- Nansel TR, Craig W, Overpeck MD, Saluja G, Ruan WJ (2004). Cross-national consistency in the relationship between bullying behaviors and psychosocial adjustment. *Arch Pediatr Adolesc Med*, 158(8):730-736.
- National Society for Prevention of Cruelty to Children (1998) *Fragile: Handle with Care*. London. NSPCC.
- Natsvlshvili, E. (2006). *Mapping of Child Care Services in Georgia: September-October, 2006*. Tbilisi: EC-TACIS "EU Support to Child Welfare Reform Project, Georgia."
- Natsvlshvili, E. (2007). *Draft Baseline Data Analysis: Referrals to Residential Care and Social Services for Children 2004-2007*. Tbilisi: EC-TACIS "EU Support to Child Welfare Reform Project, Georgia."
- Nobes G, Smith M (1997) Physical punishment of children in two parent families. *Clinical Child Psychology and Psychiatry*, 2: 271-81
- Pickett W, Craig W, Harel Y, et al (2005). Cross-national study of fighting and weapon carrying as determinants of adolescent injury. *Pediatrics*, 116(6):e855-863
- Rusudan T (2005). *Report of the Study of Child Care Institutions*. Tbilisi: Child and Environment
- Smith PK (ed.) (2003) *Violence in Schools: the response in Europe*. London: Routledge Farmer
- SOS-Kinderdorf (2005). *A Child's Right to a Family: The Experience, Learning and Vision of SOS Children's Villages*. Position Paper (for UN Study)
- TransMONEE Database (2002). UNICEF Innocenti Research Centre, Florence. Cited in: United Nations Study on Violence against Children (2005). *Violence in Residential Facilities for Children. Regional Desk Review: Europe and Central Asia*. Available at: <http://www.violencestudy.org/r27> 43 UNICEF (2005)
- Willow C, Hyder T. (1998) *It hurts you inside – children talk about smacking*. London: Save the Children Fund
- World Health Organization. (ongoing) Health Behaviour of School-Age Children. Available at: <http://www.hbsc.org/>
- WHO/ISPCAN (2006) *Preventing child maltreatment: A guide to taking action and generating evidence*. Geneva: WHO
- Youssef RM, Attia MS, Kamel MI (1998) Children experiencing violence: parental use of corporal punishment. *Child Abuse and Neglect*, 22:959-973
- Zaborskis A, Vareikiene I. (2008) School bullying and its association with health and lifestyle among schoolchildren. *Medicina Kaunas*, 44(3):232-9
- Zolotor A, Saralidze L, Gogvadze N, Lynch MA (2008) *National Study on School Violence in Georgia*. Tbilisi: UNICEF

დაწარმოებო

დანართი 1:

ეროვნული კვლევა საქართველოში სკოლებში ძალადობის შესახებ

რეზიუმე

წინასიტყვაობა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუშაობს „უსაფრთხო სკოლის“ სტრატეგიაზე, რომლის მიზანია, სკოლა გახდეს ძალადობისაგან თავისუფალი ადგილი, რათა ხელი შეეწყოს ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლებისა და განვითარების პროცესს საქართველოს სკოლებში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ესმის, რომ უსაფრთხო სკოლის სტრატეგიის საუკეთესო სახით შემუშავების მიზნით საჭიროა, გათვითცნობიერებული იქნეს სკოლებში ძალადობის, მათ შორის მოსწავლეთა შორის ძალადობისა და უფროსების მიერ ბავშვთა მიმართ ძალადობა მასშტაბი. სკოლაში არსებული ძალადობის კვლევა ნაწილი იყო საქართველოში უფრო ფართომასშტაბიანი მცდელობისა, მოპოვებულიყო მონაცემები ბავშვების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით, რაც მიზნად ისახავდა ინფორმაციის უზრუნველყოფას ძალადობის პრევენციის პრაქტიკის დასაბუთებად, სტრატეგიის შესამუშავებლად და ბავშვის დაცვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

2007 წელს „იუნისეფმა“, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებთან თანამშრომლობით, შეუკვეთა საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა. კვლევის ძირითადი მიზანი იყო იმ ძალადობის ხასიათისა და მასშტაბის გაგება, რომელსაც საქართველოში ბავშვები განიცდიან. 2006 წელს მსოფლიოში ბავშვების მიმართ ძალადობის კვლევის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ანგარიშის გამოქვეყნებამ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიაპყრო მსოფლიოში ბავშვების მიმართ ძალადობის მასშტაბს. ეს ანგარიში მოუწოდებდა თითოეულ ქვეყანას, განეხორციელებინა შემდგომი კვლევა, გაეანალიზებინა ბავშვების მიმართ ძალადობის მასშტაბი და გამოეყენებინა კვლევის შედეგები მთელს ქვეყანაში ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და მასზე რეაგირების ხელშეწყობის გეგმების შემუშავებისათვის.

კვლევის მიზნები

კვლევის ორივე ფაზის განმავლობაში მიზნად იყო დასახული, დადგენილიყო საქართველოს სკოლებში:

- ბავშვების მიმართ ძალადობის მასშტაბი;
- ძალადობის სახეები;
- ძალადობასთან დაკავშირებული ფაქტორები;
- ბავშვთა მიმართ ძალადობის, უხეშად მოპყრობისა და უგულბეღყოფის პრევენციისათვის საჭირო რეაგირების სახე და მასშტაბი.

სკოლების კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება როგორც შესაბამისი სამინისტროებისთვის ძალადობის ხასიათისა და კონტექსტის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, ისე დახმარების გასაწევად რეკომენდაციების შემუშავებაში, რომლებიც საფუძვლად დაედება უსაფრთხო სკოლის სტრატეგიის ჩამოყალიბებას.

მიზნობრივი ჯგუფი

- 11-17 წლის 1300 ბავშვი 93 სკოლიდან.

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა ორეტაპიანი შერჩევის მიდგომა. შემთხვევითი შერჩევის მეშვეობით შერჩეული იქნა 93 სკოლა. აქედან დაახლოებით ერთი მესამედი თბილისის სკოლები იყო (33/93). თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩა ერთი კლასი, ხოლო თითოეულ კლასში იმავე მეთოდით შეირჩა ერთი ბიჭი და ერთი გოგონა.

კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის ძირითადი ინსტრუმენტი ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების ბავშვის მიმართ ძალადობის სკრინინგის ინსტრუმენტები (ICAST), ვერსია - ბავშვები დანესებულებებში (CI) - იყო. ეს არის საერთაშორისო დონეზე მოქმედი ინსტრუმენტები, რომლებიც გაერო-ს კვლევის მოთხოვნის (შექმნილიყო საერთო ინსტრუმენტების ნაკრები მრავალეროვნულ, მრავალკულტურულ და მრავალენობრივ კონტექსტში ბავშვების მიმართ ძალადობის შესაფასებლად) საფუძველზე შეიქმნა.

ზემოთ აღნიშნული ინსტრუმენტები იყენებს სტრუქტურირებულ ინტერვიუებს. ისინი ყურადღებას ამახვილებს ბავშვების მიერ განცდილ ქმედებებზე, რომლებიც მეცნიერების მიერ იდენტიფიცირებულია როგორც ჩვეულებრივი ან სერიოზული ქმედებები. თუმცა ამ ინსტრუმენტებში ძალადობის განმარტება არ შედის, მათში შემავალი ბევრი (თუ არა ყველა) ქმედება შეიძლება აღინეროს როგორც ბავშვისათვის სტრესის მომგვრელი ან დამორგუნველი. ზუსტი გაგების უზრუნველსაყოფად ICAST CI ვერსიის კითხვარი და სახელმძღვანელო ითარგმნა ქართულად და შემდეგ ისევ ინგლისურად.

იმისათვის, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „უსაფრთხო სკოლების“ ინიციატივისთვის მეტი ინფორმაცია უზრუნველყოფილიყო, დამატებული იქნა ორი გვერდი სასკოლო კლიმატის, სხვადასხვა დამოკიდებულების, ასევე ბულინგის და ძალადობის ადგილისა და დროის შესახებ კითხვებით. ეს მიზნად ისახავდა სკოლაში ძალადობის არა მარტო ისეთი პრაქტიკული ასპექტების შეფასებას, როგორც არის ბულინგის ჩვეულებრივი დრო და ადგილები, არამედ სკოლის მიმართ ბავშვების ზოგადი დამოკიდებულების ასახვასაც. გამოყენებული შეკითხვები ემყარებოდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევას – „სასკოლო ასაკის ბავშვების ქცევის შესწავლა“, რომელიც საერთაშორისო დონეზე მოქმედ კიდევ ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ყველა მიზნობრივი ჯგუფისთვის შეგროვდა ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები, როგორცაა ასაკი, სქესი და ადგილმდებარეობა, ასევე ქონების ამსახველი მონაცემები.

აღმოჩენები

ბავშვების მიერ სკოლაში განცდილი ძალადობა (1300 ბავშვი)

მოსწავლეების დამოკიდებულება სკოლის, მათ შორის მოსწავლეებთან ურთიერთობის, პედაგოგების მხრიდან მოპყრობისა და მშობელთა დამოკიდებულების მიმართ ძალზე დადებითი იყო და ბავშვებისა და მოზარდების უმეტესობამ სკოლა უსაფრთხო ადგილად დაასახელა.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის დაფიქსირებულ შემთხვევათა პროცენტული ოდენობა ერთმანეთის მსგავსი იყო (47.1% და 47.5%), ხოლო სქესობრივი ძალადობის უფრო ნაკლები შემთხვევა დაფიქსირდა (7.3%).

კვლევის პროცესში აღინიშნა განსხვავებები სქესის მიხედვით: ბიჭებთან შედარებით გოგონები ყველა ფორმის ძალადობის ნაკლებ შემთხვევას განიცდიდნენ: გოგონების 36.6% და ბიჭების 57.7%

ფიზიკურ, ხოლო გოგონების 44.3% და ბიჭების 50.7% — ფსიქოლოგიურ ძალადობას. როგორც კვლევის სხვა სეგმენტებში, ფიზიკური ძალადობა ასაკის მატებასთან ერთად იკლებდა, მაგრამ ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობა კლებას არ განიცდიდა.

